N2 (501) 14/I-20/I-2010 ფასი 1 ლარი

# გზა



„სექსუალური და მხეცი მეუღლე ვიქნები“

ვისზე გაათხოვეს შორენა ბეგაშვილი



ორმეტრიანი უნივერსალური მამაკაცი

## უშიშროების არქივი



გიორგი მაზნიაშვილი — გმირი გენერლის ცხოვრება, ბრძოლა და აღსასრული



„გზის“ გამოცდა და „ერუდიტის“ მარათონში ჩაბმული სოსო ჯაჭვლიანი



რომანტიკოსი ლეიბორისტისა და ყოფილი ჟურნალისტის სიყვარულის ამბავი



შოუს სერიოზული წამყვანები, რომლებიც ყველაფერს თავზე იმხობენ

## სკანდალური განაჩენი

კობა კობალაძემ ციხეში 35 კილო დაიკლო

ISSN 1987 - 5029


ყოველი თვე და მშვენიერი შედევრები!
დიდი
მხატვრები
2010
2010
დიდი
კალენდარი
-დიდი
მხატვრები!
იკითხეთ პრესის ჯიხურებსა და წიგნის მაღაზიებში.

№2 (501)
14 — 20 იანვარი, 2010 წ.
ფასი 1 ლარი

## ქვეყანა




## რატომ „დავკარგეთ" „ქართლის დედის" წოდება?..

„გამოკითხვამ გვიჩვენა, რომ შვილის ყოლას გათხოვებიდან პირველი 2 წლის მანძილზე ამჯობინებენ; მეორე და მესამე შვილის გაჩენის ინტერვალი უფრო იზრდება, რაც მატერიალური მდგომარეობიდან გამომდინარეობს".

7


■ მინიატიურები 5
ხარლამოვი — საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე
■ ჭრელი მსოფლიო 6
■ პოლიტიკა 7
■ მგზავრული 9
ტაქსის მძღოლის სადღესასწაულო დღეები
■ ბრძენკაცები 11
საიდან გაჩნდა გვირაბი მანდარინის ბაღში?
■ პრობლემა 13
დემოგრაფია — სავალალო პერსპექტივა და გამოსავლის კონტურები
■ სამართალი 16
■ კრიმინალი 19
კობა კობალაძემ ციხეში 35 კილოგრამი დაიკლო
■ ფსიქოპორტრეტი 21
„სექსუალური და მხეცი მეუღლე ვიქნები"
■ ოჯახი 23
რომანტიკოსი ლეიბორისტისა და ყოფილი ჟურნალისტის სიყვარულის ამბავი
■ ჭორ-მართალი 25
შორენა ბეგაშვილი თხოვდება?
■ სცენა 26
■ ტანდემი 27
ბაღდადურის ცეკვით დამტკიცებული სიყვარული
■ ვარსკვლავები 29
■ მადლი 31
მოსკოვი-თბილისი-ასპინძა...
■ გაღიმებული თემიდა 33
■ სიტუაცია 35
■ თქვენთვის, ქალბატონებო! 37
■ ბედის ირონია 38
მატყუარა ქალის ხაფანგში გაბმული ვაჟკაცი, საყვარელი და „თანამედროვე" ქმარი


## სახე




## შორენა ბეგაშვილი თხოვდება?

„პირადი ცხოვრება მხოლოდ ჩემია, მაგრამ პრინციპში, მნიშვნელოვანი მართლა არაფერი ხდება; შორენა არ გათხოვდება, ყოველ შემთხვევაში — ჯერჯერობით".

21



## ცხოვრება

## კურიოზები სასამართლო პრაქტიკიდან



„რა და, ერთი გაქცეული ყაჩაღი სულ შენ გგავდა, შენსავით მელოტი იყო, ალბათ ის შენ იყავი და ახლა შენს „პადელნიკებს" იცავო, — მიპასუხა გაცხარებულმა დაზარალებულმა".

31

## მზე ვნილები

## გავრისკე და გამიმართლა



„ამ დროს მთვრალმა ბიძაჩემმა გალუმპული წიწილები სახლში შემოიყვანა, კედელთან მწკრივში დაალაგა (უკვე ველარც მოძრაობდნენ, საცოდავები), „ფენი" ჩართო, დაუმიზნა და სათითაოდ, რიტმში დააშრო".

83

■ ათეული 39
■ ოსტატი 41
ხატვით განწმენდილი სული და სინათლის პატარა სხივი
■ ავტო 42
■ ეს სამყაროა 44
■ საკითხავი ქალებისათვის 46
■ შემოქმედი 48
ქართულ-აღმოსავლური ფერების ნაზავი ფერეიდნელი ქართველის მზისფერ შემოქმედებაში
■ ადამიანი-ლეგენდა 51
■ ანტიდეპრესანტი 52
■ ტაძარი 52
■ ჯანმრთელობა 54
მარხვის აუცილებლობა სამედიცინო თვალსაზრისით და მარხვის შემდგომი პერიოდი
■ კონკურსი 57
სამგზის „სუპერბებია“ და დებიუტანტი „სუპერბაბუა“
■ ემიგრანტი 59
ბავშვობის ეზოში დალეული ლუდის გემო
■ უშიშროების არქივი 62
გიორგი მაზნიაშვილი — გმირი გენერლის ცხოვრება, ბრძოლა და აღსასრული
■ თინეიჯერული პონტები 64
■ წვეთი პოეზია 67
■ გულახდილი დღიური 68
მე — ფსიქოლოგი (გაგრძელება)
■ დოკუმენტური პროზა 70
შეხვედრები სტალინთან (გაგრძელება)
■ ქართული დეტექტივი 72
გოჩა მანველიძე. ძმები (გაგრძელება)
■ რომანი 76
სვეტა კვარაცხელია. სევდის სურნელი (გაგრძელება)
■ მინირომანი 80
■ რეალური 82
■ გზავნილები 85
■ ყველა ერთისათვის 90
■ მობილი-ზაცია 92
■ მოზაიკა 97
■ ერუდიტი 100
„სად სვანი და სად ერუდიცია?“
■ გასართობი 102
■ ასტროლოგია 104
■ სკანვორდი 105
■ საფირმო კროსვორდი 106



საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
პასუხისმგებელი რედაქტორი: მარი ჯაფარიძე
მენეჯერი: მათე კბილაძე
დიზაინი: ნანა გიგოლაშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა: ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიშვილი
მისამართი: თბილისი, ოსიპოვის ქ. #49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.


## სამყარო



# ზოგი რამ ლამაზი თმის შესახებ

მიუხედავად იმისა, სტრესის ქვეშ იმყოფებით თუ არა, ყოველდღიურად 50-დან 120 ღერამდე თმა გცვივათ. რასაკვირველია, ნერვიულობის, ჰორმონული დარღვევების შემთხვევაში, თმის ცვენა ძლიერდება.

41

## ადამიანი



# რა ინფორმაცია შემოინახა არქივმა გიორგი მაზნიაშვილის შესახებ

ორჯერ გადაურჩა სასტიკ განაჩენს, მაგრამ 1937 წლის სექტემბერში, „ტროიკის“ საბოლოო გადაწყვეტილებით, გენერალი გიორგი მაზნიაშვილი სიცოცხლეს გამოასალმეს...

57

## ბიბლუსი






— თქვენი სახელი?
— იაკობი.
— გვარი?
— ჯუღაშვილი.
— საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ნათესავი ხართ?
— მისი უფროსი ვაჟიშვილი ვარ.
— გერმანულად ლაპარაკობთ?

67

## ტაიმ-აუტი



# ადამიანური რეკორდები

ამერიკელი ლი რედმონდი ხელის თითებზე ფრჩხილს 30 წელი იზრდიდა. დღესდღეობით, მისი მოჭრილი, 84 სმ სიგრძის ფრჩხილები გინესის რეკორდების ოფისში ინახება. ქალმა ფრჩხილები იმიტომ მოიჭრა, რომ მისი შვილიშვილებს ეშინოდათ.

97

# ხარლამოვი – საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე



**შესავლის ნაცვლად** არც კი ვიცი, საიდან დავიწყო...

ჰო, ძველით ახალ წელს გილოცავთ!

ეს — პირველ რიგში სათქმელი იყო, მაგრამ მერე რაღა ვქნა?! ამდენი მნიშვნელოვანი და მრავ-ლისმეტყველი მოვლენით დატვირთული კვირიდან რა გამოვყო პირველ რიგში?..

...გაგიკვირდებათ, მაგრამ განათლების ახალი „რე-ფორმის“, ცესკო-ს თავმჯდომარის არჩევის, მაკქეინის ვიზიტის, გორში მთავრობის სხდომისა და სხვა მნიშვნელოვანი(?!) მოვლენების ფონზე, მე მაინც ერთი პააატარა, პაწაწინა თანამდებობრივი დანიშვნა უნდა გამოვყო მთავარ ამბად — გიორგი ავალიანი დანიშნეს დიასპორისა და უცხოეთში... როგორც არის, მინისტრის მოადგილედ!



გიორგი ავალიანი ვინ არის და, პირველი არხის ჟურნალისტი რომ იყო — ის! დიახ, რომ დახვდნენ და რომ, უკაცრავად პასუხია და, დაქოთეს... და ხურდაც, სხ-ვათა შორის, გემრიელად დაუბრუნა და სულაც არ ვარ პირველი არხის „ბალელში-კი“ და არც ოპოზიციის მო-ძულე, მაგრამ ცოტა მეტი რომ „გადაეყოლებინა“ („ხურ-დას“ ვგულისხმობ), ერთობ მესიამოვნებოდა მაშინ...

არავინ მაქებს და ამიტომ მიწევს ხოლმე თავის ქება, მაგრამ ფაქტი ჯიუტია — ხომ გახსოვთ, წინა „პრო-ვოკაციაში“ ჟურნალისტების „საპენსიო დასაქმებაზე“ რომ გესაუბრებოდით? ა, ბატონო! კვირაც არ გასულა და ჩემი თეორიაც დადასტურდა: ჯერ რა დროს ამის პენსია იყო, ახალგაზრდა კაცია, მაგრამ ერთი-ორი შემოუკლაწუნეს „მშობლიური პარტიისა და პრეზიდენტის“ სიყვარულისთვის და აი, ჯილდოც — „დარმავოი“ ადგილი, თბილი, რბილი და ტკბილი...

ბატონო პრეზიდენტო! და პატივცემულო მაგ პრეზ-იდენტის მსტოვარ-მომხსენებლებო! იცით თუ არა, რომ მამაჩემთან პერმანენტული კამათი მაქვს პოლიტიკაზე და ეს ხშირად იმით მთავრდება, რომ რამდენიმე დღე ხმას არ მცემს ხოლმე?! და იცით, რატომ?! იმიტომ, რომ ხელისუფლების პოზიციას ვიცავ ხშირად! დიახ, მე!!! და იცით, ამას რა მოჰყვა ახლახან? რა და — ჩამოიტანა გურიიდან ოცი ლიტრი ადესა და სულ ჩემს ძმას გაუგზავნა! ერთხელ კიდევ, ჩემს ძმაკაცს დავენა-ძლევე — მიშამ რვა ენა იცის-მეთქი, ის ამბობდა — ხუთიო...

ჰოდა, ისა... სადმე, საბაჟოზე... პატარა „იმის რაღა-ცის უფროსის“ ადგილი ხომ არ „გიგდიათ“?.. ჯერ არა? დაგელოდოთ? კაი, აქვე ვიქნები...

ახლა, რაც შეეხება სხვა, „ნაკლებმნიშვნელოვან“ ამ-ბებს: საქართველოში განათლების ახალი რეფორმა იწ-ყება! ხოლო წინა რეფორმის ავტორებიც და შემსრულე-ბლებიც პრეზიდენტმა „უმეცრებად“ გამოაცხადა! უნარ-ჩვევებიო?! ორი-სამი გამოცდით უნივერსიტეტში „შეძრო-მაო“?! ლოტოტრონით დირექტორების არჩევაო?! ეს რა გაიგონა ჩემმა ყურებმაო?! ისე იბობოქრა ჩვენმა მიშ-იკომ, რომ მგონი, ნიუ-იორკში მყოფი, წინა რეფორმის „მამა“ — ლომაია ბარგის ჩალაგებას შეუდგა... მოკ-ლედ, ახალი სასწავლო წლიდან მთავარი სასკოლო საგნები იქნება სპორტულ-სამხედრო მომზადება და „კულტუროლოგია“ (ასე თქვა — კულტუროლოგიაო!) და არა ყბადაღებული უნარ-ჩვევები! და მივიღებთ კულ-ტურულ, სპორტულ, „უუნა-რო“ და „უჩვევო“ (თუ „უჩვეუ-ლო“) სტუდენტებს! ჰო, კიდევ, ვინც გაკვეთილებს გააცდენს, მამამისს დაიჭერენ — ეს ალბათ, შაშკინის ინიციატი-ვაა.

სავარაუდოა, რომ როდე-საც თქვენ ამ „პროვოკაციას“ კითხულობთ, ქართულ ცეს-კო-ს (რა ვქნა, ამ ტერმინის ხსენებაზე, სულ ჰოკეისტი ხარლამოვი მახსენდება, „ცე-ეს-კა“-ში თამაშობდა, მაგარი იყო — თარხნიშვილივით!) უკვე ახალი უფროსი ჰყავდეს, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ მაინც მოტყუვდა, საკუთარ თავზე დიდი წარ-მოდგენის მქონე ზოგიერთი „პოლიტიკოსი“ და ისევ „სამ-ში ერთის“ არჩევა მოუწევს (პრეზიდენტის წარდგენილ სამ კანდიდატს ვგულისხმობ)...

**P.S.** სენატორ მაკქეინს საქართველოს ეროვნული გმირის წოდება მიენიჭა! მიენიჭა რა, პრეზიდენტმა მიანიჭა, ალალი იყოს! ფიშტო აჩუქა — ალალი იყოს! კიდევ რაღაცები უთხრა — ალალი იყოს! როგორ არის უძველეს ქართულ მითში?.. ბოლოს რომ ამბობს ამირანის ერთ-ერთი მომაკვდავი ძმა: „ვინც დამმარხოს, მომიაროს — ჩემი ცოლიც ალალ მისი!“ ჰოდა, მაკქეინი მაგარი ჯიგარია, მაგის მეტი პატრონი და დამმარხველი, მგონი, მართლა არ გვყავს, მაგრამ მაინც... ზომიერება, ბატონებო, ზომიერება...

*პროვოკატორი*

# ბერლუსკონი ამღერდა



იტალიის პრემიერ-მინისტრი სილვიო ბერლუსკონი სასიყვარულო სიმღერების კრებულს ამზადებს. როგორც იტალიური სააგენტოები იტყობინებიან, პრემიერმა თორმეტიდან რვა სიმღერა უკვე მოამზადა. ეს ალბომი არაორდინარული პრემიერის პირველი „შედევრი“ არ იქნება — მან 2003 წელს გაავრცელა კრებული, სადაც ერთ-ერთი სიმღერა არც მეტი, არც — ნაკლები, ვლადიმირ პუტინს ეძღვნებოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ სიყვარულზე სიმღერების წერის მუზა გამოჯანმრთელების შემდეგ ეწვია. მოგეხსენებათ, ერთი თვის წინ მას მილანში, „ფსიქიკურად გაუწონასწორებელი“ ახალგაზრდა დაესხა თავს და სტატუით ცხვირ-პირი დააუმტვრია. ■

# ეგვიპტეში ახალი სამარხები აღმოაჩინეს



ეგვიპტელმა არქეოლოგებმა იმ მუშების სამარხები აღმოაჩინეს, რომლებიც 4 ათასი წლის წინ ადრეული პერიოდის ეგვიპტურ პირამიდებს, მათ შორის, ხეოფსის ბრწყინვალე პირამიდას აშენებდნენ. ეგვიპტის ძეგლთა დაცვის უწყების ხელმძღვანელის — ზახი ხავასის თქმით, ახალმა აღმოჩენამ დაადასტურა ბოლო დროს გავრცელებული ვერსია, რომ პირამიდებს მონები კი არა, თავისუფალი ადამიანები აშენებდნენ. ■

# ბარაკ ობამა მოდური ლიდერი გახდა




თეთრი სახლისთვის მოულოდნელად, აშშ-ის პრეზიდენტის, ბარაკ ობამას პორტრეტი ნიუ-იორკში, ტაიმს-სკვერის მოედანზე გამოფინეს.

ტანსაცმლის მწარმოებელმა კომპანია Weatherproof -მა ყველაზე პოპულარულ ადგილას განათავსა რეკლამა, წარწერით — „მოდური ლიდერი“. როგორც გაირკვა, კომპანიამ ამგვარი ნაბიჯი პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან შეუთანხმებლად გადადგა, რის გამოც თეთრ სახლში უკმაყოფილება გამოთქვეს და მისი მოხსნა მოითხოვეს, მაგრამ კომპანია Weatherproof-ის ხელმძღვანელობა ამტკიცებს, რომ პრეზიდენტის ფოტოები სხვა მრავალ ადგილზეცაა გამოკრული და ბილბორდის მოხსნაზე უარს აცხადებს. ■

# საფრანგეთში მეუღლეებს შორის კინკლაობა აიკრძალება(?!)

ფრანგი პარლამენტარები ახალ კანონპროექტს ამზადებენ, რომელიც მეუღლეებს ურთიერთშეურაცხმყოფელი და უხეში კომენტარების გაკეთებას აუკრძალავს. აკრძალული იქნება გარეგნობასთან დაკავშირებული დამცინავი შეფასებები და მუქარაც — ფიზიკური ძალადობის შესახებ. კანონპროექტში პირდაპირაა მითითებული ის ფრაზები, რომელთა გამოყენების შემთხვევაში, ადამიანები კანონით დაისჯებიან. ეს ფრაზებია: — „შე ძროხა“, „ფორთოხალივით ყვითელი ფერის ხარ“, „ყავას თუ არ მომიტან, მოგხვდება“ და ა.შ. კანონპროექტს საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი, ფრანსუა ფიიონი ლობირებს. მისი აზრით, მსგავსი ტიპის შეურაცხყოფა ფსიქოლოგიური ძალადობაა. „ასეთ ქმედებებზე ბრალდების წაყენების უფლება შესაძლებლობას მოგვცემს, რეაგირება მოვახდინოთ მაშინაც კი, როდესაც ძალადობა ადამიანის სხეულზე კვალს არ ტოვებს, მაგრამ მსხვერპლს სულიერად სპობს“, — აცხადებს პრემიერი. ■

# მუტანტები მომრავლდნენ



როგორც თურქული სააგენტო Ihlass იტყობინება, ,,„თურქეთში, იზმირის რაიონში უცნაური არსება გაჩნდა — საკეისრო კვეთით დაბადებულ ბატკანს ადამიანის სახის ნაკვთები აქვს“. ამ ფენომენის შესასწავლად შექმნილია საგანგებო ბრიგადა, რომელიც მკვდრადშობილი პირუტყვის მუტაციის მიზეზებს შეისწავლის.

სექტემბერში ჩინეთში აღმოაჩინეს გველი, რომელსაც სხეულის ცენტრალურ ნაწილში ბაყაყისმაგვარი ერთი წინა კიდური ჰქონდა, ხოლო რამდენიმე თვის წინ სმოლენსკის რაიონში დაიბადა ორთავიანი ბოჩოლა, რომელსაც კურდღლის თათები და არანორმალურად გრძელი კუდი ჰქონდა. ■

რუბრიკა მოამზადა ხათუნა ბახტურიძემ

# კავკასიური ერთობა — საფრთხე თუ შანსი?

## „რუსეთის ჯარები ჩრდილოეთ კავკასიაში ფართომასშტაბიანი სპეცოპერაციისთვის ემზადებიან"

*ხათუნა ბახტურიძე*



*დამოუკიდებლობისკენ სწრაფვით შეპყრობილი კავკასიელი ერები საქართველოსგან რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში მხარდაჭერას ითხოვენ. რუსეთში ჩეჩნეთის რესპუბლიკის ყოფილმა გენერალურმა წარმომადგენელმა, სორბონის უნივერსიტეტის დოქტორმა, მაირბეკ ვაჩაგაევმა ჩრდილოეთ კავკასიისთვის დასაყრდენ ცენტრად თბილისის გადაქცევის ინიციატივა წამოაყენა, მაგრამ ამ ინიციატივას ჩვენი ხელისუფლების მხრიდან გამოხმაურება არ მოჰყოლია. მოგვიანებით, „იმრატ კავკაზის" საინფორმაციო-ანალიტიკური სამსახურის დირექტორმა, მოვლადი უდუგოვმა ერთ-ერთი ქართული საინფორმაციო სააგენტოს ჟურნალისტს უთხრა: თბილისი რუსეთის ზეწოლას ვერ უძლებს და იმის მაგივრად, რომ რეალურად დაეხმაროს მტრის მტერს, ბლოკავს მოჯაჰედების ნებისმიერ მცდელობას — გამოიყენონ „ქართული ზურგი", — მიუხედავად იმისა, რომ რუსეთმა აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი თავხედურად მიისაკუთრაო. მსგავსი განცხადებების გავრცელება, ბოევიკებად წოდებულმა კავკასიელმა მებრძოლებმა მას შემდეგ დაიწყეს, რაც რუსეთის პრეზიდენტმა, დმიტრი მედვედევმა კატეგორიულად განაცხადა — კავკასიაში მყოფი ბოევიკების დაუნდობელი და მეთოდური განადგურება შეუქცევადი უნდა გახდესო. რა მეთოდებით აპირებს მოსკოვი კავკასიელი მებრძოლების განადგურებას და რატომ იკავებს თავს ჩვენი ქვეყანა საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში ბოევიკებთან თანამშრომლობისგან? — ამ საკითხებზე ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში, **ირაკლი სესიაშვილი** და ექსპერტი კავკასიურ საკითხებში **მამუკა არეშიძე** გვესაუბრებიან.*

**— ბატონო მამუკა, რით არის განპირობებული „ჩრდილოკავკასიური მოძრაობების" ბოლოდროინდელი გააქტიურება?**

— ის, რაც ახლა ჩრდილოეთ კავკასიაში ხდება, რუსეთის მცდარი და დანაშაულებრივი პოლიტიკის შედეგია. რუსეთი რეგიონებს მის მიერვე გაძლიერებული კლანების საშუალებით მართავს. ძალასა და კორუფციაზე დამყარებული მმართველობა კი საზოგადოებაში ლოგიკურად იწვევს წინააღმდეგობის გაძლიერებას. უბედურება ის არის, რომ მოსკოვი ცდილობს, ზუსტად ასეთივე პოლიტიკა აწარმოოს სამხრეთ კავკასიაშიც — ე.წ სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთშიც.

**— რატომ არ ცდილობს თბილისი, რომ კავკასიაში დღეს არსებული ვითარება მოსკოვის წინააღმდეგ გამოიყენოს?**

— კავკასიური ერთობა ძალზე მნიშვნელოვანია. სად იყვნენ რუსები, როდესაც ბიზანტიელები, თურქები, ირანელები კავკასიელ ხალხს ერთმანეთთან გვაპირისპირებდნენ და ამგვარად გვებრძოდნენ?! ამ ისტორიული გაკვეთილებიდან გამომდინარე, ერთი მარტივი დასკვნის გამოტანა შეიძლება: რადგან საერთო მტრები ერთმანეთთან ჩვენს დაპირისპირებას ასე ცდილობდნენ, ე.ი. ერთად დიდ ძალას წარმოვადგენთ. თუმცა დღევანდელი რეალობა ცოტა სხვაგვარია.. ჯერ ერთი, თბილისის ნებისმიერი მცდელობა — გახდეს ჩრდილოეთ კავკასიის დასაყრდენი — მოსკოვის კონტრზომებს გამოიწვევს. გარდა ამისა, საქართველოში, სამწუხაროდ, არ არსებობს ისეთი დონის პოლიტიკური ჯგუფი ან სპეცსამსახური, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე მოვლენებს კარგად იცნობს; ჩვენს ქვეყანაში ამ საკითხებთან დაკავშირებით მხოლოდ ზოგადი წარმოდგენა აქვთ, ექსპერტებიც ზოგად დასკვნებს აკეთებენ. აქედან გამომდინარე, ამ თემით მანიპულირება ჩვენთვის ძალიან სახიფათოა.

**— უმთავრესად, რა საფრთხეებს გულისხმობთ?**

— საქმე ის გახლავთ, რომ რუსეთის ფედერალური ჯარებისა და ადგილობრივი ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლთა 90% — ისლამისტია და მათი მიზანი მხოლოდ თავისუფლება კი არა, მთელი ჩრდილოეთ კავკასიის მასშტაბით ისლამური სახელმწიფოს შექმნაა. ნაციონალისტები ანუ დუდაევის გზის გამგრძელებლები, რომლებიც მხოლოდ თავისუფლებისთვის იბრძვიან, მხოლოდ 5 თუ 6%-ს წარმოადგენენ.

**ირაკლი სესიაშვილი:**

— მივესალმები კავკასიელების აზრს იმის შესახებ, რომ თბილისი შესაძლოა, ჩრდილოეთ კავკასიისთვის დასაყრდენად და ცენტრად მოიაზრებოდეს. ეს ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკურად სტრატეგიულ მნიშვნელობას კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს. რუსეთის განსაკუთრებული სურვილი — საქარ-

თველოში სამხედრო ბაზები ჰქონდეს და კონფლიქტურ რეგიონებში კონტროლი შეინარჩუნოს — ნაწილობრივ უკავშირდება კიდეც შიშს, რომ საქართველოს წყალობით, ჩრდილოკავკასიურ მოძრაობებს ზურგი არ გამოუჩნდება. ეს სერიოზული ფაქტორია და ამით გარკვეულწილად, რუსებთან ვაჭრობაც კი შეიძლება. ამავე დროს, დიდი სიფრთხილე გვმართებს. ჩვენი ქვეყანა ცდილობს, დემოკრატიული სამყაროს ნაწილი იყოს, ამიტომაც თავს იკავებს საერთო მტრის წინააღმდეგ კავკასიელ მებრძოლებთან (მათ ბოევიკებს არ დავარქმევდი) თანამშრომლობისგან. რუსეთმა საქართველოს ეს გადაწყვეტილება შესაბამისად უნდა დააფასოს. წინააღმდეგ შემთხვევაში — ანუ თუკი საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია გაგრძელდა, — არ არის გამორიცხული, რომ საერთო მტერთან ერთიანი მოქმედების სცენარების განხილვაც დადგეს დღის წესრიგში. პირადად მე წინააღმდეგი ვარ ბრძოლის იმ ფორმებისა, რომელსაც ბოევიკები რუსების წინააღმდეგ იყენებენ. მართალია, სწორედ მოსკოვი აფინანსებდა სეპარატისტებს აფხაზეთსა და ცხინვალში, მაგრამ ჩვენც ასე ხომ არ მოვიქცევით?! ასეთ შემთხვევაში შესაძლოა, საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევაშიც და ტერორიზმის მხარდაჭერაშიც დაგვადანაშაულონ. ამიტომ ჯერჯერობით აჯობებს, თავისუფლებისთვის მებრძოლ კავკასიელებს მხოლოდ ჟურნალისტების მიერ გაკეთებული განცხადებებითა და კონფერენციების ჩატარებით დავუჭიროთ მხარი.

**— მედვედევის განცხადება — კავკასიელი ბოევიკების განადგურების შესახებ რისი მიმანიშნებელი უნდა იყოს?**

— ეს განცხადება იმის მიმანიშნებელია, რომ რუსეთის ფედერალური ჯარები ჩრდილოეთ კავკასიაში ფართომასშტაბიანი სპეცოპერაციისთვის ემზადებიან. რუსეთის ხელისუფლება ძალზე შეაშფოთა იმ ფაქტმა, რომ



კავკასიელი მებრძოლების ნაწილმა გაერთიანება და საკუთარი ძალების კოორდინირება მოახერხა.

**— თქვენი აზრით, ამ სპეცოპერაციის შედეგად, რუსეთი ჩრდილოეთ კავკასიაში კონტროლის გაძლიერებას შეძლებს?**

— არა მგონია, რუსეთის ფედერალურმა ჯარებმა ამ ეტაპზე სერიოზული კონტროლის დამყარება შეძლონ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მედვედევისა და პუტინის მიერ კონტროლირებადი ტელევიზიები ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ რუსი ხალხი საკუთარ წარმატებაში დაარწმუნონ. ჩრდილოეთ კავკასიაში სიტუაცია მანამდე არ დალაგდება, სანამ რუსეთი ძალადობრივ პოლიტიკას არ შეცვლის.

**— როგორ ფიქრობთ — კავკასიელთა ინიციატივას, თავი დაიხსნან რუსული იმპერიალიზმისგან, აფხაზები და ოსები რატომ არ იზიარებენ?**

**მამუკა არეშიძე:**

— არც ყაბარდოელები იკლავენ თავს რუსეთთან ბრძოლით... საქმე ის გახლავთ, რომ მათ რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის ტრადიცია არა აქვთ. ამას ისევ ისინი სჩადიან, ვინც XVIII საუკუნეში იბრძოდნენ: დაღესტნელები, ჩეჩნები და ინგუშები. ზოგიერთ კავკასიურ რესპუბლიკაში რუსეთმა ისეთი ხელისუფლების შექმნა მოახერხა, რომელიც ნებისმიერ წინააღმდეგობას ჩანასახშივე თრგუნავდა, მაგრამ ეს ვერ შეძლო ჩეჩნეთში: როდესაც იქ წინააღმდეგობის მოძრაობა დაიწყო, ხალხს სახელმწიფო მეთაური — დუდაევი ჩაუდგა სათავეში.

**— რამდენად შესაძლებლად მიგაჩნიათ, აფხაზი საზოგადოების ერთი ნაწილის მიერ რუსეთის ხელისუფლების მიმართ ბოლო დროს გაკეთებული კრიტიკული განცხადებები უფრო აქტიურ მოძრაობაში გადაიზარდოს?**

— აფხაზეთში რუსეთის მიმართ გარკვეული კრიტიკული განცხადებები ნამდვილად კეთდება, მაგრამ ადგილობრივი ოპოზიცია და ხელისუფლება ჯერჯერობით თავიდან ბოლომდე, მოსკოვზეა დამოკიდებული. როგორც ჩანს, აფხაზებმა გააცნობიერეს ის საფრთხეები, რომლებიც მათ წინაშე დგას. თუ დღეს არსებული სიტუაცია არ შეიცვალა, გარწმუნებთ — 12 ან 15 წელიწადში ისე ცოტანი დარჩებიან, რომ „სამუზეუმო ექსპონატებად" გადაიქცევიან. დღეს რუსეთი აფხაზეთში ისე იქცევა, როგორც დამპყრობელი დაპყრობილ ქვეყანაში. მართალია, ხალხს არ ხოცავენ, მაგრამ სხვა მხრივ, ყველანაირად ავიწროებენ. სულ რამდენიმე წელიწადში ალბათ, საკუთარი პრეზიდენტის არჩევის უფლებასაც არ მისცემენ.



**— ამერიკელი სენატორების მიერ გაკეთებული განცხადება იმის შესახებ, რომ საქართველოს შეიარაღება კავკასიაში სტაბილურობას უზრუნველყოფს და მაკქეინის ვიზიტი რამდენად გვაძლევს საფუძველს, ვიფიქროთ, რომ შესაძლოა, ჩვენი ქვეყანა კავკასიაში ერთ-ერთი მთავარი მოთამაშე გახდეს და ჩრდილოკავკასიელი მებრძოლების გაკონტროლებაც შეძლოს?**

— ვერ ვიტყვი, რომ საქართველოს შეიარაღება შეიძლება, კავკასიაში მშვიდობის გარანტად იქცეს. პირიქით, ამ მიმართულებით ჩვენი გაძლიერება რუსეთის აგრესიულ ქმედებას იწვევს. არც მაკქეინის ჩამოსვლას ვუყურებ დიდი იმედით. მართალია, მისი პარტიის წარმომადგენელი — ბაიდენი ვიცე-პრეზიდენტია, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკის ხელისუფლების პოზიცია ბოლო დროს საქართველოს მიმართ ბევრად უფრო მოზომილია, ვიდრე ეს ბუშის დროს იყო. თუ ნატოს ახალ კონცეფციასაც გავითვალისწინებთ, სადაც ცენტრალური ადგილი უჭირავს ავღანეთის პრობლემას და არა კავკასიას, უნდა ვივარაუდოთ, რომ ვაშინგტონისგან რეალური მხარდაჭერის იმედი აღარ უნდა გვქონდეს.

**ირაკლი სესიაშვილი:**

— ვაშინგტონი საქართველოს შეიარაღებაზე აქცენტს იმისთვის აკეთებს, რათა კავკასიაში დღეს არსებული ძალთა ბალანსი მაინც არ დაირღვეს. ამ ეტაპზე საქართველოს, კავკასიის მთავარ მოთამაშედ მიჩნევა ნაადრევია. უნდა ვაღიაროთ, რომ ის გავლენა და პოზიციაც კი დავკარგეთ, რომელიც აგვისტოს ომამდე გვქონდა. მაკქეინის საქართველოში ვიზიტს დადებით ფაქტად მივიჩნევ. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ჩვენს ქვეყანაში ასეთი მეგაპოლიტიკოსი ჩამოდის. მის მიერ გაკეთებული განცხადებებიც იმედს მაძლევს. სხვა თუ არაფერი, პასუხისმგებლობას მაინც იღებს სააკაშვილის ხელისუფლებაზე... გაირკვა ისიც, რომ საქართველოში არსებული დემოკრატიის დაბალი ხარისხი შეერთებულ შტატებს სერიოზულად აწუხებს, მაგრამ ამ ვითარებაშიც კი არ უნდა, ჩვენი ქვეყნის, როგორც პარტნიორის დაკარგვა და ცდილობს, დემოკრატიის განვითარებას შეუწყოს ხელი... ■

# ტაქსის მძღოლის სადღესასწაულო დღეები

## ანუ გარყვნილი გოგოებით განრისხებული, ორი კანფეტით „გაჩუმებული“ და ჩვილებზე „გადარეული“

**როგორც წესი, ტაქსის მძღოლები ახალ წელს შინ არ ხვდებიან, რადგან ეს ისეთი ღამეა, როცა ყველა სადღაც მიდის და ამ ღამეს მძღოლებს საკმაოზე მეტი ფულის შოვნის შანსი აქვთ. ალბათ ყველა დამეთანხმება — ახალი წელი რომც არ იყოს, ტაქსიში ჩამჯდარი არ ხარ, რომ მძღოლი თავისი თავგადასავლის მოყოლას იწყებს. პირადად მე, უბრალო მძღოლი არ შემხვედრია — ყველა მათგანი იმას ჩივის, რომ ან პროფესორია, ან უმაღლესი განათლება აქვს მიღებული და ერთ დროს დიდ თანამდებობაზე მუშაობდა, ახლა კი საჭეს უზის და ხალხს ემსახურება. ყველა მათგანის მონოლოგი ასე იწყება: ამ ცხოვრებას რა ვუთხარი, თორემ მძღოლობა ჩემი საქმე არ არისო.**



ნათია ჟივიძე

*ახალი წლის პირველ დღეებში ტაქსიში ჩაჯდომა უფრო სახალისოა, რადგან მძღოლებსაც კი საზეიმო განწყობილება აქვთ, გილოცავენ ახალ წელს და მერე თავს გადახდენილ კურიოზებს გიყვებიან. რომელი მძღოლის გამოც ამ რეპორტაჟის დაწერა გადავწყვიტე, ის კურიოზულ განწყობილებაზე სულაც არ იყო. როგორც კი მანქანაში ჩავჯექი, ჩხუბი დაიწყო, — ახლანდელი გოგონები სულ გადაირივნენ! კიდევ კარგი, ორი ბიჭის მამა ვარ და არც ერთი გოგონა არ მეზრდება, თორემ ჩემი ხელით დავახრჩობდიო!.. მისი აღშფოთების მიზეზით რომ დავინტერესდი, ასეთი რამ მიამბო:*

— ერთი საათის წინ ორმა ახალგაზრდა გოგონამ გამაჩერა. შესახედავად არაჩვეულებრივი გოგონები იყვნენ, არც გამომწვევად ეცვათ. ძალიან ზრდილობიანად მკითხეს, — ვაკეში, აბაშიძის ქუჩაზე თუ წაგვიყვანო? რასაკვირველია, დავთანხმდი. ერთი გოგონა გვერდით მომიჯდა, მეორე კი უკან მოკალათდა. მთელი გზა ახალი წლის ღამეზე ლაპარაკობდნენ. როგორც მათი საუბრიდან გავიგე, რომელიღაც მეგობართან შეხვდნენ ახალ წელს და რაღაცებს იმ საღამოდან იხსენებდნენ, თან სიცილით იჭაჭებოდნენ. ამასობაში დანიშნულების ადგილამდე მივედით. რომელ კორპუსთანაც მითხრეს, იქ გავაჩერე მანქანა და დაველოდე, როდის გადავიდოდნენ და ფულს როდის გადამიხდიდნენ. მანქანიდან გადასვლის ნაცვლად კი წინ მჯდომი გოგონა მხარზე მომეკრა და ძალიან ინტიმური ხმით ყურში მითხრა: ფული არ გვაქვს და სხვა რამით რომ გადაგიხადოთ, არ შეიძლებაო? — თან სახეზე მომეფერა; უკან მჯდომი გოგონა კი ჩემს თმაში დააცურებდა ხელებს... კინაღამ გავგიჟდი. არ ვიცი, სხვა ჩემს ადგილას როგორ მოიქცეოდა, მე კი ძალიან გავბრაზდი. მანქანიდან გადავედი, კარი გავუღე და, — ახლავე გადაეთრიეთ ჩემი მანქანიდან-მეთქი! — ვუღრიალე. ორივემ მაგრად დამცინა. შენ ალბათ რაღაც პრობლემა გაქვს, კაცი არ იქნები, თორემ ჩვენისთანა გოგოებს უარს როგორ ეტყოდიო?! — მითხრა ერთ-ერთმა. მივუბრუნდი და სახეში გავარტყი. საერთოდ, ქალის პატივისცემის მომხრე ვარ და მძულს ის კაცი, ვინც ქალზე ხელს ასწევს. ყოველ შემთხვევაში, აქამდე ასე ვფიქრობდი. მაგრამ იმ გოგონებმა თვითონ დამაკარგვინეს მათი პატივისცემა. კაცი როგორ არა ვარ, მაგრამ ჩემს კაცობას ქუჩა-ქუჩა არ ვამტკიცებ. თანაც, ცოლი მყავს, რომელიც მართლა მიყვარს. ასეც რომ არ იყოს, ქალს, რომელიც საკუთარ თავს ასე ბინძურად მთავაზობს, ახლოს როგორ გავეკარები?! მეძავსაც კი თავისებური კდემამოსილება უნდა ჰქონდეს...

*ასე დაასრულა მონოლოგი მძღოლმა, რომელიც ისეთი აღშფოთებული საუბრობდა, სიცილი ძლივს შევიკავე, მაგრამ შემეშინდა, მეც არ გადამაგდოს მანქანიდან-მეთქი. დანიშნულების ადგილას რომ მიმიყვანა, მერე შევეკითხე, მესამე შვილზე აღარ იფიქრებთ-მეთქი? — არა, რას ამბობ, გოგო რომ გამიჩნდეს, მერე რა ვქნაო?!. — მიპასუხა.*

*იმავე დღეს, კიდევ ერთხელ მომიხდა ტაქსით მგზავრობა. მეორე მძღოლიც ენაწყლიანი აღმოჩნდა, თუმცა ის პირველისგან განსხვავებით, საუცხოო ხასიათზე იყო:*

— იმიტომ მიყვარს დღესასწაულები, რომ ბევრ ფულს ვშოულობ. მარტო ახალი წლის ღამეს, საწვავის ფულის გარდა, 230 ლარი ვიშოვე. ერთ ღამეში ამდენი თანხა ცოტაა?! ამ დღეებში შინ მხოლოდ საჭმელად შევდიოდი. მართალია, 12 საათს ოჯახთან ერთად შევხვდი, მაგრამ პირველის 5 წუთზე უკვე მანქანაში ჩავჯექი და სამუშაოდ გამოვედი. რა ვქნა, ახალგაზრდა კი ვარ, მაგრამ სამსახური ვერ ვიშოვე. განათლებით ეკონომისტი ვარ და დაცვის წევრობაზეც თანახმა ვარ, მაგრამ ნაცნობი თუ არ გყავს, დამლაგებლადაც ვერ დაიწყებ მუშაობას. ახალშერთული ცოლი მყავს, რომელიც ორსულად არის. ხომ წარმოგიდგენია, რამდენი ფული დაგვჭირდება ოჯახში. ამიტომ სულ ვმუშაობ.

**— კლიენტებთან რაიმე კურიოზი ხომ არ გადაგხდენიათ?**

— რა ვიცი, რამდენიც გინდათ, მაგრამ ახლა ვერ ვიხსენებ. ხშირია შემთხვევა, კლიენტებს სადმე რომ მივიყვან და მეუბნებიან, — ფული არა გვაქვს, დიდი მადლობა, რომ მოგვიყვანეო. ახალი წლის ღამესაც, სვანი ბიჭები ჩამისხდნენ. ჯერ ვარკეთილში წაგვიყვანეო, მითხრეს. იქ რომ მივედით, ერთ-ერთი მეგობართან ავიდა, დანარჩენები მანქანაში ელოდებოდნენ. ის ჩამოვიდა და ახლა, ისანში წაგვიყვანეო. ისანშიც წავაბრძანე. იქაც ცოტა ხანს მალოდინეს და, — თავისუფლების მოედანზე წაგვიყვანე, კონცერტს უნდა დავ-

## მომინდა, სათითაოდ მეცემა სამივე, მაგრამ სამ სვანთან ეს ერთი კახელი რას გავხდებოდი?..

ესწროთო, — მითხრეს. იქაც რომ მივიყვანე, — მრავალ ახალ წელს დაესწარიო! — მომილოცეს, ორი კანფეტი დამიგდეს სავარძელზე და გადავიდნენ. გადავირიე, ფული არ უნდა გადამიხადოთ-მეთქი?! — რა ვქნათ, ძმაო, რაც არა გვაქვს, რა გადაგიხადოთო?! — მითხრეს. ისე მომინდა, სათითაოდ მეცემა სამივე, მაგრამ სამ სვანთან ეს ერთი კახელი რას გავხდებოდი?.. ერთი კლიენტი კიდევ, ისეთი მთვრალი იყო, ვერ აზროვნებდა. თავისუფლების მოედანზე ჩავისვი და მითხრა, ვაზისუბანში წამიყვანეო. რასაკვირველია, გზაში ჩაეძინა. ვაზისუბანში რომ მივიყვანე, გავაღვიძე და ვკითხე, — რომელ კორპუსთან გინდა-მეთქი? — ხაშურიაო? — შემეკითხა. კინაღამ გავგიჟდი. რომ გამოერკვა, მითხრა, — არა, შემეშალა, ვაზისუბანში რა მინდა, არც კი ვიცი; ნუცუბიძის მეოთხე პლატოზე ამიყვანეო. — ფული გაქვს-მეთქი? — შევეკითხე. — როგორ არა მაქვსო?! — და ჯიბიდან 10-ლარიანი ამოიღო. დაიმედებულმა გზა განვაგრძე და ახლა პლატოზე ავიყვანე. ერთ-ერთ მოსახვევში მითხრა, — აქ გააჩერე და დანარჩენ მანძილს ფეხით გავივლი, ეს 10 ლარი მეტს არ ეყოფაო. — 10 ლარი არც ამხელა გზაზე წინ და უკან სიარულს ეყოფა-მეთქი, — ვუთხარი. — რა გიყო, ძმაო, მეტი არა მაქვსო, —




ამოილუღლუღა, ფული დამიგდო და მანქანიდან გადავიდა. უფრო სწორად, შეეცადა, გადასულიყო, მაგრამ ვერ მოახერხა. სხვა რა გზა მქონდა — გადავედი და მე „გადავიტანე“. იქვე ბორდიურზე ჩამოჯდა, მიწვა და თვალები დახუჭა. არ მიდიხარ სახლში-მეთქი? — ვკითხე. — ახლა ფეხით სიარულის თავი არა მაქვს, ცოტას დავისვენებ და მერე წავალ, მეოთხე პლატო შორს არისო, — მიპასუხა. რაღას ვიზამდი? ისევ ავაყენე და მანქანაში „ჩავდე“: რადგან აქამდე მოგიყვანე, სახლამდეც აგიყვან, არ მინდა შენი ფული-მეთქი, — ვუთხარი. მხოლოდ კორპუსამდე კი არ მივიყვანე, მეშვიდე სართულამდე ხელით ავიყვანე და კარზე მივაყუდე. მერე ზარიც დავრეკე და პატრონს ჩავაბარე. აბა, ახალი წლის ღამეს, ქუჩაში ხომ არ დავტოვებდი იმ „ლოთს“!.. მოკლედ, ვისაც ჰგონია, რომ ტაქსის მძღოლობა ადვილი საქმეა, ძალიან შემცდარა.

*შემდეგ ტაქსიში რომ ჩავჯექი, მძღოლს პირდაპირ შევეკითხე, — კლიენტები ფულს თქვენც არ გიხდიან-მეთქი?.. გაეცინა და მიპასუხა, — ასეთი შემთხვევა თითქმის არასოდეს მომხდარა, რატომ მეკითხებიო? წინა მძღოლის მონაყოლი რომ ვუამბე, სიცილი დაიწყო:*

— მე ასეთი არა ვარ; ახალი წლის ღამეს ერთმა ახალგაზრდა მამაკაცმა გამაჩერა და მთხოვა, — ფული არა მაქვს და ბახტრიონზე ისე ხომ ვერ წამიყვანო? უარი ვუთხარი. ოდნავ წინ წავწიე მანქანა და ორ ბიჭს გავუჩერე. შემეკითხნენ, — ის კაცი რატომ არ წაიყვანე, ჩვენკენ რატომ წამოხვედიო? მიზეზი რომ ვუთხარი, მითხრეს, — მიაბრუნე მანქანა და ისიც ჩაისვიო. ასეც მოვიქეცი. იმ კაცს ძალიან გაუკვირდა, მანქანაში ჩაჯდომა რომ შევთავაზეთ. როცა ბიჭებმა უთხრეს, — შენს ფულსაც ჩვენ გადავიხდითო, თვალები გაუბრწყინდა. მივედით ბახტრიონზე და თავი მოიკლა, — ჩემთან ამოდით, მაგრად უნდა გაქეიფოთ; მძღოლიც წამოვიდესო. ძლივს დავიყოლიეთ, სახლში მარტო ასულიყო. ტაქსის ფული არ ჰქონდა და მაგრად რით გვაქეიფებდა, ძალიან მაინტერესებს... სიმართლე რომ გითხრათ, ის ბიჭები ასე ჰუმანურად რომ მოიქცნენ, შემრცხვა ჩემი საქციელის, მაგრამ რა ვქნა, სამუშაოდ ვარ გამოსული; ღამეებს იმიტომ ვათენებ, რომ ორი „კაპიკი“ გამოვიმუშაო და თუ უფულოდ ვატარებ ხალხს, შინ რაღა მივიტანო?!.

*ჩემი მომდევნო რესპონდენტი კი ბავშვებზე გაგიჟებული მამაკაცი აღმოჩნდა. ჩემი ერთი წლის შვილი რომ დაინახა, ჯერ ის აიყვანა ხელში, მოეფერა, კანფეტითაც დაასაჩუქრა და მერე მითხრა, ვგიჟდები ბავშვებზე, ორ თვეში მეც შემეძინება შვილიშვილი და ერთი სული მაქვს, ეს დღე როდის დადგებაო.*

— ახალი წლის ღამეს, ჯერ 10 საათიც არ იყო, საბურთალოს ქუჩაზე ერთმა ბავშვიანმა ახალგაზრდა ქალბატონმა რომ გამაჩერა. ძალიან ლამაზი გოგონა ეჭირა ხელში, რომელიც დაახლოებით ერთი წლის იქნებოდა. ჩასხდნენ მანქანაში და შევეკითხე, საით წავიდე-მეთქი? — სადაც გინდაო, — მიპასუხა. გაოცებულმა შევხედე და მერე ამიხსნა, — ბავშვმა უნდა დაიძინოს, თქვენ ოღონდ შეუჩერებლად იარეთ და სადაც გინდათ, იქ წადითო: თურმე ის ბავშვი მხოლოდ მანქანაში იძინებდა... სიცილით გული რომ ვიჯერე, ვაჟა-ფშაველას გამზირს გავუყევი, თან დავინტერესდი, — სულ ასე ტაქსიში თუ აძინებთ, ოჯახის ბიუჯეტს საკმაოდ აზარალებთ-მეთქი. — არა, მეც მყავს მანქანა, მაგრამ გუშინ გამიფუჭდა, ამ „ახალ წლებზე“ ვინ შემიკეთებდა და ავტოფარეხში დგას გაფუჭებული, კესო კი ისეა მანქანაში ძილს მიჩვეული, საწოლში ვერაფრით ვაძინებო, — მითხრა... ვაჟა-ფშაველას გამზირი ბოლომდე არც მქონდა გავლილი, რომ პატარა კესოს მართლაც ჩაეძინა. ქალს ვკითხე, მოვაბრუნო-მეთქი? — არა, ცოტა კიდევ იარეთ, ძილი გაუღრმავდეს და მერე ისევ საბურთალოს ქუჩაზე მიმიყვანეთ, რომ სახლში ავიდე და დავაწვინოო, — მითხრა. ასე დავაძინე ჩემი პატარა კლიენტი ახალი წლის ღამეს და იმ ქალბატონს სახლამდე მის აყვანაშიც დავეხმარე. რასაკვირველია, მათთვის ფული არ გამომირთმევია. ის 45 წუთი ისე სასიამოვნოდ გავატარე, ვერანაირი თანხა ვერ ამინაზღაურებდა ამ სიამოვნებას...

*აი, ასე მხიარულად ატარებენ სამუშაო დროს ჩვენი ტაქსის მძღოლები. მართალია დღესასწაულების დროს განსაკუთრებულად მძიმე მუშაობა უწევთ, მაგრამ მრავალნაირ კლიენტთან შეხვედრით ისე ერთობიან, შრომა ამად ნამდვილად უღირთ...* ■

# მანდარინებს მიყოლებული პოლიტიკური ამბები ანუ საიდან გაჩნდა გვირაბი მანდარინის ბაღში?

## „რაფერ მინდა, დუუნთო დიდი ცეცხლი მთელ დუნიას!..“



ელიას რომანაძე ანუ ნემცი

**მისი გვირაბის ბოლოს სინათლე ჯერ არ გამოჩენილა, მაგრამ მაინც თხრის. ერთ მშვენიერ დღეს, ადგა და, საკუთარი მანდარინის ბაღში, ფერდობქვეშ გვირაბის გამოთხრა დაიწყო...**

**ქობულეთის ულამაზეს სოფელში — აჭყვისთავში ცხოვრობს. მეტსახელად ნემცს ეძახიან და მართალია, გერმანელი არ არის, მაგრამ რადგან გამოგონება მისი ცხოვრების წესად იქცა, უცნაურ „გამომგონებელს“ სოფელში ასე შეარქვეს, რა თქმა უნდა — მოფერებით!**

ჯაბა ანანიძე

*„მე სხვა სინათლეს ვეძებ და იმიზა დევწყე გვირაბის თხრა, თორემ ყოველ დილას მზე რაფერც კი მოეკიდება დედამიწას, მეც ფეხზე წამოვუდგები. სად გაგონილა, მზე გეფერებოდეს, შენ კიდევ გადარეულ სიზმრებს ახარჯავდე თავს!“ — ამბობს ნემცი, რომელსაც წინა წლის დამლევს, სხვების მსგავსად, გადაყვითლებული მანდარინის ბაღში ფუსფუსისას წამოვადექი თავს — ბაღში, რომლის ქვემოთაც გათხრილ გვირაბში ზღვისპირეთული მაჭარი ღვინდება.*

*მანდარინის სეზონი სრულდებოდა. შარშან დიდი მოსავალი იყო და არავინ ელოდა მანდარინის წარმატებით გაყიდვას, მაგრამ საბედნიეროდ, მეციტრუსეების ეს ვარაუდი არ გამართლდა — მანდარინი უპრობლემოდ გადიოდა ექსპორტზე. თუმცა შესაძლოა, ბევრს ფასი არ აკმაყოფილებდა, მაგრამ, რაც მთავარია, მანდარინებით გადაყვითლებული ღელეები და ზღვა ამ სეზონზე ზღვისპირეთს დიდხანს არ შემორჩა.*

*წარსულში ციტრუსის გასაღების მთავარი ბაზარი — რუსეთი კვლავაც ჩაკეტილია საქართველოსთვის, მაგრამ მთავრობამ, როგორც იქნა, ალტერნატიული ბაზარი გამოძებნა. ოპოზიციის ნაწილი წარმატებული სეზონის მიზეზად, ბაზარზე მანდარინისადმი მოთხოვნილების ზრდას ასახელებს, მაგრამ მთავარი ხომ მაინც საქმეა — საქმე, რომელმაც წინა წლებში იმედგაცრუებულ არაერთ მეციტრუსეს სოფლისა და საკუთარი მანდარინის ბაღისკენ მოუბრუნა გული.*

*მაშ, როგორ წარიმართა „მანდარინობის“ საქმე და რას ფიქრობენ ის გლეხები, რომლებიც მთელ ცხოვრებას მანდარინის ბაღში ატარებენ? — სწორედ ამის გასარკვევად ვეწვიე ელიას რომანაძეს — იმავე ნემცს, რომელიც ბაღში მეზობელთან — ახმედ მიქელაძესთან ერთად დამხვდა.*

— რაფერ გამახარეთ სტუმრობით! მეიცალეთ ჟურნალისტებმა უბრალო ხალხისთვის, ხომ? — *გაღიმებული დაგვხვდა ნემცი. ის „ყვითლად მოლაპლაპე“ მანდარინებს სიფრთხილით აწყობდა თავისივე ხელით მოქსოვილ დიდ გიდელში, რომელიც ხელოვნების ნიმუშს ჰგავს.* — ქობულეთის ოქრო — მანდარინია! წელს საბედნიეროდ, კარგი სეზონი გვაქვს. მანდარინის კლიენტები უკვე გამოჩნდნენ, დაახლოებით 40 თეთრს გვთავაზობენ თითო კილოგრამში, მაგრამ ამ მანდარინის ფულით არსებობენ ჩვენი ოჯახები წლიდან წლამდე და ცოტაა მაინც...

— ჟურნალისტია მაი. კაი უნდა თქვა ყოლიფერი, თვარა ჩვენ-ჩვენს ჯორკოზეც ველარ დავჟდებით, მუუვა სააკაშვილს ჩვენი ბეჩობის ამბავი, — *სიცილით უერთდება ჩვენს საუბარს ნემცის მეზობელი, ახმედ მიქელაძე.*

— სიმართლე სიმართლეა, — *კატეგორიულია ნემცი,* — რომ არ ეუბნებიან პრეზიდენტს სიმართლეს და ურევენ ტვინს, იმიზა ვართ ამფერ დღეში — სოფელიც დიგვიცარიელდა და ახალგაზრდებიც გაგვიზარმაცდნენ. რეიზა უნდა მეშინოდეს ჩემს სოფელში ღამით მეზობლის ნახვის?! იმდენი ტურა მომრავლდა, მაგინის კივილი შეგაშფოთებს მარტო.

— ევროპასავით შეშფოთდები, ნემცი, არა?! — *ისევ ეღიმება ახმედ ბაბუას და მოღიმარი სახით მანდარინებით სავსე გიდელი გოდორთან მიაქვს.* — რა ხელი გაქვს, ნემცი, მარა ვინაა ამ გოდრის ზურგზე მომკიდავი?! ახლა ახალგაზრდებს პაპიროსი მიეცი ხელში და სოფლის ცენტრში დაალამებენ. მაგინიზა აღარც მანდარინია, აღარც ქათამი და ძროხა.

— სერიალი ხომაა?! — *ეღიმება ელიას ბაბუასაც.*

— ოო, სერიალი, იცოცხლე! იმდენია ტელევიზორში, მეც იმიბნიეს თავი და თლათ დიმიხურეს ტვინის უჯრედები, — *ემოციებს ხელების გაშლით გამოხატავს ახმედ ბაბუა.* — აბა, ნემცს სად სცალია იბრეთული სერიალებიზა?! აკრძალულია აქ ოჯახში მაგის ყურება... ნემცი გოდრებს ქსოვს, გიდლებსაც, მანდარინის ათასჯერ დაწყევლილი და უფრო მრავალჯერ დალოცვილი ძირების ფერება-მოვლაშია, მოსავალს კრეფს და გვირაბებიც გაყავს გეოლოგიური დასკვნების გარეშე, ცოცხლებს კარგი ღვინით მასპინძლობს და მკვდრებს კუბოებს უმზადებს. მეტი რა გააკეთოს?!

*...მოსაღამოვდა. მეზობლებმა დაკრეფილი მანდარინი ბაღიდან ამოზიდეს და როცა ისინი სოფლის მრავალფერიან ეზოში ხის კუნძებზე ჩვეულებისამებრ ჩამოსხდნენ, მეც გვერდით მივუჯექი და შევეცადე მათი წუთისოფ-*



ახმედ მიქელაძე



**ყველაზე მეტად ის მაწუხებს, მასწავლებელი სოფლის სკოლაში ისე რომ მიდის, რაფერც მე — ყანაში**

*ლის შეცნობას. ამასობაში, პოლიტიკაც „გააქტიურდა“:*

— ახმედ, არჩევნების წინ რომ დარბოდი ეზო-ეზო, ხმა ჩემს კანდიდატს მიეცით და 100-დოლარიანები გახდებითო, სადაა დანაპირები?

— პრეზიდენტი კი არა, ჩემი ცოლი აღარ მისრულებს დანაპირებს, — *ისევ ხუმრობის ხასიათზეა ახმედ ბაბუა,* — გამოსაცვლელია, მე თუ მკითხავთ, მაი პრეზიდენტი, მარა სააკაშვილი კი არა, ჩემი ცოლი ვერ გამომიცვლია.

— დემოკრატია ხალხის წყობააო, — ასე ჩივიან და...

— სადაა მერე ხალხი, ბატონო ნემცი? ხალხი ამ ქვეყანაში აღარ არსებობს!

— რაფერ სულ ღრეჭვის ხასიათზე ხარ?! — *ჯავრდება ელიას ბაბუა.* — დიდებულია ჩვენი პრეზიდენტი, ჭკუის ამრევი ყავს ბევრი, თორემ.

— კაი, ახლა, შენი ჭირიმე, საგაზეთოდ ნუ გამოჩარხე აზრები, კუბოს კერავ თუ?!.

— რა ვთქვა?.. ყველაზე მეტად ის მაწუხებს, მასწავლებელი სოფლის სკოლაში ისე რომ მიდის, რაფერც მე — ყანაში: აღარც საკლასო ჟურნალი ყოფილა, აღარც რევიზია და კონტროლი. 18 წლის განმავლობაში ვასწავლიდი ხელობას სკოლაში — აღარც ეს უნდათ. ყველა თურქეთისკენ გარბის, ვითომ საქართველოს აღარ აქვს საქმე.

— პრეზიდენტს გადაეცით, გადარეულ ბაღნებს რომ მუუწოდა, ბუჩქებია აგერ და მიხედეთ საქმესო, ჩაის ბუჩქებს მიხედოს და იმას მიუსიოს ახალგაზრდები, — *ახმედ ბაბუა გამოცდილი ჩაის მკრეფავიცაა,* — დევიღალე ამდენი ტირილით, სულ პანაშვიდებზე დავდივარ. იშვიათად თუ გეიგონებ, ამა და ამ ოჯახში რძალი მოსულაო. ვინ იყო შვამავალიო? — იკითხავ და, — ტელეფონიო, — გეტყვიან. მაგ ტელეფონებმა დაღუპა ახალგაზრდები. ტელეფონზე წკაპაწკუპით რომ ქალის გამორჩევა ხდებოდეს, ბოტანიკურ ბაღში კი არ გევყვანდი შემოწმებაზე ჩემს საცოლეს.

— ახალ ცხოვრებას ახალი წესები აქვს, ახმედ, — *ამბობს ბაბუა ელიასი,* — აბა, ის იყო კარგი, სანამ 300 მანეთი არ გადამახდიეს, ქალი არ მომცეს ცოლად?! მეორე ამბავია ტრადიციების დაცვა და მოფრთხილება. ევროპა კარგია, მაგრამ მგელი ხომ არაა, სიმწრით დაცული ქართველობა ცხვარსავით გადამისანსლოს?!

— იმ დროს ვენაცვალე, — გოვ, კისერში ჩეგეფუნჩხე-მეთქი! — რომ ვინატრებდი, — *სევდა შეუჩნდა ბაბუა ახმედსაც და რამდენიმე წამის შემდეგ, ისევ მხიარულ ნოტაზე განაგრძო „მიმოხილვა“:* — პატრონი გინდა, ჩემო ნემცი, ყოლიფერში. ყანიდან მომავალი ავარიაში რომ მოვყევი და საავადმყოფოში „ლახანკაზე“ გაშხვართული მიმიყვანეს, კაციშვილმა არ დამხედა. ბოლოს ერთმა ექიმმა მკითხა, — შენ პატრონი არ გყავსო?.. ყანიდან მომავალ, კალოშებიან კაცს, ვინ უნდა მყოლოდა პატრონი?!

— ამ სოფლის მკვიდრია კობა ხაბაზი. თქვენ ის საქართველოს პარლამენტის წევრად აირჩიეთ... მიგიმართავთ მისთვის დახმარებისთვის? — *ვეკითხები.*

— მიმართვა რათ უნდა, არ იცის, რა ხდება ქვეყანაზე?! მარა ჩვენ მაგის ცუდს ვერ ვიტყვით, ჩვენიანია, რაც უნდა იყოს, — *თავდაჯერებულად მპასუხობს ნემცი.*

— კი მივმართავდი, მარა თბილისში ჩასვლა არ გინდა?! დედაქალაქში კი არა, ქობულეთში ველარ ჩავსულვარ. ორი ტომარა მსხალი უნდა ამ სოფლიდან ქალაქში ჩასვლას. ნისიად ჩახვალ და თუ გაასაღე შენი „გაჭირვებული“ მსხალი, ხომ კაი, გამოცხადდები ოჯახში საღამოს.

— მართლა გაფუჭდა მოსავალი. ამდენმა უბედურებამ ბუნებასაც დააყლეპია თვალი და გადარია... რეიზა იარები ისე ქალაქში, ახმედ, საქმე დეგელია?

— კაცო, შუქის გადასახადებს რომ გასაბეჩარს გვიწერენ, არ იკითხე, საიდან სადაო?! — *დასერიოზულდა ახმედ ბაბუა.* — მითხრეს, ქობულეთში რომ გაკეთდა გასართობი ცენტრი „ციცინათელა“, იმის გადასახადებს გვაწერენო. ჩავედი და ვნახე აბდღვრიალებული „ციცინათელა“, მარა საცხა რაცხა ანათებს, მე ვიხადო მაგის ფული?!.

— ნეტაი ვიცოდე, ამდენი საცოდაობის შემყურეს, რაფერ გეცინება მთელი ცხოვრება.

— მაკლია პაწაი და იმით ვიცინი, თორემ...

*ნემცი გვირაბისკენ წავიდა: ჩვენს ლაყბობას ასე დასასრული არ ექნება, ჩემი „გამოგონება“ ხომ უნდა განახვოო, — მეუბნება და ჩაბნელებული გვირაბის ხის პატარა ჭიშკარს აღებს.*

*გრძელ გვირაბში სითბო გვხვდება, შემოდგომის დაგუბებული სითბო და კიდევ — მაჭრის სურნელი... შევყურებ საკმაოდ გრძელ გვირაბს და მიჭირს იმის დაჯერება, რომ XXI საუკუნეშიც უჩნდებათ ადამიანებს მიწის სიღრმეში ჩასვლის სურვილი.*

— რატომ გადაწყვიტეთ მანდარინის ბაღში გვირაბის მოწყობა? — *ვკითხულობ გვირაბშივე.*

— მეწყერმა წამართვა მიწა და გადავწყვიტე დაკარგული ტერიტორიების აღდგენა კარ-მიდამოში!

— ტყუილია, — *ხითხითებს ახმედ ბაბუა,* — უსაქმოდ ყოფნას ვერ გუუძლო, ადგა და გვირაბის კეთება დეიწყო.

— ყოველგვარი გამაგრებისა და გეოლოგიური დასკვნის გარეშე როგორ გაბედეთ ამხელა გვირაბის გამოთხრა? რომ ჩამონგრეულიყო? — *ვეკითხები ნემცს.*

— არ ჩამოინგრეოდა, არა, არ ჩამოინგრეოდა! — *თავდაჯერებულია ელიას ბაბუა და გვირაბის კედლებს ანათებს.* — ჭიათურელი გეოლოგები გვსტუმრობდნენ ამას წინათ სოფელში. რომ ვაჩვენე ჩემი გვირაბი, გაოცდენ. შემჭამენ კითხვით, — რაფერ არ შეგეშინდაო?! რის უნდა შემშინებოდა, მშობლიური მიწის?!. ამ გვირაბში ზამთარში თბილა, ზაფხულში — გრილა. ასე რომ, აქ ჭირნახულსაც ვინახავ და ხანდახან, ვქეიფობთ კიდევაც.

ნემცი სხვადასხვა მაჭარს უსინჯავს გემოს; მერე ერთ ბოთლს არჩევს; ეზოში, შრომით დაღვარჭნილი ხელით სასმელს ჭიქებში ასხამს და შეუცნობელი ფერების მქონე ფოთლების შრიალს თავის ლამაზ სადღეგრძელოსაც უერთებს:

— სოფელი არ უნდა გაგვიცივდეს, — *ჩაფიქრებულია თან, ბაბუა ნემცი.* — სახლს უკან უცნაური ეზოს ბუხარი მაქვს მოწყობილი. დროდადრო დავანთებ დიდ ცეცხლს ეზოში, იმხელას, კვამლი რომ შეაწუხებს ხალხს... გამოცვივდებიან ეზოებში, — ნემცმა ეს რა დაგვიფუტაო! — მეჩხუბებიან. გულში მიხარია: ხომ გამოგაფხიზლეთ და თვალები დაგაყლეპიეთ, ხალხო-მეთქი!.. ახლა ის მინდა, ამფერი დიდი და საფხიზლო ცეცხლი დუუნთოთ მთელ დუნიას! ■



**ამ გვირაბში ზამთარში თბილა, ზაფხულში — გრილა. ასე რომ, აქ ჭირნახულსაც ვინახავ**

# დემოგრაფია — სავალალო პერსპექტივა და გამოსავლის კონტურები

## რატომ „დავკარგეთ" „ქართულის დედის" წოდება?..

**არასახარბიელო დემოგრაფიული მდგომარეობა საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე მწვავე პრობლემად რჩება. საქმეს ის ამძიმებს, რომ მის მოგვარებას ხანგრძლივი დრო სჭირდება. უპირველეს ყოვლისა კი ხელისუფლებამ უნდა შექმნას ქვეყანაში ხელშემწყობი გარემოც, პირობებიც და მატერიალური ბაზაც, რომელიც შობადობისა და საბოლოო ჯამში, მოსახლეობის ზრდას უზრუნველყოფს.**

*თამთა დადეშელი*

**მაგდა ანიკაშვილი,** *ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე:*

— დემოგრაფია ის სფეროა, სადაც შეუძლებელია შედეგის მიღება 1-2 თვეში ან 2-3 წელიწადში. ამიტომ მას სისტემურად უნდა მივუდგეთ. ათწლეულებზე გათვლილ სახელმწიფო პოლიტიკაზე უნდა ვისაუბროთ. რაც მთავარია, საქმე მხოლოდ ერთი რომელიმე სამინისტროს ან უწყების კომპეტენციას როდი ეხება. ჩვენი პრობლემა სწორედ სახელმწიფო დემოგრაფიული პოლიტიკის არქონაა. მაგალითად, ბევრი ქვეყანა ჩაურევლობის პოლიტიკას ირჩევს ანუ სახელმწიფოს მიერ დეკლარირებულია, — ჩვენ არ ვუშლით ხელს ბუნებრივ პროცესებს და რა გავლენაც უნდა მოახდინოს ტექნიკურმა პროცესებმა, ემიგრაციამ თუ სხვა, მისაღებია და ა.შ. ჩვენში არც ჩარევის, არც ჩეურევლობის — ე.ი. არანაირი პოლიტიკა არ არსებობს. არადა, ჩვენი დემოგრაფების მონაცემებით, მდგომარეობა დიდი პესიმიზმის საფუძველს ქმნის: ერი დაბერების მიმართულებით ვითარდება, სიკვდილიანობის მატებაა და ა.შ. გაეროს მონაცემებით, რომელიც 50 წლის პერსპექტივით კეთდება, კიდევ უფრო ცუდად გვაქვს საქმე. სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკა, დახმარება, საზოგადოების ღარიბ ნაწილზეა ორიენტირებული ანუ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ ადამიანებზე, და გარკვეული შეღავათები — ეს იქნება ფულადი, ჯანმრთელობის დაზღვევა თუ სხვა — სწორედ მათ აქვთ; მათ შორის, ახალგაზრდა და მრავალშვილიანი ოჯახებიც არიან. მაგრამ დემოგრაფიული პოლიტიკის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ ის არ უნდა იყოს დამოკიდებული სიღარიბესა და საერთოდ, მატერიალურ მდგომარეობაზე. ამიტომ როდესაც ჩვენ არანაირ დახმარებას არ ვუწევთ, ვთქვათ, შვიდშვილიან ოჯახს, ეს არასწორი მიდგომაა.

— **როგორ გესახებათ ამ პრობლემის მოგვარება?**

— პირველი, რაც უნდა გაკეთდეს და რასაც ქრისტიან-დემოკრატები ვითხოვთ, ეს არის მრავალშვილიანი დედის სტატუსის განსაზღვრა. დღეს კანონმდებლობით, მრავალშვილიანად მიიჩნევა ოჯახი, რომელსაც 7 არასრულწლოვანი



შვილი ჰყავს და ისინი თვეში 35 ლარს იღებენ; ესეც მხოლოდ მათზე მოქმედებს, ვინც 2007 წლის პირველ იანვრამდეა დარეგისტრირებული. თან, არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, ვის რამდენი შვილი ჰყავს, მხოლოდ ერთი მაჩვენებელი მოქმედებს — სიღარიბის ზღვარი. ბუნებრივია, გაჭირვებულებს უნდა ჰქონდეთ სახელმწიფოს დახმარება, მაგრამ ყველანაირ კატეგორიაზე მაღლა დემოგრაფიის საკითხი უნდა იდგეს. ეს კი ნიშნავს: მრავალშვილიანი ოჯახების, საერთოდ, ოჯახის შექმნისა და ერის გამრავლების მხარდაჭერას. თუ არ განისაზღვრა მრავალშვილიანი ოჯახის სტატუსი, ბუნებრივია, შეუძლებელი იქნება იმაზე ლაპარაკი, თუ რა შეღავათები უნდა გავუწიოთ და არც მოტივაცია იქნება. ცხადია, ამ კატეგორიაში უნდა მოხვდეს არა 7 არასრულწლოვანი შვილის მქონე ოჯახი, არამედ ნაკლები. შესაფერისი მოტივაციის შესაქმნელად, საკმარისი როდია ყოველთვიური მატერიალური დახმარება. საჭიროა ყველა სფეროში დაწესდეს შეღავათები, ახალგაზრდა ოჯახებს გაეწიოს დახმარება იმავე ბინათმშენებლობის თვალსაზრისით. მაგალითად, ბალტიის ქვეყნებში წყვილებს მთელი რიგი შეღავათი აქვთ — კრედიტების აღების განხრით, დასაქმების კუთხით; მთელი პაკეტი არსებობს, რომელიც იმისკენაა მიმართული, რომ გამრავლებას შეუწყონ ხელი. შეუძლებელია, ამ პრობლემის გადაჭრის მიღმა დარჩეს განათლების, ეკონომიკის, თუნდაც სოფლის მეურნეობის სამინისტრო. ჩვენში კი სახელმწიფო არანაირ ფინანსურ მონაწილეობას არ იღებს მშობიარობის ხარჯების ანაზღაურებაშიც კი. ვინც დაზღვეული არ არის, მას ძალიან ძვირი უჯდება. მშობიარობა ერთ-ერთი ყველაზე ძვირად ღირებული სამედიცინო მომსახურებაა, მით უმეტეს რეგიონებში მცხოვრებთათვის ძალიან რთულია საჭირო სახსრების მოძიება. ამიტომ, მთავრობას მივმართეთ ინიციატივით, რომ იაფ, ხუთლარიან დაზღვევას მშობიარობის კომპონენტი დაემატოს. ეს ძალიან ბევრი მოქალაქისთვის იქნება ხელმისაწვდომი. თვით იაფი დაზღვევის იდეა მისასალმებელია, მიუხედავად ხარვეზებისა, რადგან დაზღვევა ყველა მოქალაქისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. თუ მთავრობა ამ პაკეტს გარკვეულ თანხას დაამატებს, მშობიარობაც შევა, ეს კი გარკვეული დემოგრაფიული სეგმენტის დატვირთვას შეიძენს.



*დემოგრაფიაზე მნიშვნელოვან გავლენას მიგრაცია ახდენს. თუ შემცირებული შობადობის, სიკვდილიანობის ზრდისა და გაზრდილი მიგრაციის პრობლემები არ გადაიჭრა, მაშინ ისედაც მცირერიცხოვანი ქართველი ერი რამდენიმე ათწლეულის შემდეგ, რაოდენობრივად კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება.*

**ავთანდილ სულაბერიძე,** *დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი:*

— ჩვენი ინსტიტუტი დემოგრაფიულ პრობლემებზე მუშაობს, თემატიკა

მრავალფეროვანია — რეპროდუქციული ქცევის, ოჯახის სოციოლოგიის, მიგრაციის საკითხები. 2009 წელს მიგრაციაში წასული ჩვენი თანამოქალაქეების ოჯახების სოციოლოგიური გამოკვლევა ჩავატარეთ, თუ როგორ და რა პირობებში ცხოვრობენ და მუშაობენ ისინი იქ, როგორია მათი შრომის ანაზღაურება, დაბრუნების პერსპექტივა, ვადა; გამოგზავნილ თანხას როგორ იყენებს ეს ოჯახი — სწავლისთვის, მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად თუ სხვა. საინტერესოა, რომ იქიდან გამოგზავნილ ფულს ძირითადად, უმუშევრები იყენებენ. თუ ასაკობრივ-სქესობრივ ჭრილში განვიხილავთ, უფრო მეტად, ქალები არიან წასულები, ძირითადად — საბერძნეთში, თურქეთში, რუსეთში, ევროპის ქვეყნებში და ვინც ახერხებს, აშშ-ში. თვეში დაახლოებით 500-დან 1.000 ლარამდე გზავნიან. მათ, ვინც 5 ან მეტი წელია, წასულები არიან, შვილებიც თან მიჰყავთ, რაც ძალიან ცუდია. იქ სკოლაში რომ ისწავლოს, ბავშვს ენის ბარიერის პრობლემა ექმნება. უკან დაბრუნებულები კი აქაც არასახარბიელო მდგომარეობაში ხვდებიან — წინა კლასების მასალის არცოდნის გამო. ასეთია ძირითადად, მიგრაციის კუთხით არსებული პრობლემები. რაც შეეხება საკუთრივ დემოგრაფიას, — აქ უშუალოდ, შობადობისა და სიკვდილიანობის საკითხებზე ვსაუბრობთ. ცნობილია, რომ შობადობა ჩვენს ქვეყანაში არასახარბიელო დონეზეა. 2008 წელს ვითარება ცოტათი გამოსწორდა: შობადობა 57000-მდე გაიზარდა, რამაც დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. კათოლიკოს-პატრიარქის მოწოდებამ და იმ გარემოებამ, რომ მისი უწმინდესობა პირადად ნათლავდა ყველა ოჯახის მესამე და მის მომდევნო შვილებს, ძალზე იმოქმედა. ამასთანავე, რადგან პირველად მონათვლა 2008 წლის იანვარში მოხდა, მატება ასე უცებ თვალში საცემი ვერ იქნება, ამას დრო სჭირდება — მოსახლეობა უნდა განეწყოს იმისთვის, რომ მესამე შვილი გააჩინოს. მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ ახალშობილთა საერთო რაოდენობაში, მესამე შვილის ხვედრითი წილი 10-დან 12%-მდე გაიზარდა; ასევე გაიზარდა მეორის და შემცირდა პირველი შვილის წილი. თუ ასე გაგრძელდა, ე.წ. გადადებული შობადობის რეალიზაცია უკეთესი მერმისისთვის მოხდება...

— **შობადობის პოტენციალი როგორია საქართველოში?**

— როგორც განგარიშებები გვიჩვენებს, ერთი დემოგრაფიული თაობის შემდეგ, 34-35%-ით ნაკლები დედა შევა შობადობის ასაკში, ვიდრე დღეს გვყავს. ის, რომ შობადობის ზრდა მოხდეს, ორი ფაქტორითაა განპირობებული: პირველია — ქალთა გათხოვება და ქალთა რაოდენობა, მეორე — შვილების ყოლის მოთხოვნილება; დასახელებული მაჩვენებლიდან გამომდინარე, პირველი ფაქტორის ამოქმედება გამოირიცხა, იმიტომ, რომ ნაკლები რაოდენობით დედა გვეყოლება; თუ ამასთან მიგრაციას გავითვალისწინებთ, შობადობის საერთო მაჩვენებელი კიდევ 5-10%-ით შემცირდება.

## ერთი დემოგრაფიული თაობის შემდეგ, 34-35%-ით ნაკლები დედა შევა შობადობის ასაკში, ვიდრე დღეს გვყავს

— **რა არის ოჯახის შექმნის გადავადების მიზეზი?**

— ჩვენი გამოკვლევებით დადგინდა, რომ ეს არის პირველ რიგში: უბინაობა, მატერიალური მდგომარეობა და, წინა პლანზე (განსაკუთრებით, 25 წლამდე ახალგაზრდებში) — განათლების მიღების სურვილი და კარიერა, რომლებიც პრიორიტეტად იქცა. ეს დამახასიათებელია ლიბერალური ეკონომიკის ქვეყნისთვის. განათლების მიღების სურვილი და კარიერიზმი კი ხელს უშლის ადრეულ ასაკში ქორწინებას.

— **როგორია ჩვენში დღეს ქორწინების საშუალო ასაკი?**

— 28 წელი. შესაბამისად, პირველი შვილის ყოლის ასაკიც გაიზარდა. გამოკითხვამ გვიჩვენა, რომ შვილის ყოლას გათხოვებიდან პირველი 2 წლის მანძილზე ამჯობინებენ; მეორე და მესამე შვილის გაჩენის ინტერვალი უფრო იზრდება, რაც მატერიალური მდგომარეობიდან გამომდინარეობს, — დგება ძიძის აყვანის პრობლემა და ა.შ. ეს ფაქტორები განსაკუთრებით, ნუკლეარულ (მამისეული ოჯახიდან გამოყოფილ) ოჯახებს უშლის ხელს. საერთოდ, ეს პროგრესული მოვლენაა — ოჯახების ნუკლეარიზაცია. დღეს საქართველოში, მატერიალური სიდუხჭირის გამო, ეს პროცესი შენელებულია — შეიძლება, ერთ ბინაში 3-4 თაობა ცხოვრობდეს. მაგალითად, როცა ოჯახში 2-3 შვილია და ერთ-ერთი მათგანი დაქორწინებულია, მეორე თავს იკავებს ცოლის მოყვანისგან უბინაობის გამო ან ქირაობს და ახალი პრობლემების წინაშე დგება. ქვეყანაში ძალიან მაღალია მიგრაციის დონე — ბევრია დედაქალაქში რაიონებიდან ჩამოსული ადამიანი და როდესაც ამ ადამიანებს აქ იმედი არ უმართლდებათ, შემდეგ უცხოეთში მიდიან.

— **როგორია არსებული საქორწინო „ბაზარი“?**

— საქორწინო „ბაზარი“ ჩვენში დარღვეულია: უცხოეთში ვაჟთა მაღალი მიგრაციის გამო, ქალთა სიჭარბე აღინიშნება და ესეც განაპირობებს გასათხოვარ ქალთა მაღალ ხვედრით წილს — 30 წელს გადაცილებულ დაუქორწინებელ ქალთა ხვედრითი წილი თითქმის 40%-ს აღწევს, რაც თავისთავად, ძალიან ცუდია.

— **თუ გაქვთ სტატისტიკური მონაცემები მრავალშვილიანი ოჯახების რაოდენობის შესახებ?**

## 65 წელზე მეტი ასაკის მოსახლეობის რაოდენობა უკვე 20%-მდე აღწევს და თითქმის გაუთანაბრდა 15 წლამდე ასაკის ახალგაზრდობას

— არა და ძალიან ძნელად თუ მოვიპოვებთ. სოციალური დაცვის მუშაკები ახლაც აღრიცხავენ მათ, მაგრამ არაზუსტია, რადგანაც, როგორც იცით, ქვეყანაში მრავალშვილიანი ოჯახის სტატუსი არ არის განსაზღვრული. აუცილებელია, მრავალშვილიანი დედის წოდება იყოს შემოღებული. თავის დროზე დემოგრაფიულმა საზოგადოებამ, „გმირი დედის“ ნაცვლად, „ქართველის დედის“ წოდება შემოიღო და ის დღესაც არსებობს, არავის გაუუქმებია, მაგრამ არც ვინმესთვის მიუნიჭებიათ, იმის გამო, რომ არ არის მიღებული დებულება და ამდენად, გაურკვეველია, თუ ვის ეკუთვნის და, მინიჭების შემთხვევაში, რა პრივილეგიებით ისარგებლებს. ეს წლების წინ,

გაგრძელება იხ. გვ. 16

[illegible]
[illegible]
[illegible]
მთელი
წელი!




„ქუჩის მაცნე"
გთავაზობთ
სხვადასხვა სახის
ქედლის მისახვე
კალენდრებს

ჯერ კიდევ კომუნისტების მმართველობის დროს მივაღებინეთ. მერე ზვიად გამსახურდიამ დატოვა ეს წოდება, მაგრამ შემდგომმა მთავრობებმა ყურიც არ შეიბერტყეს, დღესაც ისევ ისეა დარჩენილი. ან გააუქმონ, ან მიანიჭონ — კანონის თანახმად, ეს წოდება არსებობს... მაღალი მიგრაციის შედეგად ერის სწრაფი დაბერება მოხდა ანუ 65 წელზე მეტი ასაკის მოსახლეობის რაოდენობა უკვე 20%-მდე აღწევს და თითქმის გაუთანაბრდა 15 წლამდე ასაკის ახალგაზრდობას. ასევე იზრდება საერთო სიკვდილიანობაც და როგორც ჩვილთა, ასევე ერთ წლამდე ასაკის ბავშვებშიც. ყოველ ათას დაბადებულზე 23-25 ბავშვი იღუპება, როდესაც ევროპის ქვეყნებსა და იაპონიაში ეს მაჩვენებელი 4-6-ს შეადგენს.

— **რამდენია სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა?**

— ჩვენში სიცოცხლის ხანგრძლივობა არ გაზრდილა, სტაგნაციას განიცდის: საშუალოდ, 72 წელია, მამაკაცთა შორის — 67, ქალთა შორის — 75. ეს 8-წლიანი სხვაობა ანომალიაა. ასეთ ასაკებში ძირითადი სტრესული დაავადებებია: გულ-სისხლძარღვთა, ავთვისებიანი სიმსივნეები და სხვადასხვა, რაც ბოლო 20 წელია, მამაკაცთა შორის უფრო გახშირდა.

— **როგორც ვიცი, თქვენს ინსტიტუტს შემუშავებული აქვს კანონი მიგრაციის შესახებ. რა დადებით გავლენას მოახდენს დემოგრაფიაზე, მაგალითად, მიგრაციის სამსახურის შექმნა?**

— მიგრაციის შესახებ კანონი დიდი ხანია, გვაქვს დაწერილი და არც არავის გადაუხედავს იუსტიციის სამინისტროში. მიგრაციის სამსახური ყველა ქვეყანაში უნდა არსებობდეს — მისი მეშვეობით, უნდა ვაკონტროლებდეთ, ვინ შემოდის და ვინ გადის. აქ აბსურდული რაღაცები ხდება ხოლმე: მიგრანტად მიიჩნევენ ერთი თვით შემოსულს, რაც არასწორია; მიგრანტი 3 თვით ან მეტი ხნით ქვეყანაში შემოსულ ან ქვეყნიდან გასულ ადამიანს ჰქვია. მიგრაციის კანონის მიღებას მოჰყვება კვოტების დაწესება — თუ რამდენი ადამიანის მიღება შეგვიძლია უცხოეთიდან; ეს განსაკუთრებით აუცილებელია ღარიბი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნისათვის. ამ კანონის წყალობით, ბიუჯეტშიც შევა ფული. გარდა ამისა, მოწესრიგდება შრომითი მიგრაციის საკითხების სისტემა, რაც უზრუნველყოფს ჩვენი ქვეყნიდან წასული მიგრანტების სოციალურ დაცვას, ხელშეკრულებების გაფორმებას უცხოეთში და ა.შ. დემოგრაფიაზე კი ეს იმ გავლენას მოახდენს, რომ ნაკლები ადამიანი წავა საზღვარგარეთ და ამდენი გასათხოვარი ქალიც აღარ გვეყოლება... ■



# რა უნდა იცოდეთ, რომ არ მოტყუვდეთ

## „გამოიყენეთ კანონი, დაიცავით თავი და იცხოვრეთ მშვიდად“



**სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიებში მიმდინარეობს დავები ოჯახის წევრებს შორის და რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ისინი სწორედ ამ გზით აგვარებენ ქონებრივ თუ სხვაგვარ საკითხებს. ამ კატეგორიის საქმეების განხილვისას ადამიანებს საკუთარი უფლებების დაცვა და სიმართლის დამტკიცება უჭირთ, ამის მიზეზი კი კანონის არცოდნაა; მოქალაქეთა დიდ ნაწილს ვერც ის წარმოუდგენია, რომ შეიძლება, ოჯახის წევრმა დაუკითხავად გაუსხვისოს ქონება. შედეგად, ბევრი ადამიანი სამართალს ვეღარ პოულობს.**

**როგორ უნდა დაიცვათ თავი, რომ ერთ დღეს ოჯახის წევრმა მალულად არ გაგიყიდოთ ბინა და ქუჩაში არ აღმოჩნდეთ? როგორც წესი, ბინა ოჯახის ერთ-ერთ წევრზეა გაფორმებული, მაგრამ ამასთან, ამ ბინაში მცხოვრებ თანამესაკუთრეებს შეუძლიათ, თავიანთი წილი ოფიციალურად დაარეგისტრირონ. თანამესაკუთრეობის შემთხვევაში, საკუთრების უფლება ორ ან მეტ პირზე ვრცელდება...**

*თეა ხურცილავა*

— **მშობლის გარდაცვალების შემდეგ, შვილებზე წილი თანაბრად ნაწილდება?**

**ადვოკატი ციცინო ცხვედიანი:**

— პირის გარდაცვალების შემთხვევაში, თუ თითოეული მესაკუთრის წილი მითითებული არ არის, მაშინ მათი წილი თანაბარია. ქონების გაყოფის ოდენობა ბევრ რამეზეა დამოკიდებული. არსებობს წილადი და ჩვეულებრივი საკუთრება. წილადი საკუთრების შემთხვევაში, ოჯახის წევრები თანაბარი უფლებით სარგებლობენ. ხშირად, ბინა ერთ პირზეა გაფორმებული და შესაძლოა, მეორე პიროვნება თანამესაკუთრე იყოს, მაგრამ საჯარო რეესტრში ეს ოფიციალურად არ იყოს აღრიცხული. ადამიანმა თავისი უფლება ხელყოფისგან უკეთ რომ დაიცვას, თანასაკუთრების უფლება საჯარო რეესტრში უნდა დაარეგისტრიროს.

— **ქონების გამო მეუღლეებიც ხშირად დაობენ...**

— კანონით, ქორწინების პერიოდში შეძენილი ბინა, საკუთრების უფლებით, ორივე მეუღლეს თანაბრად ეკუთვნის, მაგრამ თუ ეს ბინა მხოლოდ ერთ მეუღლეზეა აღრიცხული, მაშინ საჯარო რეესტრის მონაცემთა სისწორის პრეზუმფციიდან გამომდინარე, მესაკუთრედ მიიჩნევა ის, ვის სახელზეც ბინა ირიცხება. ასეთ შემთხვევაში, მეუღლემ ბინა რომ გაასხვისოს, მეორე მეუღლეს, კომპენსაციის მოთხოვნის გარდა, არაფერი შეუძლია. თანამესაკუთრის უფლება დაცული რომ იყოს, ჯობია, ეს უფლება ანუ საკუთარი წილი მეორე მეუღლემაც საჯარო რეესტრში თავიდანვე დაარეგისტრიროს. ასეთ სიტუაციაში ის დაცულია და მისი თანხმობის გარეშე, მეუღლე ბინას ვეღარ გაყიდის.

— **როცა მოქალაქე ბინას ყიდულობს და საჯარო რეესტრის ამონაწერიდან ჩანს, რომ ამ ბინას სხვა თანამესაკუთრეც ჰყავს, მისი თანხმობაც აუცილებელია?**

— საჯარო რეესტრში მყიდველს თანამესაკუთრედ რეგისტრირებულ თითოეულ პირთან ხელშეკრულების გაფორმება სჭირდება; თუ ერთ ადამიანზეა გაფორმებული, მხოლოდ ერთის თანხმობაა საჭირო.

გაგრძელება იხ. გვ. 18


მედია-დანაზოგი
ანტიკრიზისული პროექტი
მან უკვე ნახა ჩვენი ფასები
თქვენ? 11-18 იანვარი
NewPC
კომპიუტერები და აქსესუარები
კომპლექტი:
ლაზერული „მაუსი“
Genius xscroll ps2
კლავიატურა
Genius kb 06 x2 ps2
ყურსასმენი მიკროფონით
m-tec
ფასი: 40 25
Motorola D201 single pack
სახლის უკაბელო ტელეფონი
ნომრის ამომცნობი
50-ნომრიანი „ტელეფონების წიგნი“
10 გამავალი ზარის დამახსოვრება
LCD ეკრანი
ხანგრძლივი აკუმულატორი
საუბრის რეჟიმი: 10 საათი
მოლოდინის რეჟიმი: 170 საათი
მოქმედების რადიუსი 300 მეტრი
ფასი: 85 65
„სიტყვა და საქმის“ პირველ გვერდზე დაბეჭდილია კუპონი,
მიიტანეთ კუპონი მაღაზია „NewPC“-ში
აღმაშენებლის 96 ტელ: 95 40 40
ანონსი
მომავალი ორშაბათიდან
18-დან 25 იანვრამდე
იხილეთ „მედია-დანაზოგის“
ახალი შემოთავაზება
CONVERSE ALL STAR Chuck Taylor
სახელგანთქმული კონვერსის ზამთრის ფეხსაცმელი
აქციაში მონაწილეობის მსურველი კომპანიები დაგვიკავშირდით: danazogi@palitra.ge

დასაწყისი იხ. გვ. 16

## რეალურად, ადამიანი ვერ წარმოიდგენს, რომ ოჯახის წევრმა შესაძლოა, ქუჩაში დატოვოს და ალბათ, ამის ბრალია, რომ ასეთი ხელშეკრულებები არ ფორმდება

— **რა პრივილეგიით სარგებლობს ბინის მესაკუთრე?**

— კანონით, განსაკუთრებული უპირატესობა მას არა აქვს. ოჯახის ყველა წევრი თანაბარი უფლებებით სარგებლობს, ოღონდ თუ ეს უფლებები საჯარო რეესტრშია დაფიქსირებული; სხვაგვარად, ბინის გაყიდვის შემთხვევაში, მესაკუთრეს ბინაში დარეგისტრირებულ პირთა თანხმობა არ სჭირდება. მესაკუთრედ მიიჩნევა ის, ვის სახელზეც არის ქონება გაფორმებული. გარდა ამისა, არსებობს ინსტრუქცია სანოტარო მოქმედებების შესახებ, რომელშიც პირდაპირაა მითითებული, რომ ნოტარიუსს ეკრძალება, საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტისა და ყადაღის ცნობის გარდა, გამყიდველს სხვა რაიმე დოკუმენტი მოსთხოვოს.

— **თუ მამა შვილს ქონებას გაუყიდის, შვილმა როგორ უნდა მიიღოს კუთვნილი წილი?**

— ასეთ შემთხვევაში, შვილი ვერანაირ წილს ვერ მოითხოვს. საცხოვრებელი ფართობით შვილის უზრუნველყოფას მამას კანონი არ ავალდებულებს. თუ მესაკუთრე მამაა და ის ბინას გაყიდის, მისი უკან დაბრუნება შეუძლებელია. რადგან შვილს აქვს უფლება, იყოს ბინის თანამესაკუთრე, მან შეიძლება, მხოლოდ კომპენსაცია მოითხოვოს.

— **ოჯახის წევრები სასამართლოში უმეტესად, რა საკითხებზე დაობენ?**

— როცა მესაკუთრე სხვების დაუკითხავად ბინას დატვირთავს, მაშინ ოჯახის წევრები ცდილობენ, ამ ხელშეკრულების გაუქმებას როგორმე მიაღწიონ და ამბობენ, — ჩვენ არაფერი ვიცოდითო. ასევე ხშირად, უმუშევრად დარჩენილები, იმ იმედით, რომ ფულს ბიზნესში ჩადებენ და საქმესააწყობენ, ბინას ისე ყიდიან, ამას ცოლს არც კი უმხელენ. ოჯახის წევრები მოგვიანებით იგებენ, რომ ბინა გაყიდულია. შესაძლოა, მანამდე ოჯახში ერთი ხმამაღალი სიტყვაც კი არ ყოფილიყო ნათქვამი, მაგრამ დავა საბოლოოდ, სასამართლომდეც მივიდეს. ადამიანებმა ასეთი უსიამოვნებები რომ აიცილონ, საჭიროა, როგორც თანამესაკუთრეები დარეგისტრირდნენ და მათ გარეშე ბინას ვერავინ გაყიდის.

— **თუ მესაკუთრეს ბანკიდან სესხის გამოტანა სურს, ასეთ დროს თანამესაკუთრის თანხმობა აუცილებელია?**

— თუ პირი საჯარო რეესტრში დარეგისტრირებულია როგორც თანამესაკუთრე, მაშინ მისი თანხმობა აუცილებლად დასჭირდება, მაგრამ ხშირად, ასეთი თანამესაკუთრეობა არ არის გაფორმებული... რეალურად, ადამიანი ვერ წარმოიდგენს, რომ ოჯახის წევრმა შესაძლოა, ქუჩაში დატოვოს და ალბათ, ამის ბრალია, რომ ასეთი ხელშეკრულებები არ ფორმდება. ასევე არის შემთხვევები, როდესაც პრივატიზაციის არსში ვერ ერკვევიან და ჰგონიათ, რადგანაც თავის დროზე პრივატიზაცია ერთი პიროვნების სახელზე გაფორმდა, მათ ამ ბინაზე საკუთრების უფლება დაკარგული აქვთ.

— **მოქალაქეებმა პრობლემები თავიდან რომ აიცილონ, კიდევ რას ურჩევდით?**

— ყველას, ვისაც თანამესაკუთრის უფლებები აქვს, ვურჩევ, აუცილებლად დარეგისტრირდეს საჯარო რეესტრში, რადგან ძველი სამოქალაქო კოდექსისგან განსხვავებით, დღეს მოქმედი კოდექსი კეთილსინდისიერი შემძენის უფლებებს მეტად იცავს. თუ ბინა გაიყიდა, მერე მისი დაბრუნება შეუძლებელია. ამიტომ ჯობია, საქმე აქამდე არ მიიყვანონ. ერთ ფაქტს გავიხსენებ: ცოლ-ქმარს საკმაოდ დიდი ბინა ჰქონდა. როგორც მასალებით დასტურდებოდა, მამაკაცის დედამ თავისი კუთვნილი ბინა გაყიდა და ამ თანხას ფული დაამატეს; შესაძლოა, ქალის მხრიდანაც იყო მცირედი თანხა დამატებული, მაგრამ მთავარია, რომ ეს ახალი ბინა ცოლის სახელზე ირიცხებოდა. მერე ცოლ-ქმარი გაიყარა. რატომღაც, მამაკაცს არავინ ურჩია, როცა განქორწინების სარჩელი შეიტანეს, ისიც მოეთხოვა, რომ ბინას ყადაღა დასდებოდა. განქორწინების შემდეგ ქმარმა ბინის თანამესაკუთრედ აღრიცხვა და ამ ბინის ნახევარი მოითხოვა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ქალს ის უკვე, ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებით, სხვაზე ჰქონდა გაფორმებული, ოღონდ საჯარო რეესტრში გაფორმება ვერ მოესწრო. ბინა დაყადაღდა, ახალი მყიდველი დარეგისტრირებული არ იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, სასამართლომ მაინც, ახალი მყიდველი კეთილსინდისიერ შემძენად მიიჩნია და ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება ბათილად არ ცნო. თუმცა სამოქალაქო კოდექსის 173-ე მუხლში წერია: უძრავი ქონების მესაკუთრე რომ გახდეს, ამისთვის ადამიანს სჭირდება ორი რამ — სანოტარო საბუთი და რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. სანოტარო საბუთი ჰქონდა, მაგრამ რეგისტრაცია — არა. ჩვენი არგუმენტაციაც ასეთი იყო: ყიდვის პროცესი დასრულებული არ არის და ეს ბინა არ შეიძლება, გაყიდულად იყოს მიჩნეული; მხოლოდ რეგისტრაციის შემდგომ ხდება ბინა სხვა პირის საკუთრება. და მაინც, სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგად, ის ახალგაზრდა კაცი ქუჩაში დარჩა, მიუხედავად იმისა, რომ ყველას აზრით, მას უსამართლოდ მოექცნენ. საინტერესოა ის გარემოება, რომ როგორც აღმოჩნდა, ის ბინა ქალმა უბრალოდ, სხვაზე გააფორმა, კანონით „ითამაშა“, თორემ დღესაც იმ ბინაში ცხოვრობს. ადამიანები ასეთ სიტუაციებში იმიტომ ცვივდებიან, რომ პირველ ხანებში მეუღლეები ერთმანეთს ენდობიან, ჰგონიათ, სულ ერთად იქნებიან და არანაირი პრობლემა არ შეექმნებათ, მაგრამ ფაქტები სხვას მეტყველებს. ხშირია, როცა ერთი მხარე ყველანაირი კონპენსაციის გარეშე, ქუჩაში რჩება. ამ შემთხვევაში, მეუღლის მიმართ ეს ქალმა ჩაიდინა, მაგრამ ძალიან ხშირად, ამას მამაკაცები აკეთებენ. ამიტომ ყველას ვურჩევ, თქვენ-თქვენი წილი თავიდანვე გაიფორმეთ, გამოიყენეთ კანონი, დაიცავით თავი და იცხოვრეთ მშვიდად. ■



# კობა კობალაძემ ციხეში 35 კილოგრამი დაიკლო

## სკანდალური გამამართლებელი განაჩენი

**თბილისის საქალაქო სასამართლომ (მოსამართლე ჯემალ კოპალიანი) 5 თვე მოანდომა ე.წ. მუხროვანის ამბოხის მონაწილეთა საქმის განხილვას.**

**ამბოხების მომზადება სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად, განსასჯელის სკამზე მყოფ 41 პირს ედებოდა ბრალად. ბრალდების მტკიცებით, დანაშაულებრივი ქმედება თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების ცალკეული დანაყოფების მუდმივი დისლოკაციის ადგილიდან გამოყვანას, საბრძოლო ტექნიკის გადაადგილებას, სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ობიექტების ბლოკირებასა და სამხედრო ხელმძღვანელობის მიერ კანონიერი ხელისუფლებისადმი სხვაგვარი დაუმორჩილებლობის ორგანიზებას ისახავდა მიზნად.**



*თეა ხურცილავა*

როგორც ამბოხების ორგანიზატორი, გამოძიებამ სამი პირი — გია კრიალაშვილი, კობა ოთანაძე და ლევან ამირიძე დაასახელა. ქუჩები მათი ფოტოებით იყო აჭრელებული და იმ ადამიანისთვის, ვინც პოლიციას ამ პიროვნებების ადგილსამყოფელს აცნობებდა, ხელისუფლებამ სოლიდური ჯილდოც კი დააწესა. ყველას კარგად ახსოვს მათი დაკავების სისხლიანი სპეცოპერაცია, რომელსაც გია კრიალაშვილის სიცოცხლე შეეწირა. მაშინ ამ ფაქტსაც დიდი ხმაური მოჰყვა. ამბობდნენ, — ხელისუფლებას ცოცხალი კრიალაშვილი არ სჭირდებოდა და ამიტომაც მოიშორესო (ამ ფაქტის ირგვლივ დღემდე ბევრი პასუხგაუცემელი კითხვაა). რაც შეეხება დაჭრილებს — კობა ოთანაძე და ლევან ამირიძე საავადმყოფოში კარგა ხანს მკურნალობდნენ და ექიმებმა მათი გადარჩენა შეძლეს.

ალბათ საზოგადოებას არც ის დავიწყებია, საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა ტელეკამერების წინ როგორ უსაყვედურა მინისტრ ვანო მერაბიშვილს, — ვერ გამიგია, კობალაძე ამდენ ხანს თავისუფლად რატომ დათარეშობსო?!. ამ განცხადებიდან ცოტა ხანში, გენერალი კობალაძე ძალოვნებმა სანზონაში, საკუთარ სახლთან სწორედ მაშინ დააკავეს, როცა იგი „რუსთავი 2"-ის ჟურნალისტებს კომენტარს აძლევდა და შემდგომ მასაც, როგორც ამბოხების ორგანიზატორს დასდეს ბრალი. ამ ბრალის დადასტურების შემთხვევაში, კობალაძეს 15-წლიანი პატიმრობა ელოდა.



ქუჩები მათი ფოტოებით იყო აჭრელებული

2009 წლის 21 აგვისტოს სასამართლოში საქმის არსებითი განხილვა დაიწყო. თავდაპირველად საბრალდებო სკამზე 41 განსასჯელი იჯდა, მაგრამ პროცესის მსვლელობისას მათი რიცხვი საფუძვლიანად შემცირდა. პროკურატურამ 20 განსასჯელთან საპროცესო შეთანხმება გააფორმა, მათგან 18 პირს სასჯელზე გაურიგდა და თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. ხოლო 2 ბრალდებულის მიმართ პირობითი მსჯავრი გამოიყენეს.

მოწმის სტატუსით, პროცესზე 68 პირი დაჰკითხეს. განსასჯელების ნაწილი დანაშაულს აღიარებდა, მაგრამ ორგანიზატორად დასახელებული პირები: კობა ოთანაძე, ლევან ამირიძე, კობა კობალაძე თავს უდანაშაულოდ ცნობდნენ და ბოლომდე ამ პოზიციაზე დარჩნენ.

სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია განსასჯელთა მიმართ შერაცხილი ბრალი. კობა ოთანაძეს, სასჯელთა შეკრებითობის პრინციპით, საბოლოოდ, 29 წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა; ანალოგიურად მძიმე სასჯელი ერგო ლევან ამირიძეს — შეკრებითობის პრინციპით, 28 წელი შეუფარდეს; შოთა გორგიაშვილს კი ჯამში, 19 წელი გამოუვიდა. განსასჯელ დავით სულხანიშვილის მიმართ პირობითი მსჯავრი გამოიყენეს, ზაზა სანდოძეს საპროცესო შეთანხმება გაუფორმეს. დანარჩენ 15 განსასჯელს 3-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

რაც შეეხება გენერალ კობა კობალაძეს, — მის მიმართ პროკურატურამ 13 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მოითხოვა. მასაც ამბოხება — სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად და იარაღის უკანონო შეძენა-ტარება ედებოდა ბრალად. მოსამართლემ კობალაძე ამბოხების ნაწილში უდანაშაულოდ ცნო, მაგრამ იარაღის უკანონო შეძენა-ტარებისთვის 8 თვე და 6 დღე შეუფარდა. სასამართლოს დასრულებამდე ზუსტად ამდენი ხანი კობა კობალაძემ ციხეში გაატარა და ამიტომაც, იგი დარბაზიდანვე გაათავისუფლეს.



გია კრიალაშვილი

მოსამართლის ამ სკანდალურ გადაწყვეტილებას დარბაზში დიდი ოვაცია მოჰყვა. ერთადერთი მტკიცებულება, რომელიც საქმეში მის წინააღმდეგ არსებობდა და რის საფუძველზეც ბრალი წაუყენეს, გია ღვალაძის ცნობილი, ფარული ვიდეოჩანაწერია, რომელიც მაშინ ტელევიზიებმა იმდენჯერ „ატრიალეს“, საზოგადოებამ თითქმის დაიზეპირა. ღვალაძე ბევრ პირს ამხელდა და აცხადებდა, რომ კობალაძეს მარტში, რესტორან „მცხეთაში“, კობა ოთანაძეს და მისთვის უცნობ ორ პიროვნებასთან ერთად შეხვდა და მათ სწორედ ამბოხებაზე ისაუბრეს. სწორედ ღვალაძის ფარული ჩანაწერი, რომელზეც საზოგადოებაში არაერთგვაროვანი მოსაზრებები არსებობდა, გახდა რამდენიმე ადამიანის და მათ შორის, კობა კობალაძის დაკავების მიზეზი. საზოგადოების დიდი ნაწილი ე.წ. მუხროვანის ამბოხს ხელისუფლების მორიგ სპექტაკლს უწოდებდა, ნაწილი კი მსგავს მზადებას არ გამორიცხავდა.

ქვეყნის წინაშე გენერალ კობალაძის დამსახურებაზე მაშინ სამხედრო ექსპერტები ბევრს ლაპარაკობდნენ. ისიც ცნობილია, რომ ქვეყნის სამსახურში ყოფნისას, მას 9 ტყვია მოხვდა და 6 თვე ინვალიდის ეტლსაც კი იყო მიჯაჭვული. ის ერთადერთი ადამიანია, რომელიც სამი ხარისხის ორდენითაა დაჯილდოებული. ასევე, უამრავი მადლობა აქვს მიღებული პრეზიდენტების — გამსახურდიას, შევარდნაძის და სააკაშვილის მმართველობის დროს. მის ხელში 3000-მა ჯარისკაცმა გაიარა და ბევრი მათგანი დღეს მაღალ თანამდებობაზეა.

დაკავების მომენტიდან კობალაძე კატეგორიულად არ ეთანხმებოდა წაყენებულ ბრალდებას და თავს უდანაშაულოდ აცხადებდა. მაშინ ადვოკატი გელა ნიკოლაიშვილი ამბობდა: გენერლის აზრით, მას პროვოკაცია თავად მიხეილ სააკაშვილმა და ვანო მერაბიშვილმა მოუწყვესო. არც იმას მალავდნენ, რომ დაკავებამდე კობალაძეს ხელისუფლებამ სამჯერ მიუგზავნა კაცი, რომელმაც მას საქართველოს დატოვება მოსთხოვა. მიზეზად არმიაში მის დიდ ავტორიტეტს ასახელებდნენ. ხელისუფლება მიიჩნევდა, რომ ეს სახიფათო იყო მისთვის. აგვისტოს ომის შემდეგ, როცა კობალაძეს საკუთარი თვალით უნახავს რეალობა, ხელისუფლებისთვის პარტიზანული მოძრაობის შექმნა შეუთავაზებია. ციხეში მყოფი კობალაძე თავის დაკავებას სწორედ ამ ამბავს უკავშირებდა. ამბობდა: ამ სიტყვების შემდეგ, პირველ პირებს მოლანდებები დაეწყოთ და მომთხოვეს იმ კონკრეტული გვარების ჩამოთვლა, რომელთაც გვერდით დავიყენებდი. სწორედ ამის შემდეგ დაიწყო თვალთვალი და ამის შემდეგ მომთხოვეს საქართველოს დატოვებაო.

ადვოკატი **ქეთი ბექაური** დღეს ამბობს, რომ ასეთ გადაწყვეტილებას ნამდვილად ელოდა:

— *გენერალ კობა კობალაძეს ორგანიზატორად ასახელებდნენ. სასამართლოზე ნათელი გახდა, რომ მის წინააღმდეგ არანაირი სამხილი არ არსებობდა, პროკურატურამ ვერც ერთი მტკიცებულება ვერ წარმოადგინა, გარდა ღვალაძის ცრუჩვენებისა. მიუხედავად ამისა, პროკურატურამ მაინც, მისთვის 13 წელი და 6 თვე მოითხოვა. მერწმუნეთ, მოსამართლეს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის სურვილი რომც ჰქონოდა, ელემენტარულად, საქმეში ვერ მოიპოვებდა ვერანაირ მტკიცებულებას, რომლის გამამტყუნებელ განაჩენში მითითებას შეძლებდა. კობალაძის უდანაშაულობაში სასამართლო იმდენჯერ დავარწმუნეთ, რომ სხვაგვარი განაჩენის გამოტანა წარმოუდგენელი იყო. მივესალმები მოსამართლე კოპალიანის ასეთ ნაბიჯს. კარგი იქნება, თუ სხვა მოსამართლეებიც ასეთ სამართლიან გადაწყვეტილებებს მიიღებენ. როგორც ადვოკატი, მივიჩნევ, რომ არც კობა ოთანაძის, არც ლევან ამირიძის და სხვათა მიმართ გამამტყუნებელი განაჩენისთვის საქმეში საკმარისი მტკიცებულებები არ არსებობდა. ჩვენ იარაღის ნაწილში გამოტანილ გადაწყვეტილებას გავასაჩივრებთ. მოსამართლეს სხვა გზა არ ჰქონდა: კობალაძე ამ ნაწილშიც რომ გაემართლებინათ, ის უკანონო პატიმარი იქნებოდა და ამ შემთხვევაში ისინი უნდა დაესაჯათ, ვინც კობალაძე უკანონოდ გამოკეტა ციხეში. რაც მოხდა, სპექტაკლი იყო და ამ სპექტაკლზე სასამართლო გამოძიება ჩატარდა. არანაირი ამბოხი და ამბოხის მცდელობა არ ყოფილა. სპექტაკლის მთავარ გმირს, გია ღვალაძეს, რომლის ცრუჩვენების საფუძველზე ადამიანები ციხეში გამოკეტეს, საპროცესო შეთანხმება გაუფორმეს და 2 წელი მიუსაჯეს. ჩემი ინფორმაციით, ის დღეს მერვე საპყრობილეში არსებულ სამკურნალო დაწესებულებაში იხდის სასჯელს.*



კობა კობალაძე

გენერალმა კობა კობალაძემ სასამართლო შენობა კომენტარის გარეშე დატოვა — მას სახლში მონატრებულ ოთხ შვილთან, მეუღლესთან და ახლობლებთან მიეჩქარებოდა. თუმცა სასამართლოდან ჯერ ორთაჭალაში, გოგირდის აბანოში წავიდა და მხოლოდ ამის შემდეგ დაუბრუნდა გახარებულ ოჯახის წევრებს. როგორც მისი ადვოკატი ამბობს, რომ ემოციური ფონი იმდენად მაღალი იყო, რომ კობა კობალაძეს კომენტარი არ გაუკეთებია, მაგრამ მომხდარზე თავის პოზიციას მალე დააფიქსირებს.

კობა კობალაძე უკანონო პატიმრობას დაკავებიდანვე აპროტესტებდა. მან ციხეში 42 დღე იშიმშილა და პატიმრობაში ყოფნისას წონაში 35 კგ დაიკლო.

რაც შეეხება ლევან ამირიძის, კობა ოთანაძისა და სხვათა საქმეებს, — მათი ადვოკატები განაჩენს სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრებენ.

■



# სახე

## „სექსუალური და მხეცი მეუღლე ვიქნები“...

**„რუსთავი 2“-ის დილის გადაცემას ახალი სეზონიდან ახალი ინტერნეტმიმომხილველი ჰყავს; დავით ხაბურძანია იგივე გურიჩა, ალექსანდრე დავითაშვილმა შეცვალა. ამ ექსცენტრიკულ ადამიანს ინტერვიუსთვის „რუსთავი 2“-ის ოფისში ვესტუმრეთ. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ჩემს რესპონდენტს ჩვენი ინტერვიუ სულ გადაავიწყდა და ხანგრძლივი ძებნის შემდეგ მას „საბავშვო ამბების“ ჩაწერაზე მივაგენ-ით... საკუთარი შვილი ჯერ არ ჰყავს და ამიტომ სხვის შვილებზე გიჟდება... დიახ, იმ დღესაც სტუდიაში ერთი კისერზე დაესვა, მეორე კალთაში ჩაესვა და ბედნიერებისგან თვალები უბრწყინავდა.**

### 22 წლის 2-მეტრიანი უნივერსალური ტელეწამყვანი



*ნინო მჭედლიშვილი*

— ვგიჟდები ამ პატარებზე. მათთან ბევრ დროს ვატარებ, ვეხმარები, ზოგჯერ ისინიც მეხმარებიან, ერთმანეთს აზრებს ვუზიარებთ. წკაპუნას მეძახიან (რუბრიკა აქვთ გადაცემაში — „წკაპუნა ამბები“, ოღონდ მე „დიდი“ წკაპუნა ვარ). ძალიან საყვარელი ბავშვები არიან.

— **თვითონ როგორი იყავი პატარაობაში?**

— არ მახსოვს, ალბათ ჩვეულებრივი. თუმცა არა, ვიტყუები. მე არაჩვეულებრივი ბავშვი გახლდით. თავიდანვე უცხო ენებით ვიყავი გატაცებული და რამდენიმე ენას ერთდროულად ვეუფლებოდი.

— **დღეს რამდენ ენაზე ლაპარაკობ?**

— დავასახელებ და შენ დაითვალე: ვლაპარაკობ ქართულად, ინგლისურად, ესპანურად, ცოტა გერმანულად, ფრანგულად, იტალიურად, უკრაინულად, ჰოლანდიურად და სვანურად...

— **რამდენი წლის ხარ?**

— 22-ის.

— **როდის მოასწარი ამდენი ენის შესწავლა?**

— ისეთი პროფესია მაქვს, ურთიერთობა ყველა ეროვნების ადამიანთან მიწევს. მაშინ, როდესაც აქტიური ჟურნალისტი არ ვიყავი, გამყოლად ერთ-ერთ ტურისტულ კომპანიაში ვმუშაობდი და ურთიერთობა ათასი ჯურის ხალხთან მიწევდა. ენებს იოლად ვსწავლობ.

— **სად გაიზარდე?**

— ვლადიკავკაზში, ყაზბეგში, თბილისში... სკოლაში ექსტერნად დავდიოდი, ატესტატი ბოლოს, გორის ერთ-ერთი სკოლიდან ავიღე. ბავშვობიდან ბევრს ვკითხულობდი, ვხატავდი, კალათბურთის თამაშიც დავიწყე (*ჩემი რესპონდენტი სიმაღლით 202 სმ-ია. — ავტ.*) და ყველა ხელს მიწყობდა, რომ მეთამაშა. ასე რომ, კალათბურთს 24 საათის განმავლობაში ვთამაშობდი... შემდეგ ტრავმის გამო, სამწუხაროდ, ჩემი კარიერა შეწყდა, მაგრამ ის ბედნიერი წლები შემრჩა...

— **ბავშვობაში არაფერს აშავებდი? მშობლები რას გიკრძალავდნენ?**

— არაფერს ვაშავებდი (*ფიქრობს*). აა, გამახსენდა — კედლებზე ხატვა მიყვარდა და ბებიაჩემი ამის გამო მეჩხუბებოდა, უფრო სწორად, დიდი მოთმინებით მიხსნიდა, რომ ჩვენ კი მოგვწონს შენი ნახატები, მაგრამ ადამიანებს ფლომასტერით მოხატულს, მაინც თეთრი კედლები ურჩევნიათო.

— **რას ხატავდი?**

— ყველაფერს, ვიკინგური ზღაპრების პერსონაჟებს, საკუთარ თავს, ერთხელ, ერეკლე მეფე დავხატე... მაშინ უკვე ისტორიას ვსწავლობდი.

— **ექსტერნად?**

— ისტორია ისეთი რამაა, დეგენერატი უნდა იყო, რომ წაიკითხო და ვერ გაიგო. ასე რომ, არ უნდა მაგ საგანს მასწავლებელი...

— **საკუთარ თავში რა თვისებები არ მოგწონს?**

— ერთდროულად რამდენიმე საქმეს ვიწყებ ხოლმე და ეს არ მომწონს. ისე, ყველაფერში პატარ-პატარა წარმატებას კი ვაღწევ... ახლა ვცდილობ, რომ მხოლოდ ჟურნალისტიკაში დავრჩე, ამასთან, ჩემი საქმიანობა შემოიფარგლოს — სცენარისტობით, რეჟისორობით, ფოტოგრაფობით, რეკლამმეიკერობით... „ნიუსებში“ მუშაობა ძალიან მიყვარს, რადგანაც ცხელ-ცხელ ამბებზე ვგიჟდები.

— **სხვებს ქათინაურებით ხშირად ამკობ?**

— უი, კი და თან ძალიან უცნაური ქათინაურებიც გამომდის. მაგალითად, შეიძლება, ვიღაცას ვუთხრა, — „რა ციყვური ხარ დღეს“, თუნდაც იმიტომ, რომ თმა ჟღალად ჰქონდეს შეღებილი. ასეთი ქათინაურების მოსმენისას, გაკვირვებულნი მიყურებენ. ისე, რა დაგიმალო და მეც მიხარია, „საყვარლობებს“ რომ მეუბნებიან... მაგალითად, ნინო არაზაშვილი ალექსანდრიკოს მეძახის (*იცინის*).

— **ამ დროს არ წითლდები?**

— არა?! ამას შეჩვეული ვარ (*იცინის*)!

— **მაშ, როდის წითლდები?**

— როცა ჩემი თანდასწრებით, ჩემზე ლაპარაკობენ...

— **შენზე ცუდსაც ლაპარაკობენ?**

— რა თქმა უნდა...

— **მტრები თუ გყავს?**

— მგონი, არა. არავისთვის ისეთი არაფერი დამიშავებია, მტრად რომ გადამქცეოდა.

— **შენთვის თუ დაუშავებიათ რამე?**

— კი, მაგრამ ადვილად ვაპატიებ ხოლმე.

— **გაბრაზებული როგორი ხარ?**

— იშვიათად ვბრაზდები და მაშინაც საშინელი ვარ. ისეთ სიტყვებს ვამბობ, როგორიც მანამდე ჩემგან არავის მოუსმენია. ყველაფერს ვამტვრევ, ვამსხვრევ, ვჭრი...



„ვარდის თემა“ ჩემთვის ძალიან გაცვეთილია

— **ნუ შეგვაშინე...**

— არა, იმ დროს მართლა ძალიან ცუდი ვარ, მაგრამ საბედნიეროდ, ძალიან იშვიათად ვბრაზდები.

— **ქუჩაში სასიამოვნო გარეგნობის გოგონამ ვარდი რომ გაჩუქოს, რას მოიმოქმედებ?**

— „ვარდის თემა“ ჩემთვის ძალიან გაცვეთილია.

— **გოგონამ სხვა რა უნდა გაჩუქოს, შენი გული რომ მოიგოს?**

— ფოტოაპარატის ობიექტივი „ქენონის“ ფირმის ლინზა ფოტოაპარატისთვის. ძალიან ძვირი ღირს და ვერ ვყიდულობ. ან 17-დუიმიანი და მონიტორიანი მაკინტოშის ნოუტბუკი.

— **და შენს გულს ასე მოიგებს?**

— გულს არა, მაგრამ სანაცვლოდ ღვიძლს, ელენთას და ცალ თირკმელსაც მივცემ...

— **ორი გოგო ერთდროულად გყვარებია?**

— კი. ხანდახან ვფიქრობ, რომ ძალიან ბევრი მიყვარს ერთდროულად...

— **როგორი მეუღლე იქნები?**

— კარგი. სექსუალური, მხეცი (*იცინის*)... რომ გითხრა, ძალიან რომანტიკული ვარ და ვარსკვლავებს ვეთამაშები-მეთქი, მოგატყუებ, მაგრამ სიურპრიზები მიყვარს...

— **სიურპრიზის გაკეთება თვითონ თუ შეგიძლია?**

— მე ხომ თავად ვარ მოსიარულე სიურპრიზი?!!

— **ვინმეს სიურპრიზით თუ გაუოცებიხარ?**

— ტომას დორყაკმა გამაოცა. ეს ადამიანი ფოტოგრაფია და დიდი ხანია, საქართველოში ცხოვრობს. როდესაც მან ასისტენტობა შემომთავაზა, მართლა გავოცდი. მასთან კარგა ხანს ვმუშაობდი. ახლა ავღანეთშია, სამწუხაროდ, იქ ველარ გავყევი.

— **დილით მაღვიძარა გაღვიძებს?**

— ჩემი მაღვიძარა ჩემი მობილური ტელეფონია. რაც ვიყიდე, მგონი, მას მერე არ გამომირთავს.

— **როდესაც დასაძინებლად წვები, მაშინვე გეძინება თუ ბევრს ფიქრობ?**

— ბოლო დროს „დავამულამე“ — ფილმებზე მეძინება. განსაკუთრებით კი გელა ბაბლუანის ფილმზე „ცამეტი“ მაგრად მეძინება.

— **მაგ ფილმზე როგორ იძინებ? მაგ სურათში რამდენიმე მძიმე სცენაა (მკვლელობა, თვითმკვლელობა)...**

— კი, მაგრამ მე მართლა მეძინება, არ ვხუმრობ. ასევე კარგად მეძინება ლიზა ეგრალის მუსიკაზე, ის ჩემი უსაყვარლესი ჯაზვუმენია... შვედი ქალი გახლავთ, სალვატორ ეპოს ცოლი. მშურს სალვატორ ეპოსი, გვერდით ასეთი საყვარელი არსება რომ ჰყავს.

— **კულინარიაში თუ ერკვევი?**

— კულინარია ჩემი ჰობია. ცოტა ხნის წინ ლისის ტბაზე ფოტოსესია გვქონდა, ჩემი მეგობრის ბავშვები გავყინე მინუს 2 გრადუს ყინვაში. იქიდან ერთ-ერთთან სახლში წავედით, სადაც დიდი კულინარიული ჯადოქრობა ჩავატარე, ხალხი გამოვკვებე...

— **ესე იგი, კარგი მეუღლე იქნები. თუ შენს მეორე ნახევარს არ ეცლება, კერძს სიამოვნებით მოუმზადებ, არა?**

— დრო უნდა ჰქონდეს. ცოლი მე სახლში მინდა და არა გარე-გარე. აბა, „საგარეო საქმეთა მინისტრი“ ჩემი თავიც მეყოფა.

— **რატომ გგონია, რომ მას თავისი საქმე არ ექნება?**

— უნდა ჰქონდეს, აბა, უსაქმური ცოლი რად მინდა?! ქალები ხომ სრულყოფილები არიან, ყველაფერი უნდა მოასწროს სახლშიც და გარეთაც. ისეთი სრულყოფილები არიან, არ სჭირდებათ, რომ ჭკვიანები იყვნენ.

— **ჭკვიანი ქალები არ მოგწონს?**

— ჭკვიანი ქალი ძალიან იშვიათია, ფაქტობრივად, სანთლით საძებარია. მე ჯერ არ შემხვედრია, მაგრამ პატარა ვარ და იმედს არ ვკარგავ, რომ ასეთი ქალი მომავალში აუცილებლად შემხვდება. ჩემი მეორე ნახევარი ჭკვიანი და ჯიშიანი ქალი მინდა იყოს — ტყუპი რომ გამიჩინოს, ისეთი. ტყუპი მინდა, გოგოებს გენეალოგიის მიხედვით ვარჩევ.

— **სად, „ფეისბუკზე“?**

— არა... ისე, ხუმრობა იქით იყოს და, ჯერ ცოლ-შვილის ნერვები არ მაქვს, მანამდე სხვის ტყუპს ვეთამაშები.

— **მგონი, ცუდი სასიძო არ უნდა იყო, გოგოები არ დგანან რიგში?**

— კი, არ შეგხვდნენ კიბეზე (*იცინის*)? ოღონდ ის არის, რომ დაცვა ზემოთ არ უშვებს... ვხუმრობ, რა თქმა უნდა, ფანები ნამდვილად არ მყავს. მომღერალი ხომ არ ვარ?

— **არ მღერი?**

— კი, ბავშვობიდან. ხალხურ და ქალაქურ სიმღერებს ცოტა ხანს ვმღეროდი, ჩემი ბენდიც მყავდა და ჯაზროკს ვუკრავდით. ახლა ელექტრონულ ჯაზზე გადავედი...

— **როგორი არ უნდა იყოს შენი მეორე ნახევარი?**

— ისეთი, როგორიც არ მინდა, რომ იყოს. მე ჩემი კრიტერიუმები მაქვს — ძალიან სუფთა უნდა იყოს, მოწესრიგებული, პირადი გარდერობი დალაგებული უნდა ჰქონდეს, ასევე სამზარეულო და საერთოდ, ყველაფერი. მე ახლა სახლში მარტო ვცხოვრობ და ყველაფერი მოწესრიგებული მაქვს. ასე რომ, სხვანაირ გარემოს ვერ ავიტან. ჰო, კიდევ — ძუნწი და უცხვირპირო არ უნდა იყოს. ის ოჯახი რა ოჯახია, სადაც სტუმარი არ მიდის?!

— **შენ არ ხარ ძუნწი?**

— ძუნწი არა, უფრო სწორად ხელმომჭირნე ვარ. რაკი თავად მიწევს ფულის შოვნა, თავადვე განვსაზღვრავ, რაში რა უნდა დავხარჯო. კომუნალური გადასახადები ხომ უნდა გადავიხადო, ვილაცასაც უნდა დავეხმარო, სახინკლეშიც ხომ უნდა წავიდე ძმაკაცებთან ერთად...

— **მერე გყოფნის?**

— კი, ბევრი მაქვს შემოსავალი — იმდენი, რომ ახალ წელს პარიზში შევხვდი. კვირაში შვიდი დღე ვმუშაობ და ღამეც არ მძინავს. რომ დავითვალე, კვირის განმავლობაში სულ 12 საათი მძინავს.

— **თავს იკლავ?**

— არა, უბრალოდ ბევრს ვმუშაობ იმიტომ, რომ სიბერეში ბევრმა მუშაობამ არ მომიწიოს. როცა შემიძლია, მაშინ უნდა ვიმუშაო.

— **როგორ წარმოგიდგენია შენი თავი პენსიონერის ამპლუაში?**

— ვერ წარმომიდგენია იმიტომ, რომ მალე უნდა მოვკვდე...

— **სიკვდილს მაინც რა ასაკში აპირებ?**

— ორი ვერსია მაქვს — ან გადაღებაზე მოვკვდები მუშაობისას, ან მთიდან ჩამოვვარდები... მე ხომ მთის კაცი ვარ, მოხევე...

— **როგორც გავიგე, მეორე გვარიც გაქვს — ბაგრატიონი ხარ. ამაზე არაფერს გვეტყვი?**

— არა, ამაზე ლაპარაკი არ მსურს...



დუტა, ალექსანდრე და სანტა

# რომანტიკოსი ლეიბორისტისა და ყოფილი ჟურნალისტის სიყვარულის ამბავი



## „ოთხი წელი დამჭირდა იმისთვის, რომ ნინოს გრძნობაში გამოვტყდომოდი“

**„ის ქალზე უფრო დიდი რომანტიკოსი, უსაზღვროდ თბილი და მზრუნველი ადამიანია“, — ამ სიტყვებით ლეიბორისტ კახა ძაგანიას საკუთარი მეუღლე და ყოფილი ჟურნალისტი ნინო ძაგანია ახასიათებს. როგორც ეს ქალბატონი ამბობს, კახას მისთვის სიყვარულის დასამტკიცებლად, ბევრი სიგიჟე ჩაუდენია, ერთხელ აღელვებულ ზღვაშიც კი შესულა და სანაპიროსთან დარჩენილი სატრფო გვარიანად უნერვიულებია. ბატონ კახასთან საუბრისას, მასზე გარკვეული წარმოდგენა მეც ჩამომიყალიბდა. დავრწმუნდი, რომ ის უსაზღვროდაა შეყვარებული მეუღლეზე, ერთადერთ ვაჟიშვილსა და კიდევ, შალვა ნათელაშვილზე... პროფესიით ქიმიკოსი და იურისტი პოლიტიკაში თავს კომფორტულად გრძნობს და ირწმუნება, რომ საკუთარ მდგომარეობას პირადი ინტერესების განსახორციელებლად არ იყენებს. როგორც გაირკვა, ძაგანია წყალბურთის ფედერაციის პრეზიდენტი და აფხაზეთის ომის მონაწილეც ყოფილა. აფხაზეთში მოხალისედ, მშობლებისგან მალულად წასულა. დღემდე აღტაცებით იხსენებს თავისი ბატალიონის მეთაურს — გია თორაძეს და წუხს, რომ საქართველოს „თავდაცვაში“ დღეს მისნაირი „ბაევოი“ გენერლები აღარ არიან.**

*ხათუნა ბახტურიძე*

**— ბატონო კახა, პროფესიით ქიმიკოსს, იურიდიული განათლების მიღების სურვილი რატომ გაგიჩნდათ ან პოლიტიკაში როგორ მოხვდით?**

— მე საბჭოთა კავშირის დროინდელი ახალგაზრდა ვარ. ტექნიკურ ინსტიტუტში, ქიმიურ ფაკულტეტზე სკოლის დამთავრებისთანავე ჩავაბარე. მინდოდა, რომ შოკოლადის, ღვინის და ლიმონათის დამზადების ტექნოლოგიები შემესწავლა, მაგრამ მალე ქვეყანაში ყველაფერი მოიშალა და ჩემი პროფესიაც უსარგებლო აღმოჩნდა.

**— ღვინო თუ დაგიყენებიათ?**

— აბა, რა! როგორც ყველა ქართველი, ღვინოს მეც ვაყენებ. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გადავწყვიტე, იურიდიული განათლება მიმეღო და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩავაბარე. მაშინ უკვე 30 წლის ვიყავი და სიმართლე რომ გითხრათ, თავიდან ცოტა გამიჭირდა... მოგვიანებით უცხოეთში წავედი და ჩემი პროფესიით მუშაობა დავიწყე.

**— რომელ ქვეყანაში მუშაობდით?**

— ჯერ პოლონეთში, შემდეგ — გერმანიასა და თურქეთში. საქართველოში რომ დავბრუნდი, დიპლომატობა მინდოდა, მაგრამ შალვა ნათელაშვილმა თანამშრომლობა შემომთავაზა და მეც დავთანხმდი.

**— ბატონმა შალვამ თანამშრომლობა რატომ შემოგთავაზათ?**

— შალვასთან ნათელმირონობა მაკავშირებს: დედაჩემი შალვას მეუღლის მეჯვარე და მისი შვილის ნათლიაა, შესაბამისად კარგად მიცნობდა...

**— ხომ არ ნანობთ, რომ მის წინადადებას დათანხმდით?**

— არა, რას ამბობთ?! შალვა ძალიან ჭკვიანი და განათლებული კაცია. მასთან გატარებული ერთი დღეც კი ადამიანის განათლებისთვის ერთობ სასარგებლოა.

**— ხშირად ამბობენ, რომ ლეიბორისტები, ყველანი შალვა ნათელაშვილივით საუბრობენო. თქვენც ხომ არ ცდილობთ, მას მიჰბაძოთ?**

*საუბარში მისი მეუღლეც ჩაერთო, რომელიც მანამდე სახელდახელო სუფრას შლიდა.*

**ნინო:**

— ხალხს ასეთი შთაბეჭდილება ალბათ იმიტომ რჩება, რომ ლეობორისტების უმრავლესობა იურისტია და ერთ ენაზე საუბრობს.

**კახა:**

— არც ასეა საქმე. ასეთ ხმებს „ნაციონალების“ მომხრეები ჩვენი დისკრედიტაციის მიზნით ავრცელებენ.

**— რას გულისხმობთ?**

— უნდათ, ხალხს აფიქრებინონ, რომ ლეიბორისტული პარტია „ერთი კაცის პარტიაა“ და მისი წევრები შალვას ნებართვის გარეშე სიტყვასაც არ ვამბობთ. ისე, ნეტავ, შალვასნაირი განათლებული საქართველოში ბევრნი ვიყოთ! თუ მას ვგავარ, ამაში სასირცხვილოს ვერაფერს ვხედავ: ის ჭეშმარიტი ქართველი, უნიჭიერესი ადამიანია; გარეგნულადაც სიმპათიურია (მაღალი, თხელი, ღონიერი), ამაში ჩემი მეუღლეც დამეთანხმება. ასე რომ, ყოველმხრივ საუკეთესო პიროვნებაა და მეამაყება, რომ მასთან ვმუშაობ. დარწმუნებული ვარ, იმ ადამიანებს, ვინც ჩვენ გვაქილიკებს, ჩვენი შურთ, რადგანაც ლეიბორისტები ერთმანეთის ერთგულები და ერთ მუშტად შეკრული ხალხი ვართ. ოჯახში არ მიწევს იმდენ ხანს ყოფნა, რამდენ ხანსაც სამსახურში... ასე რომ, მუდმივად ერთად ყოფნის შედეგად, შეიძლება, გარკვეული მიმიკითა და საუბრის მანერით ერთმანეთს მართლაც დავემსგავსეთ. სასაცილო იცით, რა არის? სააკაშვილს მისი ხელქვეითები ხელოვნურად რომ ჰბაძავენ.

**— მაინც ვინ ჰბაძავს სააკაშვილს?**

— განსაკუთრებით, გიგი უგულავა, თუმცა მას არც მინისტრები ჩამოუვარდებიან. ჟესტიკულაცია და ტერმინოლოგია სულ თავიანთი ლიდერისგან აქვთ გადაღებული. ასე იმიტომ იქცევიან, რომ სააკაშვილი თავიანთ ერთგულებაში დაარწმუნონ და აფიქრებინონ, რომ მათგან პრეზიდენტის ძალაუფლებას საფრთხე არ ემუქრება...

**— როგორ გგონიათ — პრეზიდენტის ძალაუფლებას მართლა არ ემუქრება საფრთხე?**

— როგორ არა?! გვაქვს ინფორმაცია, რომ პრეზიდენტის გუნდში დიდი დაპირისპირებაა.

**— ესე იგი, კულუარული ინფორმაციების მოპოვების საშუალება გაქვთ?**

— კი, ზღვა ინფორმაცია გვაქვს. კარგად ვიცით, რა ხდება კანცელარიის კულუარებში, პოლიციაში, ჯარში... ისიც კი ვიცით, პრემიერით ვინ რატომ არის უკმაყოფილო...

**— იქნებ რაიმე ისეთი ინფორმაცია გამანდოთ, რომელიც ჯერ არ გახმაურებულა.**

— რა ტიპის ინფორმაცია გინდათ?

— **ნებისმიერი ტიპის, რომელიც თქვენ გაქვთ...**

— სააკაშვილს მალე თავისივე გუნდის წევრები ძალიან მწვავედ დაუპირისპირდებიან.

— **კონკრეტულად ვინ დაუპირისპირდება?**

— ამდენს უკვე ვეღარ გეტყვით.

— **ასეთი კარგი „დაზვერვა" თუ გყავთ და, როგორც თქვენ ამბობთ, პრეზიდენტიც ბევრ შეცდომას უშვებს, ამდენი ხნის განმავლობაში მისი დამარცხება რატომ ვერ შეძელით?**

— ამას სხვადასხვა მიზეზი აქვს...

— **ერთ-ერთ მიზეზი — სუსტი ოპოზიციაც ხომ არ არის?**

— ვერ უარვყოფ, ოპოზიცია მართლაც სუსტია. სწორედ ამიტომ, ჩვენი გაუბედურებული და „დაგლეჯილი" ქვეყნის გადამრჩენლად, შალვა ნათელაშვილის გარდა, ვერც ერთ პოლიტიკოსს ვერ ალვიქვამ. სხვათა შორის, ოპოზიციის სისუსტის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ ხელისუფლება ჩვენ წინააღმდეგ ბრძოლისას შეიარაღებულ ხალხს იყენებს. ამერიკული „ემ-4"-ით მხოლოდ საკუთარ ხალხს აშინებენ, მეტი არაფრის თავი არა აქვთ... ჩვენ მხოლოდ პოლიტიკური განცხადებებითა და თქვენი ანუ ჟურნალისტების მხარდაჭერით ვართ შეიარაღებულნი. სააკაშვილმა ამერიკული გრანტებით აშენებული ციხეები სულ პოლიტპატიმრებით გაავსო.

— **პოლიტიკური დევნა თქვენ მიმართ თუ განხორციელებულა?**

— როგორ არა. ერთი პერიოდი მე და ჩემმა მეუღლემ საკუთარი სახლი დავტოვეთ და საცხოვრებლად ჩვენ-ჩვენს მშობლებთან გადავედით. გვეშინოდა, რომ გამოგონილი საბაბით სააკაშვილის ზონდერ-ბრიგადები თავს არ დაგვესხმოდნენ. ვიდრე სახლს დავტოვებდით, ერთობ საინტერესო და კურიოზული ამბავი გადაგვხდა თავს: 7 ნოემბრის ცნობილი მოვლენები ახალი ჩავლილი იყო, შალვა ნათელაშვილი უკვე ქვეყნის მტრად გახლდათ შერაცხილი და ლეიბორისტების ნამდვილი დევნა იყო გამოცხადებული. ჩემმა ძმამ მითხრა, — ამ სიტუაციაში მარტო არ დაგტოვებო და ჩემთან გადმობარგდა. ერთ ღამესაც, 3-4 საათისთვის კარზე ბრახუნის ხმამ გამოგვაღვიძა. ჩემმა მეუღლემ სათვალთვალოში გაიხედა და დაინახა, რომ სადარბაზო პოლიციელებით იყო გადაჭედილი, ძაღლებიც კი ჰყავდათ მოყვანილი. რა თქმა უნდა, ვიფიქრეთ, რომ ჩემს დასაჭერად იყვნენ მოსულები და კარი არ გავაღეთ. პოლიციელები გვიბრახუნებდნენ და გვემუქრებოდნენ. მე, ჩემი ძმა და ნინო ისე დავიბენით, რომ სირცხვილის გრძნობაც კი დავკარგეთ, ოთახიდან ოთახში ნახევრად შიშვლები დავრბოდით. ბოლოს რა გაირკვა, იცით?.. ვიღაცას ყაჩაღობა ჩაუდენია და ძაღლები სუნს ჩვენს სადარბაზომდე მოუყვანია... რას ვიფიქრებდი, რომ 7 ნოემბრის შემდეგ პოლიციელები ჩვენს კართან შემთხვევით აღმოჩნდებოდნენ?!.

— **ისე, წამით მაინც არ გიფიქრიათ, რომ თქვენი პარტიის ლიდერი შეიძლებოდა, მართლაც, ჩვენი ქვეყნის მტრებთან ყოფილიყო შეკრული?**

— რას მეუბნებით?! გამორიცხულია!

— **რატომ არის გამორიცხული?**

— ჩვენ ერთად ვიბრძვით, ერთ საქმეს ვაკეთებთ და ზუსტად ვიცი, ნათელაშვილი რისი გამკეთებელიცაა. მასში ეჭვი რომ შემპარვოდა, ამ პარტიაში აღარც გავჩერდებოდი. ჩვენ მარტო პოლიტიკოსები კი არა, ჩვენი ქვეყნის რიგითი ჯარისკაცები ვართ, საქართველოს გადარჩენისთვის ვიბრძვით. ბრძოლაში კი ვერაფერს გავაკეთებ, თუ გვერდით მდგომს არ ვენდობი...

— **აგვისტოს ომის დროს როგორ იბრძოდით?**

— პოლიტიკური განცხადებებით... ზევრი სხვა ოპოზიციური პარტიისგან განსხვავებით, ხელისუფლებისთვის მორატორიუმი არ გამოგვიცხადებია, სააკაშვილი სწორედ ჩვენ გავაკრიტიკეთ არასწორი ნაბიჯის გამო და ჩვენვე გამოვააშკარავეთ ხელისუფლების ის წარმომადგენლები, რომლებიც საქართველოდან კისრისტეხით გარბოდნენ. სხვათა შორის, ბადრი ბიწაძეს დღემდე აქვს შენახული წითელ ხიდთან შექმნილი საცობის კადრები.

— **როგორ მოახერხეთ იმ ადამიანების გამოაშკარავება, ვინც საქართველოდან გარბოდნენ?**

— ინფორმაცია საზღვრის დაცვის დეპარტამენტმა და სხვადასხვა სამინისტრომ მოგვაწოდეს. სამინისტროების რიგითი წარმომადგენლები თავადაც შეშფოთებული იყვნენ, გვირეკავდნენ და გვეკითხებოდნენ, — რა გავაკეთოთ, უფროსებმა მიგვატოვესო...

— **გაქცევაზე არ გიფიქრიათ?**

— არა, რა სისულელეა?!

— **თბილისში რომ რუსული ჯარი შემოსულიყო, რას იზამდით?**

— როგორც პარტიის წარმომადგენელი, დამოუკიდებლად არ ვიმოქმედებდი; რასაც ერთად გადავწყვეტდით, ყველანი ისე მოვიქცეოდით. ზუსტად ვიცი, რომ ბრძოლას გავაგრძელებდით, მაგრამ ეს იარაღით ხელში მოხდებოდა თუ პოლიტიკური განცხადებებით, ეგ აღარ ვიცი...

— **ნინო, ოპოზიციონერი პოლიტიკოსის ცოლობა რთულია?**

— ძალიან რთულია, კახა ხომ მუდმივ ბრძოლაშია ჩაბმული. ხელისუფლებაში რომ იყოს, ალბათ ჩვენი ცხოვრება უფრო მშვიდი იქნებოდა. მეგობრები და ნათესავები ჩემ გამო სერიოზულად ნერვიულობენ, განიცდიან. რამდენჯერაც კახა კრიტიკულ განცხადებას გააკეთებს, მირეკავენ და მეკითხებიან, — როგორ ვარ, ხომ არ მეშინია?..

— **არ ურჩევთ, რომ ნაკლებად რადიკალური იყოს?**

— ასეთ საკითხებში არ ვერევი, ვფიქრობ, რომ კახამ თავისი საქმე უკეთ იცის.

— **კახა უკვე ლეიბორისტი იყო, როდესაც ცოლად გაჰყევი?**

— კი. როდესაც კახა გავიცანი, გაზეთ „შანსის" კორესპონდენტი ვიყავი. მას პირველად, ნათელაშვილის პრესკონფერენციაზე შევხვდი, მაშინ უცხოეთიდან ახალი ჩამოსული იყო და ახალგაზრდული ფრაქციის თავმჯდომარე გახლდათ... გაცნობისთანავე ჩემს გადაბირებას შეეცადა... ინგლისური ენის სპეციალისტი ვარ და პარტიაში საერთაშორისო განყოფილების ხელმძღვანელობა შემომთავაზა. მეც დავთანხმდი.

— **ბატონო კახა, გამოტყდით — ნინოს სამსახური პირადი სიმპათიის გამო შესთავაზეთ?**

— გამოვტყდები და გეტყვით, რომ მართალი ხართ... დავინახე თუ არა ნინო, მაშინვე გამიჩნდა მის მიმართ განსაკუთრებული გრძნობა. ასე რომ, მე ერთი ნახვით შეყვარების მჯერა!..

— **მისი გულის მოგება მალე მოახერხეთ?**

— ვერა. 4 წელი დამჭირდა იმისთვის, რომ ნინოსთვის სიყვარული გამემხილა...

**ნინო:**

— მე თავიდანვე მივხვდი, რომ შევუყვარდი...

**კახა:**

— ვიდრე ჩემი გრძნობის სიწრფელეში ბოლომდე არ დავრწმუნდი, არაფერი ვუთხარი; არ მინდოდა, ვინმესთვის ჭორაობის საბაბი მიმეცა...

**ნინო:**

— სიყვარული რომ გამიმხილა, ჩემი ცხოვრება სრულიად შეიცვალა. სიურპრიზს სიურპრიზი მოსდევდა... ერთხელ ყვავილები თბილისიდან ბათუმში გამომიგზავნა. მე რომანტიკოსი არა ვარ, მაგრამ კახა ისეთ რაღაცებს აკეთებდა, რომ სინდისი უფლებას არ მაძლევდა, უყურადღებოდ დამეტოვებინა. კეთილსინდისიერი და კარგი ადამიანია.

— **მხოლოდ ერთი შვილი გყავთ?**

— კი, ჯერჯერობით მარტო ბექა გვყავს, რომელიც ახლა 6 წლისაა. კახას ძალიან უნდა, რომ გოგოც გვყავდეს...

— **მართლა ისეთი იდეალური ურთიერთობა გაქვთ, რომ არასდროს კამათობთ?**

— შეიძლება, ეს ყველაფერი შორი-



დან დაუჯერებლად ჩანს, მაგრამ მართლა ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს. ჩვენ ხომ 16 ან 17 წლის ასაკში არ დავქორწინებულვართ, ერთად ცხოვრება სრულიად გააზრებულად, ერთმანეთის კარგად გაცნობის შემდეგ გადავწყვიტეთ.

**კახა:**

— ნინოს ერთი დიდი ნაკლი აქვს.

— **რას გულისხმობთ?**

— პოლიტიკოსის ცოლია...

— **პოლიტიკოსებზე ადამიანების უმრავლესობას მართლაც არა აქვს კარგი წარმოდგენა. ნინო, თქვენ რას ფიქრობთ ამის შესახებ?**

— მე ასე არ ვფიქრობ...

**კახა:**

— ზოგიერთი, არაკეთილსინდისიერი პოლიტიკოსი სახელს სხვასაც უტეხს.

— **ხალხის დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ პოლიტიკოსები გამუდმებით იტყუებიან. როგორ ფიქრობთ — თქვენ, როგორც პოლიტიკოსს, გენდობიან?**

— რატომ არ უნდა მენდობოდნენ?! გადახედონ ჩემს წარსულს და ისე იმსჯელონ. მე ამ ხელისუფლების წარმომადგენლებისგან განსხვავებით, ტყუილი დაპირებები არავისთვის მიმიცია.

— **ალბათ ოპოზიციაში ყოფნა და ხელისუფლების კრიტიკა გაცილებით იოლია, ვიდრე კონკრეტული საქმის კეთება...**

— კი, ეგ მართალია. მაგრამ მოგვცენ, ბატონო, საქმის კეთების საშუალება! ლეიბორისტები მხოლოდ ხელისუფლების კრიტიკით არც ახლა ვართ დაკავებულები, ჩვენს საქმესაც ვაკეთებთ — სასამართლოში უამრავი, სოციალურ საკითხთან დაკავშირებული დავა გვაქვს მოგებული, გაზისა და დენის ტარიფების შემცირება სწორედ ჩვენი დამსახურებაა. ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, საქმის კეთების უფრო რეალური შანსი გვექნება. სხვა თუ არაფერი, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას მაინც დავიწყებთ. სხვათა შორის, სოციალურ პრობლემებსაც სააკაშვილის ხელისუფლებაზე გაცილებით უკეთ მოვაგვარებთ.

— **ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას როგორ აპირებთ?**

— პირველ რიგში, საგარეო პოლიტიკას შევცვლით — რუსეთთანაც აღვადგენთ დიალოგს და თანამშრომლობას არც ამერიკასა და ევროპასთან შევწყვეტთ.

— **რუსეთის ხელისუფლებასთან, რომელიც მსოფლიო საზოგადოების წინაშე ნაკისრ ვალდებულებებს არ ასრულებს და გამუდმებით იტყუება, დარწმუნებული ხართ, რომ შეძლებთ, ჩვენთვის სასურველ ფორმატში მოლაპარაკების წარმართვას?**

— მარტო რუსეთი კი არა, თავისი ეროვნული ინტერესის გამო, ამერიკაც მოგვატყუებს და ევროპაც; მთავარია, ჩვენ არ მოვიტყუოთ თავი და ამ უზარმაზარ სახელმწიფოებს შორის ლავირება შევძლოთ. ■

# შორენა ბეგაშვილი თხოვდება?

**„გზასთან“ საუბრისას, მსახიობმა და ტელეწამყვანმა — შორენა ბეგაშვილმა აღნიშნა, გადაცემა „სიმართლის დროში“ მონაწილეობა იმიტომ მივიღე, რომ საზოგადოებას ჩემი ნამდვილი სახე დაენახა და ჩემზე გავრცელებული ჭორებისთვის წერტილი დამესვაო. ახლახან შორენას შესახებ ქალაქში ინფორმაცია გავრცელდა — გათხოვებას აპირებსო. ამის გადასამოწმებლად თავად შორენა ბეგაშვილს დავუკავშირდით.**

ეთო ყორღანაშვილი



— ადრე ცოტა სხვანაირი ჭორი გამივრცელეს — სარფიანად გათხოვებას აპირებსო (*იცინის*)!

— **სარფიანად გათხოვებაზე რა აზრის ხარ?**

— ჩემთვის მიუღებელია, ზოგისთვის კი შეიძლება, მისაღებიც იყოს.

— **სხვათა შორის, შენს სავარაუდო საქმროდ ტელეკომპანია „იმედის“ ერთ-ერთ შეფს ასახელებენ.**

— (*იცინის*) ვაიმე, ამაზე რა კომენტარი უნდა გავაკეთო? ალბათ, ასე იმიტომ ამბობენ, რომ ერთად ვმუშაობთ. მგონი, ხუმრობთ (*იცინის*).

— **გათხოვებას მართლა აპირებ?**

— არა, რატომ უნდა გავთხოვდე?

— **პირად ცხოვრებაში არაფერი ხდება?**

— პირადი ცხოვრება მხოლოდ ჩემია, მაგრამ პრინციპში, მნიშვნელოვანი მართლა არაფერი ხდება; შორენა არ გათხოვდება, ყოველ შემთხვევაში — ჯერჯერობით.

— **აბა, ასეთი ჭორის გავრცელების საფუძველი რა არის?**

— არ ვიცი.

— **ალბათ, ერთ-ერთი მიზეზი შენი გადაცემაა — „საუბრები სექსზე“, რომლის საშუალებითაც ყურადღების ცენტრში ხარ.**



— შეიძლება, ასეა. საერთოდ, ზოგ ადამიანს ჭორების გავრცელება ცხოვრებას უადვილებს.

— **გადაცემაში თავს კომფორტულად გრძნობ?**

— ძალზე კომფორტულად!

— **გადაცემის ეთერში გასვლის შემდეგ, მაყურებელთა ნაწილს იმედი გაუცრუვდა...**

— ეს მოსალოდნელი იყო. ნელ-ნელა, „საუბრები სექსზე“ უფრო დაიხვეწება — მაყურებელი მეტი ინფორმაციისთვისაა მზად. სამომავლო გეგმებში რაღაც ცვლილებები ნამდვილად გვაქვს.

— **შორენა, შენზე გავრცელებული ჭორები არ გაღიზიანებს?**

— ჩემში საერთოდ არანაირ რეაქციას არ იწვევს. უამრავ ჭორს მივრცელებენ და ყველაფერს ყურადღება რომ მივაქციო, ძალიან შორს წავალ. თუკი ჩემზე ჭორების გავრცელება, ვინმეს დაამშვიდებს, კი, ბატონო, რაც უნდათ, ის თქვან — ჩემთვის სულერთია! ღმერთმა ყველას ხელი მოუმართოს. პირადად მე, ჭორაობა არ მიყვარს, რადგან ვიცი, რომ ამით ვიღაცას გულს ვატკენ.

*ჭორების ობიექტი მხოლოდ შორენა ბეგაშვილი არ გამხდარა:*

*პოლიტიკოს დავით საგანელიძის შესახებაც გავრცელდა ინფორმაცია — ახალშერთულ ცოლს დაშორდაო. რა თქმა უნდა, მაშინვე ბატონ დათოს დავუკავშირდით. როცა საქმის ვითარება ავუხსენით, მის სიბრაზეს საზღვარი არ ჰქონდა. განრისხებულ-გაოცებულმა გვითხრა, — არ ვიცი, ასეთ სულელურ ჭორებს რატომ მივრცელებენო!* ■

# „სექსუალური სინთეზი“

## გაფრთხილება სამსახიობო კარიერის მოსურნე ახალგაზრდებისთვის

**ახალდაარსებული „თეატრი შარდენზე“ მაყურებელს სკანდალური სპექტაკლით — „სექსუალური სინთეზი“ „გაუმასპინძლდა“: ორმაგი ცხოვრების მქონე რეჟისორ ჟამენტო ტარანტინოს არაჩვეულებრივი მეუღლე ჰყავს, იმავდროულად, რეჟისორი სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელია და გამოუცდელ ახალგაზრდებს უფსკრულში გადასაჩეხად იყენებს... როგორც პიესის ავტორი და რეჟისორი — შოთა ფირცხალაიშვილი აღნიშნავს, დღეს ჩვენშიც შეხვდებით გეი რეჟისორებს, რომლებიც წარმატების მოსურნე ახალგაზრდების ცდუნებას ცდილობენ. სპექტაკლს პრემიერის დღესვე მაყურებელთა მკვეთრი რეაქცია მოჰყვა: აფიშები ჩამოხიეს და შეიძლება, ითქვას, „სექსუალური სინთეზი“ „დაარბიეს“. სამაგიეროდ, სპექტაკლით რეჟისორიც და მსახიობებიც კმაყოფილები არიან. მათ მიაჩნიათ, რომ „სექსუალური სინთეზი“ თეატრალურ სფეროში თავის დამკვიდრების მოსურნე ახალგაზრდებს აფრთხილებს.**



*ეთო ყორღანაშვილი*

**ლევან ბერია,** *მსახიობი:*

— ჩემი პერსონაჟი — ჭაბუკა ახალგაზრდა, სამსახიობო კარიერით დაინტერესებული ბიჭია. იგი წინდახედულობას იჩენს და რეჟისორის შეთავაზებას (ფილმში გადაღების თაობაზე) ბრმად არ თანხმდება. მისი მიზანია, ჟამენტო ტარანტინოს ბინძური საქმიანობა შეაწყვეტინოს.

**— სპექტაკლში შენი გმირი გეის როლის მორგებას ცდილობს. არ გაგიჭირდა როლის შესრულება?**

— მართალია, ჟამენტოსთან ჭაბუკა რაღაც „შეთამაშებას“ აკეთებს, მაგრამ არ გამჭირვებია. როლზე მუშაობა ძალიან საინტერესო იყო!

**— როგორ ფიქრობ — ქართველებს ეს სპექტაკლი გვჭირდება?**

— რა თქმა უნდა! ქართულ რეალობაში ასეთი რამ ხშირად ხდება და არა მხოლოდ თეატრალურ სფეროში! მინდა, რომ ჩემმა პერსონაჟმა იმ ახალგაზრდებს, ვინც სამსახიობო კარიერაში 1-ელ ნაბიჯებს დგამს, აჩვენოს, რომ მეტი ყურადღების გამოჩენაა საჭირო: პირველივე შეთავაზებაზე ილუზიები არ უნდა შეიქმნან. აუცილებელია, დაწყნარდნენ და გადაწყვეტილება აუღელვებლად მიიღონ!

**ირინა წერეთელი,** *მსახიობი:*

— ჟამენტოს მეუღლეს — ტრადიციულად აღზრდილ, ფუფუნებას მიჩვეულ, გათამამებულ ქალბატონ კლარას ვასახიერებ. კლარა ხვდება, რომ მისი ქმარი ცხოვრების სტილს იცვლის, მაგრამ ამის დაჯერება არ სურს. საბოლოოდ, მეუღლეს ღალატობს, მაგრამ ეს ბინძური ღალატი ნამდვილად არაა — ჟამენტო კვდება და კლარა ჭაბუკასთან რჩება.

**— ირინა, როგორ ფიქრობ — სპექტაკლში მოთხრობილი ამბავი რეალურია?**

— ასეთი ამბების შესახებ ხშირად გამიგონია, მაგრამ პირადად არასოდეს შემმთხვევია.





**შოთა ფირცხალაიშვილი,** *რეჟისორი:*

— საქართველოშიც არიან ცნობილი, წარმატებული ადამიანები, რომლებიც საზოგადოების წინაშე ინილბებიან — თავის ნამდვილ სახეს მალავენ, ორმაგი ცხოვრებით ცხოვრობენ. მათი „წყალობით“ კი — წარმატების მოსურნე ახალგაზრდები უფსკრულში იჩეხებიან. ეს ჩემი პირადი აზრი არაა — ამის დამადასტურებელი უამრავი ფაქტი არსებობს ჩვენს რეალობაში.

**— ასეთ ადამიანებს პირადად თუ შეხვედრიხართ?**

— პირადად — არა, მაგრამ მეგობრებისგან მსმენია, რომ ასეთი შემთხვევა ბევრჯერ დაფიქსირებულა. სპექტაკლის მთავარი პერსონაჟის ტრაგედია ისაა, რომ იგი საკუთარ უვარგისობას აცნობიერებს, მაგრამ მაინც ცუდ არჩევანს აკეთებს.

**— მთავარი როლის შესრულება თავად რატომ გადაწყვიტეთ?**

— ამ როლს თავი ვერავინ გაართვა. არადა, პრემიერა დაგეგმილი იყო და გამოუვალ სიტუაციაში აღმოვჩნდი. მოკლე დროში ჩემს სათქმელს ჩემზე უკეთ ვერავინ იტყოდა, რადგან პიესის ავტორი მე გახლავართ. უახლოეს მომავალში, ჩემს თავს სხვა მსახიობით ჩავანაცვლებ.

**— როგორც ამბობთ, სპექტაკლში მოთხრობილი ამბავი რეალურადაც ხდება ხოლმე. საინტერესოა, ქართველ რეჟისორებს როგორი რეაქცია ჰქონდათ, როცა „სექსუალური სინთეზის“ შესახებ შეიტყვეს?**

— მათი ხისტი რეაქცია დავინახე! გადაკვრით მითხრეს, — კი, ნორმალური სპეაქტაკლიაო, — მაგრამ ქვეტექსტი ასეთი იყო: რას სჩადი, რას აკეთებო! ნათქვამია, — სიმართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდესო. მე ცხენი შეკაზმული არ მყავს. ყველაფერი ხელოვნების ჩარჩოში მოვათავსე და სიმართლე ვთქვი. მინდა, ახალგაზრდები ჩემი სპექტაკლით გავაფრთხილო: ნუ აიტაცებენ რეჟისორების 1-ელივე შეთავაზებას. ჯერ ყველაფერი კარგად გაიაზრონ და ისე დაეთანხმონ. ■

# ბაღდადურის ცეკვით დამტკიცებული სიყვარული და „სერიოზული“ გადაცემის წამყვანები

**„კომედი-შოუს“ საინფორმაციო ბლოკის წამყვანები — ნიკა კაცია და ხატია მელქაძე სამსახურმა უმალ დაამეგობრა და დღეს თითქმის ყველგან ერთად დადიან, ამიტომაც მეგობრები მათ ხატია-კაციას ეძახიან... მიუხედავად იმისა, რომ უკვე დიდი ხანია, „სერიოზულ“ საინფორმაციო პროგრამას უძღვებიან, კოლეგებს არ იცნობენ და მათთან შეხვედრას უახლოეს მომავალში გეგმავენ.**



*ელენე ბასილიძე*

**ნიკა:**

— სექტემბერში „კომედი-შოუს“ ბიჭებმა ახალი მსახიობების შერჩევა დაიწყეს და სწორედ მაშინ მე და ხატიასაც დაგვირეკეს. გასაუბრებაზე ცალ-ცალკე შევედით, ორივეს ნიუსები წაგვაკითხეს, შემდეგ კი აღმოჩნდა, რომ ახალი საინფორმაციო ბლოკისთვის წამყვანებად ჩვენ აგვარჩიეს. ერთმანეთს კი მე და ხატია რეალურად შესარჩევი ტურის მესამე ეტაპზე შევხვდით და საცდელი გადაცემაც ჩავწერეთ...

**ხატია:**

— მე და ნიკა ერთმანეთს დიდი ხანია, ვიცნობთ, როცა მე თეატრალურ უნივერსიტეტში ვსწავლობდი, ნიკა ხშირად მოდიოდა იქ.

**ნიკა:**

— კი, ვიცნობდით ერთმანეთს, მაგრამ ახლო ურთიერთობა არ გვქონდა, პირველი სამსახურებრივი შეხვედრისთანავე დავმეგობრდით და ახლა ყველაფერს თავზე ვიმხობთ!

**ხატია:**

— ოღონდ, როცა ჩაწერის დღეა, არ ვცანცარებთ, ამ დროს მთლიანად „ტექსტში ვართ“ ჩაფლულები და მეტი არაფერი გვაინტერესებს.

**— ვიცი, რომ ტელევიზია ორივეს ძალიან გიყვართ...**

**ნიკა:**

— ტელევიზიით ბავშვობაშივე „მოვიწამლე“, სულ პატარა ვიყავი, მაშინდელ „პირველ არხზე“ რომ მოვხვდი და უამრავი კამერით, განათებითა და ტექნიკის დანახვით გაოგნებული ვიყავი. დღეს კი ჩემთვის, ტელევიზიის გარეშე ცხოვრება იგივეა, უჰაეროდ დახურულ ყუთში რომ მომათავსონ! ჩემი ყოველგვარი პოზიტიური ემოცია ტელევიზიას უკავშირდება. ერთწლიან ტაიმ-აუტს, რომელიც ცოტა ხნის წინ ტელევიზიიდან ავიღე — კლინიკური სიკვდილი დავარქვი.

**ხატია:**

— დღესდღეობით, ტელევიზია ჩემი ცხოვრებაა; მიუხედავად იმისა, რომ თეატრის მსახიობობაზე ვოცნებობ (რაც სამწუხაროდ, ჯერ ვერ ავიხდინე), ბედნიერი ვარ, აქ რომ ვმუშაობ. იმდენად კარგი კოლექტივი გვყავს, შეუძლებელია, დადებითად არ დაიმუხტო (*იცინის*)!

**— ნიკა, პროფესიით ჟურნალისტი ხარ, გასართობ გადაცემას ალღო იოლად აუღე?**

— ალბათ ბევრი დამეთანხმება, რომ ყველაზე ძნელი — გასართობი გადაცემის გაკეთებაა. მე სამსახიობო გამოცდილება არ მაქვს და სიმართლე გითხრა, რაიმე როლის შესრულება, ძალიან გამიჭირდებოდა. ამიტომ, გაგვიმართლა, რომ იმ ტექსტს, რომელსაც ვკითხულობთ — ჩვენვე არ ვწერთ. მთელი შემოქმედებითი ჯგუფი ზრუნავს, რომ გამართული ტექსტი გვქონდეს. ჰოდა, მეც სულ იმას ვამბობ, რომ ვინც სერიოზულ საინფორმაციო პროგრამას არ უყურებს, ჩვენ გვიყუროს და სიმართლე გაიგოს (*იცინიან*)!

**— არ გიცდიათ, რომ ტექსტი თავად დაგეწერათ?**

**ნიკა:**

— ცოტა ხნის წინ ვართე მასწ-ს (იგივე ავთო მარგველაშვილს), რომელიც ჩვენი ტექსტის საბოლოო ვარიანტს ამზადებს, შევბედე, — რაღაც ძალიან გავთამამდი და ხუმრობების წერა დავიწყე-მეთქი... თუ იუმორისტულ ჟანრში იმდენად გავიწაფავთ ხელს, რომ თავადაც ხუმრობებს შევთხზავთ, მაგას რა სჯობს?! ჯერჯერობით ძალიან თვითკრიტიკულები ვართ და ზედმეტს არაფერს ვბედავთ (*იცინიან*).

**— იქნებ გაიხსენოთ, როგორი იყო პირველი გადაცემის ჩაწერა?**

**ხატია:**

— ტელევიზიაში პირველად რომ მოვხვდი, საოცარი ეიფორია მქონდა; შემდეგ რამაც დამაფრთხო, სუფლიორი აღმოჩნდა. ამიტომ, პირველი ჩაწერისათვის ტექსტი ზეპირად ვისწავლეთ, მაგრამ არ გაამართლა და ბიჭებმა თქვეს: — სუფლიორი უნდა მოვიტანოთო... არადა, თეატრიდან ვიცოდი — სუფლიორი მოკარნახე ადამიანი უნდა ყოფილიყო. მა-



**პირველი სამსახურებრივი შეხვედრისთანავე დავმეგობრდით და ახლა ყველაფერს თავზე ვიმხობთ!**

გრამ როდესაც სუფლიორი მოიტანეს, ნამდვილად გავოცდი (*იცინიან*)! საბოლოოდ კი გადავწყვიტეთ, რომ ტექსტი აღარ დაგვეზეპირებინა!

— **გადაცემა რომ მიგყავთ, ძალიან სერიოზული სახეები გაქვთ...**

**ნიკა:**

— თავიდან გვეგონა, რომ ყოველი ნიუსის წაკითხვისას, ხორხოცი უნდა აგვეტეხა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ძააალიან სერიოზული წამყვანები უნდა ვყოფილიყავით! ენა არასდროს დაგვბმია, მაგრამ ტექსტი კი ხანდახან გვეშლება. საერთოდ, ნათქვამია, — თუ არ შეგეშალა, ისე გადაცემის წაყვანას რა ეშხი აქვსო (*იცინიან*)...

— **ნიუსის კითხვისას არ გეცინებათ?**

**ხატია:**

— მიუხედავად იმისა, რომ გადაცემის ჩაწერამდე ტექსტი რამდენჯერმე გვაქვს წაკითხული, არ არსებობს, რომ მე ნიუსი წავიკითხო და არ ჩავბჟირდე! მაინც მეცინება! აი, ნიკას კი არ არსებობს, რომ გაეცინოს! მას სჯერა, რომ სრულიად სერიოზული, სოლიდური იმიჯის მქონე გადაცემა მიჰყავს (*იცინიან*)!

— **ამდენ მხიარულ ადამიანთან ერთად, კარგად ერთობით, არა?**

**ხატია:**

— კი, ჩვენთან მხიარული და ძალიან მაგარი ადამიანები არიან, მაგრამ მუშაობისას არ მხიარულობენ! ძალიან პუნქტუალურები არიან, არ არსებობს, სამსახურში 3 წუთი მაინც დააგვიანონ. თუმცა ისე არ გაიგო, რომ სახალისო შემთხვევები არ იყოს.

**ნიკა:**

— წელანაც მშვენივრად ვიხალისეთ: მე და ხატიას ერთმანეთი დაახლოებით, 2 კვირაა, არ გვინახავს და თქვენთან ინტერვიუზე რომ მოვდიოდით, შეხვედრა სანაპიროზე დავუთქვი, მანქანით გამოგივლი-მეთქი, — შევპირდი... მიუხედავად იმისა, რომ ვულგარულად არ აცვია, მირეკავს და მეუბნება, — შვიდმა მანქანამ გაიარა და ყველამ გამიჩერა, მალე მოდი, რა, გეხვეწებიო (*იცინიან*)!

**ხატია:**

— მანქანაში ჩაჯდომისთანავე ვუსაყვედურე, — როგორც გატყობ, არ მოგენატრე-მეთქი. ნიკა შემპირდა, — მონატრების ნიშნად, მანქანიდან როგორც კი გადავალ, მაშინვე გიცეკვებო! როგორც კი მოვედით, კოსტავას ქუჩაზე ბალდადური მიცეკვა და დამიმტკიცა, რომ მართლაც მოვნატრებივარ (*იცინიან*)!

**ნიკა:**

— რაც ერთად ვმუშაობთ, სულ ერთად ვართ და თუ სადმე მივდივართ, ერთად მივდივართ... ამის გამოა, რომ ხატია-კაცია შეგვარქვეს.

— **ხატია, ხალხი თუ გცნობთ?**

— ნიკას უფრო ცნობენ, მე ჩაწერისას ისეთი გრიმი მისვია, საკუთარ თავს საერთოდ არ ვგავარ. რამდენიმე დღის წინ, დუტამ მითხრა, — მგონი, ერთადერთი ადამიანი ხარ, რომელსაც გრიმი არ უხდებაო! მართლა არ მიხდება და რა ვქნა (*იცინის*)?! ცოტა ხნის წინ მე და ნიკა „მაკდონალდსში“ ვიყავით, ძალიან გვშიოდა და გამწარებულები ვჭამდით; იქ კი მართლაც გვიცნეს, ისე, რომ თავი სახლში გვეგონა, ყველა გვიღიმოდა.

— **ცნობილი ჟურნალისტებისგან რჩევებს თუ იღებთ?**

**ხატია:**

— ცოტა ხნის წინ ნინო ხოშტარია ვნახეთ და, მაგრები ხართო, — გვითხრა.

**ნიკა:**

— დიდი ხანია, რაც მე და ხატია ზალიკოსთან და დიკოსთან მისვლას ვგეგმავთ. მათი უკეთ გაცნობა და რჩევების კითხვა გვინდა.

— **რაიმე ცვლილებას ხომ არ უნდა ველოდოთ თქვენს „სერიოზულ“ ბლოკში?**

**ნიკა:**

— ამასთან დაკავშირებით ჩვენ ვერაფერს გეტყვით, ეს უფროსობის გადასაწყვეტია, თუ ისინი რაიმე ახალს მოიფიქრებენ ამ ბლოკის უკეთ წარმოჩენისათვის, ჩვენც გვეცოდინება.

— **ერთმანეთს როგორ დაახასიათებთ?**

**ხატია:**

— ნიკა უნიჭიერესი, უგანათლებულესი, უკარგესი ადამიანია! რაც მთავარია, ყველას იცნობს! ვინც უნდა დავუსახელო, ყველა იცის და თუ ვინმეს არ იცნობს, ესე იგი, ის ნამდვილად წყალწაღებული ადამიანი იქნება (*იცინიან*)...

**ნიკა:**

— ვიცი, რომ ძალიან რთული ხასიათი მაქვს და გაოგნებული ვარ, თუ როგორ შეძლო ხატიამ 3 თვეში ჩემი კარგად გაცნობა! ხატია „ოქროს ზოდია“, რომელიც სუნთქავს, აზროვნებს და საჭირო დროს საჭირო დასკვნებს აკეთებს (*იცინიან*). თან, ხომ ხედავთ, როგორი გამხდარი და პატარაა? უნდა ნახოთ, ყელიდან რა ხმა ამოსდის ან რამდენს ჭამს. როდესაც სასადილოდ გავდივართ, ზის და ერთი საათი არჩევს, რა უნდა ჭამოს. ხაჭაპურს და მსგავს რაღაცებს კი არ გეახლებათ; კაი ღიპიანი ბიძები რომ მიირთმევენ, ისეთ კერძებს გეახლებათ: ჩაქაფულს, „ოსტრის“... სათითესავით ჭიქაში 5 კოვზ შაქარს იყრის და კაფეს მეპატრონეებს აკოტრებს (*იცინიან*)...

— **ერთმანეთს ოინებს თუ უწყობთ?**

**ნიკა:**

— ხანდახან ხატიას კარს უკან ვემალები, ეს კი მთელ გადასაღებ მოედანზე მეძებს და ვერ მპოულობს (*იცინიან*). მომავალში ვაპირებ, რომ გადაცემის მსვლელობისას, გორგოლაჭებიანი სკამი გავუცურო და კიდევ ბევრი ოინი მოვუგონო...



**ვაპირებ, რომ გადაცემის მსვლელობისას, გორგოლაჭებიანი სკამი გავუცურო და კიდევ ბევრი ოინი მოვუგონო...**

— **ნიკა, ყველაზე მეტად რომელი ხუმრობა დაგამახსოვრდა?**

— ეს ხუმრობა ერთხელ ვთქვი და შენც გაგიმხელ: „ეგვიპტეში მომხდარმა მიწისძვრამ ისე დააზიანა პირამიდები, რომ წვეროდან დაშვებული ვერტიკალური სხივი არ კვეთს ფუძის სამკუთხედის კუთხეების ბისექტრისების გადაკვეთის წერტილს!“ გაგრძელება კი ასეთი იყო: ეს ნიუსი განკუთვნილი იყო მათთვის, ვინც ეროვნულ გამოცდებზე მათემატიკაში მინიმუმ 70 ქულა აიღო. ასეთ ნიუსებს მე და ხატია ენის გასატეხებად ვიყენებთ.

— **მომავალშიც თუ აპირებთ ტანდემში მუშაობას?**

**ნიკა:**

— ეს იმ ადამიანებზეა დამოკიდებული, ვინც ახალ-ახალ პროექტებს ქმნის! ჩვენ კიდევ გვინდა ტანდემში მუშაობააააა!

■

# პარფიუმი მაიკლ ჯექსონის არომატით



კაცი ფულის გამო რას არ მოიფიქრებს... მაიკლ ჯექსონის გარდაცვალების შემდეგ მისი სახელის გამოყენებით მხოლოდ ზარმაცები ვერ გამდიდრდნენ. გამონაკლისნი არც პარფიუმერიის მწარმოებლები აღმოჩნდნენ, მათ ცოტა ხნის წინ პოპის ხელმწიფის დნმ-ის საფუძველზე ახალი პარფიუმი გამოუშვეს, რომელშიც მაიკლ ჯექსონის ბუნებრივი სურნელია აღდგენილი!

ცნობილი ადამიანების დნმ-ის საფუძველზე არომატის შექმნის იდეა არაერთი განხილვის თემა იყო, მაგრამ პირველი „მერცხალი“ მაიკლ ჯექსონისადმი მიძღვნილი პარფიუმი „M“ აღმოჩნდა, რომელსაც სხვათა შორის, საკმაოდ დემოკრატიული ფასი — სულ რაღაც 59,99 დოლარი განუსაზღვრეს, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ გარდაცვლილი ადამიანის სურნელის მქონე პარიუმერიის შექმნა მიზერულ ფასადაც კი, გაუკუღმართებული საქციელია.

როგორც ჩანს, არომატის შემქმნელები ასე არ ფიქრობენ და კიდევ რამდენიმე პარფიუმის გამოშვებას გეგმავენ, რომელსაც გარდაცვლილი ვარსკვლავების: ელვის პრესლის, ალბერტ აინშტაინის, მერილინ მონროსა და სხვათა სურნელი ექნება. ყველაზე შეშლილი კლიენტებისთვის კი მზად არიან, ინდივიდუალური შეკვეთები მიიღონ და პარფიუმი ნებისმიერი კერძო პირის, თუნდაც სრულიად უცნობი ადამიანის დნმ-ის საფუძველზე დაამზადონ... ■

# ანჯელინა ჯოლი წინააღმდეგი არ არის, რომ ქმარმა უღალატოს

ჰოლივუდის ვარსკვლავმა ანჯელინა ჯოლიმ, რომელიც მასზე არანაკლებ ვარსკვლავ მეუღლესთან ერთად ექვს შვილს ზრდის, ერთობ თამამი განცხადებით მრავლის მნახველი ჟურნალისტებიც კი გააოგნა. მსახიობმა აღიარა, რომ ცოლქმრული ღალატი სრულიად დასაშვებად მიაჩნია! იგი აცხადებს, რომ ერთგულება აუცილებელი სულაც არ არის, თუ ცოლ-ქმარი თავისუფალი ურთიერთობის მომხრეა.

„მიმაჩნია, რომ ერთად ცხოვრება ერთმანეთზე საკუთრების უფლებას არ ნიშნავს. მე და ბრედი ამას მშვენივრად ვხვდებით. ვფიქრობ, ურთიერთობაში ცოლქმრული ერთგულება გადამწყვეტი სულაც არ არის. ჯობს, ქმარს უღალატო, ვიდრე გაეყარო და შემდეგ წუმპეში ამოავლო“, — განაცხადა ანჯელინამ და დასძინა, რომ მასსა და ბრედ პიტს შორის არაერთი სკანდალი მომხდარა, რომელიც ლამის ხელჩართულ ჩხუბშიც კი გადაზრდილა. „როდესაც ბრედი ვერ ხვდება, რომ მტყუანია და დანაშაულს არ აღიარებს, მოთმინებას ვკარგავ და შეიძლება, პერანგიც კი შემოვახიო“, — ამბობს მსახიობი.



მკითხველს შევახსენებთ, რომ ბრედ პიტისა და ანჯელინა ჯოლის სერიოზული ურთიერთობა 2005 წელს, ფილმის „მისტერ და მისის სმიტები“ გადაღებების დროს დაიწყო. ერთობლივი თანაცხოვრების ოთხი წლის მანძილზე მათ ოჯახს სამი ნაშვილები და სამი ღვიძლი შვილი — გოგონა შაილო და ტყუპი — ნოქსი და ვივიენი შეემატა. პრესა მრავალჯერ იუწყებოდა იმის შესახებ, რომ ბრედსა და ანჯელინას შორის ძალზე დაძაბული ურთიერთობაა და მათი სამოქალაქო ქორწინება ბეწვზე კიდია, მაგრამ გარეგნულად ვარსკვლავებს შორის დაძაბული ურთიერთობის კვალი არ შეიმჩნევა. მაღალი საზოგადოების შეკრებებსა და წვეულებებზე ისინი მუდამ ერთად დადიან და ერთმანეთის მიმართ ნაზი გრძნობების დაფარვას არ ცდილობენ. ■

# ტომ კრუზი სხვების სატელეფონო საუბრებს უსმენს

ერთ-ერთი ცნობილი ჟურნალის რედაქტორმა, გვარად საპირმა ტომ კრუზის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანა. რედაქტორი ირწმუნება, თითქოს მსახიობმა მისი სატელეფონო საუბრების მოსმენის მიზნით, კერძო დეტექტივი დაიქირავა. მომჩივანი აცხადებს, რომ 18 დეკემბერს დეტექტივი ენტონი პელიკანო ტომ კრუზის დავალებით, მის სატელეფონო ხაზს უსმენდა და მის პირად ცხოვრებაში ჩარევის გამო მსახიობისგან 5 მილიონი დოლარის გადახდას მოითხოვს.

აღსანიშნავია, რომ ეს სასამართლო გარჩევა ვარსკვლავსა და რედაქ-



ტორს შორის პირველი არ არის. წინა შემთხვევაში სარჩელი ტომ კრუზმა შეიტანა და საპირი შანტაჟში დაადანაშაულა. მსახიობი ირწმუნებოდა, რომ რედაქტორი მას ვიდეოფირით აშანტაჟებდა, რომელზეც თითქოს მისი ჰომოსექსუალური კავშირები იყო ასახული. სასამართლო განხილვის დროს დადგინდა, რომ ასეთი ფირი არ არსებობს და არც არასდროს არსებულა. რაც შეეხება კერძო დეტექტივ ენტონი პელიკანოს, კანონთან პრობლემები მასაც ჰქონდა. დეტექტივმა სახელი ჰოლივუდის მკვიდრთა დაშანტაჟებითა და მათგან ფულის გამოძალვით გაითქვა. მის „კარიერაში“ ასეთი 78 შემთხვევაა დაფიქსირებული და ამგვარი მოღვაწეობის წყალობით შარშან პატიმრობაც კი ჰქონდა მისჯილი. ■

# ჟურნალმა Playboy მსახიობ ტარა რეიდის ახალი სხეულის ფოტოსურათები გამოაქვეყნა



ამერიკელმა კინოვარსკვლავმა ტარა რეიდმა, რომელმაც ფილმით „ამერიკული ნამცხვარი“ გაითქვა სახელი, გადაწყვიტა, ჟურნალ Playboy-ს მკითხველებს სხეულის კორექციის წარუმატებელი ოპერაციის შემდგომ აღდგენილი სხეული აჩვენოს.

2004 წელს მშობიარობის შემდეგ ტარამ პლასტიკური ოპერაცია გაიკეთა და შედეგად მუცელზე საკმაოდ შესამჩნევი ნაიარევი დარჩა. მსახიობი სხეულს დიდხანს მალავდა და საზოგადოებრივ პლაჟებზე ღია საცურაო კოსტიუმს არ იცვამდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც პრესაში რამდენიმე ფოტოსურათი მაინც გაიპარა, ტარამ გადაწყვიტა, ყველას ოფიციალურად უჩვენოს, თუ რა დაემართა მის მუცელს. მსახიობმა ჟურნალ Playboy-ის იანვრის ნომრისთვის ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა და უმთავრეს პირობად წამოაყენა, რომ ჟურნალმა „ფოტოშოპი“ არ გამოიყენოს, ყველამ საკუთარი თვალით იხილოს, თუ როგორი სხეული აქვს ახლა სექსუალურ ლამაზმანს! ■

# ბრიტნი სპირსმა მასზე შეთხზული ჭორების რეიტინგი გამოაქვეყნა



როგორც მოგეხსენებათ, ხუთწლიანი შესვენების შემდეგ ბრიტნი სპირსი ალბომით Circus სცენას დაუბრუნდა და ამერიკაში, ევროპასა და ავსტრალიაში საგასტროლო ტურნეს მოწყობაც მოასწრო. ახლა მომღერალმა ჭორების ავტორებზე შურისძიებაც გადაწყვიტა და 2009 წელს მასზე შეთხზული ყველაზე სასაცილო, უაზრო და შეურაცხმყოფელი ჭორების რეიტინგი გამოაქვეყნა, რომელშიც ბრიტანულ და ამერიკულ საიტებსა და ყვითელ პრესაში გამოქვეყნებული 75 „სენსაცია“ შევიდა. ამ ზღაპრებს შორისაა „ახალი ამბები“ ბრიტნის ახალი ბოიფრენდების, ამასწინანდელი მსოფლიო ტურის დროს ემოციური აშლილობისა და იმის შესახებ, თითქოს ბრიტნის მამა შვილს ნარკოტიკებით ამარაგებდა. რეიტინგში „საპატიო“ ადგილზეა ჭორი იმის შესახებ, რომ მომღერალი სასტუმროს ნომრებში სტრიპტიზის საცეკვაო ძელის დადგმას მოითხოვს. მაგრამ პირველობა მაინც იმ ჭორმა მოიპოვა, რომლის თანახმადაც ბრიტნი ინდოელ ქორეოგრაფ სანდიპ სოპარკარს ხვდება და ყვითელ პრესაში სათაურით — „ბრიტნი სპირსმა მშობლებს ახალი ბოლივუდელი საყვარელი გააცნო“ — გავრცელდა.

რეიტინგი The Year in BS სპირსის ოფიციალურ საიტზე გამოქვეყნდა. მათ, ვინც ვარსკვლავის პირად ცხოვრებას თვალყურს არ ადევნებს, რეიტინგში შესულ რამდენიმე განსაკუთრებით საინტერესო ჭორს შევთავაზებთ: ბრიტნი მესამე შვილზე ორსულად არის, იგი მებაღეობითაა დაავადებული, იუდაიზმის მიმდევარია. ერთ დროს მომღერლის ოჯახს იმდენად უჭირდა, რომ შიმშილისგან თავის დასაღწევად, ციყვებზე ნადირობდნენ...

დადგინდა, რომ 2009 წელს ბრიტნი სპირსის შესახებ პრესაში 13000 ჭორი დაიბეჭდა. „სიაში მხოლოდ ის ჭორები შევიტანეთ, რომლებიც განსაკუთრებულად სასაცილოდ და უაზროდ მივიჩნიეთ. ეს აბსურდული ჭორებია, რომელსაც რეალობასთან საერთო არაფერი აქვს“, — ამბობენ რეიტინგის ავტორები. ■

# კაილი მინოუგი – ათწლეულის ულამაზესი ვარსკვლავი

ჟურნალის Vogue ბრიტანულმა გამოცემამ ავსტრალიელი პოპვარსკვლავი კაილი მინოუგი ბოლო ათწლეულის ულამაზეს ვარსკვლავად დაასახელა. მას გამოკითხული ბრიტანელების 48-მა პროცენტმა მისცა ხმა, მეორე და მესამე ადგილები კი მადონამ და ვიქტორია ბექჰემმა დაიკავეს. თითოეულ მათგანს გამოკითხულთა 13,5%-მა დაუჭირა მხარი.



2009 წლის ყველაზე „აღმაფრთოვანებელი“ ვარსკვლავის წოდება პოპჯგუფის Girls Aloud პოპულარულმა მომღერალმა შერილ კოულმა მოიპოვა, რომელმაც რესპონდენტთა ხმების 42% მიიღო.

გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ ბრიტანელთა 42% — ჯენიფერ ენისტონის თმაზე, 26% კი შერილ კოულის სახეზე ოცნებობს. აღმოჩნდა, რომ ყველაზე მიმზიდველი მკერდი ბრიტანელ მოდელსა და მსახიობ ჰოლი ველანსს ჰქონია. გამოკითხულთა უმეტესობა ბრიტანელ მსახიობ ტეს დეილის ფეხებს ანიჭებს უპირატესობას, ხოლო „მის თეძოების“ ტიტული პოპვარსკვლავმა ჯენიფერ ლოპესმა დაისაკუთრა.

შეკითხვაზე, — თუ ვისთან ერთად ისურვებდნენ სატრენაჟორო დარბაზში ვარჯიშს, ქალების 57% კელი ბრუკს ასახელებს, ხოლო ასაკოვან მადონას უპირატესობას მხოლოდ 35% ანიჭებს. ■

რუბრიკა მოამზადა ნატო მანჯავიძემ

ცხოვრება

# მოსკოვი-თბილისი-ასპინძა

## ანუ რუსეთში გადახვეწილი ქართველების საოცარი თავგადასავალი ბავშვთა სახლში

**საახალწლოდ, მოსკოველი ქართველების ერთი ჯგუფი ასპინძის ბავშვთა სახლს ესტუმრა. საქველმოქმედო აქცია ქართველი მიუსაფარი ბავშვების დასახმარებლად, რუსეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების ერთმა ჯგუფმა ჩაიფიქრა. მართალია, საქართველოში ჩამოსვლა ყველამ ვერ შეძლო, მაგრამ ერთ-ერთმა იმათგან, ვინც ბავშვთა სახლის აღსაზრდელები მოინახულა, შთაბეჭდილებები ინტერნეტში, თავის ბლოგში განათავსა.**

DAVITKARTVELI-**ს ნიკით რეგისტრირებული ბლოგერის ჩანაწერი იმდენად საინტერესო და გულში ჩამწვდომი მომეჩვენა, რომ გადავწყვიტე, მისი წაკითხვის შესაძლებლობა ჩვენი მკითხველისთვისაც მიმეცა...**

*ემა ტუხიაშვილი*

**DAVITKARTVELI:**

„უნდა ვაღიარო, რომ გამგზავრებამდე მსუბუქ დისკომფორტს ვგრძნობდი... ჩემში საბჭოთა ადამიანის ნაშთმა გაიღვიძა, რომელიც აღზრდილია ფილმებზე, სადაც ბავშვთა სახლის აღსაზრდელი ყოველთვის ასოცირდებოდა მოზარდთა კრიმინალთან, ხოლო აღმზრდელი — ფარულ პედოფილიასთან. ბავშვთა სახლი ნაცრისფერ, საშინელ შენობად წარმომედგინა, სადაც ყოველ ნაბიჯზე კბილებში სიგარეტის ნამწვგაჩრილ მოზარდებს ხვდები, თავში მხოლოდ ერთი აზრი რომ უტრიალებთ — რამე ცუდი ჩაიდინონ.

„მოსკოველ“ ქართველთა ერთ ჯგუფს, ახალი წლის საქველმოქმედო აქციით შეხვედრის იდეა ცოტა უფრო ადრე გაუჩნდა, ვიდრე სხვა ნაწილი მოიფიქრებდა, „პოკლონნაია გორაზე“ ბეტონის კერპები აღემართათ. 350 ათასმა ჩვენმა პაპამ სლავური წარმოშობის პირების დასაცავად დადო თავი, რომელთაც სრული ფიზიკური განადგურება ემუქრებოდათ ფაშისტებისგან. ზოგიერთ მათ შვილიშვილს კი იდეა გაუჩნდა, მოეგოთ გული ახლანდელი რუსი ნეონაცისტებისა — კავკასიური წარმოშობის პირების წინააღმდეგ მებრძოლი ხილული ფრონტისა. ეს კი რუსეთისთვის საყვარელ გართობაში — კერპთაყვანისმცემლობაში წვლილის შეტანით უნდა გამოეხატათ. შვილიშვილთა სხვა ნაწილს კი, რომელიც იმავე ქალაქსა და იმავე სახელმწიფოში ცხოვრობდა, თავში სხვა აზრი მოუვიდა — შეძლებისდაგვარად შესწეოდა ჩვენი სახელოვანი პაპების შვილთაშვილებს, ჩვენი სახელოვანი სამშობლოს მომავალს, შესაძლოა, სოციალურად და მორალურად ყველაზე დაუცველ, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, მის ყველაზე ლამაზ, ყველაზე ნაზ, ყველაზე ნიჭიერ ნაწილს და აი, რა გამოვიდა ამ იდეიდან...



ჩვენმა მოსკოველმა თანამემამულეებმა პირველი დავალება მოგვცეს — შეგვერჩია ჩვენი ჩანაფიქრის განსახორციელებლად შესაფერისი ობიექტი. ყურადღება უნდა შეგვეჩერებინა საქართველოში დღეს მოქმედი 22 ბავშვთა სახლიდან ერთ-ერთზე. შერჩევისას ინტუიციას მივენდეთ. ვფიქრობდით, რომ ის ბავშვთა სახლები, რომლებიც დედაქალაქის სიახლოვეს მდებარეობს, უკეთ იქნებოდა უზრუნველყოფილი ყველა საჭირო და აუცილებელი ნივთით, ვიდრე თბილისიდან დიდ მანძილზე დაშორებული. როგორღაც უცებ არჩევანი ასპინძაზე შევაჩერეთ, ქვეყნის სამხრეთით მდებარე რაიონულ ცენტრზე, სამცხე-ჯავახეთში. ახლა, აქციის ჩატარების შემდეგ, შემიძლია გამოვტყდე კიდეც, რომ ეს არჩევანი პირადად ჩემი მხრიდან მაინც სუბიექტური იყო. ჩემდა სამარცხვინოდ, ამ პატარა ქალაქის სასაფლაოზე ჩემი ბებია-ბაბუაა დაკრძალული და მათ საფლავზე მხოლოდ ერთხელ ვიყავი ნამყოფი, ისიც შორეულ ბავშვობაში. ახლა რომ არ მესარგებლა იმ შესაძლებლობით, რაც იღბალმა მიბოძა, უბრალოდ არ შემეძლო. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ამგვარი სუბიექტური დამოკიდებულება მხოლოდ მე არ მქონია. აქციის მთავარი ორგანიზატორი „თბილისური“ ფრთიდან, დაუდგრომელი რეჟისორი და სცენარისტი, ნიკით ირემამარი, ასევე ამ კუთხიდან აღმოჩნდა. მაგრამ ვფიქრობ, რომ ჩვენი „დანაშაული“ იმგვარი არ ყოფილა, რომ პატივცემული მსაჯულები აგრესიულად განეწყონ თავისი თბილი და მოსიყვარულე მეგობრების წინააღმდეგ.

რადგანაც საქველმოქმედო ჩანაფიქრის ყველა მონაწილისთვის მისი მონ-

ყობის გამოცდილება სადებიუტო გახლდათ, ძნელი იყო საჩუქრების ფორმატისა და შინაარსის განსაზღვრა, რომლებიც 5-დან 20-წლამდე ბავშვებისთვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი (ბავშვთა სახლში სულ 71 აღსაზრდელია). რა თქმა უნდა, გავითვალისწინეთ ბავშვთა სახლის დირექციის სურვილიც, შეგვეძინა ყოფითი საჭიროებისთვის დიდი საყინულე... მაგრამ ჩვენი მთავარი საზრუნავი იყო, უშუალოდ ბავშვებისთვის მიგვენიჭებინა სიხარული, არა მხოლოდ ათასგვარი ტკბილეულისა და სანოვაგის სახით, რაც საკმარისად იყო, არამედ რაღაც მიგვეცა სულიერი, სასარგებლო მათი ზოგადი განვითარებისთვის, იმისთვის, რომ აბსოლუტურად მოხსნილიყო ყველა წინაღობა, დაბრკოლება, რაც კი მათსა და მათ თბილისელ თუ მოსკოველ „ყველაფრით უზრუნველყოფილ" თანატოლებს შორის არსებობს. და სწორედ აქ, ჩვენმა საბჭოთა დროინდელმა შეხედულებამ ბავშვთა სახლებზე, პირველი მნიშვნელოვანი დარტყმა მიიღო. როგორც გაირკვა, ბავშვებს არც ვიდეო და არც აუდიოტექნიკა აკლდათ, საკმაოდ სოლიდურად გამოიყურებოდა ასევე მათი კომპიუტერული კლასიც. იძულებული გავხდით, დავბრუნებოდით გონივრულს, კეთილს, მარადიულს. მართალია, ცდუნებას — შეგვევსო მათი მაგნიტოფონების რაოდენობა, „დივიდი" ფორმატის ფილმოთეკა, სპორტული ინვენტარი — ვერ გავუძელით, მაგრამ ძირითადი აქცენტი მაინც წიგნებზე გაკეთდა. ამასთან ერთად, ეს გახლდათ უმაღლესი ხარისხის წიგნები, როგორც დიზაინით, ასევე შინაარსით. ამ თვალსაზრისით, საჩუქრები შევიძინეთ როგორც ბიბლიოთეკისა და საკლასო ოთახებისთვის, ასევე ინდივიდუალური ურთიერთობისთვის ყველა სახის ლიტერატურის საოცარ გმირთან. ყველაზე დიდი ინტერესი ბავშვებში საბავშვო სახარებამ გამოიწვია, შესანიშნავი, გამომსახველობითი გაფორმებით XIX საუკუნის ცნობილ მართლმადიდებელ მხატვარ გაგარინის კოლექციიდან. საჩუქრების მიღებიდან სულ რამდენიმე წუთში ბავშვების უმეტესობამ თავის დასასვენებელსა და საკლასო ოთახებს მიაშურა, რათა წიგნის საოცარ სამყაროში ჩაძირულიყვნენ და დროებით დაავიწყდათ მათი სტუმრებიცა და მასპინძლის მოვალეობაც.

და აი, დადგა დრო, ამ ამბის მთავარი გმირებიც გაგაცნოთ. მაგრამ ამის გაკეთება მშრალი ფრაზებით პრაქტიკულად, არ შემიძლია. ყველანი ვიყავით აღფრთოვანებული და სახტად დარჩენილი ჩვენი ახალი პატარა მეგობრებით. ჩვენ შემოგვეგება ბავშვების გარეგნულად და შინაგანად ლამაზი და მეგობრული კომპანია, აბსოლუტურად გახსნილი, ჭკვიანი, ნიჭიერი — რომელმაც გვიჩვენა თავისი სახით ის პატარა ჯვარი, რომელზეც დგას საოცარი და შეკავშირებული ძმობა. ჯვარი, რომელზეც ჰორიზონტალურად პირველ ადგილზე დგას გამძაფრებული გრძნობა პასუხისმგებლობისა ერთმანეთზე, ასაკისა და ეროვნული განსხვავების მიუხედავად და ვერტიკალი — ღრმა, არაზედაპირული ღვთის რწმენის სახით, რომ ისინი მისი შვილები, საყვარელი შვილები არიან, რომელიც მათ ან იმქვეყნად წასული, ან კი არაფრის მაქნისი და თავისებურად ტრაგიკული მშობლების მაგივრობას უწევს.



ნამდვილად მიჭირს, სხვაგვარად გადმოგცეთ გრძნობებისა და შთაბეჭდილებების ის გამა, რომელიც ჩემში დარჩა მათთან თუნდაც ასეთი ხანმოკლე ურთიერთობისგან. როგორ დავივიწყებ მაგალითად პატარა ქეთინოს, რომელსაც, როგორც ჩანს, გაცნობისთანავე მოვეწონე და იქ ყოფნის მთელი სამი საათის განმავლობაში გვერდიდან არ მომცილებია. წამოსვლისას კი აივნიდან ენერგიულად მიქნევდა ხელს დამშვიდობების ნიშნად. ძალიან მინდოდა, მეტირა, გულწრფელად ვამბობ. ოვაციის გამოხატვაც მინდოდა მათი შესანიშნავად დადგმული და რაც მთავარია, მთელი გულით მომზადებული კონცერტისათვის. ჩვენ წინდაწინ ვშიშობდით, რომ ამ ღონისძიებას არ ჩაევლო იმ საბჭოთა საზომების შესაბამისად, რომლებიც თუნდაც ფილმებიდან გვახსოვს, არ ჩაევლო „მათრახის ქვეშ" და „სტუმრების პატივსაცემად". მაგრამ მადლობა ღმერთს, არა! ბავშვები ამბობდნენ ლექსებს, სცენების იმპროვიზებას ახდენდნენ და კარაოკეს თანხლებით მღეროდნენ პირველ რიგში, საკუთარი თავისთვის, გახსნილად, ნიჭიერად და ხალისიანად. მთელი გულით ვუკრავდით ტაშს. ვფიცავ, ჩემს „უზრუნველყოფილ" შვილებს ვერაფრით გამოიყვან ასე სცენაზე და ვერ მიიღებ მსგავს სიამოვნებას მათი გამოსვლისას, ვერანაირი გარესტიმულატორების დახმარებით. ეს იყო საუკეთესო კონცერტი ჩემს ცხოვრებაში. მან ისე იმოქმედა, რომ ფინალური სიმღერის შესასრულებლად, დუეტში ერთ ლამაზმანთან ერთად, თავად ირემამარიც გავიდა.

ბავშვთა სახლმა წარმოუდგენლად სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე, როგორც საბავშვო და საკლასო ოთახების გაფორმების თვალსაზრისით, ასევე კომპიუტერული ოთახით, ჭრაკერვის კაბინეტით, სამედიცინო ოთახით, შესანიშნავი სასადილოთი, ფართო სპორტული დარბაზით, ორი საფეხბურთო მოედნითა და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, სუფთა და კოხტა ტუალეტებით. ბავშვთა სახლში მოქმედებს ცენტრალური გათბობა, არ არის პრობლემები ელექტროენერგიასა და წყალთან დაკავშირებით. ხოლო გზა თბილისიდან ასპინძამდე უკვე დიდი ხანია, აღარ არის „ცხოვრების გზა". ეს არის მთლიანად აღდგენილი, მოასფალტებული და განათებული ტრასა.

აღმზრდელები, ადმინისტრაცია, ბავშვთა სახლის ტექნიკური პერსონალი — ეს ჩვენი აღფრთოვანების ცალკე თემაა. შეუძლებელია, გაითამაშო ის სიყვარული და ურთიერთგაგება, რის დემონსტრირებასაც ჩვენ თვალწინ ახდენდნენ უფროსებიცა და პატარებიც, ამ დიდი და მეგობრული ოჯახის ბინადარნი. დირექტორმა, სამი შვილის დედამ, ორი ობოლი და იშვილა. ხშირად უკვე დაკაცებულ, დაქალებულ აღსაზრდელებს იქვე ტოვებენ სამუშაოდ. არის შემთხვევები, როცა ზრდასრული აღსაზრდელები ქორწინდებიან, ოჯახს ქმნიან.

მათთან განშორება რთული იყო, სიმართლეს ვამბობ... ჩვენი გულქვა სულის ერთი ნაწილი ამ ძვირფასმა ქმნილებებმა ნათელით აავსეს. ჩვენში ეს შეგრძნება თბილისში დაბრუნებამდე რომ არ ჩამქრალიყო, სამონასტრო კომპლექს ვარძიაში ავედით და სანთლები დავანთეთ, როგორც ჩვენთვის, ასევე ჩვენი ახალი ნაცნობებისთვის. ადგილობრივ ბერს, მამა შალვას ვთხოვეთ, ლოცვა აღევლინა მეგობრებისთვის, რომლებიც დროებით, მეზობელ სახელმწიფოში ცხოვრობენ და რომელთა ყოველდღიური ფიქრია, გარდაუვალი და ნანატრი დაბრუნება საქართველოში. თქვენ, მეგობრებო, ვინც ჩვენთან ერთად რუსეთიდან ჩამოსვლა ვერ მოახერხეთ, აქ 70-ზე მეტი ახალი მეგობარი გაიჩინეთ — თქვენი იდეისა და ამ ჩანაფიქრში შეტანილი გამოისობით. ვფიქრობ, ამის გამო მადლობა, პირველ რიგში, უფალს უნდა ვუთხრათ, რომელმაც ჩვენში, სულ მცირე, ორი რამ შეძლო: მოკლა ჩვენში საბჭოთა სტერეოტიპი და უფრო სულიერები გაგვხადა.

რაც შეეხება შესაძლო სამომავლო გეგმებს — ჩვენ დავპირდით იქ, ასპინძაში, „მომავალ მალე შეხვედრამდე!" და ნუ იქნება საუბარი ისევ საბჭოთა გაგებით რაღაც შეფობაზე ჩვენი მხრიდან, არამედ მეგობრობის გაგრძელებაზე და ურთიერთის სულიერ გამდიდრებაზე. იმედი მაქვს, მომავალშიც მოგვაწვდიან უფრო დეტალურ ინფორმაციას, რით შეგვიძლია, ვიყოთ სასარგებლო ბავშვთა სახლისთვის. უფალმა ინებოს, კიდევ შევხვდეთ ერთმანეთს!" ■

# კურიოზები სასამართლო პრაქტიკიდან

**ადვოკატი ზურაბ როსტიაშვილი ძირითადად, ბრალდებულებს იცავს. ადვოკატობის 15-წლიან პერიოდში დაზარალებული სულ 5-ჯერ დაიცვა. ამბობს: დაზარალებულის დაცვა ძალიან გამიჭირდა, რადგან ფაქტობრივად, პროკურორის როლში მიწევდა ყოფნა და ეს ჩემთვის მიუღებელიაო. ბატონ ზურაბს „ქურდების ადვოკატსაც“ ეძახიან, რადგან ე.წ. კანონიერი ქურდების დაცვა ხშირად უწევდა. მას თავისი საადვოკატო ფირმა აქვს და უამრავი ადამიანი პატიმრობიდან დაუხსნია. ბუნებრივია, მოსაყოლი და გასახსენებელიც ბევრი აქვს. ამჯერად, ბატონ ზურაბს თავისი პრაქტიკიდან სასაცილო ამბების გახსენება ვთხოვეთ.**

*თეა ხურცილავა*

## ქურდი

— ერთი პიროვნება მანქანის ქურდობისთვის დააკავეს. მისმა ახლობლებმა დამირეკეს და დაცვა მთხოვეს. ბუნებრივია, დასაცავ პატიმარს შევხვდი, გავიცანით ერთმანეთი, საქმეზე გადავედით და საუბარი განვაგრძეთ. არ მალავდა, ამ საქმის პროფესიონალი რომ იყო, უფრო მეტიც, საქმის კარგი ცოდნით თავი მოიწონა და მიხსნიდა, რამდენ წამში აღებდა ამა თუ იმ მარკის მანქანას. იმ პერიოდში საქართველოში მანქანის გატაცება ძალიან გახშირებული იყო და მაღალი თანამდებობის ბევრ პირსაც მოჰპარეს კუთვნილი მანქანები. მეც კარგი მანქანა მყავდა და ცოტა არ იყოს, შეშფოთებულმა ვკითხე: „მერსედესს“ რამდენ ხანში აღებ-მეთქი? პატიმარმა ამ კითხვას ღიმილით უპასუხა: — ნუ ღელავთ, ბატონო ზურაბ, თქვენი თეთრი „მერსედესი-220“ ჩვენთვის ხელშეუხებელია. ისიც არ დაუმალავს, რომ მანქანის ქურდებს ჩემი „მერსედესი“ არ გამოჰპარვიათ და კარგა ხნის წინ მოხვედრიათ თვალში, მაგრამ როცა გაურკვევიათ მფლობელის ვინაობა, გადაუწყვეტავთ, ჩემი მანქანისთვის ხელი არავის დაეკარებინა.

## საქმეზე „მიქინძული“

— ყაჩაღობაში ბრალდებულს ვიცავდი. ამ საქმეში დაზარალებულად ქალბატონი ცნეს. ერთ-ერთ სასამართლო სხდომაზე მისვლა დამაგვიანდა, რადგან იმავე დღეს სხვა პროცესი მქონდა და იმ საქმის განხილვა დროულად არ დამთავრდა. ბრალდებულს ჩემთან ერთად, ჩემი ფირმის კიდევ ერთი ადვოკატი იცავდა, ამიტომ სხდომაზე ჩემს მისვლას არ დაელოდნენ და სასამართლო პროცესი დაიწყო. დარბაზში იმ დროს შევედი, როდესაც დაზარალებული ქალბატონი ჩვენებას იძლეოდა, ის წინასწარ დაწერილ თავის სიტყვას კითხულობდა და წამდაუწუმ გაიძახოდა: „მიქინძულია“ საქმეზეო. ცოტა ხანი ვუსმინე და მერე გაკვირვებულმა ვიკითხე: უკაცრავად, ბატონო მოსამართლევ, რას „ქინძავს“ ეს ქალბატონი? როგორც გავარკვიე, ქალბატონი მიუთითებდა მტკიცებულებებზე, რომლითაც, მისი აზრით, განსასჯელს დანაშაული უდასტურდებოდა და რადგანაც ეს მტკიცებულებები საქმესთან ერთად იყო აკინძული, ალბათ, „აკინძულის“ ან „მიკინძულის“ ნაცვლად, „მიქინძულის“ გაიძახოდა.



## „ჩამშვები“

— კიდევ ერთ ყაჩაღობის საქმეში მომიწია მონაწილეობა. ისევ ბრალდებულს ვიცავდი. დაზარალებული დაკითხვისას, რომ იტყვიან, „გავწურე“. გამწარებული, სათანადო პასუხს რომ ვერ პოულობდა, მეუბნებოდა, — თავი დამანებე, თორემ რაღაცას ვიტყვიო!.. ეს სიტყვები სხდომაზე იმდენჯერ გაიმეორა, დავინტერესდი, ნეტავ, რა უნდა თქვას, ასეთი სათქმელი რა აქვს-მეთქი? გისმენ; რომ იმუქრები, აბა, საჯაროდ თქვი, რა გაქვს სათქმელი? — ვკითხე მას. — რა და, ერთი გაქცეული ყაჩაღი სულ შენ გგავდა, შენსავით მელოტი იყო, ალბათ ის შენ იყავი და ახლა შენს „პადელნიკებს“ იცავო, — მიპასუხა გაცხარებულმა დაზარალებულმა.

## ვირი–„ტაიმერი“

— კახეთის ერთ-ერთ რეგიონში, კერძოდ, საგარეჯოში, მკვლელობის საქმე იხილებოდა. მოსამართლემ მოწმის დასაკითხად, კონკრეტული დრო განმისაზღვრა — დაკითხვა 20 წუთში უნდა დამესრულებინა. ვცდილობდი, დროის ამ პერიოდში ბევრი კითხვა დამესვა მოწმისთვის, რომ ჩემთვის სასურველი ჩვენება მიმეღო. უეცრად, ღია ფანჯრიდან ვირის ხმამაღალი ყროყინი მოისმა. საათზე დავიხედე და ვირს გავძახე: — მაცალე, რა, სამი წუთი კიდევ დამრჩა-მეთქი! სასამართლო პროცესი დასასრულს უახლოვდებოდა. იმავე დღეს დაცვითი სიტყვის თქმამაც მომიწია. მოსამართლის მიერ სიტყვის სათქმელად განსაზღვრული დრო 16 საათზე გადიოდა. გთხოვთ, ვირის ბოლო ყროყინამდე სიტყვა არ შემაწყვეტინოთ-მეთქი, — ღიმილით ვითხოვე. მოსამართლე დამეთანხმა. ჩემი სიტყვის დასასრულს, მართლაც გაისმა ვირის ყროყინი. ყროყინის ბოლო „აკორდები“ რომ მიწყდა, უნებურად საათზე დავიხედე და ზუსტად 16 საათი იყო... საქმეში მონაწილე პროკურორი თელაველი იყო. მართალია, არავითარი მტკიცებულება არ იყო, მაგრამ უსამართლო განაჩენი გამოიტანეს. თბილისის სააპელაციო სასამართლოში განაჩენი გავასაჩივრე. როგორც საგარეჯოში, ამჯერადაც სხდომის თავმჯდომარე მოსამართლემ მკითხა: რა დრო დაგჭირდება დაცვითი სიტყვისთვისო? მაშინ ვირის ამბის მოყოლა დავიწყე, პროცესში იგივე პროკურორი მონაწილეობდა. ისიც წამოდგა და თქვა: დედას გეფიცებით, როგორც ბატონი ზურა ამბობს, მართლაც ასე იყო ყველაფერიო. დროს კარგავთ, ბატონო ზურაბ, ჯობია, საქმეს მიხედოთ; აქ, სააპელაციო სასამართლოში, ვირი არ არისო, — მითხრა მოსამართლემ. რას ვიფიქრებდი, სამი მოსამართლიდან ორი კახელი რომ აღმოჩნდებოდა?! მივხვდი, ცუდად იყო საქმე. შევეცადე. სიტუაცია შემელამა-

ზებინა და ვთქვი: პროკურორი თუ ვერ შეასრულებს ვირის როლს, მეც დავეხმარები, კახელების მეზობლად ვცხოვრობ-მეთქი. ჩემმა ენამ დამღუპა — განაჩენი იგივე დარჩა... ეს — ხუმრობით, ისე კი ეჭვი არავის ეპარებოდა გამოტანილ განაჩენში.

## სტუმარი ღვთისაა

— ქუთაისში ერთ ბრალდებულს ვიცავდი. წინასწარი გამოძიება მთავრდებოდა და გამომძიებელ ვახტანგ კვანტალიანს დეპეშა გავუგზავნე: „ბატონო ვახტანგ, მაცნობეთ, როდის ჩამოვიდე ქუთაისში საქმის გასაცნობად“. რამდენიმე დღეში გამომძიებლისგან, ასევე დეპეშით, ოფიციალური პასუხი მომივიდა: „გამოძიება დამთავრდა, საქმე სასამართლოს გადაეცა, ამიტომ საქმის მასალებს ვერ გაგაცნობთ, ისე კი, ჩამობრძანდით, სტუმარი ღვთისაა“...

## შუამდგომლობა

— ვიცავდი ჯარისკაცს, რომელსაც თავის ნაწილთან ახლოს, მიტოვებული ფერმის შენობაში მანაგუას ხარშვის დროს წაასწრეს და ფაქტზე დააკავეს. ჯარისკაცი ბრალდებულის სტატუსით დაიკითხა და ასეთი ჩვენება მისცა: თითქოს იგი ბუნებრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად შევიდა მიტოვებულ შენობაში, მოილია ე.წ. „დიდი საქმე“, იქიდან გამოსვლისას, შემთხვევით დაინახა, რომ შენობაში ცეცხლი ენთო და ვედროში რაღაც იხარშებოდა. „დავინტერესდი, რა იყო ვედროში, მოვურიე ჯოხით და ამ დროს ნაწილის უფროსი დამადგა თავს“, — ამბობდა იგი. გამომძიებელმა ბრალდებულის ჩვენება, როგორც წესი, არ გაიზიარა და გააგრძელა გამოძიება. ჯარისკაცის დაცვას ვახორციელებდი და გამომძიებელს შუამდგომლობით მივმართე, რომელიც ასე მთავრდებოდა: „ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ვშუამდგომლობ, ადგილზე შეამოწმოთ ბრალდებულ ბარბაქაძის ჩვენება, მოიძიოთ და ამოიღოთ იქ არსებული ექსკრემენტი, ბრალდებულ ბარბაქაძეს ჩამოართვათ ექსკრემენტის ნიმუში და დანიშნოთ ექსპერტიზა იმის გასარკვევად, შემთხვევის ადგილიდან ამოღებული ექსკრემენტი ეკუთვნის თუ არა ბრალდებულ ბარბაქაძეს“. კანონის თანახმად, გამომძიებელმა შუამდგომლობას პასუხი 3 დღეში უნდა გასცეს. 3 დღე გავიდა, მეოთხეც, მაგრამ პასუხი არ ჩანს. მეხუთე დღეს გამომძიებელს დავურეკე. ყურმილში მისი ღრიალი გაისმა: ზურა როსტიაშვილო, დიდი ჩა... რომ იყავი, კი ვიცოდი, მაგრამ მთლად ასეთი გოთ...ც არ მეგონე, შენს მეტი ვინ დამიწერდა ასეთ შუამდგომლობას?! 3 დღე ბიბლიოთეკებში დავრბოდი, რომ გამეგო, რა ჯანდაბა იყო ეს „ექსკრემენტი“; ახლა მთელი სამმართველოს ბიჭები „მეკაიფებიან“, „გარშოკით“ ჩამოვართმევ ბარბაქაძეს ნიმუშს თუ „სუდნოთიო“!..

## შეთხზული ალიბი

— ვიცავდი მამაკაცს, რომელსაც ორი ქალის მკვლელობა ედებოდა ბრალად. ერთ დღეს, მამის საყვარლის სახლში დამტვრეულ სკამს არემონტებდა და ქალთან შეკამათება მოუხდა. ქალის უხეში სიტყვების გამო, მას სკამი ესროლა და ადგილზევე მოკლა. ამასობაში იმ ქალის და მივიდა, რომელიც ავადმყოფი იყო. იკითხა, — რა მოხდაო? იმასაც მოუქნია ნაჯახი და ისიც მოკლა. მერე შეეცოდა, პულსი გაუსინჯა, საწოლზე დააწვინა... ბოლოს, ბინის კარი ჩაკეტა, სახლიდან წავიდა. ნაჯახი გადააგდო, მაგრამ დააკავეს. მაისურზე სისხლის კვალი აღმოაჩნდა. როცა საქმეში ჩავერთე, წინასწარი გამოძიება უკვე დასრულებული იყო. საქმეში განსასჯელის 7-გზის აღიარებითი ჩვენება იდო. „მამაშენივით უვარგისი ხარ“, — ამ სიტყვების გამო, ფაქტობრივად, ორი ადამიანი მოკლა. სამუდამო პატიმრობა ელოდა. ბევრს ვფიქრობდი, როგორ გადამერჩინა, ალიბის ვეძებდი, მაგრამ ვერ ვპოულობდი... შემთხვევით გავიგე, რომ მამამისი მომაკვდავი, სახლში იწვა. ამ მომენტის ხელიდან გაშვება არ შეიძლებოდა. იმ კაცს დააწერინეს განცხადება, თითქოს მან მოკლა ქალები. მოკლედ, საკუთარ თავზე აიღო მკვლელობა. სანამ სასამართლოში დაჰკითხავდნენ, მამა გარდაიცვალა და მისი დაკითხვა პროცესზე ველარ შევძელით. ამ ალიბის შექმნის შემდეგ ჩემმა დასაცავმა ჩვენება შეცვალა, ამბობდა: მთელი დღე სახლში ვიყავი, ცოტა ხნით ბაზარში წავედი, როცა დავბრუნდი, მამა გადიოდა და მითხრა: ისინი მოვკალი, მგონი, ცოცხლები არიან და მიხედეო; მეც ავედი და სახლში ასეთი სურათი დამხვდაო... პროცესზე ამ ვერსიას ისე ავითარებდა და ისე იფიცებოდა განსასჯელი, მოსამართლემ ისიც კი ჰკითხა, შენ, ნამდვილად ხარ მართლმადიდებელიო?.. სამუდამო პატიმრობის მოლოდინში ვიყავით. საბოლოოდ, ამ ბიჭს 17 წელი მიუსაჯეს. განაჩენით კმაყოფილი ვარ, რომ გადავარჩინე. ცოტა ხანში კი ჩემმა პატიმრებმა, რომლებიც მასთან ერთად საკანში იყვნენ, მითხრეს: ის შენზე ძალიან ნაწყენიაო. როგორც გაირკვა, მის გადასარჩენად შეთხზული ჩემი ვერსია თვითონაც დაიჯერა და გაიძახდა: ის ქალები მამაჩემმა მოკლა, მე რატომ დამსაჯეს?.. ადვოკატმა ჩემი უდანაშაულობა რატომ ვერ დაამტკიცაო?!. რას იზამ, ასეც ხდება.

## „ზაპასნოი ბაკი“

— კლიენტის დასაცავად იმდენი ალიბი შემიქმნია და ისეთი ხერხებისთვის მიმიმართავს, რომ ჩამოვთვალო, შეიძლება, დამიჭირონ კიდეც. როცა ბრალდებულს ვიცავ, უკან დახევა არასდროს მჩვევია და ბევრი ადამიანი დამიხსნია სასჯელისგან. ერთ ფაქტს გავიხსენებ. ქურდს ვიცავ; ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ ყოფნა ედება ბრალად. ამასთან, კიდევ ორ დანაშაულს აბრალებენ. მძიმე სიტუაცია შეიქმნა: წამლის ზემოქმედების ქვეშ მართლა იყო. ექსპერტიზის ჩასატარებლად გამოსავალს ვეძებთ და ვიპოვეთ. პრეზერვატივი წინიდან გავხვრიტეთ, მასში მისი 2 წლის ბავშვის შარდი ჩავასხით და „ოპერაციამ“ წარმატებით ჩაიარა. დაიწყო ექსპერტიზა, უყურებს ექიმი და ხედავს, ყველაფერი რიგზეა, როგორც წესი, ისე ჩატარდა. პასუხმა გამოძიება გააკვირვა, დაკავებული „სუფთა“ აღმოჩნდა. ასე ვიხსენი იგი პატიმრობისგან და გავამართლე. ამ მეთოდს ხუმრობით, „ზაპასნოი ბაკი“ დავარქვი.

## პროტესტი

— ბრალდებულისთვის აღმკვეთი ღონისძიების საკითხის გადაწყვეტა სასამართლოს კომპეტენცია გახდა, ადრე ამას პროკურატურა წყვეტდა. ერთ ასეთ პროცესზე ახალბედა ადვოკატთან ერთად წავედი. ბრალდებულისთვის სამთვიანი პატიმრობის შეფარდების საკითხი იხილებოდა. პროკურორს შევეკამათე, რადგან საკმარისი მტკიცებულებები არ ჰქონდა. თავი გაქსივებიაო!.. — შეურაცხყოფა მომაყენა პროკურორმა. — გადაგისვრი მეორე სართულიდან-მეთქი! — შევეპასუხე. მოსამართლემ დარბაზიდან პროკურორის შეურაცხყოფისთვის გამაძევა. მე როგორ მოვიქცე? — მკითხა ახალბედა ადვოკატმა. — დარჩი და გააგრძელე დაცვა, — გადავულაპარაკე. რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი და კიდევ ერთხელ გავაპროტესტე: ეს არის სამართალი-მეთქი?! — პროტესტის ნიშნად ვტოვებ დარბაზს! — მესმის ზურგს უკან და ვხედავ, ჩემი კოლეგა ჩემზე წინ გარბის დარბაზიდან. ასე დატოვა ბრალდებული დაუცველი... ■

# „ადვოკატი გამოძახებით“ და
## საიქიოს კართან მდგარი დაცვის თანამშრომელი
# ანუ „კედელს ნუ მიეყრდნობით“

მარი ჯაფარიძე

ამჯერად ისევ მეგობრის ამბით უნდა დავიწყო, მაგრამ არ მეჩხუბოთ, — რა გაგვიწყალე შენი მეგობრებით გულიო (მხოლოდ დასაწყისში ვახსენებ, გპირდებით)?! რა ვქნა, აბა?! პრეზიდენტზე რომ დავწერო, ნახევარი საქართველო მეჩხუბება, ოპოზიციაზე წერა უინტერესოა, საკუთარ შეფზე ვერ დავწერ, გასაგები მიზეზების გამო და ყველაზე „დაბალი ღობე“ ისევ ჩემი მეგობრები არიან. ცოტას წაიწუწუნებენ და მერე შემირიგდებიან ხოლმე (ჩემ გარეშე ვერ ძლებენ და რა ქნან?!).

ჰოდა, ერთ-ერთი ჩემი მეგობრის ქმარი დაიჭირეს (შემთხვევით, რა თქმა უნდა) და გლდანის VIII საპყრობილეში „მიაბრძანეს“. ამის შემდეგ რა ხდება ხოლმე?.. რა და — პატიმრის პატრონი იწყებს სიარულს მერვე საპყრობილეში „პერედაჩის“ გადასაცემად. ნუურას უკაცრავად, ეს ის „პერედაჩი“ არ გეგონოთ, ადრე რომ იყო, — ახლა მხოლოდ ტანისამოსის შეგზავნა შეგიძლია, ისიც — გარკვეული სახეობის ფეხსაცმლისა თუ სპორტულის.

ისე, ჯობია, ყველაფერი თავიდან დავიწყო: საპყრობილეს შესასვლელში პატარა, შემინული შენობაა, სადაც პატიმრის პატრონმა უნდა გაიაროს, რომ მთავარ შენობაში მოხვდეს. თუმცა იქ მოხვედრა არც ისე იოლია, ვინაიდან მთელი თუ არა, ნახევარი საქართველო პატიმარია და იმდენი ადამიანი მიდის ყოველდღიურად, რომ მისვლიდან რამდენიმე წუთში იქ მოხვედრაზე არც უნდა იოცნებო. მოკლედ, რიგი დავიკავეთ და დაველოდეთ, როდის გაიღებოდა ჩვენთვის „სამოთხის“ თუ „ჯოჯოხეთის“ კარი. რაღა თქმა უნდა, იქ ყველა თავის პატიმარზე ლაპარაკობს და უამრავი საინტერესო ამბის მოსმენაც შეიძლება. ერთი პუტკუნა ქალი განსაკუთრებით აქტიურობდა და ყველას რაღაცას ეკითხებოდა.

— თქვენ პირველად ხართ, ქალბატონო? — მიუბრუნდა ერთ-ერთ რიგში მდგომს.

— არა, მესამედ.

— იმიტომ არ მეცნობით. აქ ყველა ერთმანეთს ვიცნობთ, ვინც დიდი ხანია, დავდივართ. ვინ გყავთ დაჭერილი?

— შვილი.

— რატომ დაიჭირეს?

— რაღაც ჩხუბის გამო, მაგრამ ჩემი შვილი იქ სულ არ ყოფილა, — ისეთი შეშინებული სახით უთხრა ქალმა, თითქოს ჩვენებას გამომძიებელს აძლევდა.

— ჰო, ასეა, აქ ყველა უდანაშაულოა. ერთი ქალი დადის ხოლმე, საწყალი, თურმე მის ქმარს ქალის გაუპატიურებაში დასდეს ბრალი. არადა, ქალი ამბობს, — რაის გაუპატიურება, სახლში ვერაფერს ახერხებდაო. წარმოგიდგენიათ?

— თქვენ ვინ გყავთ აქ? — ახლა მეორეს მიუბრუნდა.

— ქმარია ჩემი დაჭერილი, მაგრამ გაუპატიურებაზე კი არა, ქრთამის აღებაზე დაიჭირეს.

— რა თქმა უნდა, ქრთამი მას არ აუღია, ხომ? — ჩაეკითხა „მოამბე“ (ასე დავარქვი ამ აქტიურ ქალბატონს).

— შეაცდინეს. არა, ფაქტზე კი დააკავეს, მაგრამ გაუჩალიჩეს. მისი თავიდან მოშორება უნდოდათ და ამიტომ გაუკეთეს ეს.

იქვე, შორიახლოს 3 მამაკაცი იდგა. სამივე მაგარ „ზმანზე“ იყო. ის კი არა და, რიგში ჩვენთან ერთად რომ იდგნენ, ისიც კი გამიკვირდა.

ერთ-ერთის ტელეფონმა დარეკა.

— ჰო, რაო, რა თქვეს?.. აქ ვარ... საპყრობილესთან, — ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლაპარაკობდა, — ჯერ ვერ შევედი. რა გახდა ასეთი უსაშველო, ვერ გავიგე. შენ პროკურორს ელაპარაკე? თუ ეგ ეცოტავათ, უთხარი, რომ მილიონზეც თანახმა ვართ, — როგორც ჩანს, გირაოზე ლაპარაკობდა.

„მილიონის“ გაგონებაზე ყველა გაისუსა. მამაკაცი მიხვდა, რომ ხმამაღლა მოუვიდა თქმა და ხმას დაუწია. გარეთ კი იმის შიშით ვერ გადიოდა, რომ რიგი არ დაეკარგა.

ვინაიდან კარში მდგომი ჯარისკაცები და მათი უფროსი შეგვპირდნენ, რომ შიგნიდან გამოსული 10 ადამიანის სანაცვლოდ, აქედან 10-ს შეგვიშვებდნენ, თავიდან მშვიდად ვიდექით, მაგრამ შიგნიდან 40 ადამიანი მაინც გამოვიდა, ჩვენ კი საშველი არა და არ დაგვადგა. ამის გამო ხალხი აჯანყდა.

— შეგვიშვი, კაცო, შენ რაღა მოგივიდა?! აგერ, რამდენი ადამიანი გამოვიდა, ნახე!

— ვერ გაგიშვებთ, ქალბატონო, ზარს ველოდები.

— საიდან ელოდები ზარს? ცოლი გეყოლება საბერძნეთში... — დაასკვნა „მოამბემ“.

— არა, ცოლი სახლში მყავს. შიგნიდან დამირეკავენ და ნებართვას რომ მომცემენ, მერე შეგიშვებთ.

— თქვენ ამოწყდით ადრე და მალე, რომ ხალხს ასე აწვალებთ! — ჩაიბურტყუნა შუა ხნის ქალბატონმა.

— ქალბატონო, თქვენ ხშირად დადიხართ, მაგრამ სულ ჩუმად ხართ; ვერა და ვერ გავიგე, ვინ გყავთ აქ და რატომაა დაჭერილი, — მიუბრუნდა „მოამბე“ მაწყევარ ქალბატონს.

— შენს საქმეს მიხედე შენ და თავი დამანებე, ჩემი გასაჭირი მყოფნის!

— ადვოკატი ვარ, ადვოკატი, გამატარეთ, — იღლიაში საქაღალდეამოჩრილი, ახალგაზრდა, ხვეულთმიანი, მოკლეკაბიანი გოგონა მუჯლუგუნებით მიიკვლევდა გზას.

— ადვოკატებიც რიგში დგანან და ბოლოში დადექი, — „მოამბემ“ არც ის დატოვა უყურადღებოდ.

— გამიშვით, პატიმართან შევდივარ, — არ ცხრებოდა გოგო.

— ნუ გეშინია, არსად გაგექცევა, იქ დაგხვდება. რიგი დაიკავე, — წინ გადაეღობა ერთ-ერთი ქალბატონი.

— სამჯერ უკვე გაიქცა და ახლაც რომ გაიქცეს?! — გოგონამ იხუმრა თუ სიმართლე თქვა, ჩვენთვის ეს კითხვა უპასუხოდ დარჩა.

— შეუვა პატიმარს ასეთი ადვოკატი, გააგიჟებს და გაიქცევა მერე, აბა, რა



იქნება?! — ჩაილაპარაკა ერთმა.

— გენაცვალე, ცოტა გრძელი კაბა არ გქონდა?.. — „მოამბე“ თავისას არ იშლიდა.

— ქალბატონო, თქვენ არავინ გეკითხებათ, მე როგორ კაბას ჩავიცვამ, — გაცხარდა მოკლეკაბიანი და იღლიაში საქაღალდეამოჩრილი ადვოკატი.

— თქვენს პატიმარს რაზე ასამართლე-

ბენ? — ჰკითხა რიგში მდგომმა ერთ-ერთმა მამაკაცმა.

— ქურდობაზე, — კეკლუცად გაუღიმა გოგონამ.

— ჰოდა, რა გინდა, გოგო? კაცს „პატიოსნად“ მოუპარავს, ახლა პატიოსნად ზის და ინანიებს, მაინცდამაინც გაუპატიურების მუხლი უნდა დაუმატონ?!.

— გამიშვი, ერთი, — „შენობით“ ფორმაზე და ხალხის გარღვევაზე გადავიდა გოგონა.

როგორც იქნა, დაკეტილ კართან მიაღწია და იმ მამაკაცს მიმართა, რომელიც უფროსივით იქცეოდა.

— გამიღე, ერთი, ადვოკატი ვარ!

— ასეთი ადვოკატი ჯერ არ მინახავს, გენაცვალე. „ადვოკატი გამოძახებით“ ხარ? — ახედ-დახედა იმან.

— მე თქვენ გასწავლით ჭკუას! — დაიქადა გოგონამ და რიგი დატოვა.

— შეგვიშვი, რაა, — ისევ დაიწყო ხალხმა ხვეწნა, რადგან „სპექტაკლი“ დამთავრდა და გასართობი აღარაფერი იყო.

— დაწყნარდით, თორემ სულ არ შეგიშვებთ, — დაგვემუქრა უფროსი.

ამასობაში რიგს მამაო შემოუერთდა და ბოლოში მოკრძალებით დადგა. ხალხმა გზა დაუთმო და დაცვასთან პროტექციაც გაუწია — თითქმის ერთხმად სთხოვა ყველამ, გაუშვიო, მაგრამ ისევ — ნურას უკაცრავად!

— აქ ყველასთვის ერთი კანონი მოქმედებს და არავის არ გავუშვებ! კარს არ გავაღებ! — განაცხადა უფროსმა.

— ეგ „იქ“ რომ წახვალ და საიქიოს კარს მიადგები, წინ დაგხვდება, — შეაშინა „მოამბემ“, — გაუშვი, თორემ აუცილებლად მოგეკითხება.

— არა, — შეუვალი იყო სამხედროფორმიანი მამაკაცი.

ამ ფაქტმა ხალხის გაღიზიანება გამოიწვია. თანაც, მთელი 2 საათი იყო გასული, რაც რიგში ვიდექით და ისევ აჯანყდნენ.

ვიდრე რიგში ვიდექით, საპყრობილეში ოცდაათამდე ახალი პატიმარი შეიყვანეს.

— გარეთ ვინმე დარჩა?.. — თვითონ ჯარისკაცები ეკითხებოდნენ ოპერმუშაკებს, რომლებსაც პატიმრები მოჰყავდათ. — ეს უკვე ოცდამეშვიდეა დღეს.

— ჰო, რა გენაღვლებათ, რა?! თურმე ვანო მერაბიშვილის მოადგილეს 72 ათასი ლარი ჰქონია ხელფასი. ამდენი პატიმარი რომ მოჰყავთ, მერე ყველას ფულს ახდევინებენ და რატომაც არ ექნებათ „ევროპული“ ხელფასები?! — მორიგი ჭორი თუ ნამდვილი ამბავი გაგვიმხილა „მოამბემ“.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ერთ, შუა ხნის ქალბატონს ვაკვირდებოდი. თავმოუვლელი (მაპატიოს ამ ქალბატონმა), ჭაღარათმიანი, შელახული ტანისამოსითა და ფეხსაცმლით, იდგა და ხმას არ იღებდა, რიგს მორჩილად ელოდა. თან ასე, 8-9 წლის გოგონა ახლდა.

— თქვენი შვილია? — როგორც იქნა, „მოამბის“ ყურადღების არეში მოექცა ეს ქალბატონი.

— კი, — თავი დაუქნია ქალმა.

— ვისთან მოხვედი?

— ქმართან. წამალზე დაიჭირეს, — თვითონვე გასცა პასუხი მოსალოდნელ შეკითხვას.

— ვაა, რას ამბობ?! — „მოამბეს“ კი არა, მეც ძალიან გამიკვირდა, რადგან წამალი ძვირი სიამოვნებაა და ამ ქალის ქმარს ამის საშუალება წესით, არ უნდა ჰქონოდა. — ალბათ ტყუილად დაიჭირეს...

— არა, კაიფობდა და იმიტომაც დაიჭირეს.

— მაგ მამაცხონებულს რა ეკაიფებოდა?! რამდენი წლისაა?

— 50-ის. რა ექნა?! ამ 4 წლის წინ უმუშევარი დარჩა და დარდისგან წამლის კეთება დაიწყო, — გაამართლა ქმარი და უცნაური არგუმენტი მოიყვანა.

— მაშინ მე ახლა „ჩამპალი“ ნარკომანი უნდა ვიყო, იმდენი სადარდებელი მაქვს, — ჩაილაპარაკა შუა ხნის ქალბატონმა.

— ყველა ერთნაირი არაა, ბატონო, ის კაცია და დარდის გასაქარვებლად ასეთი გზა მოძებნა. ძალიან გაგვიჭირდა, პურის ფულიც ველარ შემოჰქონდა სახლში და ამის გამო ნერვიულობდა.

— კი, მაგრამ წამლის ფულს როგორღა შოულობდა? — ლოგიკური კითხვა დასვა ვილაცამ.

— წამლის ფულს შოულობდა, — ნიშნის მოგებით უპასუხა ქმრის დამცველმა ქალმა და ამით ამ თემაზე ლაპარაკი დასრულდა.

თანაც, როგორც იქნა, კარი გაგვიღეს და შესვლის უფლებაც მოგვცეს.

მას შემდეგ, რაც ძირითად კორპუსში მოხვდები, განცხადების ბლანკი უნდა შეავსო, რეგისტრაცია გაიარო და რაც პატიმრის გადასაცემად გაქვს მიტანილი, სპეციალურ თანამშრომელს მაგიდაზე უნდა დაულაგო.

ჩვენ მიერ მიტანილი ნივთებიდან უმეტესობა „დაგვიბრაკეს“. სპორტული ტანისამოსი სარჩულის გარეშე უნდა იყოს და ყველა თასმა უნდა ამოაცალო; ფეხსაცმელი ზონრებისა და „ლიპუჩკების“ გარეშე, ჩამოსხმულ ძირზე უნდა იყოს, ოთახის ფლოსტები კი — მხოლოდ და მხოლოდ რეზინის და ერთიანად ჩამოსხმული. ჰოდა, სხვა გზა არ იყო — საპყრობილეს თანამშრომელთან მოლაპარაკებები გავმართეთ.

— ამ სპორტულებს სარჩული რომ მოვაჭრა, მაშინ შემიძლია, შევუგზავნო? — ჰკითხა ჩემმა მეგობარმა.

— რა თქმა უნდა, — საიდანღაც მაკრატელი ამოაძვრინა და გამოგვიწოდა.

სარჩული წარმატებით მოვაჭერით.

— ეგ თასმებიც გამოაძრეთ, — შარვალში გაყრილ ზონარზე მიგვანიშნა, — რა იცი, თავის მოკვლა რომ გადაწყვიტოს, ეგ ზონარი შეუძლია გამოიყენოს.

— რას ამბობთ?! — შეეშინდა ჩემს მეგობარს.

— ჰო, აბა! აქ ხალხი „ლომკაში“ რომაა, ამ დროს შეიძლება, თავიც მოიკლას, — უფრო „დაამშვიდა“ ციხის თანამშრომელმა.

— წამალს „გარეთ“ არ იკეთებდა და აქ თქვენ თუ დააწყებინეთ, არ ვიცი, — კიდევ უფრო შეშფოთდა ნინო.

— ჰო, ეს — სპორტულები; რაც შეეხება ფეხსაცმელს, — ვერც ამას შეგაგზავნინებთ, — გადაჭრით გამოგვიცხადა, — „ლიპუჩკები“ აქვს და იმიტომ.

— კი, მაგრამ მაღაზიაში, სადაც ეს ფეხსაცმელი ვიყიდე, გამყიდველმა მითხრა, ესენი შედის ციხეზე და პრობლემა არ გექნებაო.

— მაშინ ეს „ლიპუჩკები“ მოვაჭრათ, — ისევ დააძრო მაკრატელი.

მოკლედ, „ლიპუჩკები“ თვითონვე მოაჭრა, ფეხსაცმელი ფაქტობრივად, დაშალა, შიგნიდან საფენიც ამოაძრო, ძირი ყველანაირად შეამოწმა — ხელი დაუკაკუნა, კბილებით მოსინჯა, შეატრიალა, შემოატრიალა და ისიც ცელოფანში ჩადო. ახლა დაელოდეთ, ნახევარ საათში პასუხი იქნებაო, — გვითხრა და შემდეგ ფუთას მიუბრუნდა.

— ამას ვერ შეგაგზავნინებთ, ქალბატონო, — უკვე შორიდან მოგვესმა მისი ხმა.

დაელოდე — კარგია!.. იცოცხლე, ჯერ გარეთ ჩამოვწყდით ფეხზე დგომით, ახლა — აქ. არც სკამია სადმე და ყველგან წარწერებია გაკრული — „კედელს არ მიეყრდნოთ“ (როგორც ჩანს, პატიმრის პატრონიც პატიმრის პირობებში უნდა იყოს).

ასე, „კედელს მიუყრდნობელმა“ იქაურობა მოვათვალიერე. ერთ-ერთი „მჩხრეკავი“ (მათ თანამდებობას რა ჰქვია, არ ვიცი) თავისთვის იჯდა და „გზას“ კითხულობდა, მეორე კი აჩქარებდა — რით ვერ წაიკითხე, ჩემი ჯერია ახლა და ჟურნალი მომეციო.

არა, „გზა“ რომ საინტერესო ჟურნალია, ვიცი და თქვენც იცით, ჩვენო მკითხველო, მაგრამ ასე თავისუფლად რომ სხედან და ჟურნალის საკითხავი დრო აქვთ, ჩვენ რატომ გაგვაჩერეს გარეთ ორსაათ-ნახევარი? ალბათ იმიტომ, რომ ჟურნალი მშვიდად წაეკითხათ და ხელი არავის შეეშალა. კი, ბატონო, იკითხეთ... იმედია, არც ამ სტატიას დატოვებთ წაუკითხავს და გისურვებთ, რომ არც ერთი პატიმარი არ გყოლოდეთ და მხოლოდ უსაქმურად კი არა, სულაც უმუშევრად დარჩენილიყოთ. ■

# როცა საკუთარი გამოცდილება „სხვას“ გკარნახობს

**რამდენიმე წლის წინ რედაქციაში ერთი ქალბატონი მეწვია. ლეილამ საკუთარი ამბავიც მიამბო და ერთადერთი ქალიშვილისაც. დედა-შვილიდან ვის როგორ წარემართა ცხოვრება ან გაუმართლათ თუ არა, ამას დღევანდელი წერილით შეიტყობთ („ვაღიარებ ჩემი შვილი ჩემზე ძლიერი გამოდგა“, „კვირის პალიტრა“, 13 მარტი, 2006 წელი).**

*მარინა ბაბუნაშვილი*



### ამბავი პირველი
### არ მინდოდა, შვილს ჩემი ბედი გაეზიარებინა

**ამონარიდი წერილიდან:** „...ჩემი და ზურას სიყვარულის ამბავი თითქმის ყველამ იცოდა, დედაჩემის გარდა. საგულდაგულოდ ვუმალავდი, რადგან ვიცოდი მისი შეხედულება, ღარიბს არ გაჰყვე, თორემ ინანებ, გეყოფა რაც გაჭირვებით იცხოვრეო, მე კი ვფიქრობდი, — მერე რა, რომ ზურა ღარიბი ოჯახიდანაა, სამაგიეროდ ნიჭიერია და ყველაფერს მიაღწევს-მეთქი. ჩემს განცდებს დღიურს ვანდობდი. მეათე კლასში ვიყავი, როცა დედამ ჩემი დღიურიდან ყველაფერი შეიტყო. ძალიან გამიბრაზდა და იმით დამსაჯა, რომ სხვა სკოლაში გადამიყვანა“.

ლეილა პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი გახდა, ზურამ პოლიტექნიკურის მეტალურგიულ ფაკულტეტზე გააგრძელა სწავლა. ერთ მშვენიერ დღეს კი გაიპარნენ. ზურას მრავალსულიან ოჯახში ლეილას ძალიან გაუჭირდა. ამ ყველაფერს ისიც დაემატა, რომ მძიმე მშობიარობა ჰქონდა და ბავშვი მკვდარი დაიბადა. მერეღა დაუთმეს ქალიშვილსა და სიძეს მშობლებმა თავიანთ ოთხოთახიან ბინაში ერთი ოთახი. მართალია, ზურას სიდედრ-სიმამრთან ცხოვრება არ უნდოდა, მაგრამ ლეილა ეცოდებოდა და მის გამო დათმო.

**ამონარიდი წერილიდან:** „მალე ისევ დავფეხმძიმდი. მეორე მშობიარობამ კარგად ჩაიარა. გოგონას თიკო დავარქვით. ჩემი მშობლები და უმცროსი ძმა თავს ევლებოდნენ ბავშვს. მშობლებმა ბინა სამად დაშალეს და ცხადია, მეც მომცეს წილი. ამასობაში სასწავლებლები დავამთავრეთ და მე მასწავლებლად დავიწყე მუშაობა, ზურამ — რუსთავში მეტალურგიულ ქარხანაში. ხელმომჭირნეობაში გაილია 15 წელი. ნელ-ნელა განელდა სიყვარული. მეორე ბავშვზე როგორღა ვიფიქრებდი, თიკოს აღზრდას ძლივს ვახერხებდით. თანაც, მალე ქვეყანა აირია... თიკოს სულ უკან დავდევდი. ლამაზი გოგო დადგა და მეშინოდა, ვინმე უღირსი არ გადაჰკიდებოდა. გავიდა დრო და როცა მისი რჩეულის შესახებ გავიგე, გულს შემომეყარა. გიოც ზურასავით ნიჭიერი, კარგი შესახედი, მაგრამ ღარიბი და მამით ობოლი იყო. ერთხელ, თიკოს დაბადების დღეზე გიო და ჩვენი უბნელი ბიჭი, საბა შელაპარაკდნენ, მასაც უყვარდა ჩემი შვილი. კამათი ქუჩაშიც გაგრძელდა. ყველაფერი კი იმით დამთავრდა, რომ გიო დაიჭრა და სიკვდილს ძლივს გადაურჩა“.

საბა დააპატიმრეს, მაგრამ მისი ძმაკაცები კარგა ხანს ვერ დამშვიდდნენ. გიო იყო დაზარალებული და კიდევ აქეთ ემუქრებოდნენ, — სულ ერთია, არ გაცოცხლებთ, რას ჰქვია, ჩვენი „ძმა“ შენ გამო დააპატიმრესო. საბას პირით კი თიკოს შეუთვალეს — გიოს რომ გაჰყვე, ორივეს მოგკლავთო. სანამ გიო ბოლომდე გამოჯანმრთელდებოდა, „ჰორიზონტზე“ ახალი და ძალიან წარმატებული საქმრო — ბესო გამოჩნდა. თიკოს მამას, ახალი გადატანილი ჰქონდა ინფარქტი. ხუმრობა ხომ არაა, მისი ბინიდან გასულმა ახალგაზრდებმა ლამის ერთმანეთი დახოცეს; ლეილამ იმდენი უჩიჩინა ქმარს (იცოდა, რომ თიკოსთვის მამის სიტყვა მნიშვნელოვანი იყო), როგორც იქნა, დაითანხმა, რომ ქალიშვილისთვის ბესო ერჩია... ბესოს თბილისშიც ჰქონდა ბინა და მოსკოვშიც. ძირითადად კი მოსკოვში ცხოვრობდა, რადგან, იქ მუშაობდა. თუკი თიკო მას გაჰყვებოდა, ორივე დატოვებდა თბილისს... მამამ ქალიშვილს ურჩია: რადგან ასე დაიძაბა სიტუაცია, იქნებ გიოსთვისაც სჯობდეს, სხვას გაჰყვე ცოლად, ხომ ხედავ საბა როგორ იმუქრება, ბიჭს ადრე თუ გვიან რამე არ დაუშავოსო. სამი დღის ფიქრის შემდეგ თიკო დათანხმდა, რომ ბესოს გაჰყოლოდა.

### ამბავი მეორე

გაჭირვება ყოველთვის როდი ანელებს სიყვარულს. შვილის ქორწილამდე ზურაბს ინფარქტი გაუმეორდა და გარდაიცვალა. 40 დღის გასვლის შემდეგ თიკო უხმაუროდ გათხოვდა და ბესოსთან ერთად მოსკოვში გაემგზავრა. ლეილას ამდენი დარდისა და ნერვიულობის შემდეგ სიხარულის ცრემლი მოსდიოდა — რადგან თიკო ბედნიერად გათხოვდა და უზრუნველი ცხოვრება ექნება, ჩემს ტკივილსა და უბედურებას აღარ დაჰყვება... მაგრამ თიკო სულაც არ გრძნობდა თავს ბედნიერად. სამი წლის შემდეგ პატარა ზუკასთან ერთად დაბრუნდა დედასთან. თურმე ქმარი ყოველ ფეხის ნაბიჯზე ღალატობდა და როცა თიკო საყვედურობდა, ბესო ასე პასუხობდა: თუ ჩემთან ყოფნა არ მოგწონს, შეგიძლია დედაშენთან დაბრუნდე, მე აწი აღარ გამოვიცვლებიო... ჰოდა, თიკოც დაბრუნდა.

ცოტა ხანში თიკოსა და გიოს ურთიერთობა აღდგა...

**ლეილა:** ძალიან განვიცადე თიკოს ოჯახის დანგრევა, მაგრამ ჩემი შვილის უბედურებაში ნებსით თუ უნებლიეთ დიდი წვლილი მიმიძღვოდა. მეგონა, ბესოსთან დალხენილად იცხოვრებდა. მე ხომ სიყვარულით გავყევი ზურას, მაგრამ გაჭირვებამ თანდათან გაანელა გრძნობა. დარწმუნებული ვიყავი, მატერიალური უზრუნველყოფა სიყვარულსაც მოუტანდა თიკოს, მაგრამ ასე არ მოხდა. მწარედ მოვტყუვდი. როცა თიკო დამიბრუნდა და გიოსთან ურთიერთობა აღადგინა, არაფერი აღარ მითქვამს. გულში ვფიქრობდი, ოღონდ ბედნიერი იყოს და როგორც უნდა, ისე იცხოვროს-მეთქი. თიკო მიმალავდა გიოსთან ურთიერთობას. ისევ მე დავარღვიე დუმილი — თუ მასთან ყოფნა გინდა და ისიც მზადაა შვილიანი მიგიღოს და გიპატრონოს, მე არაფერი მაქვს საწინააღმდეგო-მეთქი. რამდენიმე ხნის შემდეგ გიომ მინახულა და ოფიციალურად მთხოვა თიკოს ხელი; გიოს ერთადერთი რამ ვუთხარი, — მაპატიე-მეთქი... ისინი შეუღლდნენ. თიკოს ასე ძალიან რომ არ ჰყვარებოდა გიო, იმდენად დამთმობია, შეიძლებოდა, ბესოს ღალატზე თვალი დაეხუჭა. რაც მართალია-მართალია, ქმარი თიკოს ყველაფერს უსრულებდა, რასაც კი მოისურვებდა: არაფერი აკლდა, არც ჩასაცმელ-დასახური, ბინის ინტერიერის შეცვლა და განახლება თუ პრესტიჟულ კურორტზე დასვენება. ეს ყველაფერი ჩემს შვილს ჰქონდა, მაგრამ ქმარი ჰყავდა მექალთანე და ღალატი ვერ აპატია. ბესომ თიკოს მეორედ გათხოვების შესახებ რომ შეიტყო, მოითხოვა, შვილი ჩემია და გამომიგზავნე, მანდ რა განათლება უნდა მიიღოს?.. თიკო კარგა ხანს ორჭოფობდა. მერე მეც და ახლობლებმაც ვურჩიეთ, რომ ისევ ბავშვის საკეთილდღეოდ სჯობდა მდიდარ მამასთან გაგვეშვა. მართლაც, ზუკა ძალიან პრესტიჟულ და ძვირად ღირებულ კოლეჯში შეიყვანა. ბესო არდადეგებზე ყოველთვის თბილისში უშვებს შვილს... თიკოს და გიოს კი ორი შვილი შეეძინათ. ვერ ვიტყვი, რომ არაფერი აკლიათ; ორივე მუშაობს, მაგრამ მაინც ეკონომიურად უწევთ ცხოვრება, სამაგიეროდ, ძალიან უყვართ ერთმანეთი, ყველა პრობლემას ერთად ჭრიან და არც არასოდეს წუწუნებენ. თიკოს ჩემზე მეტად შესძლებია სიყვარული და ამ გრძნობით ყველანაირი სირთულე დასძლია. ■

ჟურნალისტს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელ: 899.27.25.61
ან ელფოსტით babunamarina@yahoo.com

# მატყუარა ქალის ხაფანგში გაბმული ვაჟკაცი საყვარელი და „თანამედროვე“ ქმარი



**ჩემი რესპონდენტი, სოსო დედანაშვილი 2006 წელს პროექტ „მდიდრები და ღარიბების“ მონაწილე გახლდათ. მისი ამბავიც, რომელსაც დღეს თავად მოგიყვებათ, სწორედ ამ პროექტიდან დაიწყო. როგორ განვითარდა სასიყვარულო მოვლენები და როგორი დასასრული ჰქონდა იდუმალებით მოცულ სიყვარულს, ამის შესახებ ინტერვიუდან შეიტყობთ.**

*მარი ჯაფარიძე*

— 2006 წელს რეალურ შოუში მონაწილეობა გადავწყვიტე და განაცხადი გავაკეთე. როგორც ჩანს, პროექტის ავტორებს მოვეწონე და მიმიწვიეს. შოუში ფინალამდე მივედი და შემდეგ გამოვაკლდი.

— **„მდიდრებმა და ღარიბებმა“ რამე შეცვალა შენს ცხოვრებაში?**

— ფაქტობრივად არაფერი, თუ არ ჩავთვლით ერთ უცნაურ ამბავს, რომელსაც საფუძველი სწორედ მაშინ ჩაეყარა, როდესაც მე პირდაპირი ეთერით „გადამცემდნენ“. ჩვენთან წამყვანს შემოჰქონდა ხოლმე მაყურებლის მიერ გამოგზავნილი შეტყობინებები. ბევრი მათგანი მართლაც სასიამოვნო მოსასმენი იყო, ზოგი კი მწარედ იკბინებოდა ხოლმე. როცა „ღარიბებში“ ვიყავით, ყვითელი ფერის წინსაფრებს ვხმარობდით. მახსოვს ერთი მესიჯი, როდესაც ვიღაც წერდა ჩემზე, ეს რა ფუტკარი მოგიყვანიათ შოუში, ყვითელი წინსაფარიც ძალიან უხდებაო. ასეთ შემთხვევაში ჩვენ პასუხის გაცემის ან კომენტარის გაკეთების უფლება არ გვქონდა. მხოლოდ მადლობას ვუხდიდით ღიმილით ტელემაყურებელს, მაგრამ გულში რას ვფიქრობდით, ეგ უკვე მედლის სხვა მხარეა.

— **მოდი, იმ შემთხვევის შესახებ მომიყევი, რომელიც ასე დაგამახსოვრდა.**

— საქმე ის გახლავთ, რომ ტელემაყურებლების მიერ გამოგზავნილ მესიჯებში ყოველთვის გამორჩეულად მომწონდა ვინმე ნატას შეტყობინებები, სადაც თბილ სიტყვებს არ იშურებდა და სიყვარულს მიხსნიდა. იქ, ჩაკეტილ გარემოში ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, მერწმუნეთ. როდესაც შოუ დავტოვე და ჩვეულებრივ ცხოვრებას დავუბრუნდი, უამრავი ადამიანი მეკონტაქტებოდა, ქუჩაშიც კი მცნობდნენ. ერთხელ ისიც კი მახსოვს, ავტობუსში ვიღაც გოგომ თქვა: ამ საცოდავს იმის ფულიც არ აქვს, რომ „მარშრუტკით“ იაროსო. ამიტომ, ჩემს მობილურზე მოსულ მესიჯებს ყურადღებას არ ვაქცევდი. ერთ მშვენიერ დღეს კი მესიჯი ნატასგან მივიღე და მაშინვე მივხვდი, რომ „ის“ იყო. ბუნებრივია, ვუპასუხე. შემდეგ ჩვენ შორის მიმოწერა გაიბა. რამდენიმე კვირის შემდეგ შევხვდით კიდეც. ძალიან ვღელავდი, რადგან არ მინდოდა, იმედი გამცრუებოდა და ნატა გარეგნულად არ მომწონებოდა. შეხვედრის ადგილზე მისული მოუთმენლად ველოდი მის გამოჩენას. ყვავილებიც კი ნაყიდი მქონდა. საოცარი გარეგნობის გოგონა მოვიდა ჩემთან და გამიღიმა. მივხვდი, ის იყო და მესიჯებით დაწყებულმა სიყვარულმა მაშინვე მყარად გაიდგა ფესვი. ეს გოგო მართლა შემიყვარდა. ჩვენი ურთიერთობა გაგრძელდა. ერთმანეთს ყოველდღე ვხვდებოდით. მეუბნებოდა, რომ უჩემოდ ვერ ძლებდა და სულ ვენატრებოდი. მის მიმართ მეც იმავეს ვგრძნობდი. შემდეგ ჩვენ შორის, ინტიმური ურთიერთობაც შედგა. ვიცოდი, რომ ნატა ადრე გათხოვილი იყო და ქმარს გაცილდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, არ ვიყავი წინააღმდეგი, რომ ჩვენი ურთიერთობა ქორწინებით დასრულებულიყო.

— **ისიც თანახმა იყო?**

— როდესაც ამ თემაზე ჩამოვაგდებდი ლაპარაკს, ამბობდა, რომ ცოტა უნდა მოგვეცადა, ვინაიდან ქმარს ახალი გაშორებული იყო და მშობლები მის ხელახლა გათხოვებას დიდი სიხარულით არ შეხვდებოდნენ. მეც ველოდი, აბა რა მექნა? ერთხელ, ერთ-ერთ ჟურნალს ინტერვიუ მივეცი და ნატასთვის სიურპრიზის გაკეთებაც გადავწყვიტე. ავდექი და ჟურნალისტს მისი სურათებიც მივეცი და ინტერვიუში ვთქვი, რომ ჩემი საცოლეა. ამის მერე კარგა ხანი იყო გასული, რომ ერთ დღეს ტელეფონზე ვიღაც უცხო მამაკაცმა დამირეკა და მითხრა, საქმიანი წინადადება მაქვს და შემხვდიო. რა თქმა უნდა, უარი არ მითქვამს. მაშინ უმუშევარი ვიყავი და ვიფიქრე, რომ სამსახურს შემომთავაზებდა. მასთან სამსახურში მივედი. მის კაბინეტში ღიმილით შევაბიჯე. ხელი ჩამომართვა და დივანზე დამსვა. მითხრა, მე ნატას ქმარი ვარ, მას შემდეგ, რაც ჟურნალში შენი ინტერვიუ წავიკითხე, კერძო დეტექტივი დავიქირავე და გამუდმებით გითვალთვალებდათ, ყველაფერი ვიცი, რაც თქვენ შორის ხდება და უარყოფას აზრი არ აქვს. ნატამ არ იცის, რომ ჩემთვის ყველაფერი ცნობილია და მისთვის ამის თქმას არც ვაპირებ, მაგრამ მინდა, 10 ათასი დოლარი შემოგთავაზო იმის სანაცვლოდ, რომ ნატასთან ურთიერთობა გაწყვიტოო. მე ძალიან გამიკვირდა. ვთხოვე, დაეზუსტებინა, ქმარი იყო თუ ყოფილი ქმარი. მას ყოფილი ქმარი არ ჰყავს, მე ახლაც მისი მეუღლე ვარ და ძალიან მიყვარს ჩემი ცოლიო. ამ კაცს ავუხსენი, რომ მე აზრზეც არ ვიყავი, ნატა თუ გათხოვილი იყო და იმის გაგებამ, რომ მას 3 წლის შვილიც ჰყავდა, მთლად შოკში ჩამაგდო. რაში დასჭირდა ასეთი ტყუილის თქმა, ვერ გავიგე.

— **აიღე შემოთავაზებული თანხა?**

— არა, რას ამბობთ, ამ თანხაზე უარი ვთქვი, რა თქმა უნდა. ნატას

ქმარს კი ნებართვა ვთხოვე, მის ცოლს ერთხელ შევხვედროდი და მის საქციელზე პასუხი მომეთხოვა. შევხვდით. ნატამ იტირა, პატიება მთხოვა, მიყვარხარ და მეგონა, თუ გაიგებდი, რომ ქმარი მყავდა, აღარ შემხვდებოდიო. გაოგნებული ვიყავი. კი, მაგრამ როგორც მივხვდი, საკმაოდ მდიდარი ქმარი გყავს, არც გარეგნულადაა ცუდი ტიპი და რამ გაიძულა, მისთვის გეღალატა, ნუთუ არ შეგეშინდა, რომ ამ ყველაფერს დაკარგავდი-მეთქი? ჩემთვის ყველაფერი სულ ერთი იყოო. ასე დავშორდი ნატას. მართალია, ძალიან ვინერვიულე, მაგრამ სხვა გზა არ იყო.

**— ამის შემდეგ აღარ გინახავს?**

— ერთხელ შევხვდი შემთხვევით, კინოთეატრში. ფილმის პრემიერაზე ვიყავი და იქ ვნახე, ქმართან ერთად იყო. იმ კაცმა რა თქმა უნდა, მიცნო და ჩემი დანახვა არ ესიამოვნა. იქიდან არ წამოვსულვარ, მაგრამ შევეცადე, თვალში არ შევჩხერვოდი. ჩემი და ნატას თვალები ერთმანეთს რომ შეხვდა, მათში სინანული დავინახე.

**— ისე, წარმოუდგენელი საქციელია ქართველი კაცისგან, რომ ცოლს ღალატი აპატია და მას საყვედურიც არ უთხრა.**

— რა გითხრათ, შესაძლოა, საყვედური უთხრა კიდეც, მაგრამ არ ვიცი, რა მოხდა მათ ოჯახში. თავიდან მეც გაოცებული ვიყავი ამ მამაკაცის საქციელით, რადგან არანაირად არ ჯდებოდა ქართველი ქმრის ქცევაში, მაგრამ შემდეგ ამაზე ფიქრით ტვინს აღარ ვიღლიდი. რა აზრი ჰქონდა? რაღაცნაირად, კმაყოფილი ვიყავი, რომ ამ შეცდომაში არანაირი წვლილი არ მიმიძღოდა. ხომ გახსოვთ, „ჭრიჭინაში" რომაა ერთი ფრაზა: „მეც მწარედ მომატყუეს". ისე, ნატა მაშინ 22 წლის იყო, ის კაცი კი თითქმის 40-ს მიტანებული და მაინც მგონია, რომ გოგონა თავის ტოლ მამაკაცთან ურთიერთობის დეფიციტს განიცდიდა და შესაძლოა, ეს ყველაფერი სწორედ ამის ბრალი იყო.

**— შენი ცხოვრება როგორ გაგრძელდა ამის შემდეგ?**

— მე ახლა ერთ-ერთ ბანკში ვმუშაობ და თავს კარგად ვგრძნობ. ძველი უსიამოვნებები წარსულში დავტოვე. ცოლი ჯერ კიდევ არ მყავს, რადგან მორიგ, დიდ სიყვარულს ველოდები. ■

# ყველაზე სისხლიანი დედოფალი, რომელსაც ძეგლი არ დაუდგეს

„ფორბსმა" ისტორიაში „ყველაზე საშიში" ქალების ათეული გამოაქვეყნა. მასში მეათე ადგილი ინგლისის დედოფალს, მარია ტიუდორ პირველს (1516-1558) ეკუთვნის. დღეს სწორედ მის შესახებ მოგახსენებთ, ხოლო ათეულის დანარჩენ ქალბატონებს თანდათანობით გაგაცნობთ.

მარია ჰენრი VIII-სა და ეკატერინე არაგონელის უფროსი ქალიშვილი გახლდათ. იგი ისტორიაში „სისხლიანი მარიას" (იგივე სისხლიანი მერი) სახელითაცაა ცნობილი. ამ დედოფალს სამშობლოში ძეგლი არ დაუდგეს და მისი გარდაცვალების დღე ნაციონალურ დღესასწაულად გამოცხადდა.



მარია ტიუდორის დაბადებამდე ჰენრისა და ეკატერინეს ყველა შვილი დაბადებისთანავე კვდებოდა. ამიტომ, ჯანმრთელი გოგონას დაბადებამ მეფის ოჯახში დიდი სიხარული გამოიწვია.

პირველი 2 წლის განმავლობაში პატარა მარიას ქალაქიდან ქალაქში მოგზაურობა უწევდა, ვინაიდან იმ დროს ინგლისში შავი ჭირის ეპიდემია იყო გავრცელებული და მეფე ცდილობდა, ამ დაავადებისგან თავისი ოჯახი დაეცვა. ამ ხნის განმავლობაში გოგონას 4 ძიძა, მრეცხავები და რამდენიმე დიდებული ახლდა თან. ყველა მათგანს მხოლოდ მწვანე და ცისფერი ტანისამოსის ჩაცმის უფლება ჰქონდა. ეს გოგონას ტანისამოსის ფერები იყო. 1518 წლის შემოდგომაზე ეპიდემია ჩაცხრა და მეფის ოჯახი დედაქალაქს დაუბრუნდა.

ამ დროს საფრანგეთის ტახტზე ფრანცისკ პირველი ავიდა, რომელსაც სურდა, მსოფლიოსთვის თავისი ძალაუფლება ეჩვენებინა. საამისოდ კი ჰენრის მხარდაჭერა სჭირდებოდა. ორმა მეფემ მეგობრული კავშირი გაამყარა და გადაწყდა, რომ მარია საფრანგეთის ტახტის მემკვიდრეს გაჰყვებოდა ცოლად მას შემდეგ, რაც ბიჭუნა 14 წლის გახდებოდა. შეთანხმებაში ერთი პირობაც იდო: თუ ჰენრის ვაჟი არ შეეძინებოდა, მარია ტახტზე უნდა ასულიყო. თუმცა, ჰენრის ამის გაფიქრებაც კი არ უნდოდა, რადგან იმედოვნებდა, რომ ვაჟი აუცილებლად შეეძინებოდა და თანაც, წარმოუდგენლად მიაჩნდა, რომ ტახტის მემკვიდრე ქალი გამხდარიყო.

დედოფალმა კიდევ ერთი მკვდარი ბავშვი დაბადა და მარია კვლავ ტახტის მემკვიდრედ დარჩა.

მარია დიდებულების გარემოცვაში იზრდებოდა და მშობლებს ძალზე იშვიათად ხვდებოდა.

მისი მდგომარეობა მაშინ შეირყა, როდესაც მეფის საყვარელმა ბიჭი გააჩინა. ბიჭუნას ჰენრი დაარქვეს და შესაბამისი ტიტულებიც მიანიჭეს, როგორც ტახტის მემკვიდრეს შეეფერება.

ესპანელმა სწავლულმა ვივესმა მარიას აღზრდა-განათლების პრინციპი შეადგინა. პრინცესას სწორად მეტყველება, ლათინური და ბერძნული ენები უნდა ესწავლა, მაგრამ მისი აღზრდის პროცესში ერთი შეცდომა იქნა დაშვებული — ქვეყნის მართვა არ ასწავლეს.

1522 წლის ივნისში ჰენრის სასახლეს რომის იმპერატორი, კარლ V ეწვია. ამ შეხვედრისთვის რამდენიმე თვით ადრე დაიწყეს მზადება და დიდი ზეიმი მოეწყო. სწორედ ამ წვეულებ-

ის დროს მოეწერა ხელი დოკუმენტს, რომლის თანახმადაც, მარია და კარლი დანიშნულებად გამოცხადდნენ (ფრანგ სასიძოსთან ნიშნობა ჩაიშალა). საქმრო მარიაზე 16 წლით უფროსი იყო (მაშინ გოგონა სულ 6 წლის გახლდათ). თუმცა, თუ კარლი ამ ქორწინებას დიპლომატიურ ნაბიჯად მიიჩნევდა, მარია საქმროს მიმართ გაცილებით რომანტიკულად განეწყო და საჩუქრებსაც კი უგზავნიდა ხოლმე.

1525 წელს, როდესაც გაირკვა, რომ ეკატერინე მემკვიდრეს ვეღარ გააჩენდა, ჰენრი სერიოზულად დაფიქრდა, ვინ გახდებოდა ინგლისის მეფე ან დედოფალი. მართალია, მის არაკანონიერ შვილს მეფისწულის ტიტული უკვე ჰქონდა, მაგრამ მარიამ უელსის პრინცესას ტიტული მიიღო. ინგლისის ტახტის ყველა მემკვიდრე სწორედ ამ ტიტულს ატარებდა. ახლა მარიას თავისი ახალი სამფლობელო უნდა ემართა. უელსი მაშინ ინგლისის შემადგენლობაში არ იყო. ის დამოუკიდებელი ტერიტორია გახლდათ და მისი მართვა არც ისე იოლი იყო. პრინცესა თავის სამფლობელოში 1525 წლის ზაფხულში გაემგზავრა. მას მართლმსაჯულების აღსრულება და სხვა ქვეყნის მმართველი პირების მიღება ევალებოდა.


ჰენრი VIII

1527 წელს ჰენრის კარლის მიმართ სიმპათია გაუნელდა და მარიას უელსში გამგზავრებამდე ცოტა ხნით ადრე ნიშნობა ჩაიშალა. ახლა ჰენრიმ კვლავ საფრანგეთთან ურთიერთობის აღდგენა გადაწყვიტა. შეიძლებოდა, საკუთარი ქალიშვილი ფრანცისკ პირველისთვის ან მისი რომელიმე ვაჟისთვის შეეთავაზებინა. მარია უელსიდან ლონდონში დაბრუნდა.

1527 წლის ზაფხულში ჰენრიმ ეკატერინესთან ქორწინება გააუქმა. ამის გამო მარია მეფის უკანონო შვილად გამოცხადდა და ტახტზე უფლებები დაკარგა. მარიას ცხოვრება გართულდა, რადგან მამა ჯერ ყოფილი ცოლის წინააღმდეგ ბრძოლის იარაღად იყენებდა: ვინაიდან ეკატერინე განქორწინებაზე არ თანხმდებოდა, მეფე მას შვილის ნახვის საშუალებას არ აძლევდა. შემდეგ ჰენრი ანა ბოლეინზე დაქორწინდა და მარია თავის ახალ ცოლს მოახლედ დაუყენა. ანა მეფის ქალიშვილს ვერ იტანდა და ცდილობდა, მისთვის რაიმე ევნო.

ანამ სასახლეში დიდხანს ვერ გაძლო. მისი ადგილი წყნარმა და ჭკვიანმა ჯეინ სეიმურმა დაიკავა, რომელმაც მეფეს ვაჟი, ედუარდი გაუჩინა და მალე გარდაიცვალა. ამის შემდეგ მეფე ცოლებს ხშირად იცვლიდა და გოგონას ცხოვრება იმის მიხედვით იცვლებოდა, თუ როგორი ურთიერთობა ჰქონდა მორიგ დედინაცვალთან. ჰენრის გარდაცვალებისას მარია ჯერ კიდევ გასათხოვარი გახლდათ, მიუხედავად იმისა, რომ უკვე 31 წლის იყო. ის ედუარდის შემდეგ ტახტზე ასვლის რიგით მეორე პრეტენდენტი გახლდათ. ედუარდი 9 წლის იყო, როდესაც ტახტზე ავიდა. სუსტი და ავადმყოფი ბავშვი იყო. მეფის რეგენტებს ეშინოდათ, რომ თუ მარია გათხოვდებოდა, შესაძლებელი იყო, ქმრის დახმარებით ტახტი დაესაკუთრებინა. ცდილობდნენ, მარია სასახლიდან მოშორებით ჰყოლოდათ და მცირეწლოვან მეფეს დის წინააღმდეგ ამხედრებდნენ. შეხლა-შემოხლის ძირითადი მიზეზი ის გახლდათ, რომ მარიას რწმენის შეცვლა — ქვეყნის პროტესტანტულიდან კათოლიკურ რელიგიაზე მოქცევა სურდა.

1553 წლის დასაწყისში ედუარდს ტუბერკულოზის სიმპტომები აღმოაჩნდა. ბავშვი აიძულეს, მემკვიდრეობის შესახებ დოკუმენტზე ხელი მოეწერა. ამ ანდერძის მიხედვით დედოფალი ჯეინ გრეი, ჰერცოგ საფოლკის უფროსი ქალიშვილი ხდებოდა. მარია ტახტის მემკვიდრეების სიიდან გამოირიცხა. ედუარდის სიკვდილის შემდეგ დედოფალი მართლაც ჯეინ გრეი გახდა, მაგრამ ხალხი აჯანყდა, რადგან ახალი დედოფალი არ მოსწონდათ და არ მიიღეს. 1 თვის შემდეგ ტახტზე მარია ავიდა. მაშინ ის 37 წლის იყო.

ჰენრი VIII-ს მეფობის შემდეგ ინგლისში ეკლესიებისა და მონასტრების ნახევარზე მეტი დაანგრიეს. ედუარდის მეფობის დროს კი მეფესთან დაახლოებულმა პირებმა ხაზინა გაძარცვეს და მარიას საკმაოდ მძიმე ტვირთი ხვდა წილად — გაღატაკებული ქვეყანა გაჭირვებიდან უნდა გამოეყვანა.

პირველი 6 თვის მეფობის განმავლობაში მარიამ 16 წლის ჯეინ გრეი სიკვდილით დასაჯა, კვლავ დაიახლოვა ის ადამიანები, რომლებიც ცოტა ხნის წინ მის წინააღმდეგ იყვნენ ამხედრებული, რადგან იცოდა, რომ მათი დახმარებით ქვეყნის მართვას შეძლებდა. სახელმწიფოში კათოლიკური რელიგიის აღდგენა გადაწყვიტა და მონასტრების რეკონსტრუქციას მიჰყო ხელი. სწორედ მისი მეფობის პერიოდში სიკვდილით დასაჯეს ყველაზე მეტი პროტესტანტი. მათ მტრებად აცხადებდნენ და კოცონზე წვავდნენ. უამრავი დოკუმენტი არსებობს, თუ როგორ აწამებდნენ ხალხს რწმენის გამო. 1554 წლის ზაფხულში მარია კარლ V-ს შვილს, ფილიპეს გაჰყვა ცოლად. ის ცოლზე 11 წლით უმცროსი იყო. საქორწინო გარიგების თანახმად, ქმარს ქვეყნის მართვის საქმეებში ჩარევის უფლება არ ჰქონდა, ხოლო მათი შვილები ინგლისის ტახტის მემკვიდრეებად ცხადდებოდნენ. დედოფლის გარდაცვალების შემდეგ ქვრივ მეუღლეს ტახტზე პრეტენზია არ უნდა ჰქონოდა და სამშობლოში — ესპანეთში უნდა დაბრუნებულიყო.

ხალხმა ახალი მეფე შეიძულა. ინგლისში ესპანელებსა და ადგილობრივებს შორის ხშირად ხდებოდა შეტაკება.

სექტემბერში ექიმებმა მარიას ფეხმძიმობა დაუდგინეს, ბავშვი აპრილის ბოლოს უნდა დაბადებულიყო, მაგრამ ცრუფეხმძიმობა აღმოჩნდა, რაც მარიასთვის დიდი დარტყმა იყო.

რამდენიმე ხნის შემდეგ ფილიპემ ინგლისი დატოვა. მამიდამ ნიდერლანდების ტახტი დაუთმო და ამ შანსის ხელიდან გაშვება არ სურდა. მარია ქმარს დარჩენას სთხოვდა, მაგრამ უშედეგოდ. წერილებსაც ხშირად უგზავნიდა და უკან დაბრუნებას ემუდარებოდა, მაგრამ კვლავ უარს იღებდა. მუდმივმა სტრესმა ქალის ჯანმრთელობა შეარყია და იგი 1558 წლის 17 ნოემბერს გარდაიცვალა. ისტორიაში XVI საუკუნის ყველაზე სისხლიან დედოფლად შერაცხეს და XXI საუკუნეში ყველაზე საშიში ქალების სიის ათეულში მეათე ადგილს იკავებს. ■



# სამყარო

## ხატვით განწმენდილი სული და სინათლის პატარა სხივი

**ხატვა შემოქმედისთვის ერთგვარი განტვირთვაცაა და სიამოვნებაც. ძველი ტიბეტელები, სხვა სამკურნალო საშუალებებთან ერთად, ავადმყოფს ხატვასაც ურჩევდნენ, რადგან მიაჩნდათ, რომ ის განკურნებას უწყობდა ხელს. „ხელოვანისათვის ხატვა სულის განწმენდაა“, — მითხრა ბატონმა გოჩა ზირაქიშვილმა, რომელიც ბავშვობიდან ხატავს, ქმნის პორტრეტებს, პეიზაჟებს, კომპოზიციებს. მან პირველად 14 წლის ასაკში, სერვანტესის „დონ-კიხოტი“ შექმნა.**

## „მინდა, ადამიანებს ესთეტიკური სიამოვნება მივანიჭო“

*თამუნა კვირკველია*

— დედაჩემი გერმანელია, გვარად — მილდენბერგერი, მამით კი ქართველი გახლავართ. ბებია და ბაბუა საბჭოთა კავშირის პერიოდში, საქართველოდან გაასახლეს. თურმე მატარებლით გადაყვანის დროს, ბაბუა ვაგონიდან გადახტა და მისი ასავალ-დასავალი დღემდე არავინ იცის, დაკარგულად მიიჩნევა. რაც შეეხება ბებიას, ის კრასნოდარში დაუსახლებიათ, მაგრამ რამდენიმე წელიწადში საქართველოში დაბრუნებულა და



„შავი კატა“

თავისი შვილი ანუ დედაჩემი ბავშვთა სახლისთვის მიუბარებია. დედა ჯერ კიდევ ძალიან პატარა ყოფილა, როცა ერთ-ერთ ოჯახს შვილად აუყვანია. სკოლაში დავდიოდი, როდესაც მან გადაწყვიტა, ბიოლოგიური მშობლები ეპოვა და მიზანს მიაღწია კიდეც — ბებოს გარდაცვალებამდე ერთად იყვნენ და კარგი ურთიერთობაც ჰქონდათ. ბაბუას პატივსაცემად ჩემი და — ლელა მილდენბერგერის გვარს ატარებს, მე კი მამის გვარზე ვარ.

— **იქნებ, თქვენს შემოქმედებაზე მითხრათ რაიმე...**

— გამუდმებით დროის უკმარისობას განვიცდი. მინდა, ძალიან ბევრი რამის გაკეთება მოვასწრო, ადამიანებს ესთეტიკური სიამოვნება მივანიჭო, სიკეთესა და სიყვარულს ვემსახურო. მაქვს სურვილი, ჩემი ნამუშევრებით ხალხს სინათლის პატარა სხივი მივაწოდო.

— **რას გრძნობთ, როცა თქვენი ნამუშევარი სხვისი საკუთრება ხდება?**

— თითოეულ ნამუშევართან განშორება საოცრად მიჭირს, ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს, ახლობელ ადამიანს ვკარგავ, მას სამუდამოდ ვემშვიდობები. ასეთ დროს თავს მხოლოდ იმით ვინუგეშებ, რომ ჩემი ნამუშე-



ავტოპორტრეტი

ვარი ვიღაცას სიამოვნებას მიანიჭებს, მისი ცქერა სულს დაუმშვიდებს...

— **ბატონო გოჩა, თქვენი კომპოზიციებიდან განსაკუთრებით, „შავი კატა“ მომეწონა. მის შესაქმნელად რა მასალა გამოიყენეთ?**

— ამ კონკრეტული კომპოზიციის შესაქმნელად გამოვიყენე მუყაო, რკინა, ხე, გაზეთი, თევზი, სიგარეტი და აფიშა. საბოლოოდ კი მგონი, მართლაც, კარგი ნამუშევარი გამომივიდა.

— **თქვენი ნამუშევრები პროფესიონალებს თუ შეუფასებიათ?**

— პირველი შემფასებლები ოჯახის წევრები არიან, რადგანაც თითოეული ნახატი მათ თვალწინ იქმნება. შემდეგ კი ამ ნამუშევრებს რა თქმა უნდა, ხელოვნებათმცოდნეები აფასებენ. მართალია, უარყოფითი შეფასება ჯერ არც ერთხელ არ მიმიღია, მაგრამ საკუთარი თავით მაინც, ყოველთვის უკმაყოფილო ვარ. მიმაჩნია, რომ ჩემი შესაძლებლობების რეალიზებას, ყოფითი პრობლემების გამო, ბოლომდე ვერ ვახერხებ.

— **ხატვის პარალელურად, რამე სხვა საქმიანობას თუ ეწევით?**

— ამ ბოლო დროს ხელოსნობაც ვისწავლე. საბანკეტო დარბაზი შევისყიდე და სამხატვრო სახელოსნოს ვაკეთებ. ჩემი პატარა ბიჭი მეუბნე-



„წმინდა გიორგი“ განსაკუთრებულად მიყვარს

ბა: მამა, ვერ გავიგე, შენ ხელოსანი ხარ თუ ხელოვანიო (*იცინის*)?! ბედნიერი ვარ, რომ მალე სახელოსნო მექნება.

— **ამ ნამუშევრებიდან თქვენთვის ყველაზე ძვირფასი რომელია?**

— ყველა ნამუშევარი ძვირფასი და საყვარელია ჩემთვის, მაგრამ „წმინდა გიორგი“ განსაკუთრებულად მიყვარს, ის ჩემი შვილის, გიორგის დაბადებას მივუძღვენი.

— **ახლო მომავალში პერსონალური გამოფენის მოწყობას ხომ არ გეგმავთ?**

— სამწუხაროდ, ამას ვერ ვახერხებ. პერსონალური გამოფენა მხოლოდ ერთხელ, ისიც, რამდენიმე წლის წინ მოვაწყვე — ნამუშევრები ებრაელთა კულტურის სახლში გამოვფინე. მას შემდეგ მხოლოდ რამდენიმე ჯგუფურ გამოფენაში ვმონაწილეობდი... ■

ნამუშევრები ებრაელთა კულტურის სახლში გამოვფინე





# „ფორდმა“ სატრეკო „მუსტანგი“ გამოუშვა



კომპანია „ფორდმა“ კუპეს — Mustang — სატრეკო ვერსია წარმოადგინა, რომელიც ახალი 8-ცილინდრიანი ძრავათია აღჭურვილი. მანქანას BOSS 302R ჰქვია — ეს სახელი სპორტული „მუსტანგის“ პატივსაცემად დაარქვეს, რომელიც Bud Moore Engineering-ის მიერაა შექმნილი. ამ ავტომობილით გასული საუკუნის 70-იან წლებში, ამერიკულ ჩემპიონატში — Trans-Am — წარმატებულად გამოდიოდა პილოტი პარნელი ჯონსი. სიახლე სატრეკო Mustang FR500C-ს შეცვლის. მას 5-ლიტრიანი, 412 ცხ.ძ. სიმძლავრის მქონე V8 დაუმონტაჟდება. მოტორი სიჩქარის გადაცემათა 6-საფეხურიანი მექანიკური კოლოფით იმუშავებს. გარდა ამისა, მანქანა Brembo-ს მძლავრი სამუხრუჭე მექანიზმებით, სარბოლო ზამბარებითა და ამორტიზატორებით, სალონში უსაფრთხოების კარკასით, მოხერხებული სავარძლებით, ტელემეტრიისა და ყველა აგრეგატის მონაცემის კომპიუტერში გადაცემის სისტემით დამონტაჟდება. ამასთან, „ფორდმა“ უფრო წინ წასული სატრეკო მოდიფიკაცია — M-FR500-BOSS R1 — წარმოადგინა, რომელიც შეიძლება, სერია Grand-Am Continental Tire Sports Car Challenge-ს (ადრე ეს ჩემპიონატი ცნობილი იყო როგორც Challenge) რბოლებზე დაუშვან. ასეთი ავტომობილი გაგრილების მოდერნიზებული სისტემის მქონე, ფორსირებული ძრავათი, 6-საფეხურიანი „მექანიკით“, KONI-ს ამორტიზატორებით, „სპორტულად“ გადაწყობილი მუხრუჭების ანტიბლოკური სისტემითა და განსხვავებული გამომშვები სისტემით იქნება აღჭურვილი. „ფორდის“ წარმომადგენელთა თქმით, ამერიკული კომპანიის სპორტული ქვეგანყოფილება სატრეკო Mustang BOSS 302R-ს მხოლოდ 50 ეგზემპლარად გამოუშვებს. სატრეკო ვერსიის ფასი 79 ათასი დოლარი იქნება, ხოლო მოდიფიკაციაზე — M-FR500-BOSS R1 — ფასები 129 ათასი დოლარიდან დაიწყება. ■



# „ნისანის“ კროსოვერი

სუბკომპაქტური კროსოვერი Nissan Qazana, რომლის დებიუტიც ჟენევაში შედგება, ამჟამად საგზაო ტესტირებას გადის. ადრე გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მიკრო-კროსოვერი Nissan Qazana მომავალი თაობის მოდელის — Nissan Mirca — ბაზაზე უნდა აეწყოთ. ამ მოდელის საბაზო ვერსია მხოლოდ წინაამძრავიანი იქნება, მოგვიანებით კი Qazana-ს სამოდელო რიგი შეივსება და ის სრულამძრავიანი მოდიფიკაციითაც გამოვა. მისი მოტორები მცირელიტრაჟიანი ბენზინის აგრეგატები ან 1,5-ლიტრიანი ტურბოდიზელია, რომელიც სიმძლავრის მიხედვით რამდენიმე ვარიანტად გამოვა, ტრანსმისია კი სიჩქარის გადაცემათა მექანიკური კოლოფი ან ახალი კომპაქტური ვარიატორი იქნება, რომლის დებიუტიც Nissan Mirca-ზე შედგა. გარეგნულად კროსოვერი Nissan Qzana ამავე სახელწოდების კონცეპტის მსგავსია, ხოლო მისი განმასხვავებელი ნიშანი საგრძნობლად დახრილი უკანა კარი გახლავთ. ■



# „ფერარის“ ახალი სუპერავტო

ჟენევის მოტორშოუზე კომპანია „ფერარი“ სუპერავტოს — 599 GTB Fiorano — პროტოტიპს წარადგენს. გავრცელებული ინფორმაციით, ამ ავტომობილში კინეტიკური ენერგიის რეკუპერაციის სისტემა (KERS) იქნება გამოყენებული — ის მანქანის უკანა ნაწილში იქნება დამონტაჟებული. იგი წარმოადგენს ელექტრომოტორსა და ლითიუმიონურ აკუმულატორებს, რომელიც დამუხრუჭებისას იტენება. სავარაუდოდ, ასეთი სისტემა სუპერ-ავტოს ძრავას სიმძლავრის გაზრდაში



დაეხმარება და „სტარტ-სტოპის“ სისტემით იმუშავებს, რომელიც გაჩერებისას მოტორს ავტომატურად გამორთავს (მაგალითად, შუქნიშანზე გაჩერებისას), ხოლო შემდეგ კვლავ ჩაირთვება. Quattroroute-ს მონაცემებით, KERS-ის გამოყენება Ferrari 599 GTB Fiorino-ს საწვავის ეკონომიურობას დაახლოებით, 35%-ით გააუმჯობესებს და ქალაქის ციკლში, 100 კმ-ზე 27-



დან 17 ლიტრამდე შეამცირებს. სუპერავტო 6-ლიტრიანი, 620 ცხ.ძ. სიმძლავრის V12-ითაა აღჭურვილი. როგორც ადრე იუწყებოდნენ, კომპანია „ფერარიმ“ საპატენტო შეკვეთა მისცა ჰიბრიდულ სრულამძრავიან ტრანსმისიაზე, რომლითაც ელექტრომოტორები ერთ-ერთ ხიდს მოძრაობაში მოიყვანს. სპეციალისტები ელექტრომოტორის ბორბლებთან დაკავშირებას ტრადიციული დიფერენციალებით ან კომპაქტური ელექტრომოტორების საშუალებით აპირებენ, რომლებიც თვით ბორბლების შიგნით იქნება მოთავსებული.

# „ფიატის“ ახალი ძრავები

კონცერნი „ფიატი“ Multi Air-ის ტექნოლოგიით 0,9 ლ მოცულობის მქონე, 2-ცილინდრიანი ბენზინის ძრავების წარმოებას იწყებს. პირველი მოდელი, რომელსაც ახალი მოტორი დაუყენდება, მცირელიტრაჟიანი Fiat 500 გახდება. ორცილინდრიანი ძრავა წინამორბედ 1,4-ლიტრიან აგრეგატზე 20%-ით მსუბუქი და შესამჩნევად კომპაქტური იქნება (შეგახსენებთ, 1,4-ლიტრიანი აგრეგატი Fiat 500-ზე იყო გამოყენებული). გარდა ამისა, იგი გამოვა როგორც ატმოსფერულ (65 ცხ.ძ სიმძლავრით), ასევე ტურბოვერსიებად (80-დან 105 ცხ.ძ-მდე). სავარაუდოდ, ეს მოტორი სეგმენტების — A და B — რამდენიმე მოდელზე: Fiat Panda-ზე, Fiat 500-სა და განახლებულ Fiat Grande Punto Evo-ზე იქნება გამოყენებული. მოგვიანებით, Multi Air-ის ძრავათა ხაზში უფრო დიდ აგრეგატებზე — 6 და 7-ცილინდრიან მოტორებზე, რომლებსაც Fiat-ის პარტნიორი Chrysler იყენებს, ადაპტირება იგეგმება.



# Volkswagen ორ ახალ მანქანას ქმნის

Volkswagen-ის ხელმძღვანელობა ავტომობილ Seat Exeo-ს ორი ახალი მოდიფიკაციის — სრულამძრავიანისა და კაბრიოლეტის შექმნას გეგმავს. კაბრიოლეტ Seat Exeo-ს რბილი დასაკეცი სახურავი დაუმონტაჟდება. სავარაუდოდ, ასეთი მანქანისთვის იგივე მოტორები იქნება გათვალისწინებული, რაც სედანისთვის — ბენზინის 1,6-2-ლიტრიანი, 102-200 ცხ.ძ. სიმძლავრისა და დიზელის 143-170 ცხ.ძ. სიმძლავრის ძრავები. სრულამძრავიანი მოდიფიკაცია ამ აგრეგატებიდან ყველაზე მძლავრი ვარიანტებით დაკომპლექტდება. ამ მომენტისთვის Seat Exeo-ს ორი ვერსია არსებობს — სედანისა და უნივერსალის ძარაზე. ეს მოდელი წინა თაობის Audi A4-ის პლატფორმაზეა აგებული, ხოლო მისი გარეგნობა ესპანური კომპანიის ახალ საფირმო სტილშია შესრულებული, რომელიც პირველად ჰეჩბეკზე — Ibiza — წარმოადგინეს და Lamborghini-ს ყოფილი დიზაინერის, ლუკ დონკერვოლკეს მიერაა შექმნილი.

# Exige S-ის განსხვავებული მოდიფიკაცია

კომპანია Lotus-მა სპორტავტოს — Exige S — სპეციალური მოდიფიკაცია შეიმუშავა, რომელსაც Type 72 ეწოდა. იგი შეზღუდული ტირაჟით გამოვა. ავტომობილი ბრიტანული კომპანიის „ფორმულა-1“-ში დაბრუნების პატივსაცემად შექმნეს, ხოლო მისი შავ-ოქროსფერი შეფერილობა „ლოტუსის“ კლასიკური ბოლიდების შესაბამისია. სიახლეს სპორტული სავარძლები, ზეთის ორი რადიატორი და შავი მსუბუქი შენადნობის დისკები აქვს. ოპციის სახით კლიენტებისთვის ხელმისაწვდომი იქნება კონდიციონერი, სტაბილიზაციის დასარეგულირებელი სისტემა, AP Racing-ის სამუხრუჭე მექანიზმები და Launch Control-ის სისტემა. აღსანიშნავია, რომ ამ მოწყობილობით სპორტავტოს მასამ 935 კგ შეადგინა, რაც მხოლოდ 2 კგ-ით მეტია სტანდარტულ Lotus Exige S-ზე. სპორტავტო 1,8-ლიტრიანი, 218 ცხ.ძ. სიმძლავრის „ტოიოტას“ მოტორითაა აღჭურვილი. ოპციის სპორტულ პაკეტში სიმძლავრის 235 ცხ.ძ-მდე გაზრდა შედის. Lotus-ის მონაცემებით, 100 კმ/სთ სიჩქარეს Exige-ს სპეცვერსია 4,7 წამში ავითარებს, ხოლო მისი მაქსიმალური სიჩქარე 233 კმ/სთ-ია. ასეთი ავტომობილი 100 კმ მანძილზე საშუალოდ, 6,5 ლ საწვავს მოიხმარს, ხოლო მის მიერ ატმოსფეროში $CO_2$-ის გამონაბოლქვი 1 კმ-ზე 199 გ გახლავთ. „ლოტუსის“ წარმომადგენელთა თქმით, სიახლის 20 ეგზემპლარი — დიდ ბრიტანეთში, ხოლო 20 დანარჩენ ევროპაში გაიყიდება. ევროპულ ბაზარზე ავტომობილის ფასი 40.332 ევროდან დაიწყება.



რუბრიკა მოამზადა ალექსი რეხვიაშვილმა

# გაუჩინარებული ადამიანები და კუნძული, საიდანაც ვერავინ ბრუნდება

კენიაში, რუდოლფის ტბაში მდებარეობს კუნძული ენვაიტენეტი, რომელიც დაწყევლილ ადგილად მიიჩნევა, რადგანაც იქიდან დაბრუნებული ადამიანი ჯერ არავის უნახავს. 1935 წელს კუნძულს გამოსაკვლევად ინგლისელი მეცნიერები ეწვივნენ და უკან არც ისინი დაბრუნებულან. დაკარგული მკვლევრების — მარტინ შეფლისა და ბილ დაისონის საძებნელად ვივიანა ფუში გაემგზავრა, მაგრამ მათ კვალს ვერსად მიაგნო. კუნძულს ვერტმფრენითაც შემოუფრინეს, მაგრამ მიტოვებული სოფლის გარდა, ვერაფერი და ვერავინ იპოვეს. კენიელებმა ფუშს უამბეს, რომ ოდესღაც, ამ კუნძულზე ცხოვრობდნენ ადამიანები, რომლებიც თავს თევზაობით ირჩენდნენ, მაგრამ დროთა განმავლობაში ისინი უგზო-უკვლოდ გაქრნენ. მეცნიერების აზრით, ენვაიტენეტის გარდა დედამიწაზე უამრავი ანომალიური ადგილია.

ამერიკულმა ყოველკვირეულმა ჟურნალმა History of Sientist თვითმხილველების მონაყოლი გამოაქვეყნა. მათი თქმით, 1960 წლის 30 ივლისს პიკტონში (ონტარიოს შტატი, აშშ), დღისით, ნათესავების თვალწინ 13 წლის ბიჭი გაუჩინარდა და ის რამდენიმე დღის შემდეგ, იმავე ადგილზე გამოჩნდა. მართალია, მას იგივე ტანსაცმელი ეცვა, რაც გაუჩინარების დღეს, მაგრამ რაღაცნაირად, დაბერებულად გამოიყურებოდა.





1982 წელს 19 წლის ფრანკ ფრონტენი ორ მეგობართან ერთად, ქალაქგარეთ გამგზავრებას აპირებდა. ბიჭის მეგობრებმა შეამჩნიეს, რომ ფრანკის ავტომობილს ზეციდან მოელვარე სფერო უახლოვდებოდა. მოულოდნელად, ფრანკი გაუჩინარდა, ხოლო მანქანა შუაზე გადაიხსნა. ბიჭის ძიებაში საფრანგეთის პოლიციაც ჩაერთო, მაგრამ მის კვალს ვერსად მიაგნეს. რამდენიმე დღის შემდეგ ფრანკი ერთ-ერთ მეგობარს შინ მიადგა. დაბნეული ჩანდა და ვერ იხსენებდა, სად გააჩერა ავტომობილი. ჰიპნოზის ზემოქმედების შედეგად ბიჭმა აღიარა: „სფეროს მოახლოების შემდეგ, უჩვეულო ლაბორატორიაში აღმოვჩნდი. გადამცემებით რაღაც აპარატებზე ვიყავი მიერთებული და ოთახში უამრავი მანათობელი სფერო მოძრაობდა“.

ცნობილმა ასტრონომმა, ალან ჰაინეკმა გამოსცა წიგნი: „გაუჩინარებულები და მოტაცებულები“, სადაც ის ადამიანების „მესამე სამყაროსთან“ კონტაქტს აღწერს. წიგნში აღწერილია ბეტი და ბერნი ჰილის ამბავი. 1961 წლის სექტემბერში ცოლ-ქმარი შინ ბრუნდებოდა. მათ ორი მოციმციმე სფერო შენიშნეს, შემდეგ გონება დაკარგეს და ორი დღის შემდეგ იმავე ადგილზე აღმოჩნდნენ, საიდანაც გაუჩინარდნენ. მოგვიანებით გაიხსენეს, რომ უჩვეულო ხომალდზე იმყოფებოდნენ, სადაც „არამიწიერი არსებები“ სხივებითა და საცეცებით მათზე ცდებს ატარებდნენ.

გამქრალი ადამიანების ამბები შეიძლება, ხუმრობად ან ჰალუცინაციად მიიჩნიოთ, მაგრამ როგორ ახსნით იმ ფაქტს, რომ ყველა გაუჩინარებული, ჰიპნოზის ზემოქმედების ქვეშ, თითქმის ერთსა და იმავე ამბავს ჰყვება, თანაც, სიცრუის დეტექტორი ტყუილს ვერ აფიქსირებს.

# ცხენები

ათასი წლის წინ ცხენი მონღოლებმა და ყაზახებმა მოიშინაურეს. თავდაპირველად, ცხოველს მხოლოდ ტვირთის გადასაზიდად, გადასაადგილებლად, შემდეგ კი ბრძოლებშიც იყენებდნენ და შიმშილობისას მის ხორცსაც გეახლებოდნენ. ძველად საფრანგეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ტომები მხოლოდ ცხენის ხორცს მიირთმევდნენ (არქეოლოგიური გათხრებისას უამრავი კერძის რეცეპტს მიაგნეს, რომელიც ცხენის ხორცით მზადდებოდა). მისი ჭამა კათოლიკეებმა აკრძალეს, რადგან მიაჩნდათ, რომ მუსლიმანებსა და კათოლიკეებს ერთნაირი საკვები არ უნდა მიეღოთ. ყირგიზები დღესაც მიირთ-



# „წვიმის კაცი“ მართლა არსებობდა

სავანტის სინდრომი (სავანტიზმი) იშვიათი დაავადებაა. სავანტი ეწოდება გონებრივად ჩამორჩენილ ადამიანს, რომელიც რამდენიმე სფეროში ექსტრაორდინარულ შედეგს აღწევს. მას შეუძლია 6-ციფრიანი რიცხვების ზეპირად გამრავლება, ერთხელ წაკითხული წიგნის დამახსოვრება, 30 ენაზე წერა-კითხვა და ლაპარაკი. სავანტიზმი ადამიანებს ტვინის ტრავმისა და დაავადების შედეგად უვითარდებათ.

კიმ პიკი 1951 წლის 11 ნოემბერს, აშშ-ში, სოლტ-ლეიკ-სიტიში დაიბადა. ახალშობილს არაბუნებრივად დიდი თავი ჰქონდა. 9 თვისას გამოკვლევა ჩაუტარეს და დაადგინეს, რომ იგი გონებრივად ჩამორჩენილი იყო. მისი ტვინის მარჯვენა და მარცხენა სფერო გაყოფილი არ გახლდათ, იგი ერთ მთლიან ორგანოს წარმოადგენდა.

სავანტი კიმის უჩვეულობა იმაში მდგომარეობდა, რომ იგი მიღებული ინფორმაციის 98%-ს იმახსოვრებდა და მას ხუმრობით კიმპიტერსაც კი ეძახდნენ. ცოდნას წიგნებიდან იღებდა. სხვათა შორის, კითხვა 16 თვისამ ისწავლა, წიგნის ერთი გვერდის წაკითხვას 10 წამს ანდომებდა, მთლიანად წიგნს კი 2-3 სთ-ში კითხულობდა. 7



წლისამ ზეპირად იცოდა ბიბლია. ბიჭი საშუალო სკოლაში არ მიიღეს და მისი აღზრდა მამამისმა ითავა. კიმმა სასკოლო პროგრამის შესწავლა 14 წლის ასაკში დაასრულა, მაგრამ ინვალიდობის გამო, სერტიფიკატი არ მისცეს. 1969 წელს მან ბუღალტრად დაიწყო მუშაობა, თავისუფალ დროს კი წიგნებს კითხულობდა. სწორედ ამ პერიოდში წაიკითხა და დაიმახსოვრა შექსპირის ყველა ნაწარმოები (სულ 12 ათასი წიგნი ჰქონდა წაკითხული); დამახსოვრებული ჰქონდა მშობლიური ქალაქის მთელი სატელეფონო ცნობარი (1,5 მლნ ადამიანი), ამერიკის ქალაქების რუკები, საერთაშორისო კოდები და უამრავი სხვა ინფორმაცია. ფენომენური ნიჭის მიუხედავად, კიმს არ შეეძლო დამოუკიდებლად ჩაცმა, კბილების გამოხეხა, კიბეზე ასვლა-ჩამოსვლა.

2002 წელს მან ფორტეპიანოზე დაკვრა ისწავლა. ცნობილი ნაწარმოებებიდან ნაწყვეტებს, ზოგჯერ კი მთელ პარტიებს მეხსიერებით აწყობდა და უკრავდა.

1984 წელს „გონებრივად ჩამორჩენილი ასოციაციის“ წევრები მწერალ ბარი მოროს შეხვდნენ. მათ შორის კიმიც იყო. პიკთან შეხვედრის შემდეგ მორომ ფილმის — „წვიმის კაცის“ სცენარი დაწერა. დასტინ ჰოფმანის გმირი, რეიმონდ ბებითი კიმ პიკის პროტოტიპია, მაგრამ ჰოფმანის გმირისგან განსხვავებით, კიმს აუტიზმი არ სჭირდა და არც კაზინოში თამაშობდა.

კიმ პიკი 2009 წლის 19 დეკემბერს, 59 წლის ასაკში, გულის შეტევით გარდაიცვალა.

■

---

მევენ ცხენის ხორცისგან დამზადებულ კერძებს (მაგრამ მხოლოდ დღესასწაულებზე) და ამ ცხოველის რძისგან მომზადებულ სასმელ კუმისს...

ცხენს კარგი ყნოსვა აქვს. საჭმელად ვარგის და უვარგის ბალახს 2 მეტრის მოშორებით გრძნობს. სმენაც ადამიანზე უკეთ აქვს განვითარებული და შეუძლია მწვანე, ყვითელი, წითელი, ლურჯი ფერის გარჩევა. მას ძალიან ეშინია ფუტკრის კბენის. ყოფილა შემთხვევა, როცა ფუტკრის ნაკბენისგან ცხოველი მომკვდარა.

ცხენი საშუალოდ, 20-25 წელი ცოცხლობს. 1822 წელს ბრიტანეთში ყველაზე ხანდაზმული — 62 წლის ცხენი გარდაიცვალა.

არსებობს მომცრო ცხენების ჯიში — არგენტინული ფალაბელა, რომელიც 70 სმ-მდე და 45 კგ-მდე იზრდება. ყველაზე პატარა ცხენი 1975 წელს აშშ-ში, სამხრეთ კაროლინაში დაიბადა. იგი 9 კგ-ს იწონიდა და სიმაღლით 35.5 სმ იყო.

100 სმ-მდე სიმაღლის ცხენი — პონად, 159 სმ-მდე — საშუალო სიმაღლის, 170 სმ-ის ზევით — მაღალ, ხოლო 179-ზე ზევით ძალიან მაღალ ცხენად მიიჩნევა. სხვათა შორის, ინგლისური შაირის ჯიშის ცხენი 2 მეტრამდე იზრდება. ეს ცხოველი საათში 5 კმ/სთ გადის, ნავარდისას — 22 კმ-ს.

აღმოსავლეთ აზიის ზოგ ქვეყანაში და ჩრდილოეთ ამერიკაში ცხენი წმინდა ცხოველად მიიჩნევა. ნიდერლანდებში ყოველწლიურად აღნიშნავენ ცხენის დღეს, მათ ლენტებით, ყვავილებით რთავენ და უმასპინძლდებიან. მასაის ტომში სწამთ, რომ თუ ცხენი ადამიანს მოკლავს, იგი სამოთხეში მოხვდება.

დოღის გარდა ცხენები სპორტის სხვა სახეობებშიც მონაწილეობენ: პოლოში, ქართულ ცხენბურთსა და ჩრდილოკავკასიურ ჯიგიტობაში. ცხენს ხშირად, მონათესავე ჯიშის ცხოველებთან — ვირთან (ჯორი, ჯორცხენა), კულანთან (ცხენკულანი) და ზებრასთან (ზებროიდი) აჯვარებენ. ყველა ჰიბრიდი უნაყოფოა. მუსტანგი გაველურებული ცხენის ჯიშია და სხვათა შორის, XX საუკუნის დასაწყისში ამერიკის პრერიებში 2 მლნ-მდე მუსტანგი ბინადრობდა.

1983 წელს აუქციონზე შეიხ მოჰამედ იბნ რაშიდ ელ მაკუმმა ინგლისური ულაყი 40 მლნ დოლარად გაყიდა.

■



*რუბრიკა მოამზადა რუსუდან ბელაშვილმა*

# რა განსხვავებაა კეკლუც და ფლირტის მოყვარულ ქალს შორის?



თითქმის ყველამ ვიცით, რა არის კეკლუცობა, მაგრამ ამავე დროს, შეუძლებელია მისი კონკრეტულად ახსნა. კეკლუცი ქალი გაფაციცებით დაეძებს თაყვანისმცემელს, „მსხვერპლს“ კი აიძულებს შეიგნოს, რომ სასიყვარულო თამაშში ყველაფერი მის ჭირვეულობაზეა დამოკიდებული. კეკლუცობა ქალის ფსიქოლოგიაში განიხილება, როგორც ყველაზე რთული და ამავე დროს, ყველაზე იოლი ხელოვნება, რადგან ქალს თვით ბუნება ეხმარება, მოახდინოს გავლენა მამაკაცზე — მაშინაც კი, როცა ის კონკრეტული მამაკაცი მის ინტერესში არ ჯდება. წარმოიდგინეთ, რა ხდება მაშინ, როცა ქალი მისთვის სასურველი მამაკაცების გვერდით ხვდება, როცა ბუნებრივ კეკლუცობას, სარკის წინ ნასწავლი მიხრა-მოხრა და ცოტა არ იყოს, ხელოვნურად გამობურცული ტუჩიც ემატება... ამბობენ, ყველაზე ჭკვიანი მამაკაციც კი შეიძლება გაასულელოს ყველაზე სულელმა ქალმა — სწორედ ისეთმა, როგორ ქალთან ფლირტსაც საუკეთესო მეგობარს არაფრით ურჩევდა. ისტორია და ყოველდღიურობა ამის მრავალ მაგალითს გვაძლევს.

ფლირტსა და კეკლუცობას შორის ის განსხვავებაა, რომ ფლირტის მიმდევარი ქალი მგრძნობიარეა, კეკლუცი კი — არა. ფლირტის მოყვარული ქალი ცდილობს, ყველას მოაწონოს თავი, მაგრამ მისი რჩეული მაინც ერთია. კეკლუცი კი მუდამ მერყეობს და მისი ღიმილი და შემოხედვა თითოეულ მამაკაცს ეუბნება, რომ სწორედ ისაა მისი რჩეული.

საინტერესო ისაა, რომ მამაკაცის სიმპათია კეკლუცსა და ფლირტის მოყვარულ ქალს შორის ხშირად, პირველისკენ იხრება. მას მიაჩნია, რომ უზნეობაა, ქალი ეპრანჭებოდეს სხვებს, მაშინ, როდესაც მას უკვე ჰყავს რჩეული. კეკლუც ქალებს მამაკაცების სიმპათია ნუ გაათამამებს, რადგან ისინი სერიოზული საშიშროების წინაშე დგანან: თუკი მათი კეკლუცობა „გაიშიფრება“, შეიძლება თაყვანისმცემლების გარეშე დარჩნენ, რადგან არც ერთ მამაკაცს არა აქვს სურვილი, საბოლოოდ სულელის როლში აღმოჩნდეს. ■

## ბრაზილიური ნამცხვარი



გააცხელეთ ღუმელი. ფორმას წაუსვით ცხიმი, თხელ ფენად მოაყარეთ დაფხვნილი ორცხობილა და დადგით გრილ ადგილას. ცხვება 1 ლ მოცულობის „გვირგვინის“ ფორმაში. გამოდის 12 ნაჭერი.

**მასალა თხელი ცომისთვის:**

3 ლიმონი;
6 კვერცხი;
1 მწიკვი მარილი;
50 გ შაქრის ფხვნილი;
300 გ დარბილებული კარაქი;
100 ლ კონიაკი (არომატული არაყი);
350 გ ფქვილი;
2 ჩ/კ ცომის საფხვიერებელი;
100 გ სახამებელი;

**მასალა მინანქრისთვის:**

2 ს/კ გარგარის ჯემი;
1 ლიმონი;
2 ს/კ შაქრის ფხვილი;
150 გ შაქრის პუდრი;
1 ს/კ არაყი;

**ცხიმი და საფანელი (დაფხვნილი ორცხობილა) ფორმისთვის:**

გარეცხეთ ლიმონი, გაამშრალეთ, გახეხეთ კანი და გამოწურეთ წვენი.

კვერცხის ცილა და გული დააცალკევეთ. ცილა და მარილი ათქვიფეთ გამაგრებამდე, ნელ-ნელა დაუმატეთ შაქარი, შეურიეთ კარაქი და თქვიფეთ ჰაეროვანი მასის მიღებამდე. დაუმატეთ ჯერ კვერცხის გული, შემდეგ — ლიმონის კანი, წვენი და კონიაკი (არაყი). ათქვეფილი ცილის 1 ს/კ შეინახეთ მინანქრისთვის, დანარჩენი შეურიეთ ცომს. დაუმატეთ ფქვილი, სოდა, სახამებელი და მოურიეთ.

ჩაასხით ცომი ფორმაში, შედგით ღუმელში და აცხვეთ 175 გრადუსზე 60 წთ. ოდნავ რომ გაგრილდება, ამოიღეთ ფორმიდან. გაათბეთ გარგარის ჯემი, წაუსვით ნამცხვარს და დადეთ ცხაურზე გასაცივებლად.

მინანქრისთვის გარეცხეთ ლიმონი, გაამშრალეთ, გახეხეთ კანი და გამოწურეთ წვენი. კანს დაუმატეთ შაქარი და აურიეთ. ათქვეფილ ცილას შეურიეთ შაქრის პუდრი, 1 ს/კ ლიმონის წვენი და კონიაკი. მიღებული მასა წაუსვით ნამცხვარს და მოაყარეთ შაქრიანი ლიმონის კანი.

1 ნაჭერი შეიცავს 480 კკალ-ს. ■

# ზოგი რამ ლამაზი თმის შესახებ

**ხალხში გავრცელებული აზრის თანახმად, ძილის წინ თმა გულმოდგინედ და ხანგრძლივად უნდა ივარცხნოთ, სპეციალისტები კი ამტკიცებენ, რომ მცდარი და მოძველებული შეხედულებები შეიძლება თმის ცვენის, მტვრევადობის და სიქაჩლის მიზეზი გახდეს.**

**აი, რამდენიმე არასწორი მოსაზრება:**



## სტრესი თმის ცვენას იწვევს

მიუხედავად იმისა, სტრესის ქვეშ იმყოფებით თუ არა, ყოველდღიურად 50-დან 120 ღერამდე თმა გცვივათ. რასაკვირველია, ნერვიულობის, ჰორმონული დარღვევების შემთხვევაში, თმის ცვენა ძლიერდება. თუ სრულფასოვნად იკვებებით და დღე-ღამეში სულ ცოტა 8 საათი გძინავთ, 1-2 კვირაში თმა თავისით აღდგება.

## თმა დღის განმავლობაში ხშირად და ხანგრძლივად უნდა ივარცხნოთ

რაც უფრო ხშირად და ხანგრძლივად ივარცხნით თმას, მით მეტი ჩამოგცვივდებათ. სავარცხელს მრგვალი, მეჩხერი კბილები უნდა ჰქონდეს. თმა მანამ ივარცხნეთ, სანამ სავარცხელი სრიალს არ დაიწყებს.

## დროდადრო შამპუნი უნდა ცვალოთ

ექსპერტები ამტკიცებენ, რომ თმისთვის მნიშვნელობა არა აქვს, ერთი და იმავე შამპუნით იბანთ თუ არა. მთავარია, ის ხარისხიანი იყოს. თუ ცხიმიანი თმა გაქვთ ან ვარცხნილობის შესანარჩუნებლად სპეციალურ, ცვილის შემცველ საშუალებებს იყენებთ, მაშინ კვირაში ერთხელ თავი ისეთი შამპუნით უნდა დაიბანოთ, რომელიც თმიდან ამ ნივთიერებებს ჩამორეცხავს.

## 40 წელს გადაცილებულმა ქალებმა მოკლე ვარცხნილობა უნდა ატარონ

თუ ლამაზი და ჯანსაღი თმა გაქვთ, მნიშვნელობა არა აქვს, მოკლე ვარცხნილობა გექნებათ თუ გრძელი. მთავარია, გიხდებოდეთ. გაითვალისწინეთ, თუ ფართო სახე გაქვთ, მოკლე, კიბისებურად აჭრილი თმა მოგიხდებათ; თუ ვიწრო — გრძელი, ლამაზად აჩეჩილი. ვინაიდან, ასაკის მატებასთან ერთად, თმა შრება, რეკომენდებულია სპეციალური ბალზამის გამოყენება.

## გრილი წყლის გადავლება თმას ბზინვარებას სძენს

ასეთი პროცედურა ნამდვილად გაგამხნევებთ, მაგრამ თმას ბზინვარებას არ შესძენს. სხვა საქმეა, თუ დაბანილ თმაზე მწვანე ჩაის, გვირილის, სალბის ან ჭინჭრის ნაყენს გადაივლებთ.

## თმის შეღებვა მავნეა

თანამედროვე თმის საღებავები იმდენად კარგი ხარისხისაა, რომ თმას ზიანს არ აყენებს. პირიქით, ზოგი მათგანი ისეთ ნივთიერებებს შეიცავს, რომლებიც თმას აჯანსაღებს, არბილებს და ბზინვარებას სძენს. მთავარია, საღებავი სწორად შეარჩიოთ.

## სპეციალური საშუალებებით თმის გაყოფილ წვერებს აღიდგენთ

გაყოფილი წვერების აღდგენა შეუძლებელია. რასაკვირველია, სპეციალური საშუალებებით, შესაძლებელია, ნაკლებშესამჩნევი გახდეს (დროებით შეაერთებს და თმას ფაფუკს გახდის). თმის წვერის გაყოფის შეჩერება მხოლოდ მოჭრით შეიძლება (ოღონდ იმ ადგილამდე, სადაც ღერი იყოფა).

## მოკლე ვარცხნილობა დაბალ, გამხდარ ქალბატონებს უხდებათ

ნებისმიერ წარმოსადეგ ქალს, რომელსაც მაღალი ყელი და დიდი თვალები აქვს, მოკლე ვარცხნილობა უხდება.

## რბილი, სწორი თმა მოცულობითი არ არის

თმა მსხვილი თერმობიგუდით დაიხვიეთ, 5-10 წუთის შემდეგ ნახავთ, როგორი მოცულობითი გახდება. ვარცხნილობა სპეციალური ლაქით დააფიქსირეთ და ხშირად დავარცხნას მოერიდეთ. ■







*რუბრიკა მოამზადა ეკა გუნთაიშვილმა*

# ქართულ-აღმოსავლური ფერების ნაზავი ფერეიდნელი ქართველის მზისფერ შემოქმედებაში

**მის სახელოსნოში შესულს, თვალში ჯერ სურათებით დაფარული კედლები მომხვდა, შემდეგ კი უზარმაზარი, ყავისფერი როიალი. მხატვარმა ნახევრად ხუმრობით მითხრა: — ამ როიალს სხვადასხვა დანიშნულება აქვს. მისი მნახველი არც შესაკეთებელ ჭერს მიაქცევს ყურადღებას და აღარც — ჩამონგრეულ კედლებსო... ცაცია მხატვარი საკუთარი ხელით მოწყობილ, ძველი ნივთებით სავსე დიდ და ნათელ ოთახში თავს ნამდვილ შემოქმედად გრძნობს. „შეიძლება ვიღაცას გაპრიალებული ავეჯი, ჭერი და კედლები მოსწონს, ჩემს სამყაროში კი ყველაფერი ნამდვილი, შეულამაზებელი და უბრალოა. აქ ცივილიზაციის მანკიერებებსა და სიყალბეს ნაკლებად ვგრძნობ“, — მითხრა ფერეიდნელმა ქართველმა ალი ასლანიშვილმა... უცნაურად მოწყობილ ოთახში ბევრ დაუმთავრებელ სურათსაც წავაწყდი, რომელშიც მზისფერი ჭარბობს. „ალბათ, აზიის გავლენაა“, — გამიელვა თავში და როცა ეს ჩემს რესპონდენტს ვუთხარი, ისიც დამეთანხმა, — ზოგჯერ გაორებასაც ვგრძნობო...**



ზოგჯერ, ჩემზე ბედნიერი კაცი არ არსებობს

## „სამშობლოდან შორს ყოფნის სიმწარე საკუთარ ტყავზე ვიწვნიეთ“

ლალი პაპასკირი

*საქართველოში ასლანიშვილების ჩამოსვლის ინიციატორი ოჯახის უფროსი, ალის მამა გახლდათ. მისი თქმით, ბედისწერამ მათ მისცა შანსი, მშობლიურ ფესვებს დაჰბრუნებოდნენ და ეს შანსი ხელიდან არ უნდა გაეშვათ. როგორც მხატვარი ამბობს, თავად მას მამის არჩევანი არასდროს უნანია, მის და-ძმას კი ერთადერთხელ შეეპარა ეჭვი, — არ ვიცით, სწორად ვიქცევით თუ არა, საქართველოში ცხოვრების გაგრძელებას რომ ვაპირებთო, რაზეც უფროსი ძმისგან ასეთი პასუხი მიუღიათ: — სამშობლოდან შორს ყოფნის სიმწარე საკუთარ ტყავზე ვიწვნიეთ, ახლა კი ქართულ ფესვებს ვუბრუნდებით. ამ თითქმის უცხო გარემოში ძნელია თავის დამკვიდრება, მაგრამ ადამიანს ერთი სამშობლო აქვს და ის ისეთი უნდა მიიღოს, როგორიც არისო...*

— ცივილიზაციის პირობებში ადამიანებს სხვა მოთხოვნები და პრობლემები აქვთ, იქ კი, სადაც ბუნების სიველურე შენარჩუნებულია, სულიერება, ტრადიციები და წარსული მეტად ფასობს, ამიტომაც მიყვარს აღმოსავლეთი. მართალია, დასავლეთი თავისი წარსულითა და აწმყოთი ძალიან მოდური და პოპულარულია, მაგრამ მე აზია უფრო მავსებს.

— **თქვენს ნამუშევრებშიც იგრძნობა აზიისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება...**

— დიახ, ჩემს სურათებში „ცხელი“ ფერები ჭარბობს, რაც არც შემთხვევითია და არც ხელოვნური — ეს ჩემგან მოდის. ფერეიდანში გატარებულმა წლებმა ჩემს შემოქმედებას თავისი კვალი დააჩნია... მხატვრების დიდი ნაწილი რაფინირებულ მხატვრობას ეწევა, რაც ჩემთვის უცხოა. ვცდილობ, სტილი და მიმართულება ხშირად შევცვალო, მაგრამ საერთო ჯამში, ჩემს სურათებში ქართულთან შეხამებული აღმოსავლური გავლენა იგრძნობა. ზოგჯერ შინაგანად ვიცვლები, ზოგჯერ უბრალოდ, ვცდილობ, სხვა მიმართულებით წავიდე, გამუდმებით სიახლის ძიებაში ვარ — ისევე ვეძებ რაღაც ახალ ტონს, ფერს, შუქჩრდილსა და შინაარსს, როგორც ადამიანი ეძებს თავის თავს ამ სამყაროში. ჩემი შემოქმედებითი ცხოვრება მოქეიფე კაცებისას ჰგავს — ისინი ქეიფისას ალმაფრენას განიცდიან, ზოგჯერ კი ტირილამდეც მიდიან. მეც ასე ვარ და ზოგჯერ, სასოწარკვეთილი საკუთარ თავს ვეკითხები: — როდის უნდა ეშველოს ამ ნამუშევარს-მეთქი? ხშირად ვფიქრობ, რომ სურათს რაღაც დავაკელი, ჩემი ფანტაზიისთვის ხორცშესხმა ვერ შევძელი და ისეთი არ გამომივიდა, როგორიც ჩემს წარმოსახვაში იყო, მაგრამ ზოგჯერ, ჩემზე ბედნიერი კაცი არ არსებობს და ეს ძირითადად მაშინ ხდება, როცა სწორედ იმ სურათს გადავაწყდები, რომელიც თავის დროზე არ მომწონდა, მაგრამ რაღაც პერიოდის შემდეგ მას სხვა



ჩემი სოფელი ზღვის დონიდან 3200 მეტრზე იყო და მას უზარმაზარი მთები ესაზღვრებოდა...

თვალით ვუყურებ და ვაღიარებ, — ეს რა საინტერესო რამ გამომსვლია-მეთქი! სხვათა შორის, ასე თვეში რამდენჯერმე მემართება.

— **ალბათ, უსაქმურად არასდროს ხართ...**

— უსაქმოდ ყოფნაზე ცუდი, ამქვეყნად არაფერია, ასეთ დროს ადამიანი თავის ფუნქციას კარგავს... მე ცხოვრების ძალას მხატვრობა მაძლევს და კიდევ, იმის გახსენება, რომ არიან ადამიანები, ვისაც სახლში მხოლოდ ჩემ მიერ შესრულებული სურათები აქვთ და მათი ცქერა სიამოვნებას ანიჭებს... არ ვტრაბახობ, მაგრამ ბევრჯერ მითქვამს სიამაყით, — ამერიკელმა ქართველმა ჩემს სურათში ამდენი გადაიხადა-მეთქი... სურათები გასაყიდად არ მემეტება, მაგრამ გამოფენამდე ამისთვის ფსიქოლოგიურად ვემზადები — თუ ვიღაცას ჩემი სურათი მოეწონა, რატომაც არ უნდა წაიღოს-მეთქი?! სურათის გასხვისებისას დაახლოებით, ისეთივე


ჩემს სურათებში ქართულთან შეხამებული აღმოსავლური გავლენა იგრძნობა

განცდა მეუფლება, როგორიც მშობელს, რომელიც შვილს უკეთეს ადგილას უშვებს. დროთა განმავლობაში საკუთარი თავი დავარწმუნე, რომ სურათების გაყიდვას ჩემთვის სიამოვნება უნდა მოეტანა.

— **ვიცი, რომ ბავშვობიდანვე ხატავთ. იქ, ისპაჰანის ერთ-ერთ სოფელში, სადაც სამუშაო თავზე საყრელად იყო, ხატვისთვის დროის გამონახვა არ გიჭირდათ?**

— დალხენილი ბავშვობა მართლა არ მქონია, ძალიან მძიმე წლები გამოვიარე, მაგრამ ჯერ კიდევ ფერეიდანში, სადაც ჩემი ასაკისთვის ზევრად მძიმე სამუშაოებს ვასრულებდი, საყვარელი საქმისთვის დრო მაინც მრჩებოდა. სოფელში მოსავლის დაბინავების შემდეგ, გლეხები სამუშაოდ ქალაქში მიდიოდნენ, სადაც ცოტა ფულიც იშოვებოდა... მე ოჯახში უფროსი შვილი გახლდით და სხვებზე მეტიც მომეთხოვებოდა. სახლში იმდენი საქმე გვქონდა, რომ ლამის ყანაში ვათენ-ვაღამებდით და ცხონებული მამაჩემი სკოლაშიც ერთი კვირის დაგვიანებით მიშვებდა... მამა თავადაც გრძნობდა, რომ ძალიან დატვირთული ვიყავი და უნდოდა, ჩემთვის ესიამოვნებინა, ამიტომ ქალაქში მიმავალი ყოველთვის მეკითხებოდა: — რა ჩამოგიტანოო? მეც, ფერად ფანქრებსა და სახატავ ფურცლებს ვაბარებდი. ასაკის მატებასთან ერთად, ხელოვნების ამ დარგისადმი ჩემი ინტერესი იზრდებოდა, რასაც ოჯახის წევრები სიხარულით არ შეხვედრიან. ერთხელ მამაჩემმა გულისტკივილით მითხრა: — მხატვრობა კარგია, შვილო, მაგრამ ერთი რამ გახსოვდეს, მხატვარი ყოველთვის მშიერიაო... ვიცი, მართლა ასეა, მაგრამ იმას, რაც შენს ბუნებაში დევს, ვერ მოერევი... ხატვა საქართველოში ჩამოსვლის შემდეგაც გავაგრძელე და მშობლების წინააღმდეგობის მიუხედავად (განსაკუთრებით, დედას უნდოდა, „დოხტური“ გამოვსულიყავი), საგარეჯოში არსებულ სამხატვრო სკოლაში დავდიოდი. სიჯიუტე ხასიათში მაქვს, მიყვარს გაუკვალავი გზებით სიარული...

— **ახლა საკუთარ არჩევანს ხომ არ ნანობთ?**

— პირიქით, ვფიქრობ, ღმერთმა გადამარჩინა, ექიმის პროფესია რომ არ ავირჩიე — სიკვდილ-სიცოცხლის ჭიდილს ვერ ვიტან. თუმცა, ჩემი საქმეც ამქვეყნიურსა და იმქვეყნიურ სამყაროს შორის თამაშს ჰგავს... მას შემდეგ, რაც სამხატვრო აკადემიაში ჩავაბარე, ვფიქრობდი: სწორი არჩევანი გავაკეთე? ნეტავ, ამ სფეროში რამე გამომივა-მეთქი? ეს კითხვები მტანჯავდა მესამე კურსამდე და სიძნელეების მიუხედავად, საკუთარ არჩევანს არ ვუჩივი. თავისუფალი ცხოვრების გრაფიკი მაქვს, გათენებისთანავე მოლბერტს ვეცემი, გონება რომ არ გამეფანტოს და სხვა რამეზე არ გადავერთო. მაშინ, როცა, პესიმიზმი შემიპყრობს, მამაჩემის ნათქვამი მახსენდება: — მხატვარი ყველაფერს მოით-


დილით მზის სხივები ეცემოდა პალმებსა და მაგნოლიებს

მენს, შიმშილსაც და სიცივესაც, მაგრამ როგორც კი ორ კაპიკს იშოვის, წავა და ტილოს, ზეთს იყიდისო... როცა სახატავი საშუალებების მარაგი მაქვს, მშვიდად ვარ. ადრე მათ საყიდლად პეტერბურგში, მეგობართან ერთად მივდიოდი. ერთხელ, ვიღაც ლოთმა ზეთის საღებავები ქარხნიდან, ნახევარ ფასში გამოგვატანინა. ძალიან იშვიათი ფერები იყო და ამიტომაც, თვალისჩინივით ვუფრთხილდებოდი. სხვათა შორის, ის საღებავები დღემდე შემომრჩა.

— **მითხარით, როგორც კი გავიღვიძებ, მოლბერტს ვეცემიო ანუ ხატვისთვის მუზა არ გჭირდებათ?**

— იცით, მე ამით ვცხოვრობ!.. მართალია, სურათებს ვყიდი და აქედან რაღაც შემოსავალი მაქვს, მაგრამ ამ საქმით ოჯახის რჩენა შეუძლებელია. ამიტომაც, იძულებული ვარ, ძვირფასი დროის ნაწილი რაღაც სხვა საქმესაც დავუთმო, მაგრამ მაშინაც იმაზე ვფიქრობ, თუ როგორ დავასრულო ტილოზე მუშაობა... მხატვრობას თავის დაზოგვა არ უყვარს და მეც, „სისხლის უკანასკნელ წვეთამდე“ ვიხარჯები...

— **თქვენს ცხოვრებაში იყო თუ არა პერიოდი, როცა ვერ ხატავდით?**

— დიახ, პრობლემების გამო, 4 წელი არ მიმუშავია. ჩემი სურათების ყიდვა კი არა, ხალხს სახლიდან ავეჯი გამოჰქონდა, შიმშილით რომ არ მომკვდარიყო. ჰოდა, მეც იძულებული გავხდი, სხვა საქმე მეკეთებინა. იმ წლებში საკუთარ თავს არ ვეკუთვნოდი... უკვე გითხარით, რომ თავს ყველაზე კარგად მაშინ ვგრძნობ, როცა სამუშაო მასალა არ მაკლია. 80-იან წლებში ძველ გაგრაში ჩავედი და



იმდენი ვხატე, რომ ტილოები არ მეყო და კარადას ერთი ფანერის თარო „მოვპარე“...

მის სილამაზეში ჩავიძირე — ზღვა, ბულვარი, გაგრის პარკი და ახლად აყვავებული მაგნოლიები ულამაზეს სინთეზს ქმნიდა. დილით მზის სხივები ეცემოდა პალმებსა და მაგნოლიებს, ღამით კი მთვარისა და ლამპიონების შუქი. საღამოობით, ციცინათელები დაფრინავდნენ. მოკლედ, იქ სხვა სამყარო იყო... გაგრაში ჩასასვლელი საგზური როგორ ვიშოვე, არ მახსოვს, მაგრამ როცა სანატორიუმ „კოლხიდაში“ ზურგჩანთით შევედი, მახსოვს, როგორ დამიბღვირა ადმინისტრატორმა, — თბილისელი ბიჭი სამაიმუნოდ ხარ ჩამოსულიო! — არა, მხატვარი ვარ-მეთქი, — ვუთხარი, მერე კი ზედა სართულებზე ავირბინე და მეშვიდე სართულზე, კუთხის ოთახში დავბინავდი — ის ოთახი ჩემთვის ყველაზე კარგი ადგილი იყო. იმდენი ვხატე, რომ ტილოები არ მეყო და კარადას ერთი ფანერის თარო „მოვპარე“... როცა თბილისში დავბრუნდი და ჩემი ნამუშევრები სამხატვრო აკადემიაში მივიტანე, ეჭვი შეეპარათ, — ნუთუ, ეს მართლა შენი შესრულებულიაო?.. აი, სწორედ მაშინ დავრწმუნდი, რომ პროფესიულ არჩევანში არ შევმცდარვარ.

— **თქვენს ტილოებზე ისპაჰანის პეიზაჟებიც არის გაცოცხლებული...**

— დიახ, ეს ის ადგილებია, სადაც ჩემი ცხოვრების დიდი ნაწილი გავატარე. ჩემი სოფელი ზღვის დონიდან 3200 მეტრზე იყო და მას უზარმაზარი მთები ესაზღვრებოდა... თუმცა, მხოლოდ ისპაჰანის პეიზაჟებით არ შემოვიფარგლები, აბსტრაქტულ მისტიკასაც ვხატავ. ერთი სიტყვით, ერთ ადგილზე ვერ ვჩერდები, გამუდმებით „ვმოძრაობ“ და ვცდილობ, ყოველდღე სხვანაირი ვიყო... ამასთან, არც აღმოსავლურ ფერებს მინდა მოვწყდე. საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ, იქ რამდენჯერმე ჩავედი. ბოლო ჩასვლისას მომეჩვენა, რომ ახალგაზრდობა უფრო „გამოფხიზლებული“ იყო, ჩემს ბავშვობაში კი იქაურები სოფლიდან გასვლასაც ერიდებოდნენ... ქართველები ისპაჰანსა და ქურთ-ბახტიარებს შორის ცოცხალ ზღუდესავით ვიყავით „აღმართული“, შემდეგ ჩვენი წინაპარი მთებში გაიფანტა, რასაც ორი მიზეზი ჰქონდა: იქ თავს გარეული ნადირით ირჩენდნენ და თანაც, მთაში ქართული თვითმყოფადობის შენარჩუნება ადვილი იყო... ისე, ცნობისთვის, ჩვენ მახლობლად ჩასახლებულ სომხებს რელიგიაც შენარჩუნებული ჰქონდათ, ენაც; ტრადიციასაც იცავდნენ და სხვათა შორის, არაყსაც ხდიდნენ. ქართველები კი მუდმივად წნეხის ქვეშ ვიყავით. ადგილობრივი ხელმძღვანელობის მიმართ ჩვენი მორჩილება ისტორიას არ ახსოვს, პირიქით, „ცხელ წერტილად“ მივიჩნეოდით და ხშირად, აჯანყებაც ხდებოდა, რაც ქართველის დაუდგრომელი ბუნებით აიხსნებოდა.

— **თქვენ რომელი რელიგიის მიმდევარი ხართ?**

— 1984 წელს მოვინათლე, უფლის მჯერა და მწამს, მაგრამ საეკლესიო რიტუალებს ვერ ვიცავ... „ყურანიც“ წაკითხული მაქვს, ოღონდ — სანახევროდ, „ახალ აღთქმას“ კი დღესაც ვკითხულობ... მაშინ, როცა ჩვენ საქართველოში ჩამოვედით, ეკლესიურად აქაურებიც ვერ ცხოვრობდნენ. სამშობლოში ჩამოსვლამდე გამუდმებით გვესმოდა: — საქართველო, როგორც დამოუკიდებელი ერთეული, აღარ არსებობს, იგი რუსეთმა შთანთქა და იქ ქართულადაც აღარ ლაპარაკობენო... ჩამოსულებს სხვანაირი სურათი დაგვხვდა — საქართველოს თვითმყოფადობა შენარჩუნებული ჰქონდა. ქვეყანაში არსებული რეალობის შესახებ ახლობლებს მივწერეთ, თუმცა, ეს წერილები სხვებისთვის გაურკვეველ ენაზე დავწერეთ, რადგანაც ისინი ისპაჰანში მოსკოვის გავლით ჩაჰქონდათ და ვიდრე ადრესატამდე მიაღწევდა, უამრავ ცენზურას გადიოდა. წერილების მიღების შემდეგ, იქ დარჩენილმა ქართველებმა ენის შესწავლაზე დაიწყეს ფიქრი, ზოგი ჩამოვიდა კიდეც და აქაურ სასწავლებელში განაგრძო სწავლა.



80-იან წლებში ძველ გაგრაში ჩავედი და მის სილამაზეში ჩავიძირე

— **როგორ ფიქრობთ, იქ რომ დარჩენილიყავით, როგორი ადამიანი იქნებოდით?**

— ამის თქმა ძნელია... რისკიანი ადამიანი ვარ და მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ექსპერიმენტები ზოგჯერ მარცხით მთავრდება, ჩემსას მაინც არ ვიშლი... იქ რომ მეცხოვრა, ახლა ბევრი შვილი და მოხუცი ცოლი მეყოლებოდა, მეც მოხუცი ვიქნებოდი.

— **რატომ, დრო იქ უფრო ჩქარა გადის?**

— იქ ცხოვრების სხვანაირი რეჟიმია, აქ უფრო მოდუნებული ვარ. სამწუხაროდ, საქართველოში დროის ფასი არ იციან და მას ვერც მე ვაფასებ. ცხოვრების ნახევარზე მეტს ძილში ვატარებთ, საკმაოდ ბევრ დროს — ქეიფში, მეორე დღეს კი თავის ტკივილს ვუჩივით და იმაზე არ ვფიქრობთ, რომ ამასობაში დრო მიქრის და უკან არ ბრუნდება...

■



ფერეიდანში გატარებულმა წლებმა ჩემს შემოქმედებას თავისი კვალი დააჩნია...

# მცენარეული სამყაროსადმი ვნება და YVES ROCHER-ის ბოტანიკური ბაღი

**გასული წლის მიწურულს საფრანგეთში, 79 წლის ასაკში გარდაიცვალა მსოფლიოში ცნობილი კოსმეტიკური კორპორაცია Yves Rocher-ის დამაარსებელი ივ როშე. გარდაცვლილის ახლობლებს თავად ქვეყნის პრეზიდენტმა, ნიკოლა სარკოზიმ მიუსამძიმრა და როშე „დიდ ფრანგ მეწარმედ“ მოიხსენია.**


ბრეტონის შუაგულში დაიბადა მცენარეული სამყაროსადმი ჩემი ვნებაც

ივ როშე, რომელსაც სარკოზიმ „მცენარეული კოსმეტიკის გამომგონებელი“ და „ფოსტით ვაჭრობის პიონერიც“ უწოდა, ბრეტონის პატარა ქალაქ ლა გასილიში დაიბადა. „სწორედ ლა გასილიში, ბრეტონის შუაგულში დაიბადა მცენარეული სამყაროსადმი ჩემი ვნებაც“, — ხშირად იმეორებდა თავად როშე.

სიცოცხლის დიდი ნაწილი მან ნატურალური კომპონენტების შემცველი და მომხმარებელთა ფართო წრისთვის ხელმისაწვდომი კოსმეტიკისა და პარფიუმერიის წარმოებას მოახმარა. მომავალმა დიდმა მეწარმემ პირველი ასეთი საცხი ჯერ კიდევ მოზარდობისას, საკუთარი სახლის სხვენში დაამზადა. „1959 წლიდან ჩემმა დასახლებამ გაუკაცურება დაიწყო, — იხსენებდა როშე, — და მეც მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, ეს პროცესი როგორ შემეჩერებინა. სხვენიდან (იმ დროს ის ლაბორატორიის მაგივრობას მიწევდა) საკუთარი საწარმოს შექმნაზე გადავედი, რომელიც ბუნებისა და ქალური სილამაზის სამსახურში უნდა ჩამდგარიყო“.


Yves Rocher-ის პროდუქციით უკვე ყოველი მესამე ფრანგი ქალი სარგებლობს

1959 წელს ლა გასილიში მცენარეთა თვისებების შემსწავლელი პირველი ლაბორატორიები და Yves Rocher-ის კოსმეტიკური საშუალებების პირველი სერია შეიქმნა. როშემ კოსმეტიკური საშუალებების ფოსტით გაგზავნაც მალევე მოიფიქრა და ამით პრაქტიკულად, რევოლუციური ნაბიჯი გადადგა. მანამდე კოსმეტიკის ფრანგული ბაზარი საკმაოდ ჩაკეტილი იყო და იქაური პროდუქციის ყიდვაც ძალზე ცოტას თუ შეეძლო.

10 წლის შემდეგ როშემ პარიზში Yves Rocher-ის პირველი მაღაზია გახსნა. 1970 წელს, საფრანგეთის ფარგლებს გარეთ, ბელგიაში პირველი ფილიალის გახსნით კორპორაცია საზღვარგარეთის ბაზარზე გავიდა, 2000 წელს კი ქსელმა ინტერნეტგაყიდვების ბაზარიც აითვისა.


ყოველწლიურად, კომპანია ფოსტით 26 მილიონ შეკვეთას გზავნის

ამჟამად, Yves Rocher-ის ნიშნით მსოფლიოში ორი ათასამდე მაღაზია და სილამაზის სალონი მოქმედებს, 80-ზე მეტ ქვეყანაში გახსნილ კომპანიებს 15 ათასზე მეტი შტატიანი თანამშრომელი ჰყავს, ხოლო ქსელის ყოველწლიური ბრუნვა 2 მილიარდ ევროს აჭარბებს. უშუალოდ კორპორაციის ხელთ არსებული მონაცემებით, Yves Rocher-ის პროდუქციით უკვე ყოველი მესამე ფრანგი ქალი სარგებლობს. ეს კომპანია საფრანგეთში „ყველაზე საიმედო და მიმზიდველ დამსაქმებელთა“ შორის მეხუთე საპატიო ადგილზეა. Yves Rocher-ის ნიშნით კოსმეტიკური პროდუქციის 700-მდე სახეობა, მათ შორის, სახისა და ტანის მოვლის, პარფიუმერიული და სამაკიაჟო საშუალებები გამოდის. ყოველწლიურად, კომპანია ფოსტით 26 მილიონ შეკვეთას გზავნის.

მეწარმეობის გარდა, ივ როშე აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდა. 1962-დან 2008 წლამდე ანუ მთელი 46 წლის განმავლობაში ის ლა გასილის მერი გახლდათ. ამ პოსტზე ყოფნა როშემ მშობლიურ ქალაქში Yves Rocher-ის ბოტანიკური ბაღის გახსნის, 1998 წელს კი საბუნებისმეტყველო ისტორიის ეროვნულ მუზეუმთან ერთად ვეგეტარიუმის — მხოლოდ და მხოლოდ მცენარეებისადმი მიძღვნილი პირველი ევროპული მუზეუმის დაარსებისთვისაც გამოიყენა. ის საფრანგეთის უმაღლესი სახელმწიფო ჯილდოს — საპატიო ლეგიონის ორდენოსანი გახლდათ...

Yves Rocher-ის იმპერიას უკვე ახალი ხელმძღვანელი ჰყავს. ეს პოსტი ივ როშეს შვილიშვილმა, 31 წლის ბრი როშემ დაიკავა, რომელიც თავის დროზე საკუთარი იმპერიის მემკვიდრედ თავად დიდმა როშემ დაასახელა...

■

მოამზადა რუსუდან ლებანიძემ

ანტიდეპრესანტი

## ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

გოჩა დვალიშ

### უბის წიგნაკიდან:

1. ყვინჩია იპოლიტე ხვიჩიას ნამდვილი გვარია.

2. დიმიტრი თავდადებული 11 წლის ასაკში გამეფდა.

3. პეტრე I-მა რუსეთში თამბაქო ჰოლანდიიდან შეიტანა.

4. თავისი რომანი — „ტრიუმფალური თაღი“ რემარკმა მარლენ დიტრიხს მიუძღვნა.

5. ევროპის საწარმოებში მაქსიმალური დასაშვები ხმაური კანონით 85 დეციბელს არ უნდა აღემატებოდეს.

6. შირლი ტემპლი პირველად სამი წლის ასაკში გამოვიდა სცენაზე და ყველაზე პატარა ბავშვი იყო, რომელმაც „ოსკარი“ მიიღო.

7. თურქეთში ოფიციალური რელიგია არ არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის 99.8% მუსლიმანია.

8. „შეკრულ მუშტს მხოლოდ მაშინ შეუძლია სიკეთის მოტანა, თუკი ამ მუშტში მზარეულს ბრინჯი უჭირავს“, — ამბობენ ჩინელები.

9. სიმდიდრით განთქმულმა რომაელმა მხედართმთავარმა, მარკუს კრასუსმა ერთ დღეს რომის ქუჩებში ათი ათასი სუფრა გააშლევინა და უბრალო მოქალაქეები თავდავიწყებით ანადიმა.



10. კარტოფილის სამშობლოს წოდებისათვის ჩილე და პერუ ერთმანეთს ეცილება. ორივე ქვეყანაში მოჰყავთ კარტოფილის უძველესი ჯიშები, მაგრამ მხოლოდ ჩილეში მოჰყავთ განთქმული ჯიში — „მისუნე“.

11. მოსკოვში საჭესთან მჯდომი ქალი ინსპექტორს ეჩხუბებოდა: „შტო ია პერესეკლა? დვე პალოსკი? კაკიე დვე პალოსკი?!. და შტო ტი ვააბშე ზნაეშ ა დვუხ პალოსკახ?!.“ ალბათ მიხვდით, რომელ ორ ზოლსაც გულისხმობდა ქალი.

12. კომედია „ვარდისფერ პანტერაში“ ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებელი, ბოლივუდისა და ჰოლივუდის ვარსკვლავი აიშვარია რაი ბაჩანი „მის მსოფლიოს“ ტიტულის მფლობელია.

13. დანიელ დეფო, ავტორი რომანისა — „რობინზონ კრუზო“, ცხოვრების მანძილზე არაერთ აფერაში მონაწილეობდა. არღვევდა კანონს, აყალბებდა თამასუქებს, იღებდა ბაჟს არარსებულ ტვირთებზე, შორეულ ნაოსნობაში უშვებდა არარსებულ გემებს და ასე შემდეგ.

14. „ჩიტი ლობეზე შემოჯდა, იძახდა ქიშმიშობასა, ღმერთმა მრავალსა დაგასწროთ, აღდგომა-ქრისტეშობასა“, — მღერიან რაჭველები ალილოზე.

## *ტაძარი*

# მღვდელ-მონაზონი, იღუმენი და არქიმანდრიტი ანუ სამღვდლო ხარისხები და წოდებები

**მოგეხსენებათ, მღვდლის, ოქროსჯვრიანი მღვდლის, დეკანოზის, გამშვენებულჯვრიანი დეკანოზის ან მიტროსანი დეკანოზის წოდების მინიჭება დამსახურების მიხედვით, მღვდელმთავრის ან კათალიკოს-პატრიარქის მიერ ხდება. არქიმანდრიტი მაკარი (აბესაძე) ამჯერად სწორედ სამღვდლო ხარისხებსა და წოდებებზე, შავსა და თეთრ სამღვდელოებებზე, თელებატ მღვდლებზე გვესაუბრება.**

*შორენა მერკვილაძე*

— ქრისტიანობის პირველივე ხანებიდან სამი სამღვდლო ხარისხი: ეპისკოპოსი, მღვდელი-ხუცესი და დიაკვანი არსებობდა, შემდგომში, საუკუნეების მანძილზე დაყოფა მოხდა თავად ხარისხებს შორის, სამღვდლო ხარისხი კი დღემდე სამი დარჩა — ეპისკოპოსი, მღვდელი და დიაკვანი.

ამჟამად, ეპისკოპოსად ხელდასხმული შეიძლება იყოს ეპისკოპოსის, მიტროპოლიტისა და მთავარეპისკოპოსის ხარისხში, რაც ადრეულ საუკუნეებშივე ჩამოყალიბდა. მიტროპოლიტები ეწოდათ ცენტრალური, მსხვილი ქალაქების მმართველ ეპისკოპოსებს (რომისა და შემდგომ, ბიზანტიის იმპერიაში მიტროპოლია იყო ტერიტორიული ერთეული, რომლის ცენტრალური ქალაქის მმართველი ეპისკოპოსი მიტროპოლიტად იწოდებოდა).



„ეპისკოპოსი“ ბერძნული სიტყვაა და მეთვალყურეს, ზედამხედველს ნიშნავს. ის არის მღვდლობის უმაღლესი ხარისხის მქონე პირი, რომელსაც ჩაბარებული აქვს ეპარქია და მასზე დაქვემდებარებულ ეპარქიას განაგებს. მისი მოვალეობა ეპარქიაში არსებული ტაძრებისა და მონასტრების გამგებლობა, სამღვდელოებისა და მრევლის ხელმძღვანელობაა. ეპისკოპოსები ყოველთვის დაუქორწინებლები არიან. IV საუკუნიდან მოყოლებული, მათ ბერებისგან ირჩევენ. მიტროპოლიტი, როგორც ვთქვით, ოლქის (ეპარქიის) მთავარი, ცენტრალური ქალაქის (მიტროპოლიის) მღვდელმთავარს ეწოდება. მიტროპოლიტსა და ეპისკოპოსს აბსოლუტურად ერთნაირი უფლებები აქვთ და მათი უფლება-ვალდებულებები მხოლოდ თავ-თავიანთი დაქვემდებარების ქვეშ მყოფ ეპარქიებზე ვრცელდება. ძველად რომის და შემდეგ, ბიზანტიის იმპერიაში, მიტროპოლიტს მიტროპოლიის ტერიტორიაზე არსებული დანარჩენი ქალაქების ეპისკოპოსები ემორჩილებოდნენ.

რაც შეეხება მთავარეპისკოპოსს, თუკი ის ადგილობრივი, ავტოკეფალიური ეკლესიის მმართველი არ არის, თავისი ეპარქიის გარდა, უფლებები და მოვალეობები არა აქვს. მაგალითად, საბერძნეთის ეკლესიის მმართველი არის ელადის მთავარეპისკოპოსი, ხოლო საქართველოს ეკლესიის მმართველი არის პატრიარქი, რომელსაც ქვეყანაში არსებულ ყველა ეპარქიაზე თავისი ვალდებულებები და უფლებები აქვს.

ეპისკოპოსი მოქმედებს საეკლესიო კანონებზე დაყრდნობით და ექვემდებარება ადგილობრივ და მსოფლიო საეკლესიო კრებებს. მას უფლება აქვს, აღასრულოს ყველა საეკლესიო საიდუმლო.

დაყოფა მოხდა მღვდლად ხელდასხმულთა შორისაც, რაც უშუალოდ, რუსეთის ეკლესიიდან მომდინარეობს. რუსეთის ეკლესიის გავლენით, მღვდლად ხელდასხმული შეიძლება იყოს — მღვდლის, ოქროსჯვრიანი მღვდლის, დეკანოზის, გამშვენებულჯვრიანი დეკანოზის ან მიტროსანი დეკანოზის ხარისხში. ამ წოდებების

მინიჭებაც დამსახურების მიხედვით, მღვდელმთავრის ან კათალიკოს-პატრიარქის მიერ ხდება. ამგვარი დაწვრილებითი დაყოფა, რაც საქართველოს ეკლესიაშიც არსებობს, ყველა ადგილობრივ, ავტოკეფალიურ ეკლესიაში არ არის გავრცელებული. მაგალითად: ბერძნულენოვან ეკლესიებში მღვდლობის ხარისხის ასეთი დაწვრილებითი დაყოფა არ არსებობს. ძველად საქართველოშიც ყველა მღვდელი ხუცესად იწოდებოდა. იერარქიული უპირატესობები იყო ხელდასხმითი ასაკის ან საეკლესიო თანამდებობის მიხედვით. მაგალითად, ტაძრის წინამძღვარი, თუგინდ ახალი ნაკურთხი ყოფილიყო, იერარქიულად ყველა ხუცესზე მაღლა იდგა.

რაც შეეხება დიაკონს, არსებობს კერძო დიაკონი და მთავარდიაკონი. კერძო დიაკონზე არ არის აღსრულებული ხელდასხმა — მღვდლობის საიდუმლო. ის უბრალოდ, საკურთხევლის მსახურია, ტრაპეზს ვერ ეხება. მთავარდიაკონი ეწოდება ხელდასხმულ დიაკვანს, რომელიც ტრაპეზს ემსახურება, ეხმარება ეპისკოპოსსა და მღვდელს წირვის აღსრულებასა და სხვა სამღვდლო ქმედებების აღსრულებისას — მონაწილეობს საეკლესიო საიდუმლოთა აღსრულებაში. თავად სიტყვა „დიაკონი“ მსახურს ნიშნავს. ფაქტობრივად, დღეისათვის კერძო დიაკვნის მოვალეობას (უმეტეს შემთხვევაში) ასრულებენ ტაძრის მსახურნი, რომელთაც სტიქაროსნებს ვუწოდებთ.

— **რა მოვალეობა და დანიშნულება აქვს პროტოპრესვიტერს?**

— პროტოპრესვიტერი ნიშნავს პირველ მღვდელს, რაც ბერძნულიდან გავრცელდა. ძველად პროტოპრესვიტერი ეწოდებოდა ყველა ტაძრის წინამძღვარს, მაგრამ დღესდღეობით, საქართველოს ეკლესიის კანონით, ასე მხოლოდ და მხოლოდ საპატრიარქო ტაძრის — ამჟამად სიონის ტაძრის წინამძღვარს ეწოდება. იგი არა მარტო სიონის მღვდელმსახურთა შორის, არამედ საქართველოში მოღვაწე მღვდელთა შორის პირველია. პროტოპრესვიტერი არის პატრიარქის თანამწირველი საღმრთო ლიტურგიის აღსრულების დროს.

— **ე.წ. შავი სამღვდელოების შესახებაც ვისაუბროთ...**

— ჩვენში დამკვიდრებული ხალხური ტერმინები — თეთრი და შავი სამღვდელოება არ არის მართებული. ე.წ. შავ სამღვდელოებაში იგულისხმებიან ის ბერმონაზვნები, რომლებიც მონაზვნად არიან აღკვეცილნი, თეთრ სამღვდელობას კი მიეკუთვნებიან სამღვდელონი, რომელთაც ოჯახი აქვთ. არსებობენ თელებატი მღვდელიც — მღვდლობის ხარისხში მყოფი, რომელიც ბერად აღკვეცილი არ არის და ოჯახიც არა აქვს. მართლმადიდებლობაში თელებატ მღვდელს ძალზე იშვიათად შეხვდებით. მღვდელს აქვს მხოლოდ ერთხელ ქორწინების უფლება.

მონაზვნად აღკვეცილი, ე.წ. შავი სამღვდელოების წარმომადგენელი შეიძლება იყოს ბერ-დიაკონი, მღვდელმონაზონი, იღუმენი და არქიმანდრიტი. იღუმენი არის მონასტრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი — მონასტრების მმართველი. ბერძნულში იღუმენი არის წოდება-თანამდებობა, სასულიერო ხარისხად კი დარჩენილია მღვდელ-მონაზონი და არქიმანდრიტი. თავიდან, როდესაც პალესტინასა და ეგვიპტეში სამონასტრო ცხოვრება, ბერობის ინსტიტუტი ჩამოყალიბდა, არქიმანდრიტი თანამდებობა იყო — არქიმანდრიტი შეიძლება ყოფილიყო მღვდელ-მონაზონიც და უბრალო ბერიც, რომელსაც სამღვდლო ხარისხი არ ჰქონდა. თუ ის არქიმანდრიტი ანუ მონასტრების მმართველი აღარ იქნებოდა, ისევ უბრალო ბერად თუ მღვდელმონაზვნად რჩებოდა და მას არქიმანდრიტად აღარ იხსენიებდნენ. შემდეგ, როდესაც პალესტინიდან საბერძნეთში მონასტრული ცხოვრება შემოვიდა, ბერძნულ ეკლესიაში არქიმანდრიტობა მიიღეს ხარისხად — სასულიერო წოდება, თანამდებობა გახდა იღუმენი. მოგვიანებით, როდესაც რუსეთშიც შემოვიდა ბერობის ინსტიტუტი, სამღვდლო ხარისხად მიიღეს როგორც არქიმანდრიტობა, ისე იღუმენობაც, რაც რუსეთიდან საქართველოს ეკლესიაშიც დამკვიდრდა. ამჟამად, საქართველოში მღვდელმონაზონი, იღუმენი და არქიმანდრიტიც სამღვდლო ხარისხიწოდებაა. ■



## ანტიდეპრესანტი

# ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

## ეს რა ღვთაებაა ამ დაბადებიდან!

15. კოსმოსური ხომალდით კოსმოსში გაგზავნილი ყოველი დამატებითი კილოგრამი რუსებს 600 ათასი რუბლი უჯდებათ, ამიტომ კოსმონავტის ყოველდღიური რაციონისათვის საჭირო ხილსაც კი წვრილად ჭრიან, ახმობენ, პაკეტებში ანაწილებენ და კოსმონავტებს ისე ატანენ.

16. ერთ მოსკოველ საესტრადო კომიკოსს ცოლმა ტელეფონების წიგნაკი უპოვა, გადაათვალიერა და ჰკითხა: „ვერა — სანკტ-პეტერბურგ, ვერა — სარატოვ, ვერა — ლვოვ, ვერა — ადესა. ნი სლიშკომ ლი მნოგო ვერი დლია ჟენატავა ატეისტა?!.“

17. შეძახილი „კია!“ — კარატეში ორ ფაზად სრულდება: თავიდან ძლიერი დაძაბვით, შემდეგ მოდუნებითა და ენერგიის გადმოსროლით. ეს შეძახილი სუნთქვას არეგულირებს და დარტყმის დროს ძალის მაქსიმალურ კონცენტრაციას ახდენს.



18. ეკატერინე II-ის ვაჟიშვილს, პავლეს ჭირის დღესავით სძულდა იმპერატრიცას ფავორიტი გრაფი პოტიომკინი — პავლემ მისი საფლავიც არ დაინდო და მიწასთან გაასწორებინა. მოგვიანებით კი რვაჯერ მოხდა პოტიომკინის საფლავის გათხრა და მისი ცხედრის გადასვენება. ერთ-ერთი გადასვენებისას დაიკარგა ოქროს ჭურჭელი, რომელშიც პოტიომკინის გული იყო მოთავსებული. მისი ადგილსამყოფელი დღესაც არავინ იცის.

19. ივანე მაჩაბლისა და ილია ჭავჭავაძის მეგობრობა დიდი მტრობით დასრულდა. მათი დაპირისპირება იქამდე მივიდა, რომ სათავადაზნაურო ბანკის თანამშრომლები ილიისტებად და მაჩაბლისტებად დაიყვნენ. ჭავჭავაძეს მხარს უჭერდნენ კახელები, მაჩაბელს — ქართლელები. ბანკის სხდომებზე ისეთი ამბავი ხდებოდა, რომ იძულებულნი იყვნენ, ეს სხდომები გადაეტანათ და იქ ატეხილი ორომტრიალი მეორე დღეს, მთელი ქალაქის სალაპარაკო ხდებოდა. ხალხი იცინოდა და ამბობდა: ჭავჭავაძის მომხრეებმა ხალხი კახეთიდან ეკიპაჟებით ჩამოიყვანეს, მაჩაბლის მომხრეებმა ქართლიდან — ტივებითო.

20. სალვადორ დალიმ ხატვა სამი წლის ასაკში დაიწყო და 10 წლისა უკვე ჩამოყალიბებული მხატვარი იყო. სიყმაწვილეში, ყურადღების ცენტრში ყოფნის მოყვარული დალი სხვას რომ ვერაფერს მოიფიქრებდა, გარბოდა და ისეთი ძალით ასკდებოდა კედელს, რომ სისხლი სდიოდა. როცა ეკითხებოდნენ, — ეს რატომ ჩაიდინეო? პასუხობდა: აბა, რა მექნა, ყურადღებას არავინ მაქცევდაო.

რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარგეიშვილი

# მარხვის აუცილებლობა სამედიცინო თვალსაზრისით და მარხვის შემდგომი პერიოდი

**მარხვა განსაკუთრებული სულიერი მდგომარეობაა, რომლის დახმარებითაც ადამიანი ვნებების მოთოკვას და იმას სწავლობს, თუ როგორ უნდა გახდეს საკუთარი თავის უფალი. ერთ-ერთი ვნებაა ნაყროვანება (ნაყროვანების ცოდვის შესახებ ყველას სმენია), რომელსაც სხეულისათვის სულზე არანაკლები ზიანი მოაქვს. გადამეტებული და უკონტროლო ჭამა-სმა იწვევს ნივთიერებათა ცვლის დარღვევას, ჭარბ წონას, შაქრიან დიაბეტს, ჰიპერტონიულ დაავადებას, ათეროსკლეროზს, ინსულტს, ინფარქტს და ა.შ. მოკლედ, ზედმეტი ჭამა-სმა ადამიანს ნაადრევად აბერებს და სიცოცხლეს უმოკლებს.**



წმინდა სამედიცინო თვალსაზრისით, მარხვა ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა, ამ დროს ორგანიზმის გაწმენდა და გაჯანსაღება ხდება. ალბათ, ზოგიერთი იტყვის, ასე ხანგრძლივად ხორცსა და რძის პროდუქტებზე უარის თქმის გამო, ორგანიზმს პროტეინები (ცილები) და ამინომჟავები აკლდებაო, მაგრამ ეს დეფიციტი მცენარეული ცილების საშუალებით ივსება. მაგალითად, პარკოსნებში (სოია, ლობიო, მუხუდო), არაქისში, თხილში, კაკალში, სოკოში უხვად არის ამინომჟავები, მიკროელემენტები, ვიტამინები, რომლებიც ცილოვან პროდუქტებზე ადამიანის მოთხოვნას მთლიანად აკმაყოფილებს. უჯრედისით მდიდარი მცენარეული საკვების წყალობით ძლიერდება ნაწლავთა პერისტალტიკა და წესრიგდება კუჭის მოქმედება. ამასთანავე, ნახშირწყლებს ორგანიზმი ცილოვან საკვებზე (ხორცი, თევზი) იოლად ითვისებს. შესაბამისად, მის გადასამუშავებლად ნაკლები ენერგია იხარჯება.

მარხვის დროს ნორმალიზდება საჭმლის მონელება და ნივთიერებათა ცვლა. ცხოველური ცხიმის მცენარეულით ჩანაცვლება მომატებული არტერიული წნევის ნორმალიზებისა და ქოლესტერინის დონის შემცირების საშუალებას იძლევა, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს გულის იშემიური დაავადებისა და ჰიპერტენზიის დროს. ცხოველური ცხიმი დიდი ოდენობით შეიცავს ქოლესტერინს, რომელიც ახშობს სისხლძარღვთა განვლადობას და ამცირებს მათ ელასტიკურობას, ქმნის მიდრეკილებას ათეროსკლეროზისა და სისხლძარღვოვანი პათოლოგიების ჩამოყალიბებისკენ, მაგრამ ქოლესტერინი აუცილებელიც არის ორგანიზმისთვის — მისგან სინთეზირდება ბევრი საჭირო ნივთიერება, მაგალითად: ჰორმონები, ნაღვლის მჟავები, ზოგიერთი ვიტამინი. ამიტომ გახსნილებისას ვიღებთ ცხოველურ პროდუქტებს და მაშასადამე, ქოლესტერინს, ხოლო მარხვისას ორგანიზმს ამ ნივთიერებისგან ვასვენებთ.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი პროდუქტისგან თავის შეკავება სულაც არ ნიშნავს ერთფეროვან კვებას და საკვები ნივთიერებების უკმარისობას. სამარხვო მენიუში შედის ყოველგვარი ბურღული, პური, სოია, პარკოსნები, სოკო, ხილი, ბოსტნეული, ნიგოზი. ტკბილეულის მოყვარულებს შეუძლიათ მიირთვან მურაბა, თაფლი, ჩირი, სამარხვო ნამცხვარი. მთავარია, გვახსოვდეს: მარხვა არ არის შიმშილობა და დიეტა, მარხვა განსაკუთრებული სულიერი მდგომარეობაა და ის ჩვენი სულის ცხონებისთვისაა საჭირო.

### ეს საინტერესოა!!!

არსებობს მოსაზრება, რომ ვეგეტარიანული დიეტა გონებრივ შესაძლებლობებს აუმჯობესებს. როდესაც საკვები ნივთიერება სისხლში უხვადაა, გონებრივი აქტივობა მცირდება. ალბათ შეგიმჩნევიათ, რომ დანაყრების შემდეგ ადამიანი ითენთება და გონებრივი სამუშაოს შესრულება მის ძალებს აღემატება.

## ადაპტაციის პერიოდი

მარხვის დასრულება ანუ გახსნილება მეტად რთული და მნიშვნელოვანი პროცესია, განსაკუთრებით მაშინ, თუ კვებაში შეზღუდვები თვეზე მეტხანს გაგრძელდა. ჩვეულებრივ კვებით რეჟიმზე გადასასვლელად, ორგანიზმისთვის აუცილებელია გარკვეული ადაპტაციის პერიოდი, რასაც რიგი ფაქტორი განაპირობებს. მარხვის პერიოდში მხოლოდ მცენარეული საკვების მიღება საჭმლის მომნელებელი ტრაქტის მდგომარეობაზე აისახება. კერძოდ, ჩვენი ორგანიზმი ეჩვევა განსაზღვრულ, უმთავრესად, ნახშირწყლოვან საკვებს და გამოიმუშავებს მხოლოდ ისეთ ფერმენტებს, რომლებიც შლის სახამებელს, შაქარს, უჯრედისს, მცენარეულ ცილასა და ცხიმს. რაკი ორგანიზმი ცხოველური ცილებითა და ცხიმებით აღარ იტვირთება, ქვეითდება პანკრეასის მიერ იმ ფერმენტების გამომუშავება, რომლებიც ამ კომპონენტების გადამუშავებაში მონაწილეობს. თუ მარხვის შემდეგ ცხოველურ საკვებს ერთბაშად მივეძალებით, დისკომფორტს აუცილებლად ვიგრძნობთ. ამ დროს მოსალოდნელია: მუცლის ტკივილი, ფაღარათი, გულისრევის შეგრძნება, ღებინება, გულძმარვა და სხვა სიმპტომები, რომლებიც შესაძლოა, საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებას ახლდეს თან.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მარხვის შემდეგ ორგანიზმში ცხოველური სურსათის გადამუშავებაში მონაწილე ფერმენტების შედარებითი (და არასრული) დეფიციტი ვითარდება ანუ ორგანიზმს ამ ფერმენტების გამომუშავების უნარი შესწევს, მაგრამ მათი რაოდენობაა შემ-

ცირებული. ასე რომ, ფერმენტთა ის რაოდენობა, რომელსაც კუჭქვეშა ჯირკვალი მარხვის შემდეგ გამოიმუშავებს, მხოლოდ მცირეოდენი ცხოველური საკვების მოსანელებლადაა საკმარისი. შესაძლოა, დაგვრჩეს შთაბეჭდილება, რომ მარხვა საჭმლის მომნელებელ სისტემაზე უარყოფითად მოქმედებს, მაგრამ ასეთი საფრთხე ნამდვილად არ გვემუქრება — როდესაც ცხოველური საკვების მიღება განახლდება, ფერმენტების გამომუშავებაც თანდათან იმატებს. მთავარია, ადამიანი ნელ-ნელა დაუბრუნდეს ჩვეულ რაციონს, რათა აღნიშნული პროცესი უმტკივნეულოდ და შეუმჩნევლად წარიმართოს.

## რა შეიძლება გამოიწვიოს მარხვიდან არასწორმა გამოსვლამ

ზოგიერთი ჩვენგანი მარხვის დასრულებისთანავე გემრიელ და ცხიმიან საკვებს იღებს, რითაც საკუთარ საჭმლის მომნელებელ ტრაქტს სერიოზულ გამოცდას უწყობს. ჩვეულებრივ კვებაზე ერთბაშად გადასვლა ხშირად, გასტრიტის, დუოდენიტის, წყლულოვანი დაავადების, პანკრეატიტის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ჰემოროიდული დაავადების გამწვავებას იწვევს.

მადის აღმძვრელი სუფრა, ნაირგვარი საკვები კუჭის წვენისა და მარილმჟავას სეკრეციის მკვეთრ მატებას იწვევს, ეს კი განსაკუთრებით არასასურველია, როდესაც ადამიანს კუჭის წყლული აქვს. გარდა ამისა, ზომაზე მეტად იტვირთება პანკრეასი — სწორედ ის გამოიმუშავებს ცხოველური საკვების მონელებაში მონაწილე ფერმენტებს. თუ უხვ საკვებს დიდი ოდენობით ალკოჰოლიც დაემატა, დიდია მწვავე პანკრეატიტის განვითარების რისკი. საფრთხე ნაღვლის ბუშტსაც ემუქრება: ცხოველური ცხიმით მდიდარი საკვები შესაძლოა, ნაღვლკენჭოვანი დაავადების გამწვავების მიზეზად იქცეს, ყოველივე ეს კი ნაწლავის გაღიზიანებასაც იწვევს.

სადღესასწაულო სუფრა გულ-სისხლძარღვთა სისტემას მეტისმეტად ტვირთავს, მით უმეტეს, თუ ადამიანი არტერიულ ჰიპერტენზიას ან გულ-სისხლძარღვთა სხვა პათოლოგიას უჩივის. ზედმეტი საკვების მიღების გამო, საჭმლის მომნელებელ სისტემას მეტი სისხლი მიეწოდება, რაც გულ-სისხლძარღვთა სისტემაში სისხლისა და ჟანგბადის ნაკლებობას იწვევს. სწორედ ეს გახლავთ სტენოკარდიის, მიოკარდიუმის ინფარქტის რისკის მატების მიზეზი. დიდი ოდენობით მარილიანი საკვებისა და ალკოჰოლის მიღება არტერიული წნევის მატებას განაპირობებს და ჰიპერტონიული კრიზის წინა პირობას ქმნის.

## აუცილებელია ზომიერების დაცვა

დიეტოლოგები ერთხმად აღიარებენ, რომ მარხვის შემდეგ ჩვეულებრივ კვებაზე გადასვლა ორგანიზმისთვის საკმაოდ რთული პროცესია, ამიტომ ტრადიციულ რაციონს თანდათანობით უნდა დავუბრუნდეთ და არა — ერთბაშად. თუ ადამიანი ჯანმრთელია, ერთი კვირა მაინც არის საჭირო, რათა ორგანიზმი პირვანდელ მდგომარეობას დაუბრუნდეს და ცხოველური სურსათის მონელებისთვის აუცილებელი ფერმენტები კვლავ საკმარისი ოდენობით გამოიმუშაოს. ავადმყოფებს ადაპტაციისთვის 2-3 კვირა სჭირდებათ. გარდა ამისა, საკვები გონივრულად უნდა იყოს შერჩეული.

მარხვის შემდეგ პირველი სამი დღის განმავლობაში რეკომენდებულია კვება მცირე ულუფებით და ხშირ-ხშირად, ყოველ 2-3 საათში ერთხელ. ეს რჩევა განსაკუთრებით, ხანში შესულმა პირებმა უნდა გაითვალისწინონ, ვინაიდან ასაკის მატებასთან ერთად, ორგანიზმის ადაპტაციის უნარი ქვეითდება. რასაკვირველია, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ უკანასკნელი ულუფა დაძინებამდე მინიმუმ 2 საათით ადრე უნდა მივირთვათ.

გახსნილებისას ცხოველური პროდუქტის მიღება რძის ნაწარმით უნდა დავიწყოთ. ამ მხრივ საუკეთესოა მაწონი — რძემჟავა პროდუქტი, რომელიც ნაწლავური მიკროფლორის ნორმალური ბალანსის შენარჩუნებას უწყობს ხელს. დაიწყეთ რძემჟავა პროდუქტებით — მაწვნით, კეფირით, იოგურტით, შემდეგ კი თანდათან გადადით რძეზე, ხაჭოზე, ნაღებზე, კარაქზე, ყველზე. რეკომენდებულია ჭყინტი, უმარილო ყველი, ხოლო მარხვის შემდეგ პირველ დღეებში შებოლილი სულუგუნი და თუშური ყველი მძიმე მოსანელებელი იქნება.

ხსნილის პირველ დღეს კარგია კვერცხის მიღება, მაგრამ არა უზომოდ. პირველ დღეებში თითო კვერცხზე მეტი არ უნდა მიირთვათ, ვინაიდან კარგად მოხარშული კვერცხი საკმაოდ ძნელი მოსანელებელია.

ხსნილის პირველ დღეებში შეგიძლიათ მიირთვათ მჭლე, დაქუცმაცებული, მოხარშული, ჩაშუშული ხორცი; გარნირად კი გამოიყენოთ კომბოსტო, პომიდორი, ჭარხალი, სტაფილო, მწვანილი, მჟავე კენკრა — შტოში, წითელი მოცვი.

გახსოვდეთ!!! ხორცის მიღება არ შეიძლება მაკარონსა და ბურღულის ფაფასთან ერთად.

თუ საჭმლის მომნელებელი ტრაქტის სერიოზული პრობლემა გაქვთ, ჭამამდე შეგიძლიათ მიიღოთ ავშანის ან გვიმრის ნაყენი, ან გადაყლაპოთ 2-3 მწიკვი ამ მცენარეთა გამხმარი, დაფშვნილი ფოთლები.

მარხვის დასრულებისთანავე არასასურველია ისეთი მძიმე საკვების მიღება, როგორიცაა: შემწვარი გოჭი, ხინკალი, ხორციანი ღვეზელი, ხაჭაპური, მწვადი, ღორის ცხიმიანი ხორცი, ნაღები, ყველი. ძნელი მოსანელებელია ხორცისა და სოკოს ან ხორცისა და პარკოსნების კომბინაცია. კატეგორიულად აკრძალულია ალკოჰოლის ჭარბი მიღება.

ხსნილში დაუშვებელია რაციონიდან მცენარეული პროდუქტების ამოღება. მარხვის შემდეგ საკვები მრავალფეროვანი უნდა იყოს — მცენარეული და ცხოველური პროდუქტების ოპტიმალური თანაფარდობაა 3:1.

## გახსოვდეთ!!!!

* საჭმლის მომნელებელი ფერმენტების სრულფასოვანი გამომუშავების აღდგენამდე შეგიძლიათ მიიღოთ პრეპარატები, რომლებიც პანკრეასის ფერმენტებს შეიცავს. საბედნიეროდ, მათი არჩევანი, ნებისმიერ სააფთიაქო ქსელში, საკმაოდ ფართოა.
* მარხვის შემდეგ ჩვეულებრივ კვებაზე გადასვლა უნდა მოხდეს თანდათანობით — ყოველ კვებაზე მიიღეთ არა უმეტეს თითო ცხოველური პროდუქტისა. უმჯობესია, ხსნილის პირველ დღეებში არასამარხვო კერძებიდან მხოლოდ კვერცხი და უკრემო, ნაკლებად მსუყე ნამცხვარი მიირთვათ, ისიც — ზომიერად. იდეალურ შემთხვევაში, მხოლოდ მესამე დღეს შეიძლება, თავს ხორცის მიღების უფლება მისცეთ.
* ხსნილის პირველი ორი დღის განმავლობაში ნუ მიიღებთ მჟავე საკვებს, ზედმეტად მარილიან და სანელებლებით უხვად შეზავებულ კერძებს.
* ერიდეთ ნაყროვანებას.

P.S. რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 8(99) 30.35.97
ან ელფოსტაზე: nino.char@yahoo.com
ის თქვენს ნებისმიერ კითხვას გასცემს პასუხს.


ახალი ნომერი
ოჯახის
ჟურნალი



# ადამიანი

## სამგზის „სუპერბებია“ და დებიუტანტი „სუპერბაბუა“

**სათნოების სახლ „კათარზისში“ უკვე ტრადიციად ქცეული „სუპერბებია-ბაბუის“ კონკურსი წელსაც გაიმართა. „სუპერბებიად“ სათნო და ოპტიმისტი ქალბატონი — მარიკა სიხარულიძე აირჩიეს (წელს — უკვე მესამედ), ხოლო „სუპერბაბუის“ ტიტულის მფლობელი ბატონი ვახტანგ გოგუაძე პირველად გახდა.**

ეთო ყორღანაშვილი

**ვახტანგ გოგუაძე,** *„სუპერბაბუა“, 81 წლის:*

— ხელოვნება ბავშვობიდან მიყვარს. ოზურგეთში ვცხოვრობდი. მამაჩემი მუსიკოსი იყო — სასულე ორკესტრში ერთ-ერთ რთულ ინსტრუმენტზე — ვალტორნაზე უკრავდა. კლარნეტზე დაკვრა მამამ მასწავლა. ხშირად მამეცადინებდა — აპლიკატურა, დიაპაზონი, ნოტები შემასწავლა. ამის საშუალებით, მუსიკალური განათლებაც მივიღე — ბათუმის მუსიკალური ტექნიკუმი დავამთავრე. შემდეგ თბილისში გავემგზავრე, კონსერვატორიაში ჩავაბარე. სწავლის დასრულების მერე, მუსკომედიის თეატრში ორკესტრის ინსპექტორად ვმუშაობდი, ზოგჯერ ვუკრავდი კიდეც. სკოლაში, კლარნეტის პედაგოგად მუშაობაც დავიწყე. მალე დავოჯახდი.

— **მომავალი მეუღლე სად გაიცანით?**

— სკოლების შეჯიბრება ტარდებოდა, სადაც ჩემი მომავალი მეუღლეც ცეკვავდა. დანახვისთანავე მომეწონა. ალბათ, მასაც მოვეწონე, რადგან მალე ოჯახი შევქმენით. ბედნიერად ვცხოვრობდით. პირველი ქალიშვილი — მედეა გაგვიჩნდა. იმ პერიოდში, ჩვენი ბინა „წითელ ხაზში“ მოხვდა და საცხოვრებლად თემქაზე გადასვლა მოგვიხდა. მეუღლემ სტომატოლოგიურ კლინიკაში დაიწყო მუშაობა. შემდეგ ჩემი ცოლი ავად გახდა. ექიმთან წავიყვანეთ — ნაღვლის ბუშტში 193 კენჭი აღმოაჩნდა. ოპერაცია გავუკეთეთ. მალე მეორე ქალიშვილი — ქეთინო შეგვეძინა. სამწუხაროდ, მეუღლეს დიაბეტი გაუჩნდა. დაავადება გვიან აღმოვაჩინეთ. მის გადასარჩენად ყველაფერი ვიღონეთ, თემქაზე 2-ოთახიანი ბინაც კი გავყიდეთ, მაგრამ ვერ ვუშველეთ. ოთხწელიწადნახევარია, რაც ცოლი გარდამეცვალა.

— **მეუღლის ავადმყოფობის პერიოდში აღარ მუშაობდით?**

— სამსახური მქონდა, მაგრამ ველარ დავდიოდი — ცოლი ლოგინად იყო ჩავარდნილი და მას ვუვლიდი. მეუღლის დაკარგვამ ჩემზე ძალიან იმოქმედა. ერთი პერიოდი, დაკვრასაც თავი დავანებე — საამისო განწყობილება არ მქონდა. ჩემს შვილებს შევეკედლე. ქეთინოსგან შვილიშვილიც მყავს. ყველანი ერთად ვცხოვრობთ.

— **თქვენი სიძე და ქალიშვილები რას საქმიანობენ?**

— სიძე თავდაცვის სამინისტროში მუშაობს. უფროსი ქალიშვილი დიასახლისია — ოჯახს უვლის, ქეთინო კი გერმანიაში სწავლობდა და საქართველოში დაბრუნების შემდეგ საკუთარი ორგანიზაცია — თარჯიმანთა ბიურო შექმნა, რომელიც უკვე 9 წელია, არსებობს. ჩემი ქალიშვილის ორგანიზაციაში მე დარაჯის ფუნქციას ვითავსებ და ღამეს იქ ვათევ — შვილს როგორმე ხომ უნდა დავეხმარო?!

— **„კათარზისში“ როგორ მოხვდით?**

— გიტარაზეც ვუკრავ (ამ მხრივ, დედაჩემს ძალიან კარგი მონაცემები ჰქონდა და მეც ავითვისე). იტალიურ ეზოში მეზობლები ხშირად ვიკრიბებით და ჩემს ნიჭს იქ ვავლენ ხოლმე. ერთ-ერთი მეზობელი „კათარზისის“ თანამშრომელია. მითხრა, — ვახტანგ, ჩვენთან მოდი, ერთი პიროვნება უნდა გაგაცნოო. ასე გავიცანი „კათარზისში“ კლუბის ხელმძღვანელი — ილია ნიშნიანიძე, საოცარი მსახიობი, რეჟისორი და მუსიკათმცოდნე. ბატონმა ილიამ ანსამბლში დაკვრა შემომთავაზა და მეც სიამოვნებით დავთანხმდი.

— **„სუპერბაბუის“ კონკურსზე რა შეასრულეთ?**

— ჩემი პროგრამა მოვამზადე: „სალაღობო“ ვიმღერე. შემდეგ კლარნეტზე დაკვრის და დაშლა-აწყობის იმპროვიზაცია შევასრულე. გარდა ამისა, კონკურსანტებს მუსიკალურ აკომპანემენტს ჩვენი ანსამბლი უწევდა.

— **კონკურსზე საკუთარ კლარნეტზე უკრავდით?**

— დიახ, ბათუმში სწავლისას შევიძინე — „სიმერმანის“ ბოლო გა-



კლარნეტზე დაკვრა მამამ მასწავლა (მარჯვნიდან პირველი ვახტანგ გოგუაძე)

მოშვებაა, ძალიან ვუფრთხილდები.

— **ახალგაზრდობაში არ გქონდათ ანსამბლი?**

— კი, როგორ არა! პატარ-პატარა კონცერტებს ვმართავდით. ერთხელ გაგრაშიც ვიყავით და კონცერტი ზღვის სანაპიროზე გავმართეთ. მერე ანსამბლის ზოგი წევრი დაოჯახდა და ნელ-ნელა დავიშალეთ.

— **ანსამბლის ძველი წევრებიდან, თქვენ გარდა, „კათარზისში" კიდევ ვინმე ხომ არ დადის?**

— კი, ერთი მათგანი — მედოლე და ქორეოგრაფი კობა წერეთელი „კათარზისს" ხშირად სტუმრობს. „სუპერბაბუის" კონკურსშიც მონაწილეობდა.

— **კონკურსზე გამარჯვებას ელოდით?**

— არა, სხვებზე მქონდა ეჭვი (*იცინის*).

— **როგორი განცდა დაგეუფლათ, როცა „სუპერბაბუის" ტიტული მოგანიჭეს?**

— დიდ სიხარულს მღელვარება ახასიათებს. მეც ვღელავდი (*იცინის*). ტელევიზორი, სუნამო, ათასგვარი შოკოლადი მაჩუქეს. გარდა ამისა, ფულადი ჯილდო — 100 ლარიც გადმომცეს.

— **თქვენთვის ეს თანხა რას ნიშნავს?**

— თანხა თარჯიმანთა ბიუროში მომიტანეს. ჩემს ქალიშვილს ისე გაუხარდა, რომ პრიზი მაშინვე სახლში „გააფრინა", მე „კათარზისში" დავბრუნდი და გამარჯვება აღვნიშნე.

— **იმ 100 ლარით რამე თუ შეიძინეთ?**

— მალე ჩემი მეუღლის დაბადების და გარდაცვალების დღეა. ალბათ ჩემი ქალიშვილი ამ დღისთვის გამოიყენებს იმ თანხას, დასამალი რა არის?!

— **თქვენს შვილიშვილს რა რეაქცია ჰქონდა, როცა შეიტყო, რომ წლის „სუპერბაბუა" გახდით?**

— ტელევიზორში მნახა და გაუკვირდა — ბაბუაჩემს აქ რა უნდაო (*იცინის*)? ძალიან გაუხარდა!

**მარიკა სიხარულიძე,** *„სუპერბებია", 83 წლის:*

— კონცერტებში ყოველთვის აქტიურად ვმონაწილეობ, მაგრამ წელს გამარჯვებაზე არც მიფიქრია. თითქმის მთელი დეკემბრის მანძილზე ავად ვიყავი — გავცივდი, სახსრების ანთება მქონდა... ამის გამო, ბუნებრივია, რეპეტიციებს ვერ ვესწრებოდი. „კათარზისში" კონკურსის წინა დღეებში დავბრუნდი. უი, მარიკა მოვიდაო! — მაშინვე იყვირეს და რეპეტიციაზე შემიყვანეს. იმ პერიოდში, უკვე მოლონიერებული ვიყავი. დარწმუნებული ვიყავი, კონკურსში წელს ვეღარ გავიმარჯვებდი, მაგრამ თავი არ დამიზოგავს, რომ მაყურებლის სიმპათია დამემსახურებინა!

— **კონკურსზე რა შეასრულეთ?**

— შარშან ფეხბურთელებზე ვიმღერე, წელს კი ვიფიქრე, — ხნიერი ქალი ვარ, უფრო ნაზი სიმღერა შემეფერება-მეთქი. ლამაზი სიმღერა შევასრულე ფილმიდან — „ყვავილი თოვლზე".

— **სასცენო კოსტიუმი კვლავ თავად შეარჩიეთ?**

— რა თქმა უნდა, ყოველთვის მე ვარჩევ! შარშან სპორტული სამოსით გავედი, წელს კი „გაფრიალებული" გრძელი კაბა და თეთრი ბლუზა მეცვა, თავზე შლაპა მეხურა. წელს კონკურსზე მე-15 ნომრად გავედი, 2009-ში მე-9 ნომერი ვიყავი, ფეხბურთელი პაიჭაძის მსგავსად (*იცინის*).

— **პრიზებზე რას მეტყვით, კმაყოფილი ხართ?**

— დიახ, უამრავი საჩუქარი მივიღე, მათ შორის — ტელევიზორი და ფულადი ჯილდო — 100 ლარი.

— **თუ კარგად მახსოვს, ტელევიზორი შარშან შეიძინეთ.**

— კი, ბებია, შარშანდელი ფულადი ჯილდოთი ტელევიზორი ვიყიდე. ახლა უკვე 2 მაქვს (*იცინის*). წელს მიღებული თანხა ჯერ არ დამიხარჯავს.

— **ტელევიზორის ყურება გიყვართ?**

— რა თქმა უნდა! მისი საშუალებით მთელი ქვეყნის ამბებს ვიგებ. გარდა ამისა, ცეკვა-სიმღერა ძალიან მიყვარს და რა გასაკვირია, რომ ეკრანზე სოფო ხალვაშისა და ნინო ჩხეიძის დანახვა მიხარია ხოლმე (*იცინის*)?! ისე, კითხვაც მიყვარს. მცირე ზომის შრიფტით დაბეჭდილ ტექსტსაც ვკითხულობ — მხედველობას არ ვუჩივი, არც სათვალეს ვიყენებ. დილაუთენია ლოცვების წასაკითხად წამოვხტები ხოლმე — უფლის წინაშე მუხლი ხომ უნდა მოვიყარო!

— **გასული წელი თქვენთვის წარმატებული იყო?**

— არა უშავდა, საყვედურს ვერ ვიტყვი. პრეზიდენტმა პენსია მცირედით მოგვიმატა, ოჯახისთვის ამასაც მნიშვნელობა აქვს — არავის ეწყინოს, მაგრამ მიშიკო ძალიან მიყვარს. ტელეეკრანზე მისი დანახვა ყოველთვის მახარებს — ენერგიული ბიჭია. ვუსურვებ, საქართველო მალე ფეხზე დააყენებინოს!

— **ბატონ მიხეილ სააკაშვილს პირადად თუ შეხვედრიხართ?**

— არა, მაგრამ ძალიან მინდა. ინტუიცია კარგად მაქვს განვითარებული. ადამიანთან პირადად შეხვედრისას მისი პიროვნების „შეგრძნობა" შემიძლია. ამიტომ მსურს, პრეზიდენტს პირადად ვესაუბრო.

— **რას ეტყოდით?**

— უპირველეს ყოვლისა, მადლობას, რომ შიმშილი არ მაწუხებს და მომატებული პენსიით ცოტათი მაინც მეხმარება. ალბათ, მერე ჩემს გაჭირვებაზეც ვუამბობდი. გულახდილად რომ გითხრა, მასთან წუწუნის მომერიდებოდა: ამხელა ომი გამოვიარეთ, უამრავი ადამიანი უსახლკაროდ დარჩა... პრეზიდენტს ისედაც ბევრი საზრუნავი აქვს, ჩემს გაჭირვებაზე ხომ არ ველაპარაკები?! უხერხულია...

— **თქვენი შვილები, შვილიშვილები როგორ არიან?**

— ისევ ეპილეფსიით დაავადებულ ვაჟს ვუვლი, ქალიშვილი კვლავ მისთვის შეუფერებელ სამსახურშია — სკოლაში „კარისკაცად" მუშაობს. შვილიშვილებმა უმაღლესი დაამთავრეს, მაგრამ სამსახური არა აქვთ. ჩემი ოპტიმიზმით მათ სტიმულს ვაძლევ. სხვა რა შემიძლია?!

— **„სუპერბებიის" კონკურსს თქვენი შვილიშვილები თუ ესწრებოდნენ?**

— არა, ვერ მოახერხეს... უმუშევრობის გამო, ახალგაზრდებს არაფრის ხალისი არა აქვთ... მომავლის იმედს მაინც არ ვკარგავ. იმედია, ყველანი კარგად ვიქნებით! ■



ჩემს ქალიშვილს ისე გაუხარდა, რომ პრიზი მაშინვე სახლში „გააფრინა"



უამრავი საჩუქარი მივიღე

# 16 კვადრატულ მეტრში მოქცეული „საქართველოდან“ დაწყებული ახალი ცხოვრება და ბავშვობის ეზოში დალეული ლუდის გემო

**სამედიცინო ინსტიტუტი 1989 წელს ნევროპათოლოგის სპეციალობით დაამთავრა. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, კლინიკური ორდინატურა პროფესორ ავთანდილ ლაჭყებიანთან გაიარა, ასპირანტურაში ჯერ IX საავადმყოფოში ბატონ ცოტნე ჩხიკვიშვილთან, შემდეგ ფიზიოლოგიის ინსტიტუტში, პროფესორ ნოდარ მითაგვარიასთან ისწავლა. სწორედ ამ უკანასკნელის დაჟინებით, საკანდიდატო დისერტაციის თეზისი გაგზავნა მიუნხენში, ევროპის ნევროლოგთა კონგრესზე და „იუნიორ თრეველ გრანტიც“ მოიპოვა. შემდეგ კვლავ ბატონი ნოდარის რჩევით, ერთი კვირით გერმანიაში გაემგზავრა. თბილისში დაბრუნების შემდეგ გერმანული კონკურსით სტიპენდიაც მოიპოვა და 1996 წლის ბოლოს, ამჯერად სასწავლებლად, გერმანიის ქალაქ ესენის უნივერსიტეტში, პროფესორ ჰანს კრისტოფ დინერთან მოხვდა... დღეს კიდევ ერთ ემიგრანტს, წარმატებულ ქართველ ექიმს ზაზა ქაცარავას გაგაცნობთ.**



*ირმა ხარშილაძე*

— გერმანიაში დამკვიდრება იოლი არ ყოფილა. სამედიცინო გამოცდის ჩაბარებაც კი ხელახლა დამჭირდა, არაფერს ვამბობ, რომ საქართველოში ნამუშევარი ერთი დღეც კი არაფრად ჩამითვალეს. 5-წლიანი რეზიდენტურა თავიდან გავიარე, სპეციალობის — ნევროლოგიის გამოცდაც კიდევ ერთხელ ჩავაბარე, მერე 3 წლით ჰარვარდში წავედი სასწავლებლად და კლინიკური ეპიდემიოლოგიისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ხარისხი მივიღე. ამის შემდეგ კიდევ ბევრი ვისწავლე, სადოქტორო დისერტაცია ესენში დავიცავი, მერე კიოლნში მუშაობის პარალელურად, სამედიცინო მენეჯმენტი შევისწავლე, დღეს კი ესენის უნივერსიტეტის პროფესორი და საუნივერსიტეტო კლინიკის დირექტორის მოადგილე ვარ. იმავდროულად, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ (WHO), რომელიც 10 წელიწადში ერთხელ ყველა არსებული დაავადების სტატისტიკურ კლასიფიკაციას ახდენს, 2015 წლის ახალი კლასიფიკაციის გამოსაცემად თავის ტკივილის სინდრომის სამუშაო ჯგუფში სამუშაოდ მიმიწვია. ჩემს სფეროში, ექიმთა მსოფლიოს ხუთეულში ვარ მოხვედრილი. ამის მისაღწევად კი რასაკვირველია, რთული გზა გავიარე და ამას ბევრი ვერც შეძლებს, მაგრამ იცით, რატომ გიამბეთ დაწვრილებით? — ძალიან გამაღიზიანებელია, როდესაც ვიღაც სამთვიანი სტაჟირებით მოხვდება ინგლისსა ან ამერიკაში, ან კიდევ სადღაც, იქიდან კი უდიდესი ამბიციით ბრუნდება. ვთქვათ, გაიგებ, რომ ვიღაც ამერიკაში ნევროლოგიის აკადემიის წევრად აირჩიეს, — კარგად ჟღერს, არა? ქართველებისთვის აკადემიის წევრობა სამეცნიერო აკადემიის წევრობასთან ასოცირდება, რაც წლების წინ საკმაოდ რთული მისაღწევი იყო, ამიტომ ფიქრობ, რომ ამერიკაში ეს გაცილებით რთული იქნება. სინამდვილეში კი ნებისმიერ ქვეყანაში არსებობს ნევროლოგთა გაერთიანება, რომლის წევრები იხდიან საწევროს, ატარებენ კონგრესებს, რომ ხალხი ჩავიდეს და ახალი ინფორმაცია მიიღოს. და ამ გაერთიანებებს ყველგან უწოდებენ საზოგადოებებს, მხოლოდ ამერიკაში ჰქვია აკადემია. არადა, რამდენი და როგორი ქართველი პროფესიონალი მოღვაწეობს საზღვარგარეთ! — თუნდაც თბილისის ფიზიოლოგიის ინსტიტუტიდან შვეციაში, ლუნდის უნივერსიტეტში წასული არაჩვეულებრივი მეცნიერები, ძმები მერაბ და ზაზა კოკაიები, რომელთა შესახებ ძალიან ცოტა ადამიანს თუ სმენია!..



ცოლ-ქმარი თბილისში, რუსთაველის თეატრთან

— **ამბობ, რთული გზა გაიარეო. გარდა სწავლისა, მუშაობისა და საქმიანი მოგზაურობისა, პირადი ცხოვრებაც უნდა აგეწყო...**

— ესენის საერთო საცხოვრებლის 16 კვმ ფართობის ოთახში ვცხოვრობდი. სტიპენდია 1.500 მარკა მქონდა. მერე მუშაობა დავიწყე და თანხაც ცოტათი გაიზარდა. საერთოდ კი გერმანიაში ცხოვრება იოლი არ არის — აქაურებს არაფერში სჭირდებათ ისეთი ხშირი და ახლო ურთიერთობები, რაც ჩვენთვის, ქართველებისთვისაა აუცილებელი. მართალია, მეგობრობაც იციან და დახმარებაც, მაგრამ ხშირად ერთად ყოფნით წუხდებიან. თავდაპირველად ახლობლებთან ხშირი ურთიერთობის დეფიციტს ვერც ვგრძნობდი, რადგან ფაქტობრივად, თავისუფალი დრო არ მქონდა — ლამის კლინიკაში ვცხოვრობდი. თუმცა იმ ხანებში ერთი-ორი ძალიან კარგი გერმანელი მეგობარიც შევიძინე და თუკი რამეს მივაღწიე, სწორედ მათი დამსახურებით. ნელ-ნელა ჩემი ერთი ციდა ბინისთვის ავეჯიც მოვაგროვე — ხელფასი მის საყიდლად არ მეყოფოდა, ამიტომ ქუჩაში გადაყრილი წამოვიღე შინ. მერე მეუღლე — ეკა ხვინგიაც ჩამოვიდა თბი-

ლისიდან და გაჭირვებით ვცხოვრობდით 16 კვმ-ში: ერთი თუ იწვა, მეორე უნდა მჯდარიყო (*იღიმის*). ფეხბურთის თავგადაკლული გულშემატკივარი ვარ და არ მავიწყდება მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატი. ჩემი გერმანელი კოლეგების უმრავლესობას დიდი ბინა ჰქონდა, მაგრამ მატჩების საყურებლად მაინც ჩვენთან მოდიოდნენ. ყუთით ვყიდულობდით ლუდს, ეკა შეგვიწვავდა ხოლმე კარტოფილს, ძეხვს და ბედნიერად ვადევნებდით თვალს თამაშს. ხელფასი რომ მომემატა, ოთახნახევრიანი ბინა ვიქირავეთ, მერე უკეთ ამეწყო ცხოვრება და კიდევ გავფართოვდით. ახლა ღვთის წყალობით არაფერი მაკლია და ჩემს ცოლ-შვილთან (6 წლის ტყუპი — ნინი და მარი მყავს) ერთად ბედნიერად ვცხოვრობ. ეკაც ექიმია და მუშაობს.

**— ბავშვებმა ქართული იციან?**

— შინ ყოველთვის ქართულად ვლაპარაკობთ და ბავშვებმა ქართული წერა-კითხვა იციან. თუმცა ცუდია, რომ ბებია და ბაბუა არ არიან აქ, პატარებს დაიტოვებდნენ და ძალიან ბევრ საინტერესო ამბავს მოუყვებოდნენ, ბევრ რამეს ასწავლიდნენ.

**— ზაზა, ესენში ალბათ ქართველები არიან. ერთი ძალიან ნიჭიერი და პოპულარული ქართველი, მსახიობი რეზო ჩხიკვიშვილიც მანდ ცხოვრობს...**

— ჩემი ძმა და მეგობარი! რეზო და მისი მეუღლე ხათუნა ჩემი სახლიდან ფეხით 10 წუთის სავალზე ცხოვრობენ. ასე რომ, მათთან რომ მივდივარ დასალევად, მანქანა არ მჭირდება. ახლახან ესენში სამკურნალოდ ხარკოვის გუბერნატორი იყო ჩამოსული და სპეცჩამოსხმა „გარილკა“ ჩამოიტანა. რეზოს ერთი სული აქვს, როდის დავალევინებ (*იცინის*). ამას წინათ, ბავშვები წავიყვანე მის სპექტაკლზე და ძალიან ვისიამოვნეთ


რეზო ჩხიკვიშვილთან ერთად

— ერთ სპექტაკლში რეზოს რამდენიმე როლი ჰქონდა... ესენის კონსერვატორიის პროფესორია ქართველი მევიოლინე ნანა იაშვილი, მარინე იაშვილის და. კიდევ ერთ სასიამოვნო ამბავს გეტყვი: ადრე ქართული ეკლესია არ გვქონდა და დიუსელდორფის რუსულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ შეგვიკედლა. ჯვარიც იქ დავიწერე, შვილებიც იქ მოვნათლე. ძალიან კარგი და ჩვენდამი კეთილგანწყობილი მღვდლები წირავდნენ იმ ეკლესიაში. ლოცვისას „მამაო ჩვენოს“ ქართველებს ქართულად გვაკითხებდნენ ხოლმე. აღმოჩნდა, რომ აქ გერმანული მართლმადიდებლური ეკლესიაც ყოფილა და მის მრევლს პატარა საყდარი ჰქონია, რომელიც ცოტა ხნის წინ ქართულ სათვისტომოს აჩუქეს. ეს არის 300 წლის წინ აშენებული და ადგილობრივ ისტორიულ ძეგლთა ნუსხაში შეტანილი პატარა, ძალიან ლამაზი საყდარი დიდი ეზოთი. საქართველოდან აქ სამოღვაწეოდ ახალგაზრდა მღვდელი მამა ისე ჩამოვიდა. არაჩვეულებრივი ადამიანია. როცა ვეკითხები, როგორ ბრძანდებით-მეთქი? — მიპასუხებს: ხან ასე და ხან ისეო (*იღიმის*). ამ ადამიანმა მრევლი ძალიან შეგვაკავშირა. იქ არიან სტუდენტები — დათო ლილუაშვილი და დათო ლაპიაშვილი, კიდევ სხვა ახალგაზრდები, რომლებმაც ბევრი რამ გააკეთეს ეკლესიისა და ქართული სათვისტომოსთვის. ვერ წარმოიდგენ, რა ორგანიზებული სათვისტომოა — ქართველებისგან გაგიკვირდება კიდეც (*იღიმის*). როცა გამოაცხადებენ, ეკლესიაში შაბათობა გვაქვს და დილის 9 საათზე შევიკრიბოთო, ერთ წუთსაც არ ვაგვიანებთ — მივდივართ და ვალაგებთ. საკვირაო სკოლაც გაიხსნა ბავშვებისთვის. სამწუხაროდ, ჩემი შვილები ხშირად ვერ დაგვყავს, რადგან მე თითქმის სულ საზღვარგარეთ ვარ — ლექციების წასაკითხად მიწვევენ. ეკას კი მანქანა არ ჰყავს და პატარების წაყვანას უჩემოდ ვერ ახერხებს. არადა, ისეთი სილამაზეა ჩვენი საყდარის ეზოში! განსაკუთრებით ზაფხულში, კვირაობით წირვაზე რომ მივდივარ, თავი თბილისში, ვაჟა-ფშაველაზე, ჩემს ეზოში მგონია.


ნინა ყაუხჩიშვილი, ზაზა და მანანა თოფაძე

**— ჩანს, ძალიან მოგენატრა შენი ეზო და აქაურობა. ბოლოს როდის იყავი?**

— ხშირად ჩამოვდივარ მშობლებთან. ისე გამოვიდა, რომ თბილისში მარტონი დარჩნენ: ჩემი ძმა, წარმატებული პიანისტი გიგლა ქაცარავაც ოჯახით საზღვარგარეთ ცხოვრობს, პარიზის კონსერვატორიის პროფესორია. ამ ზაფხულსაც ვიყავი თბილისში... იცი, ჩემს ეზოში დალეულ ლუდს მაინც განსაკუთრებული გემო აქვს, გერმანულს სჯობია (*იღიმის*)... სამწუხაროა, რომ საქართველოზე ხშირად მაინც სხვა ქვეყნებში ვხვდები, თუმცა თითქმის ყველგან ქართულ ამბავს გადავაწყდები ხოლმე. ორი წლის წინ ერთ-ერთ სამედიცინო კონგრესზე იტალიაში, ძალიან ცნობილ, პავიას უნივერსიტეტში ვიყავი. მახსოვს, ნევროლოგიის კათედრის გამგე 70 წელს გადაცილებული ჯორჯიო ნაპი გამომელაპარაკა: — იცი, რომ ჩემი მასწავლებელი ქართველი იყოო?! აღმოჩნდა, რომ ამ უნივერსიტეტის ერთ-ერთი პირველი პროფესორი ყოფილა ვინმე გიორგი ყაუხჩიშვილი, რომლის სახელობის პრემიასაც ყოველწლიურად გასცემენ. შარშან ეს პრემია მე გადმომცეს. დაჯილდოებისას მოწვეული ჰყავდათ გიორგი ყაუხჩიშვილის ქალიშვილი ნინა, რომელიც იქ ცხოვრობს და ახლა 82 წლის არის. ნინამ მიამბო, რომ მამამისი გრიგოლ რობაქიძესთან მეგობრობდა, ორივე ოჯახი გერმანიაში, ბერლინში ცხოვრობდა, თუმცა მერე ყაუხჩიშვილები ფაშიზმს გაჰქცევიან და საცხოვრებლად იტალიაში გადასულან... შარშან ბუენოს-აირესის უნივერსიტეტის მიწვევით არგენტინაში ვიყავი — ზუსტად იმ დროს, როდესაც დიეგო მარადონა თბილისში იმყოფებოდა. იმხანად ექტორ რაულ კუპერი საქართველოს ეროვნულ საფეხბურთო ნაკრებს ხე-

ღმძღვანელობდა. ერთ-ერთი მოხსენების შემდეგ არგენტინელებს კუპერის საქართველოს ნაკრებთან გადაღებული ფოტო ვუჩვენე, ვუთხარი, რომ მეც ქართველი ვარ და ამით ისე გავახარე, მეორე დღესვე „ბოკა ხუნიორსის“ საწვრთნელ ბაზაზე, მარადონას ფრესკასავით გაკეთებული გამოსახულება მაჩვენეს. ფოტოც გადავიღე „მარადონასთან“... აქ, გერმანიაში არის ძალიან ცნობილი სატელევიზიო გაზეთი, სადაც იბეჭდება სატელევიზიო პროგრამა. ამ გაზეთს რაღაც გამოკითხვა ჩაუტარებია და გერმანიის 150 საუკეთესო ექიმის სია დაუბეჭდავს. ამ სიაში თურმე მეც შემიყვანეს. არადა, ისიც არ ვიცი, როგორ მოვხვდი იქ და საერთოდაც, არასერიოზულად მიმაჩნია ეს ყველაფერი, მაგრამ ძალიან მესიამოვნა, ქართველი კაცი გერმანელებმა საუკეთესოთა შორის რომ დამასახელეს და თანაც, ეს ამბავი ჩემი ხანდაზმული მეზობლისგან რომ შევიტყვე, — აი, ბატონო ქაცარავა, თქვენ ხართ ნახსენებიო, — და გაზეთი მაჩუქა...


საკვირაო სკოლა დიუსელდორფში

**— ამდენი წელი გავიდა, საქართველოშიც ბევრი რამ შეიცვალა. დღეს როგორ შეადარებ ამ ორი ქვეყნის სამედიცინო სისტემას?**

— საქართველოში თუ რაღაც გაწუხებს, სრულყოფილი გამოკვლევისთვის რამდენიმე ადგილას გიწევს მისვლა, თითოეული დასკვნისთვის აქეთ-იქით დარბიხარ და ბოლოს, დიდი შანსია, დასკვნის გაგზავნა საზღვარგარეთ, თუნდაც გერმანიაში თავადვე მოგიხდეს, მერე იქიდან უნდა ელოდო პასუხს და ა.შ. ანუ სამედიცინო სისტემა დანაწევრებულია. გერმანიის სამედიცინო სისტემა კი ერთი, უმაღლეს დონეზე სრულყოფილი მექანიზმივით მუშაობს. იქ მიდიხარ და ეუბნები, რომ რაღაც გაწუხებს, დანარჩენზე კი თვითონ ზრუნავენ და თუ სადმე რამეა გასაგზავნი, ამასაც აგვარებენ. მეორე პრობლემაა სტუდენტების განათლება. პროფესორი ვარ და აქ ლექციებსაც ვკითხულობ. გერმანელ სტუდენტებსაც კარგად ვიცნობ და ქართველ სტუდენტებსაც ვაკვირდები. გერმანელი სტუდენტისთვის პირველი კურსიდანვე ცხადია, რომ კარგი სწავლა შემდგომში კარგ თანამდებობას და შესაბამისად, კარგ გასამრჯელოს უკავშირდება. ამიტომ სტუდენტიც პირველი კურსიდანვე კარგად სწავლობს. საქართველოში ბევრ სტუდენტს ეს გაცნობიერებული არა აქვს, რასაც მხოლოდ სტუდენტებს ვერ დავაბრალებთ — ეს უფრო სისტემის ბრალია. შეიძლება, არასწორი ინფორმაცია მაქვს, მაგრამ როგორც მითხრეს, დღეს ბიჭების უმეტესობა მედიცინას აღარ სწავლობს, რადგან ექიმობა დიდ განათლებასთან, შრომასა და ნაკლებ შემოსავალთან არის დაკავშირებული. სამაგიეროდ, სწავლობენ კავკასიის ბიზნესსკოლაში, სწავლობენ იურისპრუდენციას და ა.შ. რასაკვირველია, საქართველოდან ჩემი წამოსვლის შემდეგ მართლაც ბევრი რამ შეიცვალა ქვეყანაში. განსაკუთრებულად მონდომებულებმა გზა გაიკვლიეს, ბევრი ისწავლეს, ბევრს შრომობენ, ხშირად დადიან საზღვარგარეთ. ცუდი ის არის, რომ უმრავლესობა, ჩემი ჩათვლით, წავიდა და უკან აღარ ბრუნდება. არადა, ევროპასა და ამერიკაში ძალიან ბევრი მაღალი კვალიფიკაციის ექიმი მუშაობს და ყველა საქართველოში რომ დაბრუნდეს, ალბათ, სამედიცინო მომსახურების პრობლემაც იოლად გადაიჭრება.

**— კი, მაგრამ არც შენ ფიქრობ დაბრუნებას და არც სხვა...**

— ასეა. აქ ადამიანი ცხოვრებას რომ აიწყობ, დაბრუნება უკვე ძალიან ძნელია: შემოსავალი საკმაოდ მაღალია; ბევრი ვიშრომეთ, ჩვენი დღევანდელი სტატუსისთვის რომ მიგვეღწია. საქართველოში ექიმს სათანადოდ არ აფასებენ. შეიძლება, ასე არ უნდა ვლაპარაკობდე, — თუ გავიხსენებთ, უდაბნოდ ქცეულ პატარა მიწაზე როგორ ააშენეს ებრაელებმა ისრაელი, ალბათ, ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთ, მაგრამ...

**— მაგრამ ამისთვის თუნდაც შენ ან დანარჩენები მზად არ ხართ. და არც სახელმწიფოა ამისთვის მზად, არა?**

— სახელმწიფო ისევ ჩვენ ვართ. და თუ მზაობაზე ვისაუბრებთ, დღეს არც წასული და არც დამხვდური ამისთვის მზად არ არის. ჩამოსასვლელად წინა პირობა რომც არსებობდეს, სხვა დაბრკოლება შეიქმნება: ყველას საკუთარი კლინიკის გახსნის ამბიცია გაუჩნდება. ვთქვათ, ვიტყოდი, — ჩამოვალ და სხვა იყოს პირველი, მე კი მეორე ვიქნები-მეთქი, მაგრამ რეგალიები სამართლიანად უნდა განაწილდეს.

**— სამართალს ვინ განსაზღვრავს?**

— ეს ძალიან მარტივია. ჩვენ ხომ მუსიკოსები არ ვართ? არსებობს კლინიკური კვალიფიკაციის მაჩვენებლები: სად სწავლობდი, ვინ გასწავლიდა, რამდენ ხანს სწავლობდი, რა სტატუსი გქონდა იქ და ა.შ. არსებობს დახელოვნების სერტიფიკატებიც: მაგალითად, მე მაქვს დამატებითი სერტიფიკატები ტკივილის თერაპიაში, ნეირორეანიმაციაში; საინტერესოა, სხვას რა აქვს? რა გამოიკვლია, რამდენი სტატია გამოაქვეყნა და სად? ამ ინფორმაციების გაცნობით იოლად დაასკვნი, ვინ რას წარმოადგენს. მთავარია, ყველაფერი სამართლიანად გაარკვიო. ისე კი საქართველოსთან თანამშრომლობას არ ვწყვეტ. თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის ეპიდემიოლოგიის კათედრის გამგე გახლავთ ჩემი მეგობარი მამუკა ჯიბუტი და მასთან, ასევე, სამედიცინო აკადემიის ნევროლოგიის კათედრის გამგესთან — მარინა ჯანელიძესთან საინტერესო სამეცნიერო პროექტები ჩამომაქვს; დავაარსეთ თავის ტკივილის პირველი ქართულ-გერმანული ცენტრი, ასევე, ყოველწლიურად მიმყავს გერმანიაში სასწავლებლად გამორჩეული, მონდომებული, წესიერი სტუდენტები და კიდევ ბევრი პროექტის განხორციელებას ვაპირებ. ■


ეკა და გაგა

— ერთხელ მხოლოდ მამაკაცები ქეიფობდნენ და ქართული თოვლის ბაბუა მოინდომეს. გამოძახებაზე მივედი, დავლოცე სუფრის წევრები, მაგრამ უკან აღარ გამიშვეს. საერთოდ, მუშაობისას დალევის უფლება არ მაქვს, მაგრამ ბოლო გამოძახება იყო და მეც მოვულხინე. ბოლოს წამოსვლა რომ დავაპირე, აღმოჩნდა, რომ თოვლის ბაბუის ყაბალახი ერთს ეკეთა თავზე, მეორეს წვერი ჰქონდა მიმაგრებული (*იცინის*)...

**— რთული არაა, ახალი წლის დღესასწაულზე დალევა რომ გეკრძალება?**

**თეონა:**

— მართლაც რთულია. წარმოიდგინეთ, იმის ნაცვლად, რომ ახალ წელს ოჯახის წევრებთან, მეგობრებთან ერთად შეხვდეს, გამოძახებაზეა და თან, 1 ჭიქა ღვინის დალევის უფლებაც არ აქვს!

**ბექა:**

— „ჩვენში დარჩეს“ და, ცოტცოტას კი „ვიპარავ“ ხოლმე, უფრო — ბოლო გამოძახებებზე (*იცინის*).

**— უცხო ადამიანების ოჯახებში მისულებს ყოველთვის მხიარული განწყობილება გხვდებათ?**

— შარშან, 31 დეკემბერს გამოძახება სვანეთის უბნიდან მოვიღეთ. თოვლი და ძლიერი ყინვა იყო. მანქანა გზაში „გაიჭედა“ და იძულებული გავხდით, რომ დანიშნულების ადგილზე ფეხით მისულიყავით. დაღლილი, ნერვებმოშლილი მივედი. სახლში 2 პატარა დამხვდა — 2 და 3 წლის. თურმე მათი მამა 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულა... ბავშვები მოთმინებით მელოდნენ — დასაძინებლად არ წვებოდნენ. 15 წუთის ნაცვლად, მათთან მთელი საათი დავყავი, კარგად ვიმხიარულეთ. სხვათა შორის, წელსაც გამომიძახეს.

**თეონა:**

— ინვალიდი ბავშვების სკოლაშიც გამოგვიძახეს. 250 ბავშვი დაგვხვდა: ზოგს თვალი არ ჰქონდა, ზოგს — ხელი, ზოგი მუნჯი იყო...

**— მათთვის მხიარული განწყობილების შექმნა არ გაგიჭირდათ?**

— ძალიან! ლამის ტირილი დავიწყე, მაგრამ მერე ვიფიქრე, — რომ ვიტირო, უარესი იქნება-მეთქი.

**ბექა:**

— ძალიან რთულია, როცა გაჭირვებულ ბავშვს უყურებ, შენ კი მის გამხიარულებაზე უნდა იზრუნო, მაგრამ ეს ჩვენი მოვალეობაა, რას ვიზამთ?! მათი გაღიმება შევძელით, მაგრამ ჩვენ დავსევდიანდით...

**— რა სურვილები ჰქონდათ ინვალიდ ბავშვებს?**

**თეონა:**

— არაფერი. უბრალოდ, ყველაფერს ლამაზად აღიქვამენ. კაბაზეც კი მეხებოდნენ, — ვაიმე, რა ლამაზიაო! მერე ცეკვა „ქართული“ შეასრულეს. ზოგს ხელი არ ჰქონდა და ვერ ცეკვავდა. თავი უხერხულად რომ არ ეგრძნოთ, ვითომ მეც არ ვიცოდი ცეკვა...

**— საახალწლო დღესასწაულებზე უამრავ გამოძახებაზე დადიხართ. დაღლილებს ბავშვებთან „გამკლავება“ არ გიჭირთ?**

**ბექა:**

— გააჩნია, ოჯახში როგორი სიტუაცია დაგვხვდება. ზოგჯერ მხოლოდ ბავშვს უხარია, მშობლები კი რობოტებივით არიან. ასე არ შეიძლება, მშობლებიც უნდა აგვყვნენ. ისეთი შემთხვევებიც გვაქვს, როცა დაღლილობა საერთოდ გვავიწყდება.

**— პატარები „ჩამჭრელ“ კითხვებს არ გისვამენ?**

— კი. ერთმა ასაკი მკითხა. ვუთხარი, რომ 65 წლის ვარ. პატარამ დაეჭვებით აღნიშნა, რომ 65 წლის კვალობაზე, ძალიან ახალგაზრდულად გამოვიყურებოდი, — პაპაჩემიც მოხუცია, მაგრამ ის ძალიან გამხდარია, შენ კი ლიპიანი და ჯან-ღონით სავსე ხარ, 65 წლისას არ ჰგავხარო! თოვლის ბაბუებს მოუსვენარი ბავშვებიც გვხვდებიან, რომლებიც წვერებს გვაგლეჯენ (*იცინის*).

**— მერე, ბავშვებსა და თოვლის ბაბუას შორის „კონფლიქტური სიტუაციის“ განმუხტვას ფიფქია არ ცდილობს?**

**თეონა:**

— კი, როგორ არა?! წინა გამოძახებაზე ბავშვმა მკითხა: — ეს ნამდვილი თოვლის ბაბუააო? — კიმეთქი, — ვუპასუხე. თოვლის ბაბუასთან მიმიყვანა, შარვლის ტოტი აუწია და მითხრა: ნამდვილი რომ ყოფილიყო, თეთრი ფეხები ექნებოდაო (*იცინის*)!

**ბექა:**

— ერთმა ბავშვმა კინაღამ გამაგიჟა: 31 დეკემბერს თავადაც სანტას ფორმაში გამოწყობილი დამხვდა. არ სჯეროდა, რომ სანტა-კლაუსი ვიყავი. არადა, მისი მშობელი მეხვეწებოდა, — ერთი ლექსი მაინც ათქმევინე, მინდა, რომ ვიდეოკამერით გადავიღოო. ბოლოს პატარას ვუთხარი, — სანტას ეგ ფორმა შენ ლილოს ბაზრობაზე გიყიდეს, მე კი სულ ეს მეცვა და მაცვიამეთქი. ძლივს დავარწმუნე, რომ ნამდვილად სანტა-კლაუსი ვიყავი (*იცინის*).

**— ისე, სანტა-კლაუსზე უფრო დიდი მოთხოვნაა თუ — ქართველ თოვლის ბაბუაზე?**

— პატარები სანტას უფრო ითხოვენ, ცოტა მოზრდილები კი — თოვლის ბაბუას. 7 იანვრიდან ქართველ თოვლის ბაბუაზე მოთხოვნა მკვეთრად იზრდება.

**— დაახლოებით, რა თანხა ჯდება თოვლის ბაბუის გამოძახება?**

**თეონა:**

— 45-50 ლარი. ფიფქიასთან ერთად, ოდნავ ძვირი უჯდებათ.

**— პატარებს თქვენთან ყოფნა მხოლოდ 15 წუთის განმავლობაში შეუძლიათ?**

**ბექა:**

— იცი, როგორ ხდება? ბავშვი საჩუქარს რომ მიიღებს, თოვლის ბაბუა მისთვის საინტერესო აღარაა (*იცინის*): ვიდრე დავასაჩუქრებ, ლექსსაც ამბობს, მღერის, საჩუქრის მიღების შემდეგ კი თავის ოთახში გარბის. ასე რომ, 15 წუთი სრულიად საკმარისია.

**— პატარების საჩუქარზე ვინ ზრუნავს?**

**თეონა:**

— ძირითადად — მშობლები. თუ სურთ, რომ ბავშვებს საჩუქრები თავად თოვლის ბაბუამ შეურჩიოს, მაშინ თანხა უნდა დაამატონ, მაგრამ ურჩევნიათ, რომ პატარებს თავად უყიდონ ის, რაც მათ შვილებს სურთ.

**ბექა:**

— ერთხელ ოფისში გასაშლელი სათამაშო მაგიდა და უზარმაზარი დათუნია მოიტანეს — ახალი წლის ღამეს ბავშვისთვის უნდა გვეჩუქებინა. ღამით გამოძახებაზე წავედით, მაგრამ მე-12 სართულზე ასასვლელად 5-თეთრიანი დაგვჭირდა. სამწუხაროდ, არავის აღმოგვაჩნდა. არადა, ხურჯინი ძალიან მძიმე იყო — კიბიდან ვერ ავიტანდით. ხურდა ფულის საშოვნელად შუაღამისას მძღოლი გავუშვით, „იჩალიჩა“ და მხოლოდ ერთი 5-თეთრიანის მოტანა მოახერხა (*იცინის*)... საბედნიეროდ, უკან წამოსვლისას, ლიფტით მასპინძლებმა გამოგვიშვეს.

**— გამოძახებებზე მოსახლეობას უცნაური მოთხოვნები თუ აქვს?**

**თეონა:**

— რაც საქართველოს პრეზიდენტმა ქალაქის მთავარი ნაძვის ხე გახსნა და იქიდან სანტები ჩამოიდნენ, მას შემდეგ ე.წ. მცოცავ სანტა-კლაუსებზე მოთხოვნა გაიზარდა. ამას წინათ, ასეთი შეკვეთა მივიღეთ: 16-სართულიანი კორპუსი იყო და მე და სანტა მე-12 სართულზე უნდა ჩავცოცებულიყავით. უარი ვუთხარით, რადგან როცა ადამიანი ასეთ სახიფათო რამეს აკეთებს, დაზღვეული უნდა იყოს...

*მალევე გაათავისუფლეს. 1926 წელს მამა საზღვარგარეთ ოფიციალურად გაემგზავრა, სადაც ორი წელი დაყო. სავარაუდოდ, სერგო ორჯონიკიძისგან მას საგანგებო დავალება ჰქონდა მიღებული. თუმცა ქართულმა ემიგრაციამ გიორგი მაზნიაშვილი არ მიიღო. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, 1929 წელს ის პენსიაზე გავიდა. 1937 წელს, მამა და ძმა დააპატიმრეს. მათი ბედის შესახებ კარგა ხანს არაფერი იყო ცნობილი. 1957 წელს ჩემი ძმა რეაბილიტირებულ იქნა. მიმაჩნია, რომ გიორგი მაზნიაშვილი ლავრენტი ბერიას მოწოდებით დააპატიმრეს, რომელიც სერგო ორჯონიკიძის შესახებ მაკომპრომეტირებელ მასალებს აგროვებდა. გიორგი მაზნიაშვილს კი, როგორც უკვე აღვნიშნე, ორჯონიკიძე ენდობოდა“,* — სწერდა გენერლის ვაჟი საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელს.

არქივში ასევე დაცულია გიორგი მაზნიაშვილის საქმის ერთ-ერთი მოწმის ჩვენება, საიდანაც ირკვევა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის გენერალი მაზნიაშვილი აქტიურად მონაწილეობდა საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის წინააღმდეგ ბრძოლებში და პოლკოვნიკ თუხარელთან ერთად, წითელარმიელებისა და კომუნისტების დახვრეტას ხელმძღვანელობდა. გიორგი მაზნიაშვილის მთავარ საქმეში დაცულია აგენტურული ცნობა, სადაც გენერლის ანტისაბჭოთა შეხედულებებია აღნუსხული. არქივში დაცული დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ რუსეთის იმპერიის არმიის გენერალი, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, მთავრობის წინადადებით, მსროლელთა დივიზიის ფორმირებას შეუდგა, მაგრამ პარალელურად, კონტრრევოლუციურ საქმიანობას ეწეოდა. სწორედ ეს გახდა 1921 წელს მისი დაპატიმრების მიზეზი და მას სასჯელის უმაღლესი ზომა, დახვრეტა მიუსაჯეს. შემდეგ დახვრეტა 5 წლით თავისუფლების აღკვეთით შეუცვალეს და საბოლოოდ, ამნისტიის შედეგად, 1923 წელს გაათავისუფლეს. საარქივო მასალებიდან აგრეთვე ირკვევა, რომ მაზნიაშვილი კონტრრევოლუციურ საქმიანობას ციხეშიც და პატიმრობის შემდეგაც აგრძელებდა, ამიტომ ის ისევ დააპატიმრეს და კვლავ დახვრეტა მიუსაჯეს. მაგრამ სიკვდილით დასჯას ქართველი გენერალი იმჟამადაც გადაურჩა და რამდენიმეთვიანი პატიმრობის შემდეგ, ბაქოს გავლით, თეირანში გადაასახლეს.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ თეირანიდან მაზნიაშვილი პარიზში, ემიგრაციაში მყოფ სპირიდონ კედიას დაუკავშირდა. სულ მალე კი საფრანგეთის ვიზა და პარიზში გასამგზავრებლად 200 ფრანკი მიიღო. გიორგი მაზნიაშვილის ვაჟის წერილის საწინააღმდეგოდ, საქმის მასალებში ნათქვამია, რომ პარიზში მყოფმა ქართულმა ემიგრაციამ გენერალი დიდი პატივით მიიღო. თავდაპირველად მას 1.000 ფრანკი გადასცეს, შემდეგ კი ხელფასის სახით, თვეში 500 ფრანკი დაუნიშნეს. დაკითხვის ოქმებიდან ირკვევა, რომ ემიგრაციული მთავრობის დავალებით, მაზნიაშვილი საფრანგეთის გენერალურ შტაბთან და გენერალ ფურნიესთან აწარმოებდა მოლაპარაკებას, სამხედრო დახმარების მისაღებად. ამასობაში, საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოში 1924 წლის ამბოხება ჩაახშო. საქართველოდან გაქცეული ამბოხებულების დასახვედრად, გიორგი მაზნიაშვილი თურქეთში ჩასულა. პარიზში მაზნიაშვილი დიდ მთავარს, ნიკოლოზ რომანოვსაც შეხვედრია და ამბოხებულთა დასახმარებლად, მისგან 10.000 ფრანკი მიუღია. *„დიდებულმა მთავარმა, გაიგო რა საქართველოში მომხდარი ამბები, ჩემთან ნდობით აღჭურვილი პირი გაოვდა. „საქართველოდან პირველად 40 ადამიანი მივიღეთ. ამის შემდეგ კი ელმავლით ჩოლოყაშვილის რაზმი და აღმოსავლეთ საქართველოდან დევნილები ჩამოვიდნენ. ყოველი მათგანი შემოგლეჯილი სამოსით და უსახსროდ იყო. საჭირო გახდა ამ ჯგუფის ევროპულ სამოსში გამოწყობა და მარსელში გამგზავრება. თითქმის ერთი თვე მომიწია სტამბულში დარჩენამ. პატარ-პატარა ჯგუფებად, როგორც იქნა, ჩამოაღწიეს დევნილებმა. ამის შემდეგ მეც დავბრუნდი პარიზში“,* — ვკითხულობთ მაზნიაშვილის ჩვენებაში.

1925 წელს გიორგი მაზნიაშვილმა შუამდგომლობით მიმართა საბჭოთა კავშირის საელჩოს პარიზში და სამშობლოში დაბრუნება ითხოვა. მისი შუამდგომლობა დაკმაყოფილდა. ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, გენერალი საქართველოში საგანგებო დავალებით ბრუნდებოდა. გამომგზა-

## თუ ევროპის რომელიმე ქვეყანა საბჭოთა კავშირს ომს გამოუცხადებდა, გენერალი მაზნიაშვილი, სამხედრო ძალასთან ერთად, ბათუმში განლაგდებოდა...

*მოგზავნა და მთხოვა, თურქეთში გამგზავრებამდე მასთან შემევლო. ამილახვართან ერთად, ნიკოლოზ რომანოვთან მივედი. იგი საქართველოში არსებული ვითარების შესახებ კარგად იყო ინფორმირებული. მეორე დღესვე ნიკოლოზ რომანოვმა ამილახვრის ხელით 10.000 ფრანკი გამომიგზავნა საქართველოდან გამოქცეული მეომრების დასახმარებლად. თურქეთში გასამგზავრებლად მენშევიკური მთავრობის წარმომადგენლებმა თურქეთის ვიზა, 2.000 ფრანკი გადმომცეს და გამაფრთხილეს: ამბოხებულთათვის ვიზებს ელჩ კოწია გვარჯალაძის სახელზე გამოგიგზავნითო“,* — ჰყვებოდა მაზნიაშვილი გამომძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში. გენერლის ნაამბობიდან ირკვევა, რომ მალე მათ საქართველოდან ქაქუცა ჩოლოყაშვილის დეპეშაც მიიღეს, სადაც ის თავის რაზმელებთან ერთად, დახმარებას ითხოვრებამდე ის ემიგრაციული მთავრობის წევრებს — რამიშვილს, გეგეჭკორს და ერაძეს შეხვდა. იმ შემთხვევაში, თუ ევროპის რომელიმე ქვეყანა საბჭოთა კავშირს ომს გამოუცხადებდა, გენერალი მაზნიაშვილი, სამხედრო ძალასთან ერთად, ბათუმში განლაგდებოდა და იქიდან განახორციელებდა შეტევას თბილისზე. რა თქმა უნდა, ეს გეგმა არ განხორციელდა. მაგრამ ფაქტია, რომ მაზნიაშვილი არც ემიგრაციაში დარჩა და ვერც კომუნისტების რისხვას გადაურჩა.

1937 წელს გენერალი დააპატიმრეს. სხვა ბრალდებებთან ერთად, „ჩეკამ“ მას, როგორც აფხაზეთის გენერალ-გუბერნატორს, მაროდიორობაშიც კი დასდო ბრალი. *„გენერალ მაზნიაშვილის დივიზია განსაკუთრებული სიმკაცრითა და შეუწყნარებლობით გამოირჩეოდა. დივიზიის წევრები აფხაზეთის მშვიდობიან სოფლებში იჭრებოდნენ, ძარცვავდნენ მოსახლეობას და აუპატიურებდნენ ქალებს“,* — ასე წერია „ჩეკას“ მიერ შეთითხნილ ბრალდებებში.



საქართველოს პირველი რესპუბლიკის გვარდიელთა ჯგუფი

რაც შეეხება გიორგი მაზნიაშვილის ვაჟის თხოვნას, მამის საქმის გადახედვისა და მისი რეაბილიტაციის შესახებ, — მას ეცნობა, რომ გიორგი მაზნიაშვილი სამართლიანად დაისაჯა სიკვდილით და განაჩენის გასაჩივრების საფუძველი არ არსებობდა... ■

# „გოზინაყის დღესასწაული", ნამდვილი თოვლის ბაბუა და ალილოზე შეგროვებული მაყუთი

**მოკლედ, ახალი წელიც შემობრძანდა, შობამაც ჩაიარა და მოზარდებს ამ დღესასწაულებთან დაკავშირებით სათქმელიც დაუგროვდათ. მათი უმეტესობა ამბობს, რომ ახალმა წელმა ულიმღამოდ ჩაიარა, ზოგიერთი კი პირიქით, ახლის დასაწყისს დიდი იმედითა და მხიარულებით შეეგება.**

*ლიკა ქაჯაია*



**თამო,** *19 წლის:*

— ახალი წელი მხიარულად გავატარე, თოვლის ბაბუაც მესტუმრა, მაგრამ შობა უფრო მაგარი იყო.

— **ნამდვილი თოვლის ბაბუა გესტუმრა?**

— უკვე დიდი გოგო ვარ და ნამდვილმა თოვლის ბაბუამ ჩემზე ხელი აიღო (*იცინის*). ჩემი საქმრო ზუსტად 12 საათზე მომადგა სახლში და საჩუქრებიც მომიტანა.

— **ანუ შენმა საქმრომ თოვლის ბაბუას როლი იკისრა?**

— ასე გამოვიდა (*იცინის*)... შობას, იცი, რა ვქენი? — ალილოზე წავედი. მეგობრებთან ერთად მთელი რაიონი ფეხით შემოვიარე, მოსახლეობას ვუმღერეთ, ვუცეკვეთ. ზოგი ხილს მოარბენინებდა, ზოგი კალათში ჩალაგებულ კვერცხსა და ტკბილეულს, სხვები კი ფულს გვჩუქნიდნენ. ძალიან მაგარი იყო, რა. ისე, მაგარი „მაყუთი" დავაგროვეთ და იმ ფულით 15 იანვარს, რესტორანში ქეიფს ვაპირებთ.

— **ალილოზე ფულის მოსაგროვებლად წახვედით?**

— არა, უბრალოდ გვინდოდა, მოსახლეობის გამხიარულებაზე გვეზრუნა, მათთვის კარგი განწყობილება შეგვექმნა, მაგრამ ფულიც არ დაგვადგა ყელზე და მას მშვენივრად გამოვიყენებთ. რაც შეეხება ნუგბარსა და ხილს, ის გაჭირვებულ ოჯახებს დავურიგეთ. მოკლედ, ნამდვილი ქველმოქმედი კლოუნები ვართ.

— **სიმღერა გეხერხება?**

— მე კი მეხერხება, მაგრამ ჩემთან ერთად ისეთებიც იყვნენ, რომელთა ხმაც შიშისგან სულს გაგაფრთხობინებს, მაგრამ საბედნიეროდ, იმ დღეს სიკვდილს ყველა ჩვენი მსმენელი გადაურჩა (*იცინის*). შობას ყველა მიმტევებელი ხდება და ხალხმა ჩვენც მოგვიტევა უგემოვნოდ სიმღერა და ცეკვა.

— **შენმა საქმრომ თუ იცის, ფულს რა მეთოდით შოულობ?**

— არა, ჯერჯერობით არ იცის, მაგრამ აუცილებლად გავუმხელ, რომ მის ოჯახშიც ვიყავი, მასაც ვუმღერე (*იცინის*) და სხვათა შორის, დედამისმა 10-ლარიანი გვაჩუქა. მოკლედ, ახალ წელს ხომ „გავძარცვე" და არც შობას მოვასვენე — ფული ამ დღესაც „წავღლიტე". აი, ასე ვქცევი შეყვარებულს (*იცინის*)...

— **ცოლად რომ გაჰყვები, მისი ქონების განიავებას ისევ განაგრძობ?**

— არა, მერე დავჭკვიანდები და ოჯახის მუჭუჭად ვიქცევი (*იცინის*).

— **საინტერესოა, მაინც, რამდენი ლარი დააგროვეთ?**

— ბევრი. ექვსნი ვიყავით და დაახლოებით, 200 ლარამდე შევაგროვეთ.

— **200 ლარი რესტორანში „საგრიალოდ" საკმარისია?**

— ჩვენ იქაც გასართობად მივდივართ, ვიღაცისთვის თავის მოსაწონებლად და მუცლების ამოსაყორად კი არა. ჰოდა, როცა ასეთი განზრახვა გაქვს, რაიონში მდებარე რესტორანში ექვსი კაცი 150 ლარსაც იმყოფინებს.

**ანა,** *17 წლის:*

— ახალი წელი მოდის მორთულიო, — ხომ გაგიგონიათ? ჰოდა, მეც ისე მოვრთე „ჩემი ახალი წელი", რომ გაგიკვირდებათ. სახლში ვინც შემოდგა ფეხი, ყველა აღფრთოვანდა და თითოეულმა აღნიშნა, ეს რამდენი გიწვალიაო!

— **ასეთი რა გააკეთე?**

— ჯერ ერთი, მართლაც უზარმაზარი ნაძვის ხე დამოუკიდებლად ავაწყვე, მთელი სახლი ბუშტებითა და ნაძვის ტოტებით, სათამაშოებით მოვრთე, ყველა ოთახში ვეფხვისგამოსახულებიანი უზარმაზარი პლაკატები დავკიდე, მაშხალები ბევრ ადგილას დავარჭვე და თითოეული სტუმრის მობრძანებას მათი აშუშხუნებით ვეგებებოდი. მოკლედ, ჩემი სახლი ნამდვილ გასართობ ცენტრს დაემსგავსა (*იცინის*).

— **„გასართობ ცენტრში" ცხოვრება დისკომფორტს არ გიქმნის?**

— პირიქით, ძალიან მსიამოვნებს, მაგრამ პაპა გადამერია — რა უბედურებაა ამდენი ზიზილ-პიპილო. ახალ წელს ნაძვის ხესაც ვერ ვდგამდით, მაგრამ ამის გამო დამდეგი წელი ჩვენზე არასდროს გაბრაზებულა, ყოველთვის ნორმალურად ვცხოვრობდითო. ის რატომღაც, სიჭრელეს ვერ იტანს და ერთი სული აქვს, როდის გავა ძველით ახალი წელი, რომ მერე სახლი სახლს დაემსგავსოს... პაპა, მე არსად მეჩქარება (*იცინის*).

— **შენთან თოვლის ბაბუა არ მოსულა?**

— სამწუხაროდ, არასდროს მოსულა. 3 წლის ვიყავი, როცა დედას ვუთხარი: ბალიშის ქვეშ სათამაშოს ნუ დამიდებ. ვიცი, რომ შენ იქნები ჩემი თოვლის ბაბუა და სიცრუეს სჯობია, სიმართლე აღიარო-მეთქი. არ ვიცი, ეს სიტყვები საიდან მოვიტანე და არც ის მახსოვს, ასეთი რამ ვთქვი თუ არა, მაგრამ მშობლები ამბობენ, რომ მაშინდელმა ჩემმა

ნათქვამმა ყველას პირი დააღებინა. მოკლედ, თოვლის ბაბუა ჩემი სისულელისა და გრძელი ენის გამო დავკარგე, რასაც ძალიან განვიცდი.

**თემო,** *16 წლის:*

— გამარჯობა. ახალ წელს თავისუფლების მოედანზე შევხვდი. ეს რა სულელური კონცერტი გაიმართა?! სოფლელები და სხვა ქალაქის მცხოვრებლები წუწუნებენ, — თბილისელებს, ჩვენგან განსხვავებით, ხელისუფლება თან ჰყვებაო. აბა, ბატონებო, შეადარეთ ერთმანეთს თბილისსა და ბათუმში ჩატარებული კონცერტები და მიხვდებით, ამ ხელისუფლებას როგორ ფუფუნებაშიც ვყავართ. არა, ნანკას ყურებას არაფერი სჯობს, მშვენიერი გოგონაა, მაგრამ ისევე, როგორც დუტა, ისიც ამოვიდა ყელში. ეს ჩემი საყვარელი ლელა წურწუმიაც რა უბედურებას მღეროდა — სად ლელა და სად — შერი? ისე, ცნობისათვის, „შერი" მეგრული სიტყვაა და გიჟს ნიშნავს. ჰოდა, ჩემი ლელა გიჟი ნამდვილად არაა... ეს ანრი კიდევ, სულ გადაირია. გასაგებია, რომ კარგად მღერის, მაგრამ ყველაფერი კი არ უნდა აიღოს საკუთარ თავზე...

**— რას გულისხმობ, ცუდად იმღერა?**

— არა, ცუდად არ უმღერია, მაგრამ მისმა სამოსმა აღმაშფოთა.

**— მას ის ეცვა, რაც უნდა სცმოდა...**

— ასეთი ფორმა, შეიძლება, იმ სიმღერის უბადლო შემსრულებელს — ფრედი მერკურის უხდებოდა, მაგრამ ანრი ქართველია...

**— ეს რას ნიშნავს?**

— არ დავაკონკრეტებ, გამგები ისედაც გაიგებს!

**— კიდევ, ვისმა ჩაცმულობამ ან სიმღერამ აღგაშფოთა?**

— ეკა კახიანიც მშვენიერი ქალია, მაგრამ სად ის და სად „მოლოკო"? ამას სჯობდა, ქართული სიმღერები შეესრულებინათ. უფროსები რატომღაც, ჩვენს თაობას ეძახიან მიმბაძველებს, თავად კი უარესს აკეთებენ. ახალგაზრდები ვცდილობთ, უცხოელებისგან რაღაცები ნორმალურად მაინც გადმოვიტანოთ, ესენი კი რაღაცებს უფრო ამახინჯებენ და ისე გვაწვდიან. ასე არ შეიძლება!

**— კონცერტს ბოლომდე დაესწარი?**

— კი.

**— თუ არ მოგწონდა, შეგეძლო, გუდა-ნაბადი აგეკრა და შინ წასულიყავი...**

— ხომ იცი, ადამიანი ცნობისმოყვარეა და შინ წასვლას იქ დარჩენა ვამჯობინე. მაინტერესებდა, მოვლენები როგორ განვითარდებოდა. ერთადერთი, რაც ახალი წლის ღამეს მომეწონა, ქალაქის განათება და ფეიერვერკი იყო...

**ლანა,** *17 წლის:*

„გამარჯობა. მინდა, ცოტათი გაგამხიარულოთ. იცით, ამ ახალ წელს ჩემს თოვლის ბაბუას რა დაემართა? — ისე დათვრა, რომ ჩემი და ჩემი ძმის საჩუქრები ერთმანეთში აერია. მან ჩემს ძმას დიდი ამბით გადასცა წითელ ცელოფანის პარკში ჩადებული წითელი საბანკეტო კაბა, რომელზეც 3 თვეა, ვოცნებობ; მე კი დიდ ყუთში შეფუთული ველოსიპედი მაჩუქა. ჩემმა ძმამ (ის 13 წლისაა) კაბის დანახვაზე ტირილი მორთო, — ეს რად მინდა, მე სხვა რაღაც ვთხოვე; ველოსიპედი ჩემ ნაცვლად შენ რატომ მოგცა? კაბა რად მინდა, კაცი ვარ თუ ქალიო! — ლამის მთელი სახლი ყირაზე დააყენა და აგვიკლო. ვუთხარით, რომ თოვლის ბაბუა შეცდა; რომ კაბა ჩემი იყო, მაგრამ ის მაინც ბღაოდა: — თოვლის ბაბუა არ ცდება. ეტყობა, ჩემში გოგო დაინახა და ალბათ, მომავალ ახალ წელს სქესის შეცვლა მომიწევსო. დედაჩემს სხვა გზა აღარ დარჩა, ჩემი ძმისთვის სიმართლე უნდა გაემჟღავნებინა და უთხრა: თოვლის ბაბუა გამოგონილია, ის ზღაპრის გმირია, საჩუქრები კი მის სამოსში გადაცმულმა მამამ მოგიტანათო. როცა ჩემი ძმა დარწმუნდა, რომ ჩვენი საჩუქრები მთვრალმა მამიკომ ერთმანეთში აურია, შვებით ამოისუნთქა და საკუთარ საქციელზეც ბევრი იცინა".




**მამუკა,** *18 წლის:*

„ეჰ, ნეტავი მას, ვინც ჯანმრთელია, თავს კარგად გრძნობს და ახალ წელს საკუთარ სახლში შეეგება. მე ფილტვების ანთებით საავადმყოფოში გამაქანეს. მოკლედ, „ღორის" თუ „თხის გრიპმა" შემომიტია და დედა მიტირა. ჰოდა, ვაგდივარ ახლა აქ და ახალ წელსაც სულ ხველებ-ხველებითა და ცემინებით შევხვდი. სიცხე მქონდა მაღალი და თურმე, ვბოდავდი: გაუმარჯოს საქართველოს, ეს ამის სადღეგრძელოა და ის — იმის-მეთქი. მოკლედ, სიცხიანსაც ჭიქა მელანდებოდა :). შეყვარებულმა ბედობა დღეს მომაკითხა. მასაც საავადმყოფოში ყოფნა დაებედა, მაგარია, არა? მოკლედ, ვინც ჯანმრთელად ხართ, ნუ იწუწუნებთ იმის გამო, რომ ბევრი ფული არ გაქვთ და ისე ვერ ერთობით, როგორც გინდათ... ჰო, კინაღამ დამავიწყდა, ჩემი ექთანი ფერიასავით მომევლინა ღამის 12 საათზე და თავზე კანფეტები დამაყარა, მე კი სულ დამავიწყდა, შეყვარებული რომ მყავდა და ისე ჩავკოცნე, ორივე ყურებამდე გავწითლდით. აბა, ჰე, ყველას ბედნიერებას გისურვებთ!"

**ირაკლი,** *15 წლის:*

„იცით, მე ახალ წელს საავადმყოფოში მოვხვდი — 12 საათზე მაშხალას ცეცხლი წავუკიდე და მერე არაფერი მახსოვს. ასაფეთქებელმა თვალი სერიოზულად დამიზიანა, ალაგ-ალაგ სახის კანიც ამომწვარი მაქვს. შობისთვის ძალიან ბევრი გეგმა მქონდა, მაგრამ ვერც ერთი ვერ განვახორციელე და ამის გამო გული ძალიან მწყდება. როცა მაშხალას ვყიდულობდი, დედა მთხოვდა, ამ ფულით სხვა რამე იყიდეო, მე კი არ დავუჯერე და აი, შედეგიც. მე ის უსაფრთხო მეგონა, მაგრამ ასე სულაც არ ყოფილა. ეტყობა, „ბრაკი" იყო. მოკლედ, ეს წელი ჩემთვის ცუდად დაიწყო, მაგრამ იმედს ვიტოვებ, რომ მომავალში მსგავსი რამ აღარ განმეორდება. ყველას გილოცავთ შობა-ახალ წელს, განსაკუთრებით კი მინდა, თაკო ბ-ს (ჩემს შეყვარებულს) მივულოცო და ვუთხრა, რომ მისთვის სიურპრიზი მქონდა გაკეთებული და როცა გამოვჯანმრთელდები, აუცილებლად გავახარებ (ის თქვენი ჟურნალის ერთგული მკითხველია)".

**ნინი:**

„ახალი წელი სოფელში გავატარე და მიუხედავად ამისა, კარგი დროც ვატარე. როცა სასკოლო არდადეგები დაგვეწყო, მამამ მე და ჩემი დაიკო სოფელში, ბებია-ბაბუასთან გაგვიშვა და ახალ წელსაც მათთან ერთად შევხვდით. 12 საათის მერე

მე და ნათიამ, მეგობრებთან ერთად, მთელი სოფელი სიმღერ-სიმღერითა და ცეკვით დავიარეთ, ახალი წლის შემობრძანება ყველას მივულოცეთ და შინ ნასიამოვნები დავბრუნდით. სხვათა შორის, მეზობლებმა უხვადაც დაგვაჯილდოეს კოცნითა და ტკბილეულით. მართალია, ჩვენთან თოვლის ბაბუა არ მოსულა, სოფელი მორთულ-მოკაზმული არ იყო და არც ფეირვერკები უსვრიათ (თუ არ ჩავთვლით იმ შუშხუნებს, რომლებსაც სოფლის ღარიბი თუ შეძლებული მოსახლეობა ისროდა), მაგრამ ამ დღის ლამაზად გატარება ჩვენ მაინც შევძელით. მოკლედ, სადაც უნდა იყო, თუ გული გულობს, ყველაფერი კარგად იქნება. ყველას წარმატებებს გისურვებთ!“

**მაკუნა,** *17 წლის:*

„ახალი წლის მოსვლა მხოლოდ იმიტომ მიხარია, რომ ამ დღესასწაულისთვის დედაჩემი გოზინაყს ამზადებს. უფ, წელს იმდენი გოზინაყი და ტკბილეული ვჭამე, რომ დამცინიან, — უკვე კარში ველარ ეტევიო. მე ჩემი ჭარბი წონა სულაც არ მადარდებს და ვფიქრობ, ბიჭებს სწორედაც რომ პუტკუნა გოგონები მოსწონთ (თავს ასე ვიმშვიდებ და იმედია, ჩემი ნათქვამი გამხდარ გოგონებს არ ეწყინებათ). ნეტავ, სულ ახალი წელი იყოს და ჩვენს სახლშიც გამუდმებით იყოს გოზინაყი. ყველას გილოცავთ „გოზინაყობის დღესასწაულს“ და წარმატებებს გისურვებთ!“

**მარიშა,** *15 წლის:*

„ახალ წელს მეგობრებთან ერთად, რესტორანში შევხვდი და ძალიან მაგარი დრო ვატარე, ქართული ხალხური სიმღერების ფონზე კარგად მოვილხინეთ. მე და ჩემმა მეგობრებმა ამ დღეს არც ალკოჰოლი დავიკელით და არც — გართობა, მაგრამ არ მახსოვს, სახლში როგორ მიმიყვანეს: ძალიან გამოვტყვერი, დილით თითქმის არაფერი მახსოვდა და ეს თავადაც არ მომწონს, მაგრამ ახალ წელს ხომ ყველას ყველაფერი გვეპატიება. მშობლებს არ მოსწონდათ, ახალ წელს სახლში რომ არ შევხვდი, მაგრამ ისეთი ჯიუტი ვარ, ჩემი გავიტანე :))... 2010-ის დადგომა შეყვარებულმა საფრანგეთიდან მომილოცა. იქ თურმე, ქართველი ემიგრანტები ამ დღეს განსაკუთრებულად ზეიმობენ. ნაცნობებს ეიფელის კოშკთან ახლოს მოუყრიათ თავი და ქართულად უქეიფიათ — არც მწვადები დაუკლიათ და არც — ხაშლამა. უცხო მიწაზე ქართულ სურნელს რომ დააყენებ, მაგარია, არა?.. ჩემი თოვლის ბაბუაც ჩემი შეყვარებული იყო, რომელმაც საფრანგეთიდან ულამაზესი ვეფხვი და ოქროს სამაჯური გამომიგზავნა. თოვლის ბაბუისგან ასეთი კარგი საჩუქარი არც ერთ წელს არ მიმიღია. გიო, შენ მსოფლიოში საუკეთესო სანტა ხარ და ძალიან მიყვარხარ. იმედია, თოვლის ბაბუამ ყველანი დაგასაჩუქრათ, მომავალ ახალ წელს კი მას თქვენი ყველა ოცნება აესრულებინოს. გკოცნით, „გზის“ მკითხველებო და თანამშრომლებო. ყველანი მიყვარხართ“.

**ქეთი,** *18 წლის:*

„მე სანტა-კლაუსმა წელს უსაჩუქროდ დამტოვა და ამის გამო გული ძალიან დამწყდა. ჩემს სანტას თურმე, ფული არ ჰქონდა, ხელფასი ვერ აიღო და დამტოვა მშრალზე. ისე, ჩემზე მეტად, უფულობა თავადვე განიცადა, ამიტომაც ვერ ვუსაყვედურე. ახალ წელს შინ, ტელევიზორს მიჭიქინებული შევხვდი. მეგონა, ნორმალური გადაცემები მაინც იქნებოდა, მაგრამ იმედი გამიცრუვდა. ყველა ცდილობდა, კარგი გადაცემა გაეკეთებინა, მაგრამ არავის არაფერი გამოუვიდა. ერთადერთი, „შუა ქალაქს“ ვუყურე სიამოვნებით, მერე თბილისში, თავისუფლების მოედანზე გამართულ კონცერტს ვადევნებდი თვალს და სიცილით გავიგუდე. მაზალო ხალხი ვართ ეს ქართველები, რა. თამამად ვიცვამთ იმას, რაც არ გვიხდება და თავი ყოვლისშემძლე გვგონია. ერთადერთი, ანრი ჯოხაძე მომეწონა, ლელასაც არა უშავდა — შერის როლი მოირგო... ზოგიერთ არხზე იცით, რას „ატრიალებდნენ?“ — მიტინგის კადრებს, „მკვდრების“ სიმღერებს და ა.შ. ძალიან ცუდია, რუსული არხები რომ არ მაქვს, იქ მაინც ვუყურებდი რაიმე ნორმალურს. მოკლედ, ქალაქი წლიდან წლამდე ლამაზდება, სატელევიზიო გადაცემები კი სულ უკან-უკან მიდის. სირცხვილი ჩვენ, ქართველებო, იუმორი ასე რომ გამოგველია!..“

**მარიამი,** *20 წლის:*

„ახალ წელს უკვე მეორედ, საბერძნეთში შევხვდი. მართალია, აქ ყველაფერი ლამაზადაა მორთული, არც საჭმელ-სასმელი მაკლდა და არც მილოცვები აქაურებისა თუ ჩემი ქართველი ნაცნობ-მეგობრებისგან, ოჯახის წევრებისგან, მაგრამ მე საქართველოში მინდააა! იცით, ძალიან ცუდია, როცა სხვის სახლში ცხოვრობ და უყურებ, თუ როგორ ზრუნავენ ამ ოჯახის წევრები ერთმანეთზე, როგორ ესიყვარულებიან ერთურთს, ულოცავენ, საჩუქრებს ურიგებენ, მხიარულობენ, შენ კი ოჯახის არც ერთი წევრი არ გყავს გვერდით. მართალია, იმ ოჯახში, სადაც მე ვმუშაობ, სითბოს არ მაკლებენ და ახალ წელს საჩუქარი მეც გამიკეთეს — უზარმაზარი წვენსაწური მაჩუქეს, მაგრამ ამ ძვირად ღირებულ საჩუქარს დედაჩემის ერთი კოცნა, მამაჩემის თბილი ხელების შეხება, ჩემი და-ძმის მხიარული სახეების ყურება მერჩივნა. ალბათ, სწორედ ეს არის ნოსტალგია, რომელიც სადღესასწაულო დღეებში რატომღაც, უფრო მძაფრდება. ქართველებო, ძალიან მიყვარხართ და შორიდან გილოცავთ ახალ წელს. მერწმუნეთ, საქართველოში, მშობლიურ სახლში გატარებულ დღეებს არაფერი შეედრება. გკოცნით“.

**კატერინა,** *19 წლის:*

„გამარჯობა. ეს ახალი წელი ჩემთვის არაჩვეულებრივი და თანაც, ძალიან იღბლიანი იყო. ამ დღეს საქმრო თავის მშობლებთან ერთად, შინ მომადგა და მამაჩემს ჩემი ხელი სთხოვა. ასეთ რამეზე ვერც კი ვიოცნებებდი. ჩვენ იმ დღესვე დავინიშნეთ და მალე ქორწილიც გვექნება. ჩემს სიხარულს თქვენც გიზიარებთ, რადგან მამუკა სწორედ „გზის“ მეშვეობით გავიცანი. იმედს ვიტოვებ, რომ ვეფხვის წელიწადი თქვენთვისაც ბედნიერების მომტანი იქნება“.

■



**სანტა-კლაუსმა წელს უსაჩუქროდ დამტოვა და ამის გამო გული ძალიან დამწყდა**

# ბიბლუსი

ბიბლუსი — იგივეა, რაც პაპირუსი, გრაგნილი, წიგნი

## ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია
არნოლდ ჩიქობავას რედაქტორობით
1982 წელს გამოცემული
ქართული ენის
განმარტებითი ლექსიკონის
ერთტომეულის მიხედვით
შემდგენელი გოჩა ფანჯიკიძე

### ა

**აბედი** — 1. ნაცარტუტაში გამოხარშული ერთგვარი სოკო ხისა; იყენებენ ტალ-კვესთან ერთად ცეცხლის გასაჩენად; 2. დაკორძებული კანი.

**აბეჩხარი** — მოუვლელობით შიგადაშიგ გამხმარი, გამეჩხერებული (ვენახი, ბაღი).

**აბზინდა** — ლითონისენიანი შესაკრავი ქამრისა და მისთანათა.

**აბოჟირება** — (კუთხ.) აწიოკება.

**აბრაგი** — 1. (ძვ.) მეფის მთავრობასთან მებრძოლი მთიელი პარტიზანი; 2. (კუთხ.) ყაჩაღი, მძარცველი.

**აბრანძული** — ბრანძებში, ძონძებში გახვეული.

**აბრუ** — (აბრუს არ გაიტეხს) იგივეა, რაც იხტიბარს არ გაიტეხს.

**აბრუნდი** — თაღლითურად შეცვლა ერთი დებულებისა მეორით; ხრიკი.

**აბუეტი** — შტერი, ჩერჩეტი.

**აგანგალაობა** — ერთგვარი საბავშვო თამაში.

**აგუნა** — (აგუნას გადაძახება) (ძვ.) ყურძნის ღვთაების პატივსაცემი საახალწლო რიტუალი (იცოდნენ გურიაში).

**ადესა** — ყურძენ იზაბელას ხალხური სახელწოდება.

**ადიდა** — მავთულის გამოსაყვანი ხელსაწყო.

**ადლი** — (ძვ.) სიგრძის საზომი ერთეული. უდრიდა დაახლოებით მეტრს.

**ადლაბიჯა** — დაუდეგარი, ქარაფშუტა.

**ადრესი** — (ფრ.) წერილობითი მისალმება ჩვეულებრივ იუბილარისადმი. ■

## წვეთი პოეზია

### ზღვისფერი გაქვს თვალები...

ზღვისფერი გაქვს თვალები და,
თავად ჰგავხარ ზღვას,
თუ არ შეგებრალები და, მითხოვდები სხვას,
მივატოვებ გაზაფხულზე
თესვასა და ხვნას,
გადავლახავ ადიდებულ
ჭოროხსა და მტკვარს,
ცეცხლს გავატან შენს
სამყოფელს,
შენს სიყვარულს ქარს,
და მოგიკლავ, მოღალატევ,
მაგ ნაფერებ ქმარს...
ზღვისფერი გაქვს თვალები,
და თავად ჰგავხარ ზღვას.



*კონსტანტინე გამსახურდია*

# მე - ფსიქოლოგი



ინგა ჯაყელი

**დასაწყისი იხ. „გზა“ №40, 2009 - №1, 2010**

...როცა ვაგზალზე მიმიყვანა და ავტობუსში ასვლა დავაპირე, ნიკამ უცნაურად შემომხედა და მკითხა:

— იქნებ მაინც არ ღირს პარიზში გამგზავრება?!

— რა სისულელეა?! აუცილებლად უნდა წახვიდე!

...მერე კი მთელი გზა იმაზე ვფიქრობდი, რომ მუცელი ალბათ სექტემბრის ბოლოს დამეტყობოდა. მშობიარობა წესით, იანვრის ბოლოს ან თებერვლის დასაწყისში მომიწევდა და საქართველოში დაბრუნებულ ნიკას 4-5 თვის შვილი დახვდებოდა. თუმცა ძალიან მაღელვებდა ის, თუ რა რეაქცია ექნებოდა ფაქტის წინ დამდგარს, მაინც აღარაფერს შევცვლიდი საკუთარ გადაწყვეტილებაში და ბავშვი აუცილებლად დაიბადებოდა... მგონი, დედაჩემის უფრო მეშინოდა და მის გააფთრებას რომ წარმოვიდგენდი, მამასა და ძმაზე ფიქრიც აღარ შემეძლო...

## განშორება

ნინუცას ისეთი ტოქსიკური ფეხმძიმობა ჰქონდა, დიდხანს ვერ შეძლო თავისი მდგომარეობის დამალვა და გახარებულმა ზურამ ისე დანიშნა ქორწილის დღე, როგორც კი პეტრეპავლობის მარხვა ჩათავდა, რომ მისთვის აზრი აღარც უკითხავს.

ლამაზი ქორწილი გამოვიდა, მიუხედავად იმისა, რომ სუფრის თავში მჯდომი პატარძალი ხშირად იკრავდა სუნთქვას, როცა ამა თუ იმ კერძს წინ დაუდებდნენ. ბოლოს, იმდენი ქნა, ხილის გარდა ყველაფერი აალაგებინა ოფიციანტს და ლამის ზურაც გააყვანინა გარეთ: მამაკაცის სუნი მცემსო...

კიდევ კარგი, მე ვერაფერს ვგრძნობდი მსგავსს, რადგან საიდუმლო რაც შეიძლება დიდხანს უნდა დამემალა. ერთი პირობა ვიფიქრე, ხომ არ შევკრიბო ჩემი ოჯახის წევრები და ხომ არ მოვუყვე ჩემი მდგომარეობის შესახებმეთქი, მაგრამ დედაჩემის ფსიქოლოგიას ვერაფერი შეცვლიდა, ამიტომ განზრახვაზე ხელი ავიღე.

როცა მედიკოს ამის შესახებ ვუამბე, შეწუხდა:

— მე კი შენ გვერდით ვარ, ეკუშ, მაგრამ დედას მაინც ვერავინ შეგიცვლის და სამწუხაროა, რომ მისი თანადგომის არანაირი შანსი არა გაქვს. ახლა ისიც აღარ ვიცი, შენი ორსულობის გამჟღავნება ვიდარდოთ თუ ის, დედაშენი არ ჩაგვაკვდეს ხელში, როცა შენს წამოზრდილ მუცელს დაინახავს!.. რა ვიფიქრე, იცი? იქნებ საზღვარგარეთ გემშობიარა — ჩემი არც ერთი შვილი არ გეტყვის უარს დახვედრასა და პატრონობაზე. გამოვაგზავნინებ მოწვევას და იქ გაატარე სიმშვიდეში ორსულობის ბოლო თვეები. საქართველოში ბავშვით ხელში დაბრუნდები და მერე უფრო ადვილად შეეგუება ყველა იმ აზრს, რომ დედა ხარ...

როცა მედიკო ამას მეუბნებოდა, უცებ გონება გამინათდა:

— ნია! — წამოვიყვირე ხმამაღლა.

— ვინ ნია? — ვერ მიმიხვდა ქალი.

— ჩემი მეგობარი ნია, რომელიც მოსკოვშია და ამას წინათ მეხვეწებოდა, ცოტა ხნით მაინც ჩავსულიყავი მასთან... მადლობელი ვარ, მედო, რომ შვილების შეწუხებასაც არ ერიდები ჩემი გულისთვის, მაგრამ მოსკოვში მირჩევნია...

— სადაც უკეთ იგრძნობ თავს, იქ გაემგზავრე. მთავარია, რომ ამ სიტუაციაში შენთვის წასვლა მართლა სჯობია! — მომეხვია მედო...

ჩვენს საავადმყოფოში ექოსკოპიის გაკეთებას აზრი არ ჰქონდა. ვიცოდი, არავინ „შემინახავდა ნამუსს“ და ხმა უცებ გავრცელდებოდა, ამიტომ, კერძო კლინიკაში მივედი და ისე, რომ სახელი და გვარიც არ გამიმხელია, ანონიმურად გავიკეთე გამოკვლევა.

ნაყოფი ჯერჯერობით ძალიან პატარა იყო და მისი სქესის გარკვევა შეუძლებელი იყო. არც მაინტერესებდა მაინცდამაინც. სულერთი იყო, გოგო მეყოლებოდა თუ ბიჭი, მთავარია, ჯანმრთელი დაიბადოს-მეთქი. ამ მხრივ კი ექიმის მტკიცებით, დედასაც და შვილსაც ყველაფერი წესრიგში გვქონდა.

...ისეთი გახარებული ვიყავი, სულერთი იყო ჩემთვის, რას იტყოდნენ სხვები, თუნდაც დედა, რომელმაც სიცოცხლე მაჩუქა და ალბათ, ყველაზე მეტი უფლებაც მას ჰქონდა ჩემს სიცოცხლეზე, მაგრამ... მხოლოდ ჩემი შვილის შემდეგ...

ვერ მოვითმინე და იმ საღამოსვე დავურეკე ნიას. ჩემი მდგომარეობა ავუხსენი და ვუთხარი, რომ მის იქით ამ სიტუაციაში გზა არ მქონდა...

ორმაგად გაუხარდა — ჩემი ფეხმძიმობის გამოც და იმის გამოც, რომ თუ მთელ წელიწადს არა, რამდენიმე თვეს მაინც გავატარებდი მის გვერდით. გადაწყდა, რომ მოსკოვში სექტემბრის ბოლოს წავიდოდი.

მანამდე კი ნიკა გაემგზავრა. 20 აგვისტოს გავაცილეთ თურქეთში, იქიდან პარიზში გადაფრინდებოდა...

მანამდე ერთხელ, თბილისში ჩამომაკითხა და მოულოდნელად წამომადგა თავზე მძინარეს. ტელეფონმა დარეკა და რომ ვუპასუხე, — კარი გააღეო! — მოკლედ მითხრა და რაღაც წამებში, პირდაპირ მის მკლავებში აღმოვჩნდი. აუცილებელ საქმეზე ჩამოსულიყო ორიოდე დღით და ერთი ღამე ჩემთან გაატარა, მეორეზე კი შვილს ვერ უთხრა უარი...

ბათუმიდან თურქეთში მამამისმა წაიყვანა მანქანით და როცა ზურაბი თბილისიდან მიდიოდა, შეხვეწნია, მეც წავეყვანე. ვერ ვთქვი უარი და კიდევ ერთი ღამე გავატარეთ ერთად მე და ნიკამ სასტუმროში, რადგან სახლში ზურაბი დარჩა, ჩვენ კი განმარტოება გვერჩივნა...

როცა ბარგი მანქანაში ჩაალაგეს და უკვე დიდი ხნით ვემშვიდობებოდით ერთმანეთს, ნიკამ გულში ჩამიკრა, მერე კი მამამისს შეეხვეწა:

— არაფერი გაუჭირვო ამ ერთი წლის განმავლობაში, გეხვეწები... ეკა მართლა მიყვარს და არა მგონია, მასავით კიდევ შემიყვარდეს ვინმე!..

ვცადე, არ ავტირებულიყავი. არ მინდოდა, ნიკას უფრო მეტად გასჭირვებოდა ჩემი დატოვება...

მერე ავტირდი, როცა სასტუმროს ნომერში მარტო ჩავიკეტე. მთელი დღე და ღამე, ზურაბის დაბრუნებამდე, ცხვირი არ გამომიყვია გარეთ. თბილისში ისევ მას უნდა წამოვეყვანე.

...როცა დამინახა, მიხვდა, რომ კარგად ვერ ვიყავი და უცნაურად გადააქნია თავი:

— მდა-ა... მგონი, თქვენ მართლა აღარ ვარგიხართ უერთმანეთოდ!

— მე ხომ პირობა მოგეცით, ბატონო ზურაბ, — თქვენი ნების საწინააღმდეგოდ ჩემი და ნიკას ურთიერთობა არასოდეს მიიღებს ოფიციალურ სახეს...

— ჩემი ნება რა შუაშია, თუ მართლა ასე ძალიან გეყვარებათ ერთმანეთი?! უნამუსო და ტირანი კი არ ვარ — შუაში ჩაგიდგეთ და გული გატკინოთ...

— ამაზე ლაპარაკი ჯერჯერობით ნაადრევია. ჩემსა და ნიკას შორის მთელი წელი დგას — 365 დღე, რომელმაც

შეიძლება, ბევრი რამ შეცვალოს... — ვთქვი ორაზროვნად.

— ვნახოთ, ვნახოთ! — საჭეს ხელები მოუჭირა ზურაბმა და ისე ჩამოვედით თბილისში, ფაქტობრივად, აღარც ამოგვიღია ხმა, მაშინაც კი, როცა სასადილოდ გავჩერდით და უგემრიელესი თევზით კიდევ ერთხელ ვისიამოვნე...

## ბედისწერა

ადრე მისტიკის არასოდეს მჯეროდა. ეგ კი არა, გოგოები ყოველი დალევის შემდეგ, ყავის ფინჯნებს ლამის მექანიკურად რომ ატრიალებენ, ეგეც არასოდეს გამიკეთებია და სასაცილოდაც არ მყოფნიდა, როცა მონდომებით ეძებდნენ ყავის ნალექში მომავლის მინიშნებებს... ალბათ ამიტომაც გავხდი „ძლიერი“ ქალი, რომ ყოველთვის მჯეროდა, — ადამიანი თავადაა საკუთარი ცხოვრებისა და ბედის „მწერალი“!.. არასოდეს მქონია ვინმეს იმედი და არც შორეული გეგმები დამიწყვია — ვცხოვრობდი დღევანდელი დღით და ჩემს პაციენტებსაც იმავეს ვურჩევდი: უშეცდომოდ წუთისოფელს ვერავინ გაივლის. მთავარია, ბოროტება შეგნებულად არ აკეთო და არასოდეს უსურვო სხვას ის, რასაც საკუთარი თავისთვის არ ინდომებ. ბიბლიაზე უკეთესად ვერ იტყვი: „ნუ განიკითხავ...“ მიხედე საკუთარ ცხოვრებას და მასში ყველა ადამიანს ის ადგილი მიუჩინე, რომელსაც იმსახურებს. ნურც სხვას აატირებ და ნურც შენ იტირებ სხვის გამო. სხვის ინტერესებს კი უნდა გაუწიო ანგარიში, მაგრამ — არა საკუთარის ხარჯზე.

ბოლო ხანს თითქოს ბედისწერის აღიარებაც მომიხდა. ვხვდები — ადამიანმა როგორც უნდა დაგეგმოს საკუთარი ცხოვრება, ვიღაც უხილავი, აუცილებლად შეიტანს მასში კორექტივს და ამას ყველაზე კეთილი განზრახვით გააკეთებს...

ამ ფიქრამდე შეიძლება, ჩემმა კიდევ ერთმა პაციენტმაც მიმიყვანა. ქალბატონი ქეთევანი 60 წელსაა გადაცილებული და დიდი ოჯახის დიასახლისს, თითქოს ყველაფერი წესრიგში უნდა ჰქონდეს — მარტო შვილები კი არა, შვილიშვილებიც წამოზარდა, დააბინავა და იცის, რომ არც ერთს არაფერი უჭირს. ის არც ქმრის უნამუსობას შეუწუხებია ოდესმე და არც თავად უღალატია მისთვის. ქმარი ახლაც თვალებში შესციცინებს და ერთხელ რომ დაიკვნესებს, ცხრაჯერ ჰკითხავს, რამ შეგაწუხაო?!. და მაინც, მიუხედავად ამ ყველაფრისა, საბოლოოდ, ვერც ბედნიერება პოვა ცხოვრებაში და ვერც სიმშვიდე. აი, მისი ნაამბობი:

— ვიცოდი, რომ ასაკის მატებასთან ერთად, დეპრესია გამიღრმავდებოდა, რადგან ეს ყველა ძლიერი ქალის ხვედრია, ვისაც მხოლოდ სხვის ინტერესებზე უფიქრია და საკუთარ სურვილებზე უთქვამს უარი... მსახიობობა მინდოდა და ექიმი გავხდი მხოლოდ იმის გამო, რომ მამის გული გამეხარებინა. ჩემი ქმრის ცოლი გავხდი იმიტომ, რომ ვუყვარდი და შემეცოდა, ვერ გავიმეტე უარით გამოწვეული ტკივილისთვის... მოგვიანებით, როცა მართლა შემიყვარდა, ის კაცი ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, ეჭვიც არ გასჩენია ჩემი გრძნობის შესახებ... საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე, შვილებისთვის გული არაფერზე დამიწყვეტია — ყველა სურვილს ვუსრულებდი. 16 და 18 წლის გოგონები რომ დამითხოვდნენ, მაშინაც გვერდით დავუდექი და როცა უმცროსი, ჩვილი ბავშვით ხელში სახლში მომიბრუნდა, არც მაშინ შემიქმნია პრობლემა... ყველას ცხოვრებით ვიცხოვრე და ყველას გვერდით დავუდექი, როცა დასჭირდა — ამას კი ჩემი ცხოვრების ყველაზე ლამაზი წლები შეეწირა... ახლა შვილებსა და შვილიშვილებს აღარ ვჭირდები, თავ-თავიანთი ცხოვრება აქვთ და გაშლილ სუფრაზეც აღარ უნდათ მოსვლა... ერთი შეხედვით იდეალური ქმარი კი ჩემი უფროსი ძმა უფრო მგონია, ვიდრე ჩემი სულისა და სხეულის ნაწილი... მაღიზიანებს ზედმეტი ყურადღებითაც და სერიოზულად ვფიქრობ მისგან წასვლაზე... რა უნდა ვთქვა, მე ხომ საამისო მიზეზიც არ მაქვს?!. სულ არ გამიკვირდება, ხალხმა იფიქროს, რომ გავგიჟდი და მთელი ქვეყანა დამიპირისპირდეს, არადა — როდემდე ვიჯდე ნებაყოფლობით ოქროს გალიაში?!.

ქალბატონ ქეთევანს რომ ვუსმენდი, მივხვდი, რომ მართალი ვიყავი საკუთარი ცხოვრების ისე წარმართვით, როგორც გამომდიოდა; მართალი ვიყავი



პირველ რიგში, საკუთარი თავის წინაშე და მით უმეტეს, დანარჩენებთან მიმართებაშიც: ადამიანი ერთხელ იბადება ქვეყანაზე და აქვს უფლება, ისე იცხოვროს, რომ თავი შეურაცხყოფილად არ იგრძნოს...

ჩემი მშობლებისთვის რომ მომესმინა, ახლა ვიქნებოდი სკოლის მასწავლებელი და დღემდე ხელჩაკიდებული მატარებდა დედაჩემი სახლიდან სკოლამდე და — პირიქით. ჰო, შეიძლებოდა, ვყოფილიყავი მეუღლეც, თანაც — სანიმუშო... დედაჩემს ძალიან უნდოდა, მისი მეგობრის შვილს გავყოლოდი, ჯერ კიდევ 20 წლის ასაკში. იმ ბიჭს უცნაური სახელი — შამილი ერქვა და ინჟინრის დიპლომი ეჭირა ხელში 24 წლის ასაკში. კვირაში ორჯერ მხვდებოდა უნივერსიტეტის კართან და თვეში ერთხელ დედის შერჩეულ, იაფფასიან სუნამოებს მჩუქნიდა (რასაც პედაგოგი დედის ხელფასი სწვდებოდა)... მაგრამ მთავარი პრობლემა სხვა რამე იყო — ბიჭი დედის კარნახით ცხოვრობდა და მისი ნააზრევით მელაპარაკებოდა:

— ჩვენ უბრალო ხალხი ვართ, ეკა. ინტელიგენტები, რომლებიც ცხოვრებაში განსაკუთრებულს ვერაფერს აღწევენ. ჩვენი მთავარი სიმდიდრე — პატიოსნება და ღირსეული ოჯახია, შვილების ისე აღზრდა, როგორც ეს ჩვენი ოჯახის ტრადიციებს ეკადრება...

განა მე პატიოსნებისა და ტრადიციების წინააღმდეგი ვარ?! ღმერთმა დამიფაროს! მაგრამ არც 20 წლის ასაკში შემეძლო იმ ცხოვრებით ცხოვრება, როგორზეც შამილი ოცნებობდა და არც ახლა ვნანობ რამეს, როცა 30 წლის ასაკში შემთხვევით გაცნობილს (უფრო სწორად — შეხვედრილს, თორემ ნიკას ალბათ ახლაც არ ვიცნობ საჭირო დონეზე) ბიჭს „ჩავუხტი“ ლოგინში და ახლა მისგან შვილს ველოდები... არც ის მანაღვლებს, რომ ამ ბავშვს თუნდაც ჩემი ოჯახის წევრები მომაკვდინებელი აგრესიით შეხვდებიან და შეიძლება, ისეთი რამეც აკადრონ, რაც საბოლოოდ გაყრის ჩვენს გზებს, მაგრამ მე მაინც არასოდეს ვეცდები, არჩევანი გავაკეთო ჩემს შვილსა და დედ-მამას, ჩემს პირმშოსა და ძმას შორის... უფრო მეტიც — მე ნიკას ინტერესებსაც ვერ დავაყენებ ჩვენი ჯერ დაუბადებელი შვილის სიცოცხლეზე წინ. ხომ ასე ძალიან მიყვარს, მაგრამ ჩემს შვილს თუნდაც წამიერად რომ შეუკრას წარბი, ამ სიყვარულსაც გავიმეტებ და მივხვდები, რომ არც ის ყოფილა სხვაზე უკეთესი...

ვიცი, ეგოისტი ვარ, მაგრამ მსგავსი ეგოიზმი ყველა ადამიანის ცხოვრებას უნდა სდევდეს თან. მით უმეტეს — ქალის ცხოვრებას, რათა 60 და 70 წლის ასაკში სინანულის გრძნობამ თვითმკვლელობის სურვილი არ გაუჩინოს...

**დასასრული შემდეგ ნომერში**

# შეხვედრები სტალინთან

## ფრაგმენტები ვლადიმირ კარპოვის წიგნიდან „გენერალისიმუსი“




*დასაწყისი იხ. „გზა“, №27, 2009 - №1, 2010*

ტყვეობაში იაკობ ჯუღაშვილის ყოფნისა და მისი დაღუპვის შესახებ ბევრი დაიწერა და ბევრი ჭორ-მართალიც გავრცელებულა. მე მკითხველს სხვადასხვა (ძირითადად, დოკუმენტების) პუბლიკაციის ფრაგმენტებს შევთავაზებ, რომლებიც ვფიქრობ, სხვა მასალებთან ერთად, მომხდარის შესახებ საკმაოდ სრულ სურათს შექმნის და ადამიანებს იმის გარკვევაში დაეხმარება, თუ რა არის სიმართლე და რა — მოგონილი, ტყუილი. საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენმა დაზვერვამ საბოლოოდ, იაკობის ტყვეობაში გატარებული დღეების შესახებ ბევრი მასალა მოიძია და მისი დაკითხვების ოქმებიც კი ჩაიგდო ხელში.

### ბელადის პირადი ტრაგედია

სწორედ მისი პირველი დაკითხვის ოქმის შემცირებულ ვარიანტს გთავაზობთ, რომელსაც არმიის შტაბში გენერალი კლიუგე, მაიორი გოლტერსი და კაპიტანი როიცლე 1941 წლის 18 ივლისს წარმართავდნენ.

„— თქვენი სახელი?

— იაკობი.

— გვარი?

— ჯუღაშვილი.

— საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ნათესავი ხართ?

— მისი უფროსი ვაჟიშვილი ვარ.

— გერმანულად ლაპარაკობთ?

— გერმანულ ენას 10 წლის წინ ვსწავლობდი, ცოტა რამ მახსოვს.

— რა წოდება გაქვთ და რომელ ნაწილში მსახურობდით?

— უფროსი ლეიტენანტი ვარ. მე-14 სატანკო დივიზიის მე-14 ჰაუბიცურ პოლკში ვმსახურობდი.

— აქ როგორ მოხვდით?

— მე... უფრო სწორად, მე კი არა... დივიზიის ნარჩენები... დავმარცხდით და ალყაში მოგვაქციეს.

— ჩვენთან ნებაყოფლობით მოხვედით თუ ბრძოლის დროს შეგიპყრეს?

— ნებაყოფლობით — არა, იძულებით.

— ჩვენი ჯარისკაცები როგორ გეპყრობოდნენ?

— ჩექმები გამხადეს... ისე, ვერ ვიტყვი, რომ ცუდად...

— რისთვის არიან არმიაში კომისრები? რა ამოცანებია მათ წინაშე დასახული?

— საბრძოლო სულისკვეთების გაღვივება... პოლიტიკური აღზრდა ევალებათ.

— მერედა, ჯარისკაცი, მეთაური, ოფიცერი ამას როგორ უყურებენ?

— თუ კომისარი ჭკვიანურად მუშაობს, მას პატივს სცემენ და უყვართ კიდეც. მაგრამ როცა საკუთარ უფლებებს იყენებს და ჯარისკაცზე ზეწოლას ახდენს, ნათელია, რომ საკუთარ მოვალეობას ფორმალურად უდგება; მაგალითად, კრებებზე და სხვაგანაც. ამიტომაც, სულის სიღრმეში ასეთ კომისარს პატივს არ სცემენ.

— თუ გაგიგონიათ ისეთი შემთხვევის შესახებ, როცა ნაწილმა კომისარი არ მიიღო?

— მსგავსი რამ ჯერჯერობით არ გამიგონია.

— მაშინ, იქნებ თქვენთვის საინტერესო იყოს იმის შეტყობა, რომ აქ, სამხედრო ტყვეთა ბანაკებში, ჯარისკაცები მკვეთრად უარყოფითად არიან განწყობილი კომისრების მიმართ და ჩვენ მათ დაცვაზე ზრუნვა გვიწევს, რათა საკუთარმა მეომრებმა არ მოკლან.

— მთავარი მაინც ის არის, თუ როგორები არიან ეს წითელარმიელები.

— ძირითადად, ყოფილ „კულაკებს“ ვგულისხმობ.

— „კულაკები“ ხომ ყოფილი გლეხები არიან.

— ნუთუ ისინი დღევანდელი სახელმწიფო სისტემით უკმაყოფილოები არიან?

— რასაკვირველია, უკმაყოფილონი არიან.

— რატომ?

— იმიტომ, რომ... თქვენ იცით ჩვენი პარტიის ისტორია? რუსეთის ისტორია?.. ერთი სიტყვით, „კულაკები“ ცარიზმისა და ბურჟუაზიის დამცველები იყვნენ.

— მაგრამ „კულაკი“ ხომ თავის საკუთრებას იცავს, რომელიც ყოფილ რუსეთის იმპერიაში ჰქონდა, ისევე, როგორც გერმანელი გლეხი იცავს თავის საკუთრებას იმიტომ, რომ ის მესაკუთრეა! ჩვენთან, გერმანიაში კერძო საკუთრება არსებობს, რუსეთში კი ის გააუქმეს.

— დიახ, ასეა. მაგრამ თქვენ გავიწყდებათ, რომ ის — ერთია, მისი შვილები კი — სულ სხვაა, რადგან ისინი სულ სხვაგვარი სულისკვეთებით აღიზარდნენ. უმეტეს შემთხვევაში, შვილები უარს ამბობენ საკუთარ მშობლებზე.

— მიგაჩნიათ თუ არა, რომ უკანასკნელმა წლებმა მუშასა და გლეხს სიკეთე მოუტანა იმასთან შედარებით, რაც წინათ იყო?

— რასაკვირველია. ჰკითხეთ მათ, რა იყო ცარიზმის დროს, ჰკითხეთ და გიპასუხებენ. რუსეთმა საკუთარი მრეწველობა შექმნა, დღეს რუსეთი არავისზე არ არის დამოკიდებული. რუსეთს ყველაფერი თავისი აქვს. შესაძლოა, ეს მუშების ხარჯზე, გლეხების


ზაქსენჰაუზენის ბანაკი

ხარჯზე ხდებოდა, ამიტომ ბევრი უკმაყოფილოა...

— მას შემდეგ, რაც გერმანელი მეომრები ბრძოლაში ნახეთ, კიდევ თუ გაქვთ იმის იმედი, რომ წითელ არმიას დარჩა შანსი, წინააღმდეგობა გაუწიოს და ომის მიმდინარეობა შემოაბრუნოს?

— იცით, რა... მე არ ვფლობ სათანადო ცნობებს და არ შემიძლია ვთქვა, არსებობს თუ არა საამისოდ საჭირო წანამძღვრები. და მაინც, პირადად მე ვფიქრობ, რომ ბრძოლა გაგრძელდება.

— თუ იცით, სად დგას ახლა ჩვენი არმია? არა უშუალოდ ამ მონაკვეთზე, არამედ ჩრდილოეთით, სამხრეთით. თუ იცით, რომ უკვე კიევთან ახლოს ვიმყოფებით?! თქვენი აზრით, როგორ განვითარდება მოვლენები, თუ მალე მოსკოვში შევალთ?

— ვიცი, რომ მოსკოვიდან არც ისე შორს იმყოფებით.

— თავადაც ამბობთ, რომ მოსკოვთან ახლოს ვართ მისული, ასე რომ, შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, თუ რა მოხდება, როცა მოსკოვში შევალთ...

— კეთილი, გულახდილად გიპასუხებთ: ამის წარმოდგენა არ შემიძლია.

— მაშინ, როგორღა გგონიათ, რომ ეს შესაძლებელია?

— ნება მომეცით, კონტრშეკითხვა დაგისვათ: რა მოხდება, თუკი თქვენ ალყაში მოექცევით?

— თუ გსმენიათ მსგავსი შემთხვევების შესახებ?

— მგონია, რომ ეს შესაძლებელია.

— რა გითხრათ მამათქვენმა, როცა 22 ივნისს გემშვიდობებოდათ?

— წადი და იომეო.

— დაოჯახებული ხართ?

— დიახ.

— შვილები გყავთ?

— დიახ, ერთი ქალიშვილი მყავს, ის 3 წლისაა.

— ხომ არ გსურთ, ვაცნობოთ თქვენს ცოლს ტყვეობაში თქვენი ჩავარდნის შესახებ?

— არ არის საჭირო... თუ ჩემს სურვილს გაითვალისწინებთ, არ მინდა, რომ შეატყობინოთ.

— ხომ არ ფიქრობთ, რომ მომხდარის გამო თქვენი ოჯახი შეიძლება დაზარალდეს? ტყვეობაში მოხვედრა ჯარისკაცისთვის სამარცხვინოა...

— მე მრცხვენია! მრცხვენია მამის წინაშე, რომ ცოცხალი გადავრჩი.

— ალბათ, არა მარტო მამის, არამედ ცოლის წინაშეც!

— დიახ, მისი აზრიც ჩემთვის მნიშვნელოვანია. მას დიდ პატივს ვცემ, ძალიან მიყვარს.

— გაიქცევა თუ არა თქვენი ცოლი მოსკოვიდან, წითელ მთავრობასთან ერთად? წაიყვანს თუ არა მას მამათქვენი თან?

— შესაძლოა, კი, შესაძლოა, არა“.

იაკობს შესთავაზეს, წერილი მიეწერა მამისთვის. მან მისწერა. ამ ბარათმა სტალინამდე მიაღწია და მის სეიფში ინახებოდა. აი, რას სწერდა იაკობი მამას:

„19.7.41. ძვირფასო მამა!

ტყვეობაში ვარ. მალე გერმანიაში, ოფიცერთა ერთ-ერთ ბანაკში გამგზავნიან. კარგად მეპყრობიან. ჯანმრთელობას გისურვებ. ყველა მომიკითხე. იაკობი“.

ამის შემდგომ, იაკობ ჯუღაშვილის ბედი ასე წარიმართა: ტუსაღი ბერლინში გადაიყვანეს. პროსტკენტის ბანაკში მიუჩინეს ადგილი. მისი დაკითხვები გრძელდებოდა, „გულითად საუბრებზე“ დაყოლიებასაც არაერთგზის ცდილობდნენ, მაგრამ ჯუღაშვილი ან მოკლედ პასუხობდა, ან სულაც დუმდა. აი, რას იხსენებდა კაპიტანი უჟინსკი, რომელიც იმავე ბანაკში ტყვედ იმყოფებოდა:

„როცა ჯუღაშვილი ჩამოიყვანეს, ის ძალზე ცუდად გამოიყურებოდა, ისე, თითქოს რაღაც მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობა გადაეტანა. ლოყები ჩასცვენოდა, სახეს რუხი ფერი დასდებოდა. საბჭოური, ოღონდ ჯარისკაცური ტანსაცმელი; მისი სიმაღლის კაცისთვის მეტისმეტად დიდი ფარაჯა ეცვა... სხვებთან ერთად იკვებებოდა — 5-6 კაცზე ერთ პურს, ოდნავ ცხიმგარეულ „ბალანდასა“ და ჩაის გვაძლევდნენ, ზოგჯერ — კარტოფილსაც „მუნდირში“. იაკობი უთამბაქოდ ვერ ძლებდა, ამიტომ ხშირად, დღიურ ულუფას მცირედ „მახორკაში“ ცვლიდა...

რამდენიმე თვეში ერთხელ მას საფუძლიანად ჩხრეკდნენ, ოთახში კი მეთვალყურე მიუჩინეს... ბანაკის უფროსობამ ჯუღაშვილს ნება დართო, ემუშავა მომცრო სახელოსნოში, რომელიც ოფიცერთა „ბარაკის“ ქვედა სართულზე იყო მოწყობილი. იქ 6-10 ტყვე, ძვლისა თუ ხის მასალისგან მუნდშტუკებს, სათამაშოებს, ზარდახშებსა და ჭადრაკს აკეთებდა. იაკობი უნარიანი ხელოსანი აღმოჩნდა და თვე-ნახევარში ძვლისგან დაამზადა ჭადრაკი, რომელიც უნტერ-ოფიცერ კაუცმანს კარტოფილში გაუცვალა. მოგვიანებით ეს ჭადრაკი 800 მარკად რომელიღაც გერმანელმა ოფიცერმა შეიძინა“.


იაკობ ჯუღაშვილით პირადად ჰიმლერი იყო დაინტერესებული

1942 წლის აპრილის დამლევისთვის იაკობის შედარებით ასატანი ყოფა შეცვალა მოულოდნელმა ბრძანებამ, გესტაპოს ცენტრალურ ციხეში მისი გადაყვანის შესახებ. 1943 წლის თებერვალში კი ჰიმლერის პირადი განკარგულების საფუძველზე, იაკობ ჯუღაშვილი ავადსახსენებელ ზაქსენჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკში გაგზავნეს. პირველ ხანებში ის ბანაკის ციხეში მოათავსეს, ხოლო შემდგომ — ე.წ. ზონდერბანაკ A-ს სარეჟიმო „ბარაკში“. ეს განსაკუთრებული ზონა ბანაკისგან დანარჩენი ტერიტორიისგან მაღალი გალავნითა და ეკლიანი მავთულხლართით იყო გამოყოფილი; მავთულხლართში დენი გადიოდა, ბადრაგს კი არა უბრალო ჯარისკაცები, არამედ „ესესელები“ წარმოადგენდნენ.

1945 წელს, ომის დამთავრების შემდეგ, ამერიკელებმა ზაქსენჰაუზენის ბანაკის ადმინისტრაციის რამდენიმე წარმომადგენელი შეიპყრეს.

გაგრძელება იხ. გვ. 75




***ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით***
*gza.fantazia@gmail.com*

*დასაწყისი*
*იხ. „გზა“ №37, 2009*
*- №1, 2010*

*გოჩა მანველიძე*

ექთანის საქციელმა გოგა შეაშფოთა. ვერ მიხვდა, თუ რა ჰქონდა ჩაფიქრებული. მაშინვე ინანა, ასე დაჟინებით რომ სთხოვდა ტანსაცმლის მოტანას. არც ის უნდა ეგრძნობინებინა, აფხაზი რომ არ იყო. ამით მხოლოდ დააეჭვებდა და ვინ იცის, რას მოიმოქმედებდა შემდეგ. შეიძლება, თავისი ბიძაშვილი, რომა ლაკობა გაეფრთხილებინა და მისთვის გუშაგიც კი მიეჩინათ.

„ავჩქარდი, — საკუთარ თავზე გაბრაზდა გოგა, — დაუფიქრებლად მოვითხოვე ტანსაცმელი და ყველას ვაგრძნობინე, რომ საავადმყოფოდან წასვლა მინდოდა. ჩანს, ჯერაც ვერ გამოვედი ნარკოზიდან. მაგრამ ახლა რაღა დროსია ამაზე ფიქრი? მოსახდენი უკვე მოხდა. ვთქვი ის, რაც არ უნდა მეთქვა და ახლა ყველაფერი ამ ექთანზეა დამოკიდებული. რა აზრი უნდა გამოეტანა ჩემი ნათქვამიდან?.. მხოლოდ ერთი — მე საავადმყოფოდან გაპარვა მინდა. ის კი რომამ გააფრთხილა, რომ თვალი არ მომაშოროს!.. ვითომ გამიმეტებს?! გამეტება-არგამეტებაშიც არ არის საქმე. უბრალოდ, ვერც კი მიხვდება, ისე დამღუპავს. ახლა ამისთვის ერთი სიტყვაც კმარა. დაურეკავს თავის ბიძაშვილს და ამით ყველაფერი დამთავრდება...“

ვიდრე გოგა ფიქრობდა, ექთანი უკან დაბრუნდა და საწოლთან ჩამოჯდა.

— უკვე გააფრთხილე? — ბრაზით ჰკითხა გოგამ.

— ვინ? — დაიბნა რიტა.

— შენი ბიძაშვილი.

— რომა?.. რაზე უნდა გამეფრთხილებინა?

— ტანსაცმელი რომ გთხოვე, — უპასუხა გოგამ.

— და რა არის ამაში უცნაური?

— თუ უცნაური არ არის, რატომ არ მომიტანე?

— უკვე გითხარი, რომ ტანსაცმელი სისხლითაა დასვრილი.

— მეც გითხარი, რომ ამას მნიშვნელობა არა აქვს!

რიტა თვალებში ჩააცქერდა და მერე თქვა:

— მოდი, გულახდილად ვილაპარაკოთ. მაინც რა გაშინებს? რატომ მითხარი, რომ თუ აქ დარჩები, მოგკლავენ?

— იმიტომ, რომ მომკლავენ.

— ვინ? — ჰკითხა რიტამ. — რომამ თქვა: გაგრის პოლიციის უფროსი, გულბანი ემტერებაო, მაგრამ ის გაგრაში აღარ არის და რომც იყოს, გამოჩენას მაინც ვერ გაბედავდა.

— გულბანი არ მემტერება, — უპასუხა გოგამ.

— მაშინ რა გაშინებს?

— ძნელია ყველაფრის ახსნა.

— არ მენდობი?

— ძნელია, ენდო ადამიანს, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ გაიცანი. მაგრამ ახლა ამაშიც არ არის საქმე. შენ ვერ გამიგებ.

— მაინც შეეცადე, ამიხსნა, — არ მოეშვა რიტა.

— კეთილი, მაგრამ რაიმე განსაკუთრებულის მოსმენას ნუ ელი... მე ხიუბა არა ვარ. შენი ბიძაშვილი შეცდა.

— ცოტა ხნის წინ რომას ეუბნებოდი, რომ ხიუბა ხარ, მაგრამ რაღაც მიზეზის გამო არ გინდა, რომ ის შენს გუდაუთელ ახლობლებს დაუკავშირდეს, — შენიშნა რიტამ.

— სხვა გზა არ მქონდა. რომამ საკუთარი თავი დააჯერა, რომ მე ხიუბა ვარ და ვერ შევძელი მისი გადარწმუნება.

— არაფერი მესმის. განა ასე ძნელია რომასთვის ყველაფრის ახსნა? — გაუკვირდა რიტას.

გოგამ მზერა გაუსწორა და ისე უპასუხა.

— ეს საშიშია!

— გგონია, რომ თუ ხიუბა არ ხარ, რომა რამეს დაგიშავებს?

— არა... შენს ბიძაშვილს ჩემთან მტრობის მიზეზი არა აქვს.

— მაშინ ვინ გემტერება? — განაგრძო რიტამ.

— ასე მგონია, რომ ყველა.

რიტამ ყურადღებით შეათვალიერა და შემდეგ ჰკითხა:

— ქართველი ხარ?

უარის თქმას აზრი არ ჰქონდა. საკუთარი ქართველობისა და ვინაობის გამჟღავნებაზე მეტად, გოგას ხიუბა აფიქრებდა.

— ჰო, ქართველი ვარ, — უპასუხა გულახდილად.

— და თანაც — ქირურგი.

— მართალია.

— რა გქვია?

— გოგა... გვარად კილაძე ვარ.

— სოხუმელი ხარ?

— არა, თბილისში ვცხოვრობ და იქვე ვმუშაობ.

— მაგრამ რატომ ჰგონიხარ რომას ხიუბა? ასე ძალიან ჰგავხართ ერთმანეთს? — ჰკითხა რიტამ.

— ვერაფერს გეტყვი. მე არასოდეს შევხვედრივარ ამ პიროვნებას.

— თუნდაც ასე იყოს და ტყუპისცალივით ჰგავდე ხიუბას. ამით არაფერი დაშავდება. მხოლოდ ქართველობისთვის, რომა თითსაც არ დაგაკარებს. ამ დღეებში ბევრი ქართველი გაიქცა რუსეთში, მაგრამ მიდიან ისინი, ვისაც რაღაც უთანხმოება ჰქონდა აფხაზებთან. დანარჩენები აქ რჩებიან. შენ კი აქაურიც არა ხარ. ვის რა პრეტენზია უნდა ჰქონდეს ქართველ ექიმთან? შეგიძლია, მშვიდად იყო. მოიშუშე ჭრილობები და როცა გამოჯანმრთელდები, მაშინ წადი, — ურჩია რიტამ.

— არა... არა... მე არ შემიძლია ყველაფრის ახსნა. ჩემი საავადმყოფოში დარჩენა არ შეიძლება. მე ხომ განსაკუთრებულს არაფერს გთხოვ. უბრალოდ, მომიტანე ჩემი ტანსაცმელი. აქაურობას გავეცლები და რამდენიმე დღეში აღარც გემახსოვრები.

— გაგრაში ნაცნობები გყავს? — ჰკითხა რიტამ.

— არა.

— მაშინ როგორ წახვალ აქედან? არც საბუთები გაქვს, არც ფული და არც ნაცნობები გყავს, რომლებიც დაგეხმარებოდნენ.

— რამეს მოვახერხებ.

— შენ დასუსტებული ხარ. ასეთ მდგომარეობაში საავადმყოფოს ეზოსაც ვერ გასცდები.

გოგამ დუმილით უპასუხა.

— ესე იგი, მაინც წასვლაზე ფიქრობ, — ჩაილაპარაკა რიტამ.

გოგას ისევ არაფერი უთქვამს. რაღა აზრი ჰქონდა რამდენჯერმე ნათქვამის კიდევ გამეორებას?! ექთანი ისედაც უნდა მიმხვდარიყო, რომ აზრის შეცვლას არ აპირებდა.

— დაღამებამდე მოცდა მოგიწევს, — ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ თქვა რიტამ.

— დაღამებამდე?! — გაუკვირდა გოგას. — რისთვის?

— დღისით აქედან ვერ გახვალ. რომამ ექიმები გააფრთხილა, რომ ყურადღება არ მოგაკლონ. შენი ფეხზე ადგომა არ გამოეპარებათ, გარეთ გასვლაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. უბრალოდ, არ გაგიშვებენ და წინააღმდეგობას თუ გაუწევ, რომას დაუკავშირდებიან. თანაც ახლა ტანსაცმელსაც ვერ მოგიტან.

— რატომ?

— შენი ტანსაცმელი გადაყარეს. რომც არ გადაეყარათ, ის მაინც აღარ ვარგოდა.

— რატომ?.. ვინ გადაყარა? — მოიღრუბლა გოგა.

— შენ უგონო მდგომარეობაში მოგიყვანეს. თან რომა და მისი მეგობრები მოგყვნენ. ისინი ექიმებს აჩქარებდნენ: რაც გინდათ, ქენით, ოღონდ ამ კაცმა უნდა იცოცხლოსო!.. სადღა იყო შენი გახდის დრო?! ტანსაცმელი მაკრატლით შეგაჭრეს... თუმცა რისთვის მალაპარაკებ?.. თუ მართლაც ქირურგი ხარ, ისიც გეცოდინება, რაც ხდება ასეთ შემთხვევებში.

— თქვენ რა, მაუგლი ხომ არ გგონივართ, შიშველი რომ დამტოვეთ?! — ბრაზი მოერია გოგას.

— რომამ თქვა: მე მოვუტან ახალ ტანსაცმელსო. მანამდე კი ამით უნდა დაკმაყოფილდე, — რიტამ სკამზე გადაკიდებულ ზოლიან ხალათზე მიანიშნა.

— ამით სად წავიდე?

— კარგი, ნუ ღელავ. საღამომდე რამეს მოვიფიქრებ. ახლა კი წამალი მიიღე და დაიძინე.

— რა წამალი?

— აქ მთელი ნაკრებია: ანტიბიოტიკი, დამამშვიდებელი. ხომ არ დაგავიწყდა, ტვინის შერყევა რომ გაქვს?! — უთხრა რიტამ და აბებთან ერთად, ჭიქა წყალი მიაწოდა.

გოგა მხარზე შეხებამ გამოაღვიძა. ცოტა ხანს იმაში გარკვევაც კი გაუჭირდა, თუ სად იმყოფებოდა და როგორ მოხვდა აქ. მაგრამ თეთრმა ჭერმა და ექთანმა, რომელიც საწოლის გვერდით იდგა, მალე შეახსენა პოლიციაში მიღებული ჭრილობა და გადატანილი ოპერაცია.

— როგორ გრძნობ თავს? — რიტამ მზრუნველად მოუსინჯა შუბლი.

— რამდენ ხანს მეძინა? — გოგამ სწრაფად გახედა ფანჯარას. გარეთ უკვე დაბნელებულიყო.

— თორმეტი ხდება.

— აქამდე რატომ არ გამაღვიძე?

— რისთვის?.. შენ დასვენება გჭირდებოდა და ვიდრე საავადმყოფო არ ჩაწყნარდებოდა, მაინც ვერ გახვიდოდი აქედან, — უპასუხა რიტამ.

— ეს რა არის? — გოგამ ჩანთას გახედა, რომელიც საწოლთან ახლოს, იატაკზე იდო.

— შენი ტანსაცმელი... — რიტამ საწოლზე შარვალი და პერანგი დააწყო. იქვე იყო ქუდი და მზის სათვალეც. — მგონი, კარგად გექნება.

გოგამ გაოცებით დახედა ტანსაცმელს. აქამდე თვითონაც ვერ ხვდებოდა, რისი მოლოდინი ჰქონდა. უბრალოდ, ლაპარაკობდა იმას, რაც სურდა. მაგრამ გულის სიღრმეში მაინც არ სჯეროდა, რომ ექთანი ტანსაცმელს მოუტანდა და საავადმყოფოდან წასვლის საშუალებას მისცემდა. ახლა კი გზა ხსნილი ჰქონდა. ტანსაცმელიც ჰქონდა, გარეთ ბნელოდა და მის შეჩერებასაც არავინ აპირებდა, მაგრამ ეს ყველაფერი როდი იყო...

— ესეც გამოგადგება, — უთხრა რიტამ და ტანსაცმელს ფულიც დაადო, — ბევრი არ არის, მაგრამ სოჭში ჩასასვლელად და იქიდან სოხუმში ან ბათუმში გასამგზავრებლად გეყოფა. უპასპორტობა ხელს არ შეგიშლის. აფხაზეთიდან ბევრი ქართველი მიემგზავრება. რუსები ხელს არ უშლიან. საბუთებს არც კითხულობენ. ყველას დაუბრკოლებლად ატარებენ.

— არ მეგონა, ამას თუ გააკეთებდი, — მცირე ხნის შემდეგ თქვა გოგამ, — მე თვითონ გთხოვდი ტანსაცმლის მოტანას, მაგრამ ახლა ეჭვი მეპარება, ღირს წასვლა თუ — არა...

— რატომ? — გაუკვირდა რიტას.

— არ მინდა, ჩემ გამო რამე დაგიშავდეს.

— რა უნდა დამიშავდეს?

— რას იტყვის შენი ბიძაშვილი, როცა ჩემი გაქცევის შესახებ შეიტყობს?

— გაუკვირდება. შეიძლება, გაბრაზდეს კიდეც, მაგრამ ჩემთვის ამას მნიშვნელობა არა აქვს. რაც უნდა მოხდეს, ის მაინც ჩემს ბიძაშვილად დარჩება, — მშვიდად უპასუხა რიტამ.

— საქმე მხოლოდ რომას არ ეხება. ჩემით შეიძლება, ხიჟბა დაინტერესდეს. ის კი მკვლელია!

— გჭირდება ეს ტანსაცმელი თუ არა? — ჰკითხა რიტამ.

— მჭირდება... ძალიან მჭირდება, — უპასუხა გოგამ.

— მაშინ ჩაიცვი. მე დერეფანში დაგელოდები, — თქვა რიტამ და კარს მიაშურა.

გოგა საწოლიდან ადგომისთანავე მიხვდა, რომ საავადმყოფოდან გასვლა არც ისე იოლი იქნებოდა. როგორც კი წამოჯდა, მწველმა ტკივილმა ელვასავით დაურბინა სხეულში. მაინც შეძლო ტკივილის დაძლევა, მაგრამ თავბრუსხვევას ვერაფერი მოუხერხა. საწოლის საზურგეს რომ არ ჩასჭიდებოდა, თავს ვერ შეიკავებდა და იატაკზე დავარდებოდა. ცოტა ხანს მთვრალივით ბარბაცებდა. ბოლოს მზერას წაფარებული ნისლი გაიფანტა. გოგამ ძალა მოიკრიბა და ჩაცმას შეუდგა. ყველაზე მეტად, ფეხსაცმელების ჩაცმა გაუჭირდა: როგორც კი იატაკისკენ იხრებოდა, მაშინვე თვალთ უბნელდებოდა. მესამე ცდაზე თავის შეკავება ვეღარ შეძლო და წაიქცა.

ხმაურზე პალატის კარი რიტამ შემოაღო. როგორც კი გოგას იატაკზე მოჰკრა თვალი, სწრაფად მიუახლოვდა, ადგომაში დაეხმარა და ჰკითხა: რა მოგივიდაო?

— ფეხსაცმელები... — უპასუხა გოგამ. — როგორც კი ვიხრები, თავბრუ მესხმის და თვალთ მიბნელდება.

რიტამ უკმაყოფილოდ გაიქნია თავი. მერე დაიხარა და თავად ჩააცვა ფეხსაცმელები და ზონრებიც შეუკრა.

პალატიდან ცალ-ცალკე გავიდნენ. რიტამ წინასწარ გააფრთხილა გოგა: დერეფანს დავათვალიერებ და რამდენიმე წუთში პალატაში თუ არ დავბრუნდი, უკან გამომყევიო. გოგა ასეც მოიქცა. ცოტა ხანს მოიცადა და მერე პალატიდან გავიდა. რიტა დერეფნის ბოლოში ელოდა. როგორც კი მას თვალი მოჰკრა, შებრუნდა და კიბეზე დაეშვა.

პირველ სართულზე ჩასვლისას, რიტამ ზურგი აქცია საავადმყოფოს ცენტრალურ შემოსასვლელს და საპირისპირო მხარეს წავიდა. მალე ორივე, დერეფნის ბოლოში მდებარე, მომცრო ოთახში აღმოჩნდა. რიტამ კარი გააღო და გარეთ გაიხე-





და. ეზოში არავინ ჩანდა.

— ამ კარით საავადმყოფოს მეორე მხარეს გახვალ. შემდეგ შენობას შემოუვლი და ქუჩაში მოხვდები, — უთხრა გოგას და გვერდზე გადგა, — არ გეწყინოს, მაგრამ მე ვერ გამოგყვები. არ მინდა, ვინმემ ერთად დაგვინახოს.

— მესმის... ეს დღე მუდამ მემახსოვრება და შენც ვერასოდეს დაგივიწყებ. ღმერთს შევთხოვ, მალე დამთავრდეს ეს შეხლა-შემოხლა: როდესაც ყველაფერი ჩაივლის, აუცილებლად ჩამოვალ გაგრაში, მოგინახულებ და სამაგიეროს გადახდას შევეცდები, — თქვა გოგამ და ეზოში გავიდა.

ზღვიდან მონაბერმა სუფთა და გრილმა ჰაერმა სწრაფად გააბრუა. გოგა შედგა და ცალი ხელით კედელს მიეყრდნო, იმ იმედით, — დავისვენებ და გზას განვაგრძობ. მაგრამ თავბრუსხვევა უფრო გაუძლიერდა. მალე მიხვდა — კედელთან რომ დარჩენილიყო, საერთოდ ველარ შეძლებდა სიარულს.

„არ გაჩერდე... იარე... როგორმე უნდა მოშორდე აქაურობას!..“ — საკუთარ თავს უბრძანა გოგამ, მერე კედელს მოშორდა და ქუჩისკენ დაიძრა.

რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ ისევ მოეძალა სისუსტე. თითქოს მიწა იძრა მის ფეხქვეშ. მოეჩვენა, რომ ეზო მის ირგვლივ დატრიალდა. თვალებაჭრელებულმა თავის შეკავება ველარ შეძლო და კედლის გვერდით ჩაიკეცა. იმავე წამს ნაბიჯების ხმა მოესმა. ვიღაც სირბილით მიუახლოვდა და მის გვერდით ჩაიმუხლა. ვერ ხედავდა, მაგრამ ხვდებოდა, რომ მისთვის მფარველ ანგელოზად ქცეული, აფხაზი ექთანი გოგონა უნდა ყოფილიყო.

— უკან დავბრუნდეთ. ასეთ მდგომარეობაში ვერ წახვალ. შეიძლება, გონება დაკარგო, — ყურში ჩასჩურჩულა რიტამ.

— არა... არა... უნდა წავიდე. ცოტა ხანს დავისვენებ და ავდგები, — შეეწინააღმდეგა გოგა, — მთავარია, ქუჩამდე მივაღწიო. მერე აღარ გამიჭირდება. მანქანას გავაჩერებ და რუსეთის საზღვრამდე გავყვები.

— არა... ახლა არავინ გაგიჩერებს მანქანას. ყველას ყველასი ეშინია. ქართველები აფხაზებს გაურბიან, აფხაზები — ქართველებს. საავადმყოფოში დარჩენა ჯობია, — არ დაუთმო რიტამ.

გოგა გრძნობდა, რომ ექთანი სიმართლეს ეუბნებოდა, მაგრამ მაინც არ შეისმინა მისი რჩევა. ძალა მოიკრიბა და ასადგომად წამოიწია. რიტა მაშინვე მხარში ამოუდგა და ქუჩისკენ წაიყვანა.

— რას აკეთებ? — ჰკითხა გოგამ, როდესაც შენობის კუთხეს გასცდნენ.

— რახან საავადმყოფოში არ რჩები, მანქანის გაჩერებაში მაინც დაგეხმარები.

— არ გინდა. ვინმე დაგინახავს, — ამ სიტყვებთან ერთად, გოგამ მხრიდან ხელი აიღო, მაგრამ რიტა არ მოეშვა, წელზე უფრო ძლიერად მოხვია ხელი და გზა განაგრძო.

საბედნიეროდ, ეზოში არავინ იყო. შეიძლება, საავადმყოფოს ფანჯრებიდან დაენახა ვინმეს, მაგრამ ისინი ბნელ ზოლს მიუყვებოდნენ და საეჭვო იყო, ვინმეს ეცნო.

ცოტა ხანში საავადმყოფოს ეზო უკან დარჩა და რიტამ ავტობუსის გაჩერებისკენ აიღო გეზი, რომელიც ქუჩის ბოლოში მოჩანდა.

გოგა ისედაც ცუდად გრძნობდა თავს, მაგრამ ბოლო ოციოდე მეტრის გავლა განსაკუთრებით გაუჭირდა. თავბრუსხვევას აუტანელი ტკივილი დაემატა, რომელსაც ჭრილობა აყენებდა. ყოველი ნაბიჯი უფრო და უფრო ასუსტებდა. ამას რიტაც გრძნობდა და რაც უფრო მძიმე ხდებოდა გოგას სხეული, მით უფრო მჭიდროდ ეკვროდა გვერდზე და გზას აგრძელებდა.

როგორც იქნა, გაჩერებამდე მიაღწიეს. რიტამ გოგა სკამზე დასვა, ოფლით დაცვარული სახე ცხვირსახოცით შეუმშრალა და ჰკითხა: თავს როგორ გრძნობო?

— კარგად, — უპასუხა გოგამ, მაგრამ ეს ტყუილი იყო. სიტყვაც არ ჰქონდა დამთავრებული, რომ თვალები დაეხუჭა და თავისდა უნებურად, სკამზე გადაწვა.

— გოგა... შემომხედე!.. — ჩასძახა შეშინებულმა რიტამ. როდესაც პასუხი ვერ მიიღო, გოგა სკამზე ისე დააწვინა, ძირს რომ არ ჩამოვარდნილიყო და გზატკეცილზე გავიდა.

პირველმა სამმა მანქანამ ყურადღება არ მიაქცია გზატკეცილზე მდგომ ახალგაზრდა ქალს, რომელიც შეჩერების ნიშანს იძლეოდა. ცოტა ხნის შემდეგ გზატკეცილზე მოძველებული „ჟიგული“ გამოჩნდა. რიტა ბორდიურს მოშორდა და მანქანას წინ გადაუდგა. მძღოლმა სიჩქარეს მოუკლო, საპირისპირო ზოლში გადავიდა და გვერდზე ჩაუარა.

— გააჩერეთ... გთხოვთ!.. — მთელი ხმით დაადევნა რიტამ.

მანქანა ცოტა ხანს იმავე სიჩქარით განაგრძობდა მოძრაობას. შემდეგ მუხრუჭების წუილის ხმა გაისმა. მანქანა გაჩერდა თუ არა, რიტა მისკენ გაიქცა. ამასობაში მძღოლი გვერდზე გადმოიხარა, კარი გააღო და ღიმილით ჰკითხა:

— რა გაგჭირვებია, ლამაზო?

რიტა შედგა. მანქანიდან ორმოცდაათიოდე წლის, შავგვრემანი მამაკაცი უმზერდა. უცნობს შავი, გრუზა თმა ჰქონდა, საფეთქლებზე ჭაღარა მოსდებოდა, პირში კი ოქროს კბილები უელავდა.

— ჰა... რა გინდა?.. რისთვის გამაჩერე? — ჰკითხა მამაკაცმა.

— ძველ გაგრაში, კოლონადამდე მიმიყვანთ? — ჰკითხა რიტამ.

— სადაც შენ იტყვი, ლამაზო... — გაიკრიჭა მამაკაცმა. — დაჯექი.

— არა... მარტო არა ვარ, იქ ამხანაგი მელოდება, — რიტამ გაჩერებისკენ გაიშვირა ხელი.

— დაქალი გყავს? — კმაყოფილებით ჰკითხა მამაკაცმა და გაჩერებისკენ გაიხედა, მაგრამ ახალგაზრდა ქალის მაგივრად, გოგას მოჰკრა თვალი, რომელიც სკამზე იწვა.

— რა სჭირს? — მოიღრუბლა მამაკაცი.

— ნასვამია, — სწრაფად უპასუხა რიტამ, — გთხოვთ, დამეხმაროთ. მარტო მანქანამდე ვერ მოვიყვან.

— არა, — თავი გააქნია მამაკაცმა, — მთვრალს მანქანაში არ ჩავსვამ. არ მაქვს მაგის თავი. შენ თუ გინდა, გამომყევი. იქით არ მივდივარ, მაგრამ მაინც მიგიყვან კოლონადაზე. მაგ ტიპზე კი ლაპარაკიც არ ღირს.

— გთხოვთ... ფულს გადაგიხდით...

— რამდენს? — ჰკითხა მამაკაცმა.

— არ ვიცი... რამდენსაც მომთხოვთ.

— ათი ათას რუბლს მომცემ?

კოლონადამდე მგზავრობა ამ თანხის ნახევარიც არ ღირდა, მაგრამ რიტა მაშინვე დათანხმდა.

— კარგი, — თავი დაუკრა მძღოლმა. მერე მანქანა უკან დაძრა და გოგას სიახლოვეს გააჩერა.

ვიდრე მძღოლი მანქანიდან გად-

დასაწყისი იხ. გვ. 70

მოვიდოდა, რიტამ გოგას გონებაზე მოყვანა სცადა. ფრთხილად შეანჯღრია და ყურში ჩასჩურჩულა: თვალი გაახილეო, მაგრამ უშედეგოდ. გოგა არც კი შერხეულა. ამასობაში სკამს მძღოლიც მიუახლოვდა. მან ყურადღებით შეათვალიერა გოგა, მერე კი რიტას გახედა და თქვა:

— ეს ბიჭი მთვრალი არ არის!..

— მთვრალია.

— მაშინ სასმლის სუნი რატომ არ ასდის?! — ეჭვით განაგრძო მძღოლმა.

— თქვენ მძღოლი ხართ თუ გამოსაფხიზლებლის თანამშრომელი?.. — ბრაზი მოერია რიტას. — დამეხმარეთ და მანქანამდე მიმაყვანინეთ.

— მოიცა, მოიცა... — მძღოლი უკან გადგა. — ჩვენ მთვრალზე მოვილაპარაკეთ, ეს ბიჭი კი კაიფშია!

— რაშია? — დაიბნა რიტა.

— კარგი, რა! ვითომ ვერაფერს ხვდები. წამლითაა გაჟღენთილი. მე რას გამომაპარებ? მორფინისტების მეტი რა მინახავს?! ვერ ხედავ, როგორი გაფითრებულია?! შეიძლება, „პერედოზიროვკა“ აქვს და ჩემს მანქანაში „გაიპაროს“... მოდი, თავი დამანებე. არ მინდა შენი ფული. საავადმყოფო აქვეა. მაგისთვის კარგი თუ გინდა, ჯობია, იქ წაიყვანო! — ამ სიტყვებთან ერთად, კაცი მანქანას მიუბრუნდა.

— მოიცადე! — შეძახილით შეაჩერა რიტამ და როგორც კი მძღოლი შეჩერდა, ჯიბეში დანაპირები ათი ათასის მაგივრად, ოცი ათასი რუბლი ჩაუკუჭა. — მთვრალია თუ კაიფშია, კოლონადამდე მაინც უნდა მიმაყვანინო!

მძღოლმა აუჩქარებლად გადათვალა ფული და მერე ჰკითხა:

— რა არის შენი ეგ ბიჭი?

— ჩემი... ჩემი ქმარია...

— სხვას ნაღდად უარს ვეტყოდი, მაგრამ შენ კარგი გოგო ჩანხარ. კარგი, წაგიყვანთ. შენ მარცხნიდან მოუარე, მე მარჯვნიდან ამოვუდგები მხარში, — თქვა მძღოლმა და გოგასკენ დაიძრა.

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*



იაკობ ჯუღაშვილი

საბჭოთა მთავრობის თხოვნით, ისინი ჩვენ გადმოგვცეს. ბუნებრივია, ჩვენს სპეცსამსახურს ჯუღაშვილის შესახებ არსებული ინფორმაცია აინტერესებდა“.

აი, რა უჩვენა ბანაკის კომენდანტმა, „ესესის“ შტანდარტენფიურერმა კაინდლმა:

„საკონცენტრაციო ბანაკში იაკობ ჯუღაშვილი გერმანიის საიმპერიო უშიშროების მე-5 განყოფილებიდან დოქტორმა შულცემ ჩამოიყვანა. სამხედრო ტყვეს მოსანახულებლად, ბერლინიდან ხშირად ჩამოდიოდა გესტაპოს კიდევ ერთი წარმომადგენელი — საიმპერიო უშიშროების კრიმინალური კომისარი შტრუკი. იმის შესახებ, რომ ჯუღაშვილის ბედით პირადად ჰიმლერი იყო დაინტერესებული, ბევრმა იცოდა. როგორც ჩანს, მას სურდა, სტალინის შვილი იმ შემთხვევაში გამოეყენებინა, თუკი საბჭოთა კავშირთან სეპარატული მოლაპარაკება წარიმართებოდა, ან — ტყვედ ჩავარდნილ გამოჩენილ ნაცისტებზე გასაცვლელად. არ არის გამორიცხული, რომ ამავე მიზნით, იაკობის ოთახის გვერდით, მოლოტოვის დისშვილი, ვასილი კოკორკინი მოათავსეს (როგორც შემდგომ გაირკვა, ის თვითმარქვია იყო, რომელიც მოლოტოვის დისშვილად ასაღებდა თავს), ხოლო სხვა ოთახებში — ჩერჩილის დისშვილი ტომ კუჩინი, საფრანგეთის პრემიერ-მინისტრის შვილი, კაპიტანი ბლუმი და სხვა სახელოვანი ტყვეები გვყავდნენ.

1943 წლის 14 აპრილს იაკობ ჯუღაშვილმა თავი მოიკლა“.

სხვა ვერსიის თანახმად, სტალინის შვილი მოკლეს...

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*



# სექსის სურნელი

სვეტა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება
შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით

gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი იხ. „გზა“,
№ 51, 2009 - №1, 2010



კაბინეტის კარი შეღებული დამხვდა. სანამ ანდრონიკაშვილი ტელეფონზე ლაპარაკობდა, დრო ვიხელთე და ოთახის დათვალიერება პროფესიონალური ინტერესით დავიწყე, ნებისმიერი წვრილმანის დამახსოვრებას ჩემთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

— მაგრამ გუშინ თქვენ მარწმუნებდით, რომ ყველაფერს დროულად მოაგვარებდით, — განრისხებული ლაპარაკობდა კახი.

იქაურობა ძალიან ლამაზი იყო: წიგნის თაროები მთელ კედელს ფარავდა, ხოლო მინის კარიდან, რომელიც აივანზე გადიოდა, ყვავილებით მოფენილი ზაფხულის ბაღი მოჩანდა, რომელსაც ღამის ვარდისფერი ნათურა მკვეთრ ფერებს მატებდა. ჩემი ახალი ბოსი უზარმაზარ საწერ მაგიდასთან იჯდა. იქვე მეორე, შედარებით მომცრო მაგიდაზე, კომპიუტერი, ფაქსის აპარატი და ყავის მადუღარა იდგა.

კახიმ გვიან შემამჩნია, თავდახრილი თმაზე ისვამდა ხელს და ვიღაცას გულმოდგინედ უსმენდა ტელეფონში.

— მე ეს არ მაძლევს ხელს! სოლიდურ თანხას იმიტომ გიხდით, რომ... თქვენ კი იმედი... — წინადადება ვერ დაამთავრა, თვალები ზევით აზიდა და შემომხედა. დაჟინებული მზერით ნამდვილი მამაკაცური ინტერესით შემათვალიერა თმის ძირიდან ფეხის ფრჩხილებამდე. ამან საშინლად შემაცბუნა, ხელებს ადგილი ვერ მოვუძებნე.

— კარგი, — მოულოდნელად ხმა შეურბილდა ანდრონიკაშვილს, — გასაგებია... ჩემთვის ყველაფერი გასაგებია. კიდევ დაგირეკავთ, — ამ სიტყვებით ყურმილი ბერკეტზე დაახეთქა, — თქვენ კი რაღაც სხვანაირი ხართ, — უეცრად წარბებაწეული დამაშტერდა.

— სხვანაირი? — ბროწეულის ყვავილებივით იფეთქა სიწითლემ ჩემს ლაწვებზე.

— თქვენი თმა, — საჩვენებელი თითი ჩემკენ გამოიშვირა, — თმა ჩამოგიშლიათ... — ეს ფრაზა ისე წარმოთქვა, თითქოს რაღაცაში მადანაშაულებდა.

— ა! ჰო! — მექანიკურად შევეხე თმას და ყურზე გადავიწიე. — ბავშვს ვეთამაშებოდი, მან კი ისე ამიბურდა ვარცხნილობა, ვერაფერი მოვუხერხე, ამიტომაც გაშლა ვამჯობინე, — თავი ვიმართლე.

კახიმ თავი ოდნავ დააქნია და მბრძანებლური ჟესტით სავარძელზე მიმანიშნა. კიდევ კარგი, დავჯექი, თორემ მუხლები ისე მიკანკალებდა, თითქოს ფეხქვეშ მიწა გამომაცალესო. რამდენიმე ხნის განმავლობაში ხმა არ ამოუღია, ჩაფიქრებული მისჩერებოდა ჩემს გარუჯულ კანს, შემდეგ მზერა თმაზე გადაიტანა, იქიდან კი ჩემი თეთრი კაბის ღრმა ჭრილზე, რომლიდანაც არცთუ ურიგო მკერდი მომიჩანდა.

— ესე იგი, — მშრალად თქვა, — თქვენ ხართ არაჩვეულებრივად გამორჩეული ძიძა, არა?

— მე... ვცდილობ, ყოველ შემთხვევაში... მგონი, ცუდად არ გამომდის. უფრო სწორად, აქამდე არ გამომდიოდა და ვნახოთ, — შევეცადე, დაძაბულობის გარეშე მელაპარაკა.

— კომპიუტერზე ბეჭდვა თუ გეხერხებათ? — ჩემს სიტყვებზე ყურადღება არ გაუმახვილებია, ისე გადავიდა მეორე საკითხზე.

— რა თქმა უნდა, — ვთქვი და მზერა ავარიდე. მეხერხება კი არა, რაც თავი მახსოვს, სულ ვბეჭდავ, ოპერატორი არასდროს შემიწუხებია მასალების აკრებით, მერე თავადვე ვასწორებ და ასე, ბოლომდე გასუფთავებული მიდის ხოლმე რედაქტორთან. ეს რომ იცოდეს...

— ძალიან კარგი, — გაეღიმა კახის, მე კი მისმა ღიმილმა მაჯისცემა გამიხშირა, — ალბათ მიხვდით, ვისაც ველაპარაკებოდი ტელეფონზე. მდივან-მემანქანე მჭირდებოდა და დახმარება ვერ აღმომიჩინეს. არადა, ახალი რომანი უკვე დავამთავრე, დროზე თუ არ ჩავაბარე გამომცემლობას, ძალიან დამიგვიანდება.

— ხელით წერთ ხოლმე? — ცოტა არ იყოს, გამიკვირდა.

— არა, პირდაპირ კომპიუტერში ვწერ, მაგრამ მერე ვბეჭდავ და ქაღალდზე ვკითხულობ. უბრალოდ, ჩასასწორებელია, მეტი არაფერი, თუმცა, არც ისე ცოტა შეცდომა იპოვეს კორექტორებმა. ხომ იცით, ყველას სურს თავის გამოჩენა. მეც მქონდა შენიშვნები და ეს ყველაფერი ერთმანეთს მიემატა.

— არ არის პრობლემა, ყველაფერს გავაკეთებ, — თავდაჯერებით ვუპასუხე, რადგან ვიცოდი, არ დავაღალატებდი. ასეთ სამუშაოს მიჩვეული ვიყავი.

— ეს მომწონს. მოდი, ახლა მეტი ყურადღებით გადავხედოთ თქვენს სარეკომენდაციო წერილს. ისე, ყოველი შემთხვევისთვის, რა თქმა უნდა.

ახლა კი ჰოოო!.. გული ისე ძალუმად ამიძგერდა, უნებლიეთ ხელი დავიდე მკერდზე, მისი ფეთქვა მამაკაცმა არ შეამჩნიოს-მეთქი. აი, სად დამერხა! აი, სად გავიყიდე! რით ვიმართლო თავი? რა ვუთხრა, არ წამომიღია-მეთქი? დამიჯერებს? ის იყო, ბოდიშის მოხდას ვაპირებდი ჩემი „დაუდევრობის“ გამო, რომ კახი დაიხარა და მაგიდის უჯრაში რაღაცის ქექვა დაიწყო.

— მართალია, გუშინ ის ფაქსით გამომიგზავნეს, მაგრამ, არ დაგიმალავთ, ვერ გამოვნახე დრო, წამეკითხა. უბრალოდ, ზერელედ გადავავლე თვალი და ეგ იყო.

ერთიანად მოკუნტული, ფართოდ გახელილი თვალებით მივჩერებოდი მამაკაცს, რომელმაც უჯრიდან სქელი საქაღალდე ამოიღო და წინ დაიდო.

— სააგენტომ ბრწყინვალედ დაგახასიათათ, — თქვა მან და შემომხედა.

— მართლა? — ამის გაგონებაზე სუნთქვა შემეკრა, დაკვირვებული ადამიანი ხმაზეც შემატყობდა, როგორ შევშინდი. რა თქმა უნდა, მშვენივრად ვხვდებოდი, რომ თუკი იგი სარეკომენდაციო წერილს ყურადღებით წაიკითხავდა, მაშინვე მიხვდებოდა, რა თვითმარქვიაც ვიყავი.

უხერხულად ჩავახველე და ავწრიალდი.

— უკაცრავად, თუ შეიძლება, წყალი მინდა.

— ყავას ხომ არ ინებებდით?

— თუ არ შეწუხდებით...

— როგორი ყავა გნებავთ? შავი გიყვართ? სხვა მაინც არა მაქვს, — თქვა, წამოდგა და მადუღარა ჩართო.

პასუხის გაცემა ვერ მოვასწარი, რომ შემოსასვლელში ზარის ხმა გაისმა.

— უკაცრავად, მგონი, ვიღაც მოვიდა, — მომიბოდიშა კახიმ და წამოდგა, — წავალ, ვნახავ, ვინ გვეწვია.

— დიახ, რა თქმა უნდა, — ძლივს გასაგონი ხმით წარმოვთქვი და კიდევ უფრო მოვიკუნტე.

სისხლმა შხუილით დამიარა ძარღვებში. როგორც ჩანს, ნამდვილი ძიძა მოვიდა. აბა, სხვას რას ველოდი? დადგა ჩემი აღსასრულის ჟამი. მოდი და აუხსენი ახლა ამ კაცს, რატომ მოვიქეცი ასე. ბუნებრივია, ვიცოდი, რომ ეს სპექტაკლი დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა. რისთვის გამოვიდე თავი? ოხ, მამუკა, მამუკა! ამ კაცს თუ გადავურჩი, მერე შენ ველარ გადამირჩები!

როგორც კი ანდრონიკაშვილი გავიდა, მაშინვე მის საქაღალდეს ვეცი, რომ მენახა, საიდან იყო გამოგზავნილი სარეკომენდაციო წერილი. თბილისიდან! სააგენტო „ელიტური გადიები“. ნუთუ ასეთი სახელწოდების რამეებიც არსებობს თბილისში? რას არ მოიფიქრებენ ქართველები! ამ გაწამაწიაში ვიყავი, რომ მოულოდნელად ტელეფონი აწკრიალდა. ისეთი საშინელი ხმა ჰქონდა აპარატს, გული კიდევ უფრო შემიქანდა. ამას ისიც დაერთო, რომ უკვე აშიშინებული მადუღარა გამოირთო და მისი ღილაკი გაწკაპუნდა. კიდევ ერთხელ შემიქანდა გული.

ტელეფონი კვლავ აგრძელებდა რეკვას. ვიფიქრე, არ ავიღებ-მეთქი, მაგრამ არა და არ წყდებოდა გულის გამაწვრილებელი ხმა. რა უნდა მექნა? იძულებული გავხდი, მეპასუხა.

— გისმენთ, — ენერგიული ხმით ჩავძახე ყურმილში.

ქალის მელოდიურმა ხმამ ბატონი კახი ანდრონიკაშვილი იკითხა.

— სამწუხაროდ, ამწუთას შინ არ გახლავთ, — თავაზიანად ვუპასუხე, — ხომ არ გადავცე რამე?

— ვის ვესაუბრები?

— საქმიანი დაიჭირა ვიღაცამ ყურმილის მეორე ბოლოში.

— მე მდივანი გახლავართ, — დაუფიქრებლად წარმოვთქვი, თუმცა მთლად ტყუილიც არ მითქვამს, მან ხომ ახლახან შემომთავაზა ეს თანამდებობა, — თუ რამეს დამიბარებთ, როცა მოვა, მოვახსენებ.

წამიერი ყოყმანის შემდეგ ქალი ალაპარაკდა.

— სასიამოვნოა, გოგონი. მე სააგენტო „ელიტური გადიებიდან“ გირეკავთ, მარი კირვალიძე გახლავართ. სამწუხაროდ, ძიძა, რომელსაც შეგპირდით, დღეს ჩამოსვლას ვერ შეძლებს. მოგეხსენებათ, თბილისში ოპოზიციის გამოსვლები დაიწყო. აქციის მონაწილეებმა წუხელ სარკინიგზო ხაზი გადაკეტეს და მატარებლების მოძრაობა დროებით შეწყდა.

ამის გაგონებაზე შვებით ამოვისუნთქე. აგაშენოს ღმერთმა! ხანდახან გაფიცვასაც აქვს თურმე რაღაც დადებითი. ახლა კი ვირწმუნე, რომ მთლად უიღბლოც არ ვყოფილვარ!

— ჩვენ კი ძალიან შევშფოთდით, რომ არავინ მოვიდა, — საქმიანი კილოთი ვუპასუხე, — გვეგონა, არასერიოზულად მიუდექით ჩვენს პრობლემას, — ვითომ უკმაყოფილო დავრჩი, თან თვალებს არ ვაშორებდი კარს, კახი ყოველ წამს შეიძლებოდა შემოსულიყო.

— ვიცით, რომ თქვენც გამოუვალ მდგომარეობაში ხართ, მაგრამ არც ჩვენ ვართ უკეთეს დღეში. დამერწმუნეთ, ჩვენი სააგენტო სერიოზული ორგანიზაციაა, არ გვჩვევია კლიენტების დაღალატება, მაგრამ თავს ზევით ძალა არ არის. აქ ისეთი რამეები ხდება, მტრისას! ვშიშობ, რომ ჯერჯერობით ვერაფერს გავაწყობთ. სამარშრუტო ტაქსით გამოვუშვებდით, მაგრამ, სამწუხაროდ, ტრასებიც გადაკეტილია. ასე რომ, სავარაუდოდ, ორშაბათამდე მოგიწევთ ლოდინი. იმედია, მანამდე ყველაფერი მოგვარდება.

— რას ამბობთ, მართლა? — სიხარული უფრო გაისმა ჩემს ხმაში, ვიდრე წუხილი. — ეგ ვერ არის კარგი ამბავი.

— თუკი თქვენ გაქვთ საშუალება, ადგილზე იპოვოთ ვინმე, პრობლემა არ არის, კონტრაქტს გავაუქმებთ.

— არა, არა, არაფრის შეცვლა არ არის საჭირო. მე დაველაპარაკები ბატონ კახის და აუცილებლად შეგატყობინებთ, თუკი გადავიფიქრებთ.

— დიდი მადლობა, გენაცვალე, — დამტკბარი ხმით მიპასუხა ქალმა და დამემშვიდობა.

ყურმილის დაკიდება ვერ მოვასწარი, კარი რომ გაიღო და ჩემი ბოსი შემოვიდა.

— რას აკეთებთ? — კოპებშეკრულმა მკითხა.

— თქვენს არყოფნაში ტელეფონმა დარეკა. ხომ მითხარით, მდივანი არ მყავსო, ამიტომაც თავს უფლება მივეცი და ვუპასუხე.

— ეგ არ უნდა გექნათ.

— მაპატიეთ... მე მხოლოდ თქვენი დახმარება მინდოდა.

— ვინ იყო? — ანდრონიკაშვილი მაგიდას მიუჯდა და თვალი თვალში გამიყარა.

მისი მშვიდი, მაგრამ დაჟინებული მზერა, რომელიც თითქოს სულის სიღრმეში აჩანდა, საშიშროების მოახლოებას მიმანიშნებდა.

— ისა... ვიღაც ქალი იყო, მაგრამ სახელი არ უთქვამს...

— რას ჰქვია, არ უთქვამს! — გაღიზიანდა მწერალი.

— ნუ-უ...

— საავადმყოფოდან ხომ არ დარეკეს? — მამაკაცი წინ გადმოიხარა და გამომცდელად დამაშტერდა.

ახლა კი მივხვდი, რატომაც გაღიზიანდა. იგი ჯულიზე ნერვიულობდა. ალბათ ეკლებზე ზის, სანამ მისი ჯანმრთელობის ამბავს შეატყობინებენ.

— არა, არა, — სწრაფად ვუპასუხე, — მგონი, რომელიღაც კორესპონდენტი იყო. რაღაც უცნაურ კითხვებს მისვამდა. თქვენთან პატარა ბავშვი ხომ არ იმყოფება და მისი მამა ნამდვილად ანდრონიკაშვილია თუ არაო.

— და რა უპასუხეთ? — მამაკაცმა თვალებით ლამის გამხვრიტა.

— არაფერი, — დამფრთხალმა მზერა ავარიდე, — რამე უნდა მეპასუხა?

— უნდა გეთქვათ, რომ სხვის საქმეებში ცხვირის ჩაყოფას მოეშვან და თუ ერთ ზედმეტ სიტყვასაც კი დაბეჭდავენ თავიანთ უნიჭო გამოცემებში, სასამართლოში ვუჩივლებ! როგორ ვერ ვიტან ამ ჟურნალისტებს! რა ჩვევა აქვთ პირდაპირ! აუცილებლად ყველაფერი უნდა გაქექონ!

აჰა! რა კულტურულად გამომლანძღა! რომ სცოდნოდა, როგორ შემოიპარა მის სახლში ერთ-ერთი ასეთი ჟურნალისტი, მსგავსი „უნიჭო“ გამოცემიდან, სასამართლოში ჩივილი მერე უნდა გენახათ! ციმბირი უკან დამრჩებოდა ალბათ!



ოჰოო! პირველივე დანახვაზე მივხვდი, რა პრინციპულ ადამიანთანაც მქონდა საქმე. დარწმუნებული ვიყავი, რასაც იმუქრებოდა, გააკეთებდა კიდეც! ის დროა, ავიკრა გუდა-ნაბადი და მშვიდობიანად გავეცალო აქაურობას, თუკი ჯერ კიდევ შემრჩენია სალად აზროვნების უნარი, თორემ ეს ამბავი ისეთი დრამით დამთავრდებაააა! ცრემლებით.... ჩემი ცრემლებიიიიით!

— მაპატიეთ, — კახი სკამის საზურგეზე გადაწვა, ხელები თავქვეშ შემოიდო და უეცრად გაიღიმა, — ტყუილუბრალოდ გაგრიეთ ამ საქმეში, თქვენ არაფერ შუაში ხართ.

— პირიქით... ეს მე უნდა მოგიბოდიშოთ. არ უნდა მივსულიყავი ტელეფონთან... არ უნდა მეპასუხა, ეს არ იყო ჩემი საქმე.

— არა უშავს, — კვლავ გაიღიმა. ღიმილი საოცრად ცვლიდა მის ერთი შეხედვით პირქუშ სახეს, — სად შევჩერდით?

— ყავა უნდა დაგესხათ ჩემთვის, — შევახსენე.

თავში საშინელი აზრები მიტრიალებდა. ამწუთას ყავის დარდი სულაც არ მქონდა. მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, უმტკივნეულოდ როგორ გამეღწია აქედან. გავიპარო თუ რამე მოვიმიზეზო გარეთ გასასვლელად? როგორ სჯობია? არა, ასე დაძაბული დიდხანს ვერ გავძლებ. არადა, ჩემი ტყუილი რომ გასკდეს, ნამდვილად არ დამადგება კარგი დღე!

მამაკაცი წამოდგა, მომცრო კარადიდან ორი ფინჯანი გამოიღო, ყავა ჩამოასხა და ერთი ფინჯანი მე გადმომაწოდა.

— მე უშაქროს ვსვამ, თქვენ?

— მეც, — დაუფიქრებლად ვუპასუხე, თუმცა მოვიტყუე. უშაქრო ყავას კი არა, შხამს დავლევდი, ოღონდ რაც შეიძლება მალე გავსულიყავი ამ კაბინეტიდან.

ორივე ხელი გავიწვდინე მამაკაცისკენ, თან ისე გავაკეთე, თითქოს მოუხერხებლად დავიკავე ცხელი ფაიფურის ფინჯანი და მთელი ყავა მაგიდაზე დავღვარე. ერთიანად მოვწუწე იქაურობა.

— ვაიმე, რა ვქენი! — წამოვიყვირე. — მაპატიეთ, არ მინდოდა...

— არა უშავს, ხდება ხოლმე, — მშვიდად თქვა მამაკაცმა, უჯრიდან ქაღალდის ხელსახოცები გამოიღო და შავი ლაქის ამშრალებას შეუდგა.

— თუ შეიძლება, დაგეხმარებით, — დამნაშავესავით საწყალობელი მზერით ავხედე მწერალს და... ძალიან ახლოს აღმოვჩნდით ერთმანეთთან...

ახლაღა შევამჩნიე, რომ ძალიან ხშირი და აპრეხილი წამწამები ჰქონია, ხოლო სახე ისე ლამაზად ჰქონდა გარუჯული, მეც კი შემშურდა. კიდევ... კიდევ ოდნავ შესამჩნევი, მაგრამ საოცარი სურნელი ვიგრძენი... სრულიად უცნობი, მაგრამ აშკარად ძვირად ღირებული სუნამოს არომატი. ეს ისეთივე სასიამოვნო იყო, როგორიც მისი სუნთქვა, რომელიც სახეში მცემდა და ვიგრძენი, როგორ შევტორტმანდი რეტდასხმული. ჟრუანტელმა დამიარა სხეულში.

მამაკაცს გამომეტყველება არ შესცვლია. უკმაყოფილოდ ჩაიღიმა და სისველისგან გაშავებული ხელსახოცი კუთხისკენ მოიქნია, სადაც სანაგვე ყუთი იდგა.

— კიდევ ერთხელ გთხოვთ პატიებას, — ჩავიბურტყუნე ჩემთვის და სავარძელზე მოწყვეტით დავეხეთქე.

— იმედია, ყოველთვის ასეთი მოუხერხებელი არ ხართ, ქეთი... — შემპარავად მიმანიშნა ბოსმა.

— ამას მოუქნელობა უფრო ჰქვია, ბატონო კახი, ვიდრე მოუხერხებლობა. ბოდიშს გიხდით. არა, ნამდვილად არ ვარ ასეთი, ეს ისე შემთხვევით მოხდა, რომ... — ახლა მე გავღიზიანდი. ბრაზი მომდიოდა ჩემს თავზე, რა საზიზღრობაა, ამდენი ტყუილის თქმა რომ მიწევს! არადა, შეჩერებაც რომ არ შემიძლია?! რა ვქნა, პროფესია მაქვს ასეთი. ჩემში ჯიუტი ჟურნალისტური სული მძვინვარებს და სწორედ ეს მაიძულებს, რადგან აქამდე მოვაღწიე, კარგი სტატიის გარეშე არ წავიდე აქედან!

— იცით? მე გავალ... ბავშვს მივხედავ, თუ ნებას დამრთავთ...

— ნუ გეშინიათ, ყავა კიდევ მაქვს, ხელახლა დაგისხამთ, არც ისეთი ღარიბი ვარ, — უწყინარი ხმით მითხრა ანდრონიკაშვილმა და ჩვეულად გაიღიმა.

— დიდი მადლობა, მაგრამ უკვე აღარ მინდა. აჯობებს, წავიდე... — ვთქვი და წამოვდექი.

— ადგილზე დარჩით! — მოულოდნელად ისეთი მბრძანებლური ტონით მომმართა, ჟრჟოლამ ამიტანა და კვლავ დავჯექი.

მან რამდენიმე ყლუპი მოსვა, თუმცა ჩემთვის მეორედ აღარ შემოუთავაზებია სასმელი. ერთხანს ჩაფიქრებული იჯდა, მერე სუფთა ფურცელი აიღო, წინ დაიდო და კალამს გადასწვდა. მეგონა, რაღაცის დაწერას აპირებდა, მაგრამ შევცდი. იგი მონოტონურად აკაკუნებდა კალამს მაგიდაზე და მოღუშული რაღაცაზე ფიქრობდა.

— იძულებული ვარ, შეგახსენოთ, — ცივი ხმით დაიწყო ბოლოს, — რომ მე ძალიან მომთხოვნი ვარ. სწორედ ამიტომაც მივმართე თქვენს სააგენტოს და არა სხვას.

— რა თქმა უნდა, — ვცდილობდი, ჩემს ნათქვამში ირონია არ ჩამექსოვა, არადა, რა სიამოვნებით ავკისკისდებოდი ახლა!

— ვთხოვე თქვენს უფროსს, ქალბატონ მედეას, რომ საუკეთესო ძიძა გამოეგზავნა ჩემთვის. ვიმედოვნებ, მათ გაითვალისწინეს ჩემი თხოვნა. სხვათა შორის, ისიც მითხრეს თქვენზე, პროფესიონალი მზარეულია, არაჩვეულებრივ კერძებს ამზადებსო. მართალია? — იმავე ტონით დაასრულა კახიმ.

აუუუ! არ იცით, როგორ ძალიან ვეცადე, არ გავფითრებულიყავი! ცხოვრებაში არაფერი გამიკეთებია, კვერცხიც კი არასდროს მომიხარშავს! აი, ახლა უკვე ვიჭედები! ისე გამზარდა დედაჩემმა, ხელი არ გამიქნევია. საჭმელიც კი ლოგინში მოჰქონდა — ოღონდ ისწავლე და შენი გაკეთებული არაფერი მინდაო. ამ ბოლო ხანებში კი ვსაყვედურობდი ხშირად, რატომ არ მასწავლე კერძების მომზადება, ვერ ხედავ, არაფერი რომ არ მეხერხება, ასეთს ცოლად ვინ წამიყვანს-მეთქი?! ის კი ღიმილით მპასუხობს, როცა დაგჭირდება, შენით ისწავლი ყველაფრის გაკეთებასო.

— ხომ არ ვცდები, ხომ მართლა მედეა ჰქვია თქვენს უფროსს? — რატომღაც, მომეჩვენა, რომ მამაკაცი შეგნებულად ჩამეძია.

წამიერად გავიაზრე, როგორი პასუხის გაცემა აჯობებდა და თამამად შევხედე.

— პირადად მე, მხოლოდ მარი კირვალიძესთან მქონდა შეხება, — ვუპასუხე და კმაყოფილიც დავრჩი. ამჯერად არ მომიტყუებია, რადგან რამდენიმე წუთის წინ სწორედ ვინმე მარის ველაპარაკე „ელიტური გადიებიდან“ და მისი გვარ-სახელი კარგად დამამახსოვრდა.

— ჰო, ახლა მეც გამახსენდა. როცა პირველად დავრეკე, სწორედ მარი კირვალიძემ გამცა პასუხი. ავუხსენი, ისეთი ადამიანი მჭირდება, ვინც არა მარტო ბავშვს მოუვლის, არამედ სახლსაც დაალაგებს, სადილს გააკეთებს, გარეცხავს, დააუთოებს და ასე შემდეგ-მეთქი, — კახიმ ბოლო ყლუპი მოსვა და ფინჯანი განზე გასწია, — და რადგან გადავწყვიტე, რომ თავისუფალ დროს მე დამეხმაროთ ტექსტების გასწორებაში, ურიგო არ იქნება, თუკი დღის გრაფიკს შევადგენთ.

რაო, რაოოო?! დალაგება, სადილების მომზადება, გარეცხვა, დაუთოება და ბავშვის მოვლაო? ღმერთო ჩემო! ასეთი მონური შრომა მერი პოპინსსაც კი არ ჰქონდა! ნამდვილი ექსპლუატატორია! მე რა, ყოვლისშემძლე ვარ? ძიძების მოვალეობაში მხოლოდ ბავშვის მოვლა უნდა შედიოდეს და არა მოსამსახურის ფუნქციები. ეს ვინ ყოფილა! ფულში ცურავს და ერთი მოსამსახურე ვერ აუყვანია? რა დღეში ხარ, ქეთიიი!

— შენიშვნა ხომ არ გაქვთ? — მამაკაცი კვლავ საზურგეზე გადაწვა და შემომხედა.

— ა-რააა!

— მომეჩვენა, თითქოს რაღაცის თქმას აპირებდით...

— მოგეჩვენათ, — მკვახედ მოვუჭერი და მაშინვე ენაზე ვიკბინე.

მისი ყოველი შემოხედვა მაბნევდა. რაღაც საოცარი მზერა ჰქონდა, იდუმალი, გამოუცნობი და, ამავდროულად, მგრძნობიარე, თითქოს უსიტყვოდ ამბობდა სათქმელს. მისი ჩემდამი დამოკიდებულება ასეთ ტონს ნამდვილად არ იმსახურებდა. გარდა ამისა, თუ მინდოდა, კარგი სტატია გამომსვლოდა, რაღაც დათმობებზე უნდა წავსულიყავი. ბოლოს და ბოლოს, მართლა ძიძა ხომ არ ვიყავი! არადა, ნამდვილი ექსპლუატატორია! დამაცადოს! ისეთ წერილს გამ-

ოვაცხობ, მთელი საქართველო მასზე ალაპარაკდეს!

— ესე იგი, გამოდის, რომ შევთანხმდით.

— რამდენს გადამიხდით ამ ყველაფერში? — დავსვი საჭირბოროტო კითხვა. რა თქმა უნდა, სულაც არ მანაღვლებდა მისგან მიღებული ჰონორარი, მაგრამ ეს თამაში, რატომღაც, სიამოვნებას მანიჭებდა.

მამაკაცი მოიღუშა.

— კი, მაგრამ განა სააგენტოში არ გითხრეს, რამდენზე მოვილაპარაკეთ? — კითხვა შემომიბრუნა.

— მითხრეს, მაგრამ, — მხრები ავიჩეჩე და რაც შეიძლებოდა, უდარდელი ტონით გავაგრძელე, — მე ხომ დამატებითი სამუშაოც უნდა შევასრულო. მაგალითად, უნდა ვბეჭდო. ამის შესახებ იქ არავის გავუფრთხილებივარ.

კახიმ ცალი წარბი ასწია.

— ძალიან გულღია და პირდაპირი ხართ, ქეთი. მე მომწონს ეს თვისება, — თქვა და მცირე ხნით შეყოვნდა, მერე კი გააგრძელა, — მაშინ მოდი, მოვილაპარაკოთ, თანხაზე შევთანხმდეთ. ნაწილს, იცით ალბათ, რომ სააგენტო წაიღებს, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. რაც შეეხება პირადად თქვენთვის მოსაცემ თანხას, მე თქვენ გადაგიხდით...

და ანდრონიკაშვილმა ისეთი თანხა დამისახელა, კინაღამ ვიყვირე. წესით, არ უნდა გამკვირვებოდა, რადგან ჩემგანაც ძალიან ბევრს მოითხოვდა, მაგრამ საქართველოში ვინმეს თუ შეეძლო ძიძისთვის და თუნდაც მოსამსახურისთვის თვეში ათასი ლარის გადახდა, ვერ წარმომედგინა. არა, არა, სულ ტყუილად ვუწოდე ექსპლუატატორი! კეთილსინდისიერი კაცი ყოფილა, რას ვერჩოდი!

— რას იტყვით, ქეთი, გაკმაყოფილებთ ჩემი შემოთავაზება?

— მაკმაყოფილებს, — კვლავ უდარდელი ხმით ვუპასუხე, ჩემი გაოცება რომ დამემალა და გამომივიდა კიდეც.

— ამდენი ოდესმე ვინმეს გადაუხდია თქვენთვის?

— გულახდილად რომ გითხრათ, არა. ეს პირველი შემთხვევაა, მაგრამ...

— ვიცი, ვიცი, რასაც მეტყვით. საქართველოში დაქირავებულს დაფასება არა აქვს, დამქირავებელს კი — ფული, არა?

— პირველ შემთხვევაში მართალი ხართ, ბატონო კახი. ჩვენში ქალის შრომას სათანადოდ არასდროს აფასებენ. რაც შეეხება მეორეს, ვერ დაგეთანხმებით, დამქირავებელს ფული კი აქვს, მისი გაღების სურვილი არა აქვს მხოლოდ.

მამაკაცმა გულიანად გადაიხარხარა.

— რა მაგარი გოგო ხართ, რომ იცოდეთ! უფრო და უფრო მომწონხართ! — თავი კმაყოფილმა გადააქნია. — ჰო, მართლა, პარასკეობით დაისვენებთ, სხვა დღეებში აქ უნდა იყოთ.

— შესანიშნავია. მაგრამ ამაღამ ვერ დავრჩები, აუცილებელი შეხვედრა მაქვს და... — გამახსენდა, რომ ცარიელ-ტარიელი ვიყავი მოსული და ჩემს ნივთებზე როგორმე უნდა მეზრუნა.

— პაემანზე მიგეჩქარებათ? თბილისიდან ჩამოსულმა როდის მოახერხეთ ვინმეს გაცნობა?

— არა, არა, რა პაემანი! — ხელები გავასავსავე.

მომეჩვენა, რომ ამ მომენტში მამაკაცი ისეთი მრისხანე თვალებით მიყურებდა, მინებსაც კი ჩაამსხვრევდა.



— ქალბატონო ქეთი! — უეცრად მკაცრად მომმართა. — მე ისეთი ადამიანი მჭირდება, რომელიც გარკვეული დროის განმავლობაში ნუკიზე თავდაუზოგავად იზრუნებს. ნამდვილად არ მჭირდება ისეთი ძიძა, რომელიც ყოველ საღამოს იმაზე იოცნებებს, რაც შეიძლება ჩქარა გაიქცეს საყვარელთან პაემანზე.

იმდენად გამაოგნა მისმა სიტყვებმა, საკუთარ ყურებს არ ვუჯერებდი.

— საყვარელთან გაიქცეს? — სიბრაზისგან ხმა ამიკანკალდა. — როგორ მიბედავთ ასეთ ლაპარაკს?! მე... მე თქვენ ვინმეში ხომ არ გეშლებით!

— გიბედავთ, ქალბატონო ქეთი, გიბედავთ! — ოფიციალური ტონით შემომიტია. — ჩემთვის ნუკი მთავარი საზრუნავია. მე დარწმუნებული უნდა ვიყო, რომ იგი საიმედო ხელშია და რომ მასზე მთელი გულისყურით ზრუნავს ვიღაც. მოდი, პირდაპირ გეტყვით. ამ საღამოს თქვენ არსადაც არ წახვალთ. თუკი ხვდებით, რომ მთელ თქვენს დროს, სანამ მე მჭირდებით, ბავშვის მოვლას და ჩემს სახლს ვერ დაუთმობთ, ახლავე მითხარით, ტყუილად რომ არ დაგაყოვნოთ. მე კი სხვა მომვლელს ვიშოვი.

— თქვენც არანაკლებ გულღია და პირდაპირი ყოფილხართ, პატივცემულო კახი, — თავი ვერ შევიკავე, აშკარა დაცინვა გაისმა ჩემს ხმაში.

— ესე იგი, ერთმანეთს გავუგეთ, არა?

— გადასარევად გავუგეთ, — ირონიულად შევნიშნე.

— ჰოდა, ძალიანაც კარგი, — მშრალად მიპასუხა ანდრონიკაშვილმა და კვლავ საზურგეზე გადაწვა.

ტუჩებზე ოდნავ შესამჩნევი ღიმილი დასთამაშებდა. და... სწორედ იმწუთას მივხვდი, რომ ეს კაცი რაღაცნაირად მიზიდავდა. მას ისეთი მიმზიდველობა ჰქონდა, შეუძლებელი იყო, გაჰქცეოდი. არც მქონდა ამის სურვილი. მიუხედავად იმისა, რომ მასთან ურთიერთობა ცოტათი მძაბავდა, მაინც მსიამოვნებდა, რომ ბედისწერამ სწორედ მას შემახვედრა. ასეთი მამაკაცები იშვიათობაც იყო და... ჩემი სისუსტეც.

— მაშ ასე, — მისმა სიტყვებმა რეალურ სამყაროში დამაბრუნა, — ერთადერთი ისღა რჩება, თქვენი დღის გრაფიკი შევადგინოთ. ამაღამ ნუღარ იზრუნებთ ვახშამზე, ყავა და ბუტერბროდები საკმარისი იქნება. მე ჯერ სამუშაო მაქვს, გვიანობამდე მომიწევს კომპიუტერთან ჯდომა, — კახი თან ლაპარაკობდა, თან რაღაცას გამალებით წერდა, — ხვალ კი... ხვალ... ვნახოთ... საუზმეზე კარგი იქნება, თუკი ყავასთან ერთად ფრანგულ სალათას მოამზადებთ. ძალიან მიყვარს ეს კერძი. ვნახოთ, თქვენ როგორ გამოგდით. საუზმე ცხრისთვის მზად უნდა იყოს. სიზუსტე მიყვარს, ვერ ვიტან, როცა რამეს აგვიანებენ. იმედია, წინააღმდეგი არ იქნებით.

— მე არა, თუკი ნუკიც თანახმა იქნება, — კეკლუცად შევღიმე ჩემს სიმპათიურ დამქირავებელს, თან იმაზე ფიქრით ვიმტვრევდი თავს, რა ჯანდაბა იყო ეს ფრანგული სალათა, როგორ და რისგან მზადდებოდა იგი.

— სადილი ორ საათზე გვექნება. აჯობებს, რამე მსუბუქი მოამზადოთ. შეგიძლიათ გამაკვირვოთ, თუკი თქვენი კულინარიული ფანტაზია ამის საშუალებას გაძლევთ.

„ჰა-ჰა-ჰა... ჩემი მომზადებული სადილი თუ გაგასინჯე, გულძმარვა არ აგცდება, ჩემო კარგო და ამით ნამდვილად რომ გაგაკვირვებ", — გავიფიქრე ჩემთვის და ჩავახველე.

— საყიდლებზე როდის უნდა წავიდე? — ამ კითხვის პასუხი ყველაზე მეტად მაინტერესებდა, იქნებ როგორმე მეხელთა დრო და ცოტა ხნით მაინც შემძლებოდა სახლიდან გასვლა. — პროდუქტი ხომ უნდა ვიყიდო ბუტერბროდების მოსამზადებლად.

— მაგაზე არ იდარდოთ. მაგას ანდრო მიხედავს, წავა და ყველაფერს მოიტანს, რასაც დაავალებთ.

— საერთოდ... მე არ მიყვარს, როცა პროდუქტების მოსატანად სხვები დადიან. ვამჯობინებდი, თვითონ მეყიდა ყველაფერი. კარგი არჩევა ვიცი, მიჩვეული ვარ.

— ანდროზეც იგივე შემიძლია ვთქვა, — არ დამითმო კახიმ.

— როგორც გნებავთ, — მივხვდი, სხვა გზა არ მქონდა და ფარ-ხმალი დავყარე.

***გაგრძელება შემდეგ ნომერში***

# ასეთია ქურდი ქალის ბედი

მარი ჯაფარიძე



დიანა სამზარეულოში იჯდა, სიგარეტს ეწეოდა და ყავას პატარა-პატარა ყლუპებით სვამდა. ამ დროს შემოსასვლელი კარი გაიღო და ზღურბლზე ოჯახის უფროსი გამოჩნდა. ქალმა ყავის ჭიქა დადგა, ნახევრად ჩამწვარი სიგარეტი საფერფლეზე დადო, ზანტად წამოდგა და ქმართან მივიდა.

— ძალიან დავიღალე, ნეტავ, თუ მეღირსება ოდესმე ადამიანურად დასვენება?

დიანამ არაფერი უპასუხა, სანდროს პიჯაკის ღილები შეუხსნა, გახადა და იქვე მიაგდო. შემდეგ ჯერ ლოყაზე აკოცა და როცა ტუჩებისკენ გაიწია, მამაკაცმა ხელი ჰკრა მსუბუქად.

— ხომ გითხარი, რომ ძალიან დავიღალე, ახლა გართობის გუნებაზე არ ვარ, მშია და რამე მაჭამე.

დიანამ ავად შეხედა ქმარს, მაცივრის კარი გამოაღო, ძეხვი და ყველი გამოიღო და წინ დაუდგა.

— სულ ესაა?

— მეტი არ დაგიმსახურებია, — უთხრა ქმარს, სიგარეტი და საფერფლე აიღო და სამზარეულოს კარი გაიჯახუნა. აივანზე გავიდა, სავარძელში ჩაჯდა და ღრმა ნაფაზი დაარტყა.

დიანამ თვალები მილულა და მოგონებებმა 15 წლის წინანდელ ცხოვრებაში დააბრუნა. ახალგაზრდობის წლები გაიხსენა... როგორ შეუყვარდა საუკეთესო მეგობრის ქმარი და რა არ იღონა, რომ მათი ოჯახი დაენგრია.

ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე იყო, როცა უფლისწულზე ოცნებობდა, რომელიც ზღაპრულ ქვეყანაში წაიყვანდა და დედოფლად აქცევდა. პატარა, პროვინციულ ქალაქში, სადაც დიანა მაღაზიაში, გამყიდველად მუშაობდა, თვალს ვერავის დაადგამდა, რადგან ამ ქალაქში უფლისწულები არ ცხოვრობდნენ. მეგობრები ერთმანეთის მიყოლებით თხოვდებოდნენ, ის კი ძველებურად, მხოლოდ ოცნებობდა.

ერთხელ, ანას დაბადების დღეზე მის ქმარს დაადგა თვალი და მიუხედავად იმისა, რომ ანასა და გიგას 2 შვილი ჰყავდათ, მასთან ფლირტის გაბმა სცადა და სამომავლო გეგმებიც დასახა. ამ დღიდან 3 თვეც არ იყო გასული, რომ ანა ქარიშხალივით შეიჭრა დიანასთან და ახარა:

— წარმოგიდგენია? ორსულად ვარ!

— რაა?! — რაღაცნაირად გაწელა დიანამ და მეგობარს გამომცდელი თვალით შეხედა. — და რა გიხარია, შე სულელო? უნდა ტიროდე, კი არ უნდა იცინოდე. შენ ხომ 2 პატარა ბავშვი გყავს! მესამე შვილით ქმრის შენარჩუნება ხომ არ გინდა?.. სარკეში ჩაიხედე, ვერ ხედავ, მშობიარობის შემდეგ რას დაემსგავსე?! საშინლად გასუქდი და ერთხელ კიდევ რომ იმშობიარო, კარში ვეღარ შემოეტევი. უხარია ქალს!.. თუ გგონია, რომ შენი ქმრის გონება მხოლოდ ბავშვის საფენებითა და სათამაშოებითაა დაკავებული, ძალიან ცდები. იცი, ჩემმა თანამშრომელმა ამას წინათ თავის ქმარს სხვა ქალთან შეუსწრო!.. თუ ის დღეს არ გღალატობს, შესაძლოა, ხვალ, ზეგ ან 1 წლის შემდეგ გიღალატოს. ყველა მამაკაცი ნადირი და მტაცებელია და მზად არის, ახალი ხორცის ყველა ნაჭერი დაითრიოს.

„რაში მჭირდება სამშვილიანი მამაკაცი?!.“ — გაიფიქრა დიანამ და ანას უთხრა, რომ ნაცნობი გინეკოლოგი ჰყავს, რომელიც აბორტს გაუკეთებს.

აბორტმა ცუდი შედეგი გამოიღო. ანას სიცხემ აუწია. ვიდრე ის საავადმყოფოში იწვა, დიანამ გიგას მიაკითხა.

— ვერ გამიგია, რატომ გადადგა ასეთი ნაბიჯი? რამ უბიძგა, რომ ბავშვი მოეშორებინა? შოკში ვარ! ხანდახან ისიც კი მგონია, რომ ეს ბავშვი ჩემი არ იყო.

დიანამ თვალები დახარა და ოდნავ ჩაახველა.

— გასაგებია, შენ ყველაფერი იცოდი. მე რატომ არ ჩამაყენე საქმის კურსში?

— მე სანთელი ხელში არ მჭერია.

— ვინაა?

— ვისზე მეკითხები?

— ჩემთვის ამის ცოდნა ძალზე მნიშვნელოვანია... გუშინ მის მკურნალ ექიმს ველაპარაკე. ანა მთელი ცხოვრება ინვალიდად დარჩება... წარმოგიდგენია? ინ-ვალი-დად!

— ძალიან მეცოდები, გიგა, — მოწყენილი სახით უთხრა დიანამ, — ანა, როგორც ქალი, უკვე აღარაფრად ვარგა, მაგრამ ამის გამო ნერვიულობა არ ღირს.

— მე ხომ ის ძალიან მიყვარს, მისი მჯეროდა... მან კი...

— უცოდველი ადამიანები არ არსებობენ.

— მაგრად დამამშვიდე, არა?! — გაღიზიანება ვერ დაფარა გიგამ.

საავადმყოფოდან დაბრუნებული ანა 2 კვირის განმავლობაში საწოლიდან ვერ დგებოდა. თავბრუ ეხვეოდა და მარცხენა ფეხი თითქმის არ ემორჩილებოდა.

გიგა თბილისში მუშაობდა. ვინაიდან სახლიდან ყოველდღე სიარული შეუძლებელი იყო, ის მთელი კვირის განმავლობაში დედაქალაქში რჩებოდა, შინ კი მხოლოდ შაბათ-კვირას ჩამოდიოდა.

ის ცოლის მიმართ ძველებურ ლტოლვას ვეღარ გრძნობდა.

ერთ ორშაბათს, დილით, შინიდან გასვლისას ანას საწოლს მიუახლოვდა და მოწყენილი ხმით ჰკითხა:

— რატომ გადაწყვიტე ბავშვის მოშორება? სადაც 2, იქ მესამეც გაიზრდებოდა. ის საკუთარი შვილივით მეყვარებოდა.

— ის ისედაც შენი შვილი იყო, — ჩურჩულით უთხრა ანამ, — მე შენთვის არ მიღალატია.

— ნუ მატყუებ, — ჩაიცინა ქმარმა, საჭირო ნივთები მოაგროვა, ჩანთაში ჩაყარა და შინიდან გავიდა. მთელი გზა მისი ფიქრი ცოლს დასტრიალებდა. მას თავიდან არ შორდებოდა ის აზრი, რომ დიანამ არ უარყო ანას ღალატის ფაქტი.

ამასობაში დიანამ თბილისში სამსახური იშოვა და საცხოვრებლად იქ გადავიდა. დიანა ყოველ საღამოს სტუმრობდა გიგას, ისიც ყოველ საღამოს თვალცრემლიანი ეუბნებოდა, რომ ვერ წარმოედგინა, ცოლი თუ უღალატებდა.

— შეცდომა ვის არ მოსვლია?! — თმაზე ხელი გადაუსვა ქალმა.

— შენც ასე მოექცეოდი საყვარელ ადამიანს, რომელიც შენი და შვილების გულისთვის ყველაფერზე წამსვლელია? შეძლებდი, რომ ქმრისთვის გეღალატა?

— მე? — გოცებულმა იკითხა დიანამ. — არასოდეს! მე მხოლოდ სიყვარულით გავთხოვდები და ქმრის მარჯვენა ხელი ვიქნები.

იმ შაბათ-კვირას გიგამ საქმე მოიმიზეზა და შინ არ წავიდა. ანას ჯანმრთელობის ამბის გასაგებად და სანახავად დიანა გაემგზავრა.

ანა გამოუტყდა, რომ ქმრის დაკარგვის ძალიან ეშინოდა, რადგან გიგა არ უჯერებდა, რომ აბორტის მიზეზი მისი გასუქება გახდა და არა — ღალატი.

— ოპერაციის შემდეგ თავს როგორ გრძნობ? „ის“ ამბავი როგორაა? — დიანამ მეგობარი თავიდან ბოლომდე შეათვალიერა.

— რაც საავადმყოფოდან გამოვედი, იმის შემდეგ „ის“ არ გვქონია.

— რატომ? მას აღარ სურს სექსი თუ შენ არ შეგიძლია?

— ერთიც და მეორეც, — თვალზე ცრემლი მოადგა ანას, — შეხედე, რას დავემსგავსე, დღითი დღე ვსუქდები... თან ეს ფეხიც...

სიახლე იმის შესახებ, რომ ანა მტკივანი ფეხის სამკურნალოდ ივნისის ბოლოს ურეკში მიდიოდა, დიანამ მეგობრის მესიჯით შეიტყო. ის სთხოვდა, მის წასვლამდე დიანას შვებულება აეღო, მასთან ჩასულიყო და გიგასთან ერთად დარჩენილიყო, რომ ბავშვების მოვლაში დახმარებოდა.

ეს დრო საკმარისი აღმოჩნდა, რომ დიანასა და გიგას ურთიერთობას სერიოზული სახე მიეღო.

ერთხელ, ძმის სახლთან მიმავალმა გიგას დამ მისი მონახულება გადაწყვიტა. ვინაიდან გვიანი საღამო იყო, გაიფიქრა, — ბავშვებს უკვე ეძინებათო, — და რომ არ გაეღვიძებინა, ფრთხილად შეაღო სახლის კარი. სამზარეულოდან ხმა შემოესმა და ისიც იქითკენ წავიდა. კართან მისული კი გახევდა: შიშველი დიანა გიგას სამზარეულოს კედელთან მიეყენებინა და მისი ალერსით იყო გართული. ქალს ჯერ ეგონა, რომ მოეჩვენა, მაგრამ როდესაც მიხვდა, რომ ყველაფერი რეალურად ხდებოდა, გაოგნებულმა იკივლა.

— რას აკეთებთ, თქვე ურცხვებო?! ამას ყველაზე საშიში ნადირიც კი არ იკადრებს! ნამდვილი ცხოველები ხართ!

ქალი დიანას თმაში სწვდა და დაითრია. არც დიანა ჩამორჩა და შიშველმა, თავის მხრივ, გიგას და ითრია თმით. გიგამ ქალების გაშველება სცადა. ამ დროს დამ მკლავში კბილები ჩაასო და მამაკაცმა ისე იყვირა, რომ სახლი შეზანზარდა. დაუპატიჟებელი სტუმარი გაიქცა.

ამ ამბიდან 20 წუთიც არ იყო გასული, რომ გიგას მშობლები მოვიდნენ...

კაცი ძალიან გაბრაზდა, ბავშვები მშობლებს დაუტოვა, დიანას ხელი ჩაჰკიდა და თბილისში წამოიყვანა.

— ასე ცხოვრება აღარ შემიძლია, რატომ უნდა გავიხლიჩო შენსა და ანას შორის? რატომ უნდა ვიცხოვრო იმ ქალის გვერდით, რომელმაც მიღალატა? მე შენ მიყვარხარ და შენთან ცხოვრება მინდა! — უთხრა ქალს, როდესაც შინ მიიყვანა.

— ნუ აჩქარდები. ისე უნდა მოვიქცეთ, რომ ანამ თვითონ მოითხოვოს განქორწინება.

— ამას რა მნიშვნელობა აქვს?! — იკითხა მამაკაცმა.

ქალმა კი მხოლოდ გაუღიმა.

ახალი ამბავი იმის შესახებ, რომ ანამ ქმარს უღალატა, საყვარლისგან დაფეხმძიმდა და აბორტი გაიკეთა, პატარა ქალაქს მალე მოედო. ამბის გამავრცელებელი, რა თქმა უნდა, დიანა იყო.

სულ მალე, გიგამ თბილისში ამბავი ჩამოიტანა, რომ ანას მასთან განქორწინება სურდა, გიგა კი დაჰპირდა, რომ შვილების გაზრდაში დაეხმარებოდა.

— აი, ხომ ხედავ, ყველაფერი კარგადაა. მთავარია, ყველაფერი წინასწარ გათვალო, — თვალები აანთხულა დიანამ.

— იცი, რაღაც, ვნერვიულობ, იქნებ ის მართლა ჩემი შვილი იყო?

— სისულელეს ნუ ამბობ, ის ბავშვი შენი რომ ყოფილიყო, ხომ არ დაგიმალავდა?

— არ ვიცი... — არცთუ დამაჯერებელი ტონით თქვა მამაკაცმა.

— შენ თუ არ იცი, მე ვიცი! ანამ გიღალატა და — არაერთხელ!

— არც ერთი ქალის არ მჯერა! მორჩა! ყველა ქალი ერთნაირი მოღალატეა და მეორედ არასოდეს დავქორწინდები! — განრისხებული სახით თქვა გიგამ და უკანმოუხედავად წავიდა დიანას სახლიდან.

ამის შემდეგ ის უფრო და უფრო იშვიათად ჩნდებოდა საყვარლის სახლში. ხან რას იმიზეზებდა და ხან — რას.

ყოველ შაბათ-კვირას შინ მიდიოდა, ბავშვებთან თამაშობდა, საღამოს კი — მშობლებთან, ღამის გასათევად.

მაგრამ ასეთი თავისუფლება დიდხანს არ დასცალდა. ერთ დილით მის კაბინეტში ტელეფონმა დარეკა. დიანამ ატირებულმა აუწყა, რომ ფეხმძიმედ იყო და აბორტის გაკეთების ძალიან ეშინოდა.

პატარა ქალაქში ეს ამბავიც მალე გავრცელდა. გიგა იძულებული გახდა, ყოფილი ცოლის ყოფილი დაქალი ცოლად შეერთო.

მათ ხელი მოაწერეს და რესტორანში რამდენიმე მეგობართან ერთად ივახშმეს. გიგას არც ერთი ნათესავი და მეგობარი ამ ქორწილს არ დასწრებია.

„როგორც იქნა, ბედნიერი ვარ, დიანას ვუყვარვარ და არასოდეს მოიქცევა ანასავით, არავის მისცემს ჩემი დაცინვის საშუალებას“... — ფიქრობდა ქორწილის ღამეს მამაკაცი.

წყვილს ვაჟი შეეძინა. გიგა თავს კარგად გრძნობდა. როგორც იქნა, მისი ცხოვრება დაწყნარდა და ყველაფერი თავის ადგილზე დადგა.

ერთ საღამოს ცოლ-ქმარი გიგას უფროსის დაბადების დღეზე წავიდა. იუბილარის ცოლი იქ არ გახლდათ და დიანამ დრო იხელთა — მასპინძელთან რამდენჯერმე იცეკვა და თვალებით მისი მონუსხვაც სცადა.

რამდენიმე კვირის შემდეგ ბავშვი რაიონში, მშობლებთან წაიყვანა და დატოვა. თვითონ კი ქმრის სამსახურში სიარულს მოუხშირა.

2 თვე საკმარისი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ სანდროს გული მოეგო და მის საწოლში ამოეყო თავი. მამაკაცს თავგზა აებნა, ქალი მთელი გულით შეიყვარა. რამდენიმე თვის შემდეგ კი მისი და დიანას ურთიერთობის შესახებ ცოლმაც შეიტყო.

— იცი, რომ დღეს სამსახურში შენმა ცოლმა დამირეკა? — თვალები მილულა ქალმა.

— მერე, რაო?

— ჩვენ შესახებ ყველაფერი იცის.

— ეს მისი პრობლემაა, მე შენ მიყვარხარ და არ მაინტერესებს ჩემი ცოლის აზრი.

— ჩემი სიყვარულის უფლებას მხოლოდ ერთი პირობით მოგცემ...

— რა პირობაა?

— ცოლს უნდა გაშორდე!

— მე შენ მიყვარხარ!

— ვიცი და ეს ყველაფერი ძალიან მომბეზრდა. ბოლოს და ბოლოს, არჩევანი ხომ უნდა გააკეთო?!

— არ მიმატოვო! — რაღაცნაირი, ჩახლეჩილი ხმით უთხრა მამაკაცმა. — რა გამიკეთე ისეთი, რომ უშენოდ ველარ ვძლებ? სულ შენზე ვფიქრობ, სულ შენ მინდიხარ, მოსვენება დავკარგე. მითხარი, რომ არ მიმატოვებ და ჩემი ერთგული იქნები, — მამაკაცი მუხლებზე დაეშვა, ქალს ფეხებზე ხელები შემოხვია...

დიანა კიდევ კარგა ხანს იჯდა აივანზე და სანდროსთან გატარებულ წლებზე ფიქრობდა... ბოლოს, ქალს რული მოერია და საძინებლისკენ გაემართა. ოთახში შესულს ქმრის ხვრინვა მოესმა და მთელი ხმით იყვირა:

— როდის მოეღება ბოლო ჩემს ტანჯვას? ღმერთო, დამაქვრივე, რა იქნება!

სანდრომ თვალები ოდნავ გაახილა და გაიღიმა:

— დაქვრივება რად გინდა?! მაგას ვერ ეღირსები, სიხარულო! მე ქალი მყავს... ახალგაზრდა ქალი... მე ის მიყვარს! ასე რომ, ჩემო დიანა, განქორწინებისთვის მოემზადე! — წყნარი ხმით წარმოთქვა მამაკაცმა და გვერდი იცვალა.

-— ქალი?! რაებს როშავ? ვის სჭირდება შენი გაფუჭებული „აპარატი“?!

— ეგ შენთვისაა გაფუჭებული, თორემ იმისთვის, ვინც ბოლო 3 წელია, ჩემ გვერდითაა და ვინც გოგონა გამიჩინა, სულაც არაა გაფუჭებული.

— შენ რა, დამცინი?! — სახე მოეღუშა ქალს.

— არა, რატომ დაგცინი?! მე დიდი ხნის წინ წავიდოდი შენგან, მაგრამ მან არ ინდომა ჩვენი ოჯახის დანგრევა.

— ვინაა ეს გველი?

— ჩემი მდივანია.

— არა! არა! — თავზე ხელები იტაცა დიანამ. — მითხარი, რომ იხუმრე! სამსახურში ვინმემ იცის, რომ მღალატობდი? — შეშინებული ხმით იკითხა თვალცრემლიანმა ქალმა.

— ყველამ იცის, მათ შორის, შენმა ყოფილმა ქმარმა, გიგამაც.

ქალი საწოლზე დაეცა და ხმამაღლა აქვითინდა.

სანდრო წამოდგა, ჩაიცვა, კარადა გამოაღო და თავისი ნივთების ჩალაგებას შეუდგა...

■




დასაწყისი იხ. „გზა“, № 43, 2009 - №1, 2010

მარი ჯაფარიძე

— მე გჩუქნი, კი, იმ ვარდებსაც მე გჩუქნი... არ მეგონა, ბედი ჩვენს შეხვედრას ასე მალე თუ გადაწყვეტდა. სანამ გიორგისთან წვეულებაზე ერთმანეთს შევხვდებოდით, სულ ორჯერ მოვასწარი თაიგულის გამოგზავნა...

— სამაგიეროდ, ახლა ჩემი სახლი უკვე ვარდებითაა სავსე და აღარ ვიცი, სად წავიღო. შენ წარმოიდგინე, ის, პირველად მოტანილი ვარდებიც კი ისევ ისე გამოიყურება, თითქოს ახლახან დაკრიფესო, — ანა უცებ მოლბა რატომღაც. თვითონვე გაუკვირდა, რომ ირაკლის საქციელმა და კოცნამ არ გაალიზიანა. თუმცა ცოტა კიდევ იყო გაბრაზებული, მაგრამ არ უნდოდა, რომ ეს გამოემჟღავნებინა.

— ანა, შევრიგდით, ხომ? — ჩაეკითხა მამაკაცი.

— კარგი, შევრიგდეთ. ოღონდ სხვა დროს ჩემს დაუკითხავად რომ შემეხო, განანებ, იცოდე, — ღიმილით დაემუქრა.

— მაშინ, პირობა მომეცი, რომ რამდენჯერაც ნებართვას გთხოვ, იმდენჯერ ამ ნებართვას მივიღებ.

— მდივანთან ჩაეწერე მიღებაზე, — გაეხუმრა ქალი.

— კარგი, ჩავეწერები. იმედია, რიგში დიდხანს დგომა არ მომიწევს ხოლმე. ისე, დარწმუნებული ვარ, ჩემი კოცნა მოგეწონა და აწი ამ მომენტის გახსენებაზე ტანში ჟრუანტელი დაგივლის, — ხუმრობითვე უპასუხა ირაკლიმ და კარის გასაღებად გაემართა, რადგან გიორგი ფეხით აბრახუნებდა — ხელები დაკავებული ჰქონდა. უამრავი პაკეტი ამოეჩარა და მკერდზე მიეხუტებინა.

— ანა მოვიდა? — შემოსასვლელშივე იკითხა. — მანქანა დავინახე ეზოში. ისე, რა უცნაური ნომერი გაქვს, გოგო, რას ნიშნავს ეგ სიტყვა? ვერც დავიმახსოვრე, სიმართლე რომ გითხრა, — შორიდანვე გამოელაპარაკა გიორგი, პაკეტები ბარზე დააწყო და გამობრუნდა.

— ლათინური რომ იცოდე, მიხვდებოდი, რას ნიშნავს. კეთილი ინებე, ლექსიკონი გადაშალე და გაიგებ.

— და შენ რომ მითხრა, რა მოხდება?

— ეჰ, გიორგი, გიორგი, სულ გაზარმაცდები ასე... ამერიკაში იცი, ხალხი როგორაა გაზარმაცებული? იქაურმა ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა საიმისოდ, რომ ადამიანები აზროვნებას გადაეჩვიონ. ყველაფერს ახსნა-განმარტება ახლავს თან. მაგალითად, შედიხარ მაღაზიაში, კარზე წაწერაა — „შეაღე“ ან „გამოაღე“; მერე ისარი გიჩვენებს, საით უნდა წახვიდე; მიხვალ თაროსთან, სადაც პროდუქტი აწყვია და აწერია — „აიღე“... ამერიკელი აქ რომ ჩამოვიდეს და უბრალო მაღაზიაში შევიდეს, დაიბნევა, გეფიცები. შეიძლება, პურიც ვერ იყიდოს, ისე გავიდეს, რადგან პურზე არ აწერია — „აიღე“. ჰოდა, ნებართვა არა აქვს და არ აიღებს...

— შენმა ნათქვამმა ის ანეკდოტი გამახსენა, სვანზე, საპარიკმახეროში ყურსაცვამებით რომ შევიდა, — ხმამაღლა გაიცინა ირაკლიმ.

— აბა, თქვი ერთი, თუ არ გეშინია: 2 სვანი ვართ ერთად, არ დაგავიწყდეს, — შეაგულიანა გიორგიმ, — ანა, ლუდს დალევ? — ბოთლს თავსახური ახადა ნიჟარაძემ და როდესაც ქალისგან თანხმობა მიიღო, მიაწოდა.

— ჰოდა, პარიკმახერმა უთხრა: უკაცრავად, მაგრამ ეს ყურსაცვამი მიშლის და მარჯვენა ყურიდან მოგხსნით, თუ შეიძლებაო. სვანმა ნება დართო. მერე მეორე ყურიდანაც მოხსნა ყურსაცვამი და რამდენიმე წამის შემდეგ სვანმა ხროტინი დაიწყო, დაიგრიხა, სავარძლიდან ჩამოცურდა და მოკვდა. გადაირია პარიკმახერი, პოლიცია გამოიძახა. ექსპერტმა სიკვდილის მიზეზი დაადგინა — გაიგუდა უჰაერობის გამო. იფიქრეს: მოდი, ვნახოთ, რას უსმენდაო. ჩართეს „ფლეერი“, გაიკეთეს ყურსაცვამები და მოუსმინეს: „ჩაისუნთქე“, „ამოისუნთქე“, „ჩაისუნთქე“, „ამოისუნთქე“...

ყველამ გულიანად გაიცინა.

— ისე, მაგ სვანის რა მოგახსენოთ, მაგრამ მე 3 წლის ვიყავი, ნინო რომ დაიბადა და სულ მეშინოდა, სუნთქვა არ დავიწყნოდა და დედას ვახსენებდი ხოლმე, — დედა, ბაიას არ დაავიწყდეს, რომ უნდა ისუნთქოს, ნახე, თუ სუნთქავს-მეთქი, — ანამ ლუდის ბოთლი მიიყუდა და გრილი სითხე მოსვა.

— ნამდვილი სვანი ხარ! — გულიანად ხითხითებდა ირაკლი.

— არის და რა ქნას?! — გიორგიც აჰყვა.

იმ საღამოს საქმეზე არ ულაპარაკიათ. ანა ისე კარგად გრძნობდა თავს ამ ორი მომხიბვლელი მამაკაცის გვერდით, საქმეზე ლაპარაკით იდილია აღარ დაარღვია და გიორგის მხოლოდ წამოსვლისას დაუბარა, რომ მეორე დღეს ოფისში მივიდოდა.

ის და ირაკლი ერთად გამოვიდნენ ნიჟარაძის სახლიდან.

— ისე, ახალი კანონპროექტი უნდა წარვადგინო პარლამენტში, — თქვა მამაკაცმა, როცა კიბეზე ჩადიოდნენ.

— რა კანონპროექტი?

— რა და — ქალებს საჭესთან ჯდომა უნდა ავუკრძალოთ.

— შენ გგონია, ცუდად ვატარებ? — იუკადრისა ანამ.

— არა, მაგას არ ვგულისხმობდი. ახლა მანქანით რომ არ იყო, შემოგთავაზებდი, წაგიყვან-მეთქი და ცოტა ხანს კიდევ დავტკბებოდი შენთან ყოფნით, — გაუღიმა მამაკაცმა, — რაც შეეხება მართვას, ქალები ნურასოდეს შეეჯიბრებით მამაკაცებს, ბატებივით დადიხართ.

— გინდა, შევეჯიბროთ? — უკან არ დაიხია ქალმა.

— მიწვევ?

— ნაძლევზე „გეპატიჟები“.

— პირობა როგორი იქნება? — დაინტერესდა ირაკლი.

— ერთი სურვილის შესრულება, — ინტრიგა ჩააგდო ქალმა, — ოღონდ, თანაბარ პირობებში უნდა ვიყოთ: შენს მანქანას ძრავა რამდენიანი აქვს?

— შენსას არ ჩამოუვარდება. სად წავიდეთ?.. — დაფიქრდა ირაკლი. — მე ვიცი, სადაც წავალთ, მომყევი, — უთხრა

ანას და საჭეს მიუჯდა, — რუსთავის გადასახვევთან ავტორალისთვის მოწყობილი ტრასაა, იქ წავიდეთ, — ღია ფანჯრიდან მიაძახა თავისი მანქანისკენ მიმავალ ანას.

ანამ მანქანის ტაბლოზე საათს შეხედა. ღამის პირველი საათი იყო. ქალაქში მანქანები კანტიკუნტად მოძრაობდნენ და თბილისიდან გასასვლელად სულ რამდენიმე წუთი დასჭირდათ. ნახევარ საათში უკვე დანიშნულების ადგილზე იყვნენ.

შესასვლელში, პატარა ჯიხურში დარაჯს ეძინა. შუახნის მამაკაცი თვალების ფშვნეტით გამოვიდა სიგნალის ხმაზე. ირაკლიმ 50-ლარიანი მიაწოდა და სთხოვა, ჭიშკარი გაეღო და ტრასა გაენათებინა. პროჟექტორების შუქმა ქალს თვალი მოსჭრა.

პირველად ირაკლი შევიდა და მანქანა სტარტის ნიშნულთან გააჩერა. ანაც გვერდით ამოუდგა.

მამაკაცი მანქანიდან გადავიდა და ქალის მანქანას მძღოლის მხრიდან მოუარა.

— მაშ, ასე, ნაძლევის პირობა გახსოვს, ხომ? — ეშმაკურად ჰკითხა.

— კი, — თავი დაუქნია ანამ.

— 5 წრეს გავაკეთებთ და ისევ აქ გავჩერდებით. გასაგებია?

ანამ ისევ დაუქნია თავი.

— კარგი, ახლა მეც დავქოქავ და ჩემს ნიშანზე ორივე დავიძვრებით. ეშმაკობა არ იყოს, იცოდე! — ყოველი შემთხვევისთვის გააფრთხილა.

— აბა, ახლა გამოცდა უნდა ჩააბარო. შენ იცი, არ მიღალატო და ამ კაცის დასაცინი არ გამხადო! — საჭეს ხელი გადაუსვა ანამ, მოეფერა, ცოცხალი არსებასავით დაელაპარაკა და მოხერხებულად დაჯდა.

გვერდიგვერდ მდგარი შავი და წითელი ჯიპები პროჟექტორების შუქზე ძალიან ლამაზად მოჩანდა. შორიდან მაყურებელს ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა, თითქოს 2 ბედაური იდგა და მხედრის ნიშანს — ფერდში დეზის ამოკვრას ელოდა, რომ ერთმანეთთან შერკინება დაეწყო.

ცოტა ხანში საბურავებმა მტვრის ბული დააყენა. მანქანები „ბღაოდა“, თითქოს ცხენებივით ჭიხვინებდა და ყალყზე დგებოდა...

ანა დაძაბული იჯდა. პირველ წრეზე ცოტა გაუჭირდა, რადგან ტრასა მისთვის უცნობი იყო. მეორე წრეზე უფრო გათამამდა და „გაზს“ ბოლომდე მიაჭირა ფეხი. სპიდომეტრის ისარი ზევით მიიწევდა, მოტორი სისინებდა, მანქანა პატრონს ემორჩილებოდა... ცოტა ხანში, დაწინაურებულ მამაკაცს გადაუსწრო და კარგა გვარიანად ჩამოიტოვა უკან.

— მიდი, მიდი! — ხმამაღლა ყვიროდა ანა და მთელი არსებით, შეჯიბრებით გამოწვეულ ჟინს მისცემოდა. თუ ირაკლი გადაასწრებდა, სახე მოეღუშებოდა, თუ თვითონ დაწინაურდებოდა, სიხარულის ყიჟინას დასცხებდა.

ფინიშთან მისვლაც პირველმა იზეიმა. თუმცა სულ რამდენიმე წამით დაასწრო მამაკაცს. მანქანა გააჩერა, სავარძლის საზურგეს მიეყრდნო და მოეშვა.

ახლაღა მიხვდა, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში ეშინოდა... გული უთრთოდა, მაგრამ ჟინი თუ სიჯიუტე არ აძლევდა ამის აღიარების უფლებას და ბოლომდე იბრძოდა...

— როგორა ხარ? — ფანჯარას მოადგა ირაკლი.

— გადასარევად.

— ვაღიარებ, რომ მაგარი ხარ, მაგრამ ეგ შენი მანქანის დამსახურებაა, მაგარია, — კაპოტზე ხელი დაატყაპუნა, — წავედით?

— კი, მაგრამ ჯერ მოკაკვული თითი დამანახვე და აღიარე, რომ დამარცხდი, — როგორც იქნა, გული დაუმშვიდდა ქალს.

— ა, ბატონო, — ირაკლიმ მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი ჯერ ზემოთ ასწია, მერე მოხარა და ანას დაანახვა.

— ახლა წავიდეთ, ჩემი გამარჯვება კი ხვალ ვიზეიმოთ...

დარაჯი მთელი ამ ხნის განმავლობაში გაოცებული უყურებდა ამ უჩვეულო შერკინებას და მიმავალთ ღიმილიანი მზერა გააყოლა. ჭიშკართან მიახლოებულ ანას კი მოწონებისა და შექების ნიშნად, აწეული ცერა თითი დაანახვა. ანამ მადლობისა და დამშვიდობების ნიშნად, სიგნალი მისცა და ირაკლის მანქანას უკან გაჰყვა.

ნინო და დედა, როგორც ჩანს, მიეჩვივნენ ანას გვიან დაბრუნებას და ბოლო დროს, ფეხზე მდგომი აღარც ხვდებოდნენ. ანამ ფანჯრებს ახედა. შუქი ჩამქრალი იყო.

კიბე უცებ აირბინა და შინ შევიდა თუ არა, სააბაზანოს მიაშურა.

რაღაცნაირი, კმაყოფილების განცდა ჰქონდა.

„საკუთარ შიშს რომ ვაჯობე, ალბათ იმიტომ“, — გაიფიქრა და სხეული გრილ წყალს შეუშვირა...

მიუხედავად იმისა, რომ გამთენიისას დაწვა, დილით მაინც ადრე გაიღვიძა. ადგომა ნინოსაც დაასწრო და დედასაც.

ბავშვობიდან ასე იყო — პირველი იღვიძებდა და ყველაფერს აახმაურებდა და ააჟრიამულებდა ხოლმე.

— ადექით, აშენდა ქვეყანა! — სამზარეულოდან გასძახა.

— ნამდვილი ჭრიჭინა ხარ, რა! — ნინო თვალების ფშვნეტით შემოვიდა და დივანზე დაჯდა. ფეხები აიკეცა, ორივე ხელით ტერფებს ჩაეჭიდა და ანას ყურებით გაერთო.

— ყავას დალევ?

— კი, დავლევ.

— სამსახურიდან წამოსვლაზე განცხადება უკვე დაწერე?

— კი, დავწერე, მაგრამ უფროსი ხელს არ მიწერს. მეუბნება, ოღონდ არ წახვიდე და ყველანაირ პირობას შეგიქმნი, რომ მეორე სამსახურსაც მიხედოო.

— მერე, რად გინდა ორი სამსახური? დაანებე თავი — ჩვენ ისე არ გვიჭირს, რომ ზედმეტად დაიტვირთო თავი. შენ აქ გადმოდი, იქ კი ვინმეს ახალს მიიღებენ და კიდევ ერთი უმუშევარი დასაქმდება.

— ჰო, მართალია, არ გვიჭირს, მაგრამ ყველას პროფესიონალი სჭირდება და თუ იციან, რომ შენს საქმეს კარგად ასრულებ, გასაშვებად არ ემეტები.

— ეგ მათი პრობლემაა. მე მაგალითად, საქმეს რომ ავაწყობ, იცი, რას ვიზამ?! ჩემთვის საჭირო კადრს თვითონ მოვამზადებ — ვასწავლი, სწავლის ფულს გადავუხდი და ისე დავასაქმებ.

— მერე ადგება და წავა.

— არ წავა, თუ სხვებზე უკეთეს პირობებს შევუქმნი. გიჟია?! თან კონტრაქტში ჩავდებ პირობას, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში ჩემთან უნდა იმუშაოს და თუ მანამდე წასვლას გადაწყვეტს, მაშინ სწავლის ფული დააბრუნოს. სწავლასა და განათლებაში ჩადებული ინვესტიცია ყველაზე მომგებიანია. მაშინ თანამშრომელს მეტსაც მოსთხოვ.

— ჭკვიანურია, მაგრამ შენ ამერიკულად აზროვნებ. ქართულად მოაზროვნეებში გაამართლებს თუ არა ეგ შენი თეორია, არავინ იცის.

გიორგის მისაღებში მდივანი არ დახვდა. ანაც აღარ დალოდებია, კაბინეტის კარი ისე შეაღო.

გიორგის მაგიდის წინ, კარისკენ ზურგით, მდივანი სკამზე მუხლებით იდგა და შეფის მაგიდაზე იყო გადაწოლილი.

— მოაწერე ხელი, მოაწერე, — ამ სიტყვებს შეესწრო ანა.

— თავი დამანებე, არა-მეთქი, გეუბნები!

— მოაწერე, გიორგი, შენ ხომ შემპირდი?! — არ ეშვებოდა ქალი.

— ნუ გადამეკიდე, ყველაფერი შეიცვალა — ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობას სხვას ვაძლევ, — თავიდან იშორებდა მამაკაცი.

— იმას, არა?!. იმ ფუ-



ფალას, აქ სიარულს რომ მოუხშირა!..

— ენა გააჩუმე, უფლებას არ მოგცემ, მასზე ასე ილაპარაკო. თავს ხომ არ გაგივიდა?! შენი მოვალეობები ნუ გავიწყდება. სამსახურში შენ ჩემი მდივანი ხარ და ეგ კარგად დაიმახსოვრე. ჩემს საწოლში თუ კოტრიალობ, ეგ იმის უფლებას არ გაძლევს, რომ მითითებები მომცე.

ანა კართან იდგა და ვერ გადაეწყვიტა, გაბრუნებულიყო თუ დარჩენილიყო. ბოლოს ჩაახველა, რომ მისთვის ყურადღება მიექციათ.

მდივანი წელში გასწორდა და ფეხზე დადგა.

გიორგიმ ანას გამოხედა და სახეზე უხერხულობა დაეტყო.

— ხელს ხომ არ გიშლით? — ირონიული ღიმილით იკითხა მოსულმა.

— მოდი, მოდი, — გიორგი წამოდგა.

მდივანმა სწრაფი ნაბიჯებით დატოვა კაბინეტი, გასვლამდე ანას ავად გახედა და კარი ისე გაიჯახუნა, რომ კედლები შეზანზარდა.

— როგორც ჩანს, შენ აქ უფროსიც გყოლია... — ირონიული ღიმილი არ მოშორებია ანას სახიდან.

— ნუ დაიწყე ახლა!

— რას გაძალებდა?

— სანამ შენ გამოჩნდებოდი, ვიცე-პრეზიდენტის ადგილის შემოღებას ვაპირებდი და ერთ-ერთ ჩვენს პერსპექტიულ ახალგაზრდას ვაწინაურებდი.

— მერე, ამას რატომ შესტკივა ასე გული? — თავი მისაღებისკენ გადააქნია ქალმა.

— უბრალოდ, იგრძნო, რომ გადაწყვეტილება შევცვალე და ვინაიდან შენ მტრად აღგიქვამს, გადაწყვიტა, დაეძალებინა, ხელი მომეწერა.

— იცი, რა მიკვირს, გიორგი?.. მე შენ წლებია, გიცნობ და არ მეგონა, თუ ვინმეს ამდენის უფლებას მისცემდი. გასაგებია, რომ შენი საყვარელია და მასთან „სიყვარულობანა“ და „ჩურჩულ-პუტუნი“ გაქვს, მაგრამ ეგ იმას სულაც არ ნიშნავს, რომ ამდენის უფლება უნდა მისცე. ჭკუას არ გარიგებ, უბრალოდ, მართლა გამიკვირდა. ამას წინათ რომ ვიყავი მოსული და შენი ოთახიდან გავედი, მისაღებში 5-6 თანამშრომელი ქალი იყო შეკრებილი და დარწმუნებული ვარ, ჩემზე ჭორაობდა. როცა გავედი, ისე შემომხედეს, ფეხი რომ არ გადამიბრუნდა ან არ მოვიტეხე, ძალიან გამიმართლა...

— დარწმუნებული ვარ, ბევრს იჭორავებენ შენზე. მით უმეტეს, როცა კომპანიის მართვის სადავეებს ჩაიბარებ. ქალებისა და საერთოდ, ადამიანების ბუნებაა ასეთი — რომ თავისივე სქესის წარმატებულ „ინდივიდს“ ვერ იტანენ. მით უმეტეს, თუ ლამაზია, დანარჩენები ყვავებივით დაკორტნიან.

— უხეშად რომ ვთქვა, მე ეგ ყველაფერი სულ ფეხებზე მკიდია.

— ლამაზ ფეხებზე... — გაიღიმა მამაკაცმა.

— შენ „იმის“ ფეხებს მიხედე.

— შენსას ირაკლი მიხედავს, არა?.. — ახლა გიორგიმ აიწება სახეზე ირონიული ღიმილი.

— შენგან განსხვავებით, მე ჩემს პირად ცხოვრებაში ჩარევის უფლებას არავის ვაძლევ.

— კარგი, ნუ ვიკამათებთ. შენ აქ ისე, უსაქმოდ არ მოხვიდოდი. რა ხდება? დავწერო შენი ვიცე-პრეზიდენტად დანიშვნის ბრძანება თუ არა?

— დაწერე! თანახმა ვარ და ხვალიდან მთლიანად ჩავერთვები საქმეში.

— ანა, მიხარია, რომ ასეთი გადაწყვეტილება მიიღე. შენი კაბინეტი ჩემი ოთახის გვერდით იქნება. გარემონტებულია, მაგრამ თუ რამის შეცვლა გენდომება, არც ეგაა პრობლემა. შენ თუ მეტყვი, მეგისაც გავუშვებ.

— მეგი ვინაა?

— ჩემი მდივანი.

— არა, იყოს. მე ცალკე ხომ არ მეყოლება მდივანი და ბარემ მეც მაგას „ვიხმარ“.

— ო-ო, რა გველი ხარ! ვინც არ გიცნობს, ზის და ტირის, — გაიღიმა მამაკაცმა, — ნახავ ოთახს?

— მაგას ჩემთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს — ასეთ წვრილმანებს ყურადღებას არ ვაქცევ. მთავარია, სისუფთავე იყოს, თორემ რა ფერის კედლებია, ეს ნაკლებად მაინტერესებს. წავედი, სხვაც ბევრი საქმე მაქვს, — ანა წამოდგა.

— ხვალ დირექტორთა საბჭოს სხდომაა, დილით 11 საათზე და არ დააგვიანო. მე მგონი, მე და შენ პოლონეთში გამგზავრებაც მოგვიწევს უახლოეს დღეებში, — მამაკაცმა ანა კართან მიაცილა, გაუღო და წინ გაატარა.

მისაღებში ისევ იდგა რამდენიმე თანამშრომელი; ანას დანახვაზე ყველა გაჩუმდა.

— მთავარი ის არაა, რას იტყვით ჩემზე. უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ თქვენ ამაზე დროს კარგავთ, — გაუღიმა ანამ იქ მყოფებს და გავიდა.

გიორგიმ თავი ღიმილით გადააქნია, მდივანს უხმო და კაბინეტში შებრუნდა.

გიორგისგან წამოსულმა ანამ რამდენიმე ადგილი მოიარა. საღამო ხანს კი დავითთან მივიდა.

— სად დაიკარგე, გოგო? — მსუბუქად უსაყვედურა ბიძამ.

— საქმეებში გავიხლართე, ვერ მოვიცალე და შენ რომ შემოგევლო ჩვენთან, რა მოხდებოდა?

— ამ ერთი კვირის განმავლობაში სამჯერ ვიყავი თქვენთან, დედაშენმა არ გითხრა?

— არა, არ ვიცოდი, მაპატიე. დავით, ბევრი ვეცადე, ჩემი ძალებით მიმეგნო ჩემი შვილისთვის, მაგრამ არაფერი გამომივიდა. კერძო დეტექტივის დაქირავება მინდა და ხომ არ იცი, ეს როგორ უნდა მოვახერხო?

— კი, ვიცი. ერთ გამომძიებელს ვიცნობ. კერძო პრაქტიკას არ მისდევს, მაგრამ ფულს თუ გადაუხდი, მე მგონი, უარს არ იტყვის. დავურეკო?

— დაურეკე და ახლავე შემხვდეს.

— ბავშვობიდან მოუთმენელი ხარ, თუ რამეს ჩაიფიქრებ, მაშინვე გინდა, შეასრულო.

— მიდი, დაურეკე!

ერთი საათის შემდეგ, ახალგაზრდა, სათვალიანი მამაკაცი ანას პირისპირ იჯდა და იმ საქმეს ეცნობოდა, რომლისთვისაც ხელი უნდა მოეკიდა.

ანამ დაწვრილებით უამბო ყველაფერი და სთხოვა, რაც შეიძლება მოკლე ხანში მოეხერხებინა საჭირო ადამიანების მოძებნა.

ზვიადი თავს უქნევდა, რაღაცებს ბლოკნოტში ინიშნავდა და ამ დროს, მეტი გულმოდგინებისგან, ენას ყოფდა. შეჰპირდა, რომ ყველაფერს იღონებდა, მისი შვილისთვის რომ მიეგნო. ანას მობილურის ნომერი გამოართვა და დაემშვიდობა.

— მომეწონა ეს კაცი. მგონია, რომ მიზნის მიღწევაში დამეხმარება.

— დამშვიდდი, ყველაფერი კარგად იქნება.

— დავით, იცი, ვერც კი წარმომიდგენია, რომ სადღაც ჩემი შვილი ცხოვრობს, ჩემ შესახებ არაფერი იცის და მოვა დრო, როცა მე მას შევხვდები. ახლავე ვნერვიულობ ამის გამო... — ანამ გვერდით მჯდომ დავითს მხარზე თავი დაადო და გაჩუმდა.

მამაკაცმა არაფერი თქვა. ხელით თმა მოუჩეჩა, მხარზე ხელი მოხვია და მიიხუტა.

დავითი ერთადერთი ადამიანი იყო, ვინც ანას შესახებ ყველაფერი იცოდა. ბიძა-დისშვილს ერთმანეთისგან არაფერი ჰქონდა დამალული და ერთიმეორით მუდამ ამაყობდა. სადმე ერთად რომ გამოჩნდებოდნენ, ყველას მამა-შვილი ეგონა.

— გინდა, ზოოპარკში წავიდეთ? — მოულოდნელად ჰკითხა დავითმა.

— კი, მინდა. ოღონდ, შენი მანქანით წავიდეთ...

დავითის გვერდით მჯდომ ანას გაახსენდა, ბავშვობაში სვანეთიდან დავითთან სტუმრად რომ ჩამოდიოდა ხოლმე და ზოოპარკში ერთად დადიოდნენ.

— ნაყინს მიყიდი? — ჰკითხა, როდესაც ზოოპარკის შესასვლელთან მივიდნენ.

— ყელი გაგიცივდება.

— ოოჰ, კარგი, რაა! ნაყინი მინდა!.. — ჭირვეული ბავშვივით თქვა ანამ და მართლა პატარასავით გაიბუტა.

— ხელი ჩამკიდე, — დავითმა თავისი მარჯვენა გაუწოდა და ქალმაც ჩაბღუჯა.

ანა შინ კმაყოფილი დაბრუნდა. თითქოს ყველაფერი დაავიწყდა, რაც კი უსიამოვნოდ აგონდებოდა, მაგრამ როდესაც ტელევიზორს მიუჯდა, მოულოდნელად ტელეფონმა დარეკა და როგორც კი ეკრანზე გამომძიებლის, ნომერი დაიწერა, ყველაფერი ძველ კალაპოტს დაუბრუნდა.

— გისმენთ, — გულის ფანცქალით უპასუხა ქალმა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# გზავნილები



_ მარი ჯაფარიძე

გამარჯობა, ჩემო ძვირფასებო. აბა, ვინც ამ საახალწლო სმა-ჭამას გადაურჩით, „ვარ“ დაიძახეთ! უკვე დაიძახეთ? ახლა „გზავნილებს“ ჩაუსხედით და „პახმელიაზე“ გამოსვლა სცადეთ. ახალი წელი ერთადერთი დღესასწაულია, როცა მთელი მსოფლიო მთვრალია და ყველა ცოლი ამ დროს ისეთი კეთილია, რომ ქმარს ამ სიმთვრალეს დიდსულოვნად ჰპატიობს. უფრო სწორად, თვითონაც მთვრალია და ვერ გრძნობს განსხვავებას. მოკლედ, ასე... ეს ბოლო კვირაა, როცა არეულ-დარეულ, მიკიბულ-მოკიბულ მესიჯებს სულგრძელი ცოლივით გპატიობთ და მომავალ კვირაში მკაცრად გავცხრილავ შემოსულ ამბებს. ჰო, მართლა, წინა დღეს მაესტრომ დამირეკა — დე (ასე მეძახის), აბა, თუ მიხვდები, ვინ ვართ შეკრებილიო? რა თქმა უნდა, უშეცდომოდ გამოვიცანი, რომ მაესტრო, სუპერსთარი, როკო და სვიტი იყვნენ თავმოყრილი. ძველით ახალი წლისთვის ბათუმში დამპატიჟეს კიდეც, მაგრამ სამწუხაროდ, ვერ მოვახერხებ ჩასვლას... ასე რომ, მომავალ კვირაში ალბათ მათ ახალ თავგადასავლებსაც წავიკითხავთ. ახლა კი თემაზე მოსულ მესიჯებს გავეცნოთ.

# გავრისკე და გამიმართლა

ისთვის საჭირო დრო. ისე „გავზანგდისფერდი“, რომ მხოლოდ ჩემი ქათქათა ფეხები მახსენებს, რომ თეთრი რასის წარმომადგენელი ვარ. „დაგავორით“ დილის 8-დან საღამოს 5 საათამდე უნდა გვეშრომა, მაგრამ „პრარაბმა“ დროს გაუსწრო და დილის 7-დან საღამოს 9 საათამდე გვაძრობს ტყავს. ერთ თვეში მხოლოდ 1 დღე დაგვასვენა, საჭმელს კვირაში 3-ჯერ გვაჭმევს და „თავისმა კაცმაც“ ვერ გაუძლო ამ ტრეფიკინგს და გაექცა. მერე მე ამიდუღა ტვინი, დღეში 13 საათი მცხუნვარე მზეზე ოფლისღვრამ. ლამის ყველა სიმღერა დამავიწყა, 2 სიმღერის გარდა. დილით კავსაძის გმირის სიმღერით ვაღვიძებდი თავს: „ადექ მუშავ შეენ, ნუ გძინავს შენ, ნუ ხვრინავ შენ“ და საღამოს პოტიეს და დეგეიტერის „ინტერნაციონალით“ ვიმშვიდებდი „დანაღმულ“ ნერვებს: „აღსდექ, კრულვითა დაღდასმულო, ქვეყანავ, მშიერ მონების“... თან მზისგან გადატყავებულ სხეულზე კვნესით ვისვამდი 1 ქილა მაწონს. ბოლო-ბოლო ეს ნერვები აფეთქდა და გამანადგურებელი ტირადის შემდეგ (ერთხელ ხომ მაინც მოვიოხე გული), „პრარაბს“ გამოსამშვიდობებელი რევერანსი ჩავუტარე. იცოცხლე, მანამდე დაწუნებულ ბიჭებს ეხვეწა ეს წურბელა, მაგრამ მოსაკლავი თავი ვის ჰქონდა? უბანი ისედაც აღშფოთებული იყო ამ ექსპლოატატორზე. ჰოდა, 2 დღის შემდეგ მომადგა კარზე. მე მეზობელთან ვიყავი და მოლაპარაკება დედაჩემთან მოუხდა. მე დედა მყაავს?! მიმიქარავს საქმის გამრჩევი და კაი დამრტყმელი კაცი. მთვარის გრავიტაციასავით მოქმედების სინდისმიძინებულთა აზრების მოქცევა-მიმოქცევის ციკლურ ცვლილებებზე. 10 წუთში მოასწრო და სამართლებრივ-ზნეობრივ-რელიგიურ-ექსტრემალურ-დიპლომატიურ-ისტორიულ-კრიტიკული დებულებების ისეთი სიტყვები ჟესტიკულაციით „წაუკოკისპირულა“ დალენჩებულ კაცს, რომ მეზობლები სიცილით კვდებოდნენ. ამ მოულოდნელი რევოლუციით ევოლუციაქმნილმა, ჩემმა ექსმწვალებელმა რამდენჯერმე უხმოდ გაშალა ხელები და გახსნა „სალაპარაკო პუნქტი“ (აბა სიტყვას ვინ ათქმევინებდა?), როგორც იტყვიან, მომაკვდავი გედის პარტია წაუცეკვა და ხვეწნით მომიბრუნდა: — კახავ, რომ მცოდნოდა, ეგეთი კაი და ჭკვიანი ცოლი გყავდა, ცოტა ადრე გამოგიშვებდი ხოლმე. აჰა, ეს 50 ლარიც შენ, საჩუქრად და შევრიგდეთ, თუ კიდენა ზედმეტი საათები მოგიწევს მუშაობა, აგინაზღაურებ, ჯოო! (ხომ ხედავთ, კახეთში ჯო ბაიდენი რა პატივში გვყავს, ერთმანეთს სულ „ჯოოებით“ მივმართავთ). უბანი სიცილით ერთმანეთს აწყდებოდა. ამ კაცს ჩემი სუპერდედიკო ჩემი ცოლი ეგონა. ეეჰ, მართლები ყოფილან ძველები, — „კაცი ბერდებოდა და ჭკუა უკანალში მისდიოდაო“, რომ ამბობდნენ. არადა, მართლა მაგრად გაუკვირდა, რომ ეს „შორტებსა“ და ზიზილ-პიპილა ზედატანში გამოწყობილი ქალი (60 წლის კაცისთვის კი — გოგო!) დედაჩემი იყო. ჰოოდა, რას ვამბობდი? ისევ ვმუშაობ, თუმცა ის გულისმომაკვდინებელი სიმღერები უკვე დავივიწყე და როგორც ხედავთ, „გზავნილებისთვის“ და თქვენთვის სიყვარულის ასახსნელადაც ისევ გამოვნახე დრო. ფუი, ეშმაკს! თვალი არ მეცეს, თორემ დედაჩემს შელოცვების სწავლაც მოუწევს. გაუჭირდება თუუ?! მონაღვთისა, „გზისა“ და „პრარაბისა“, ენიგმა. .შ. ისე, თუ ისევ დავიკარგე, „გზაში“ ასეთ ეპიტაფიას ნუ დამამადლით: „და გზა უვალი, შენგან ნაგები, ენიგმავ ჩვენო, მაინც დარჩება“. ბოლო-ბოლო მგზავნელი ვარ და გზას ვაგებ, ტოო, თორემ „უგზოობა“ ჩვენს მტერს! ენიგმა“.

## ტყუილი „აბორტი“

„ოინი კი არა, ოინბაზობის მთელი კასკადი მაქვს მოსაყოლი. ჰოდა, სმენა იყოს და გაგონება! ჯერ კიდევ მაშინ, როცა ჩვენი დედაქალაქის ქუჩებს მერიის ახლანდელი სიამაყე, ყვითელი „სანდრაბუსები“ არ ამშვენებდა და ე.წ. „მარშრუტკებს“ დიდი „პარადი“ ჰქონდა მოწყობილი, რკინიგზის სადგურიდან ვაკისკენ ერთი სამარშრუტო ნომერი დადიოდა. უამრავ რიგით თუ დიპლომიან მძღოლს შორის იყვნენ მავნებლობით გამორჩეული და გულუბრყვილობით დაჩაგრულებიც. ერთ-ერთ ასეთ ასაკოვან კაცს ბიჭები ხშირად აწვალებდნენ. ხან რას უჩალიჩებდნენ და ხან — რას. ასე მაგალითად, ერთ მშვენიერ დღეს, როცა ჩვეულებისამებრ, მისი „აბაროტის“ დრო მოვიდა, ბიჭებმა ტრაფარეტის წინ ჩუმად სხვა ტრაფარეტი ჩაუდეს, წარწერით — ყვარელი. დაიძრა ჩვენი „მსხვერპლი“, მაგრამ რად გინდა? ისე გაიარა ვაკის რაიონი, ერთი ღვთისნიერი მგზავრი არ გამოჩენილა, მისთვის ხელი რომ დაექნია. არადა, წესით ამ დროს ისეთი გადატენილი უნდა ყოფილიყო „მარშრუტკა“, რომ სუნთქვაც კი შეუძლებელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ნურას უკაცრავად, არც ერთი მგზავრი არ ახარებდა მძღოლის გულს. მხოლოდ შეხედავდნენ საქარე მინაზე მიმაგრებულ წარწერას და ცივად არიდებდნენ თვალს. გაგიჟდა კაცი, იფიქრა, ვინ შემომხედა დღეს ცუდ თვალზე, ვინ დამთარსა, მე იმის ასე და ისეო. ამ ფიქრებში იყო გართული, მგზავრმა რომ გააჩერა. ავიდა გახარებული და გაბრწყინებული სახით „მარშრუტკაში“ და კომფორტულად მოთავსდა. მე შენ გეტყვი და ადგილი არ იყო თუ რა?! — მეგონა, აქეთ არ დადიოდით, ძალიან კი გამახარა თქვენმა დანახვამ, ჯო, — გულწრფელად თქვა კახელმა მგზავრმა. მძღოლმა თავი დაუქნია და ისევ თავის უცნაურ „აბაროტს“ ჩაუფიქრდა. ასე ერთი კაცის ამარა ჩავიდა სადგურამდე და როცა გაჩერებაზე მივიდა, მგზავრს გამოხედა. ის კი იჯდა მშვიდად და გაზეთს კითხულობდა.

— მოვედით, ბატონო, შეგიძლიათ ჩაბრძანდეთ. მგზავრმა მიმოიხედა გარშემო და გაკვირვებულმა იკითხა:

— ყვარელში ვართ, უკვე? ყვარელის გაგონება და მძღოლის წონასწორობიდან გამოსვლა ერთი იყო. გამოეკიდა კაცს. მერე კი ტრაფარეტს დახედა და მიხვდა, რატომ მოუწია იმ „აბაროტზე“ „გაკატავება“. გავიდა დრო და ეს საწყალი მძღოლი ისევ ამოიღეს მიზანში. ამჯერად, არც მეტი, არც ნაკლები, სრულიად შიშველი ფოტომოდელი ლამაზმანის ფოტო ჩაუდეს. დაიძრა ისევ „მარშრუტკა“. ჩაიარა პირველ თავშეყრილ მგზავრთა ჯგუფთან. გააჩერა ქალმა, აღშფოთებული სახით გააღო „მარშრუტკის“ კარი, უკაცრავად და ერთი გემრიელად მიაფურთხა ჩვენს მძღოლს და მიაძახა, შე ტუტუცო და გაფუჭებულო კაცოო და მიუჯახუნა კარი. იგივე ქმედება რამდენჯერმე განმეორდა. შეხედავდნენ ტრაფარეტზე და იწყევლებოდნენ, ილანძღებოდნენ, იფურთხებოდნენ და იგინებოდნენ მგზავრები, შე გათახსირებულო, უზრდელო, უსინდისო კაცოო, ესმოდა გაოცებულ მძღოლს, სრულიად დაუმსახურებლად. ბოლოს, როგორც იქნა, დაბრუნდა წარუმატებელი და შეიძლება ითქვას, „ტრაგიკული აბაროტიდან“ და როცა ტრაფარეტის წინ აფარებული, „სირცხვილდაკარგული“ ლამაზმანი იხილა, კინაღამ ინფარქტმა დაარტყა. ასეთ დღეში ჩააგდეს საწყალი კაცი და მატერიალურ ზარალთან ერთად, ნერვების დაწყვეტამდე მიიყვანეს. თუმცა, ახლა ყველა ღიმილით იხსენებს ამ ამბებს. იკუშკები“.

## ნათლია

„თემამ წლების წინანდელი ამ-

ერ“ და ძალიან მადისაღმძვრელ ბეღელსაც შევხო. დალაგებისას აღმოჩნდა, რომ ნახევარზე მეტი ხილი გაფუჭებულიყო. ამიტომ, ყველაფერი გადავყარეთ. ბებოს ერთი სანაქებო, სოფლის სიამაყე და ოჯახის მარჩენალი ბოჩოლა ჰყავდა. მზე და მთვარე მასზე ამოდიოდა. ჰოდა, თურმე ეს ნახევრად გაფუჭებული ხილი მადიანად მიირთვა ბოჩოლამ. ეტყობა, ძალიან ბევრი მოუვიდა და სიჩქარეში ერთი მოზრდილი კომში ყელში გაეჩხირა. უცებ ბიცოლას ყვირილმა გამოგვაფხიზლა მთელი ოჯახი. ვაიმე, იხრჩობა და დავიღუპეთ ამ საახალწლოდო. გავცვივდით და მეტად ტრაგიკომიკური სურათი დაგვხვდა. ბიცოლა ყელს უსრესდა საწყალს, ბებო ეხვეწებოდა, ნუ დამღუპავ და დამაქცევ, არ მოკვდე, შე გადასაშენებელო, ამ საახალწლოდო, ბოჩოლა კი ყელგამოჭრილი ღორივით ხროტინებდა, შეშინებული. მოკლედ, 5 წუთში მთელი უბანი შეიყარა. ზოგი სიცილით იგუდებოდა, ზოგი წინასწარ გვისამძიმრებდა. მეტის ღირსი ხართ, რა ჯანდაბად გინდოდათ, აქ რომ დაყარეთ ეს დასალპობი ხილიო? — გიჟდებოდა ბიძაჩემი.

— არა, იქანა ჯობდა ყრილიყო? ვაი, შე უბედურო, — ვალში არ რჩებოდა ბებია.

— მორჩით სისულელეებს, თორემ გაფშიკა ფეხები სადაცაა, ამ სასიკვდილემ, — სიტყვით გამოვიდა ბიცოლა.

— ეგი აქანა თუ მოკვდა, გავწყდებით წელში მთელი სოფელი, სანამ სასაფლაომდე მივათრევთ, — ჩაიხითხითა მეზობლის კაცმა.

— ენა გააჩერე, ზაურა ამოსაწყვეტო, ნუ იჯავრებ შენ, შენი სასაფლაოს გვერდით მაინც არ დავმარხავ ამ დალოცვილ ძროხას.

— გეყოთ ახლა ლაპარიკი, ჩაუყავით ვიღაცამ პირში ხელი ამ დასაკლავს, თორემ დაიხრჩობა, სადაცაა, — გადაირია ბიძაჩემი.

— მოდი, შენ ამოუღე, მე ყბებს გავუწელავ, პატარა ხელი გაქვს უფრო, — მომიბრუნდა ახლა მე.

— თქვენ ხომ არ შეიშალეთ, ეგლა მაკლია, ცალი ხელით შევხვდე ახალ წელს, — გავიგიჟე თავი.

— ნუ გეშინია, ბებია, აგერ, ზაურა და ბიძაშენი დაუკავებენ ყბას, — შემაგულიანა ბებომ.

ბოლოს იმდენი მეხვეწნენ, გადამაწყვეტინეს. მეც გავრისკე და დაფჩენილ პირში ჩავუძვერი, საწყალ და ამოსაწყვეტ ბოჩოლას. მგონი, მაგრად გამიმართლა, რადგან იმ ახალ წელს ორივე საღი ხელით შევხვდი და რაც მთავარია, ოჯახს ერთ-ერთი მარჩენალი შევუნარჩუნე... P.S. კიდევ ერთხელ გილოცავთ ახალ წელს. თქვენი ოცნებების ახდენის წელი იყოს. მიყვარხართ ძალიან. მაესტრო“.

## მოვიდა მგელი!

„მდაა, თემიდან გამომდინარე, ბევრს გაახსენდება ოდესღაც თქმული და ფრთიან ფრაზად გავრცელებული — „ვინც არ რისკავს, შამპანურს არ სვამს“. საშამპანურედ საქმე ნამდვილად არ მქონდა, მუხლამდე თოვლში და თანაც, ღამის სამ საათზე, ალაზნის ველზე რომ მივბლაყუნებდი ფეხით. არა, მარტო არ ვყოფილვარ, სამნი ვიყავით, მაგრამ მაინც, საშიში და რისკის ფასი რატომ იყო, იცით? მშიერი და გაბოროტებული მგლების ბუნაგებიდან გამოსვლის საათი იდგა, თან ბავშვობიდან, მას მერე, რაც ვაჟას „ამოდის, ნათდება“ წავიკითხე, მგლის შიში ამეკვიატა. ჰოდა, იმას ვყვებოდი, რომ თან თოვლია, თან მათოვს, ფარნის ანაბარა მივბლაყუნებ, ამ ფარნიან ხელს ვიშვერ წინ, უკან, გვერდზე, ჩრდილოეთით, სამხრეთით, აღმოსავლეთით, თავს ვატრიალებ იმდენად, რამდენადაც შემიძლია და ვდუდღუნებ — „უფალო იესო“... და თვალწინ მიდგას წინა ღამით, ამავე რიყეზე, მგლების მიერ ყელგამოღადრული ცხენი, სისხლის გუბეში მწოლიარე. მივდივარ და მგონია, სადაცაა დავინახავ აელვარებულ, წყვილ თვალს და ღრენა-ყმუილიც კი მესმის თითქოს... კიდევ კარგი, ეს ფსიქოლოგიური წნეხი საათ-ნახევრის შემდეგ დამთავრდა. დასახლებულ პუნქტამდე მივაღწიეთ. თუმცა, ღამის ამ მომენტში სოფელშიც კი საშიშია გავლა. რატომ და — ახლო წარსულში, ერთ-ერთი სახლიდან 25 ცხვარი წაასხეს მგლებმა, იმდენად გათავხედდნენ, ეს ჩვენი ტუჩმოკლე და კუდაგრძელები, რომ არც მეტი, არც ნაკლები, სოფლის შუაგულ ცენტრში, ასფალტზე ატარეს ჯერ და მერეღა გარეკეს ტყეში საბრალო ცხვრები. ჰოდა, აბა მითხარით, მგელთა ასეთი გათავხედების ჟამს, არ იყო, ჩემი რიყეზე ბორიალი რისკის ტოლფასი? მემე“.

## კროსვორდების ამომხსნელი

„ეჰ, ამაზე მეტი „გმირობა“ რაღა გინდათ, გასულ კვირას ვერ მოგწერეთ. რატომ? სუფრიდან სუფრაზე გადავდიოდი და იმიტომ, ბატონო. 31-ში „თოვლის ბებო“ ვიყავი და ჩემი სტიპენდია იმ ღამეს გაიწეწა. მეორე დღეს „მსუბუქ“ ფორმებში ვიქეიფეთ, რადგან სტუმრად არ ვსვამ. აი, ბედობას კი, მასპინძლის ამპლუაში პირველად ვეზიარე ბახუსს და დიონისეს „ჩავუბრატდი“. ძალიან მომეწონა სიმსუბუქის შეგრძნება და „მოჩერჩეტო“ ღიმილი არ მშორდებოდა სახიდან. ჩემი დაქალები ჩემზე ადრე „წაიშალნენ“ და მხოლოდ ერთი, საღ გონებაზე მყოფი მირჩევდა, დამეძინა. მე კი ჯიუტად ვუმტკიცებდი, რომ ჯერ კიდევ ნებისმიერი სირთულის კროსვორდის ამოხსნას შევძლებდი (ვაი, ჩემს პატრონს!). მერე ძმის ძმაკაცებმა გიტარა მოითხოვეს და ისეთი ღრიანცელი ატყდა, კინაღამ პაპას „ორლულიანი“ გამოვიტანე. ბებო აღშფოთებას ვერ მალავდა იმის გამო, რომ მისი „ნიჭის გუდა“ ფეხარეული დაბანცალებდა. უკან დამყვებოდა, „ბებია მოგიკვდეს“ ძახილით. სამჯერ დამაწვინა და სამჯერვე წამოვხტი, უნდა ვიმესიჯო-მეთქი და დაქალს ვუმტკიცებდი, რომ ჩემს ტელეფონში მესამე „კარტაც“ იდება, თუ გაჭირდა. იმედია, მთელი წელი სიმთვრალე არ დამებედება, თორემ ბერბიჭას სასწავლებელში გადავიტან საბუთებს. თამადობის გამოცდილება მაქვს, თუმცა ჯერ საცივში არ მძინებია (ვაი, სირცხვილო!) და ამასაც გამოვასწორებ ძველით ახალ წელს. P.S. ფუშენ, შენ შემოგევლე, ისე გაიხარე, როგორც მე გამახარე. გკოცნი. პარიჟანკა“.


„საახალწლო“ სუპერსთარი და...

## შვილების ხათრით

„წლების წინ ცხოვრობდა ახალგაზრდა ცოლ-ქმარი. თითქოს ბედნიერები იყვნენ, თუ არ ჩავთვლიდით ქმრის ხანდახან დათრობას. ცოლს სჯეროდა, რომ ქმარი გამოსწორდებოდა, მაგრამ დღეები დღეებს მისდევდა, იყო თეფშების მსხვრევა, ავეჯის მტვრევა, ცოლის შეურაცხყოფა, ცოცხლებს ვინღა ჩიოდა და მკვდრების „გახსენება“ „ტკბილი“ სიტყვებით და ხელით შეხებაც კი. ცოლი იმედიანად იყო, თავის შვილებზე ფიქრობდა, 2 ვაჟკაცი მეზრდება, ბავშვებს თვალებში როგორ ჩავხედო, ხალხი იჭორავებს, ვინ დამიჯერებს, რომ მარტოხელა დედამ შვილები ჩემი საკუთარი ოფლითა და „სისხლით“ გავზარდეო? ასე გაფრინდა ახალგაზრდული წლები. დაბერდა ცოლქმარიც. ქმარი კი არ გამოსწორდა, უარესი ხასიათი ჩამოუყალიბდა. ლოთი კაცისგან უფრო მეტი და მეტი შეურაცხყოფა მოდიოდა, ქალს კი წასასვლელი არსად ჰქონდა. ანდა ასაკიანი ქალი სადღა წავიდოდა? შვილები დააბინავა, მაგრამ რძალს დედამთილი მხოლოდ სტუმრად თუ უხაროდა და არა — მათთან საცხოვრებლად. სადღა ჩანდა ის

ჯაფა და ამაგი, რომელიც შვილებს შესწირა? მაშინ კი ინანა ქალმა, რომ არ გარისკა და ოჯახი არ დაანგრია. გვიანღა მიხვდა, რომ ლოთი კაცი არასდროს გამოსწორდებოდა. ექსტაზი“.

## შიშველი თოკო

„გავრისკე და გამიმართლა? არაა, ჩემს შემთხვევაში გავრისკე და იმით გამიმართლა, რომ ვისთვისაც გავრისკე, იმას გაუმართლა. ჩემს დაქალს, ნათუკას, თბილისიდან ჩამოსული თოკო შეუყვარდა, მაგრამ თოკო ისე დაუბრუნდა ქალაქს, რომ ჩემი ნათუკას დაბნეული მეტყველება, ანთებული თვალები და უხმო ვედრება არც შეუმჩნევია. ნათუკას საცოდაობით დამწვარი, მეც კინოკომპანიის ლომივით ვბდღვინავდი, გულში მჯიღებს ვიცემდი და ვერავინ მაკავებდა. — გამიშვიით, როგორც ჩემი ნათუკა იტანჯება, მეც იგრე უნდა დავიტანჯომეთქი. ჰოდა, ტანჯვითაც რომ დავიღალე, უფრო ქმედით ღონისძიებაზე გადავერთე. ნათუკას დაბნეულობა დაბნეული ბრინჯივით ავკრიფე, სალონის დახმარებით მზეთუნახავად ვაქციე, „ავამინიიუბკე“, მკერდი მაცდურად მოვაშიშვლებინე და ჩემს საწოლზე, კაი მამალ, პლუშის ვეფხვუკასთან ერთად, ვნებიან პოზაში „ჩავაკარტოჩკე“. მისი „ლაი-ლაის“ კარტა ჩემს ტელეფონში „ჩავასკუპე“ და წავიდა თოკოსთან „ესემესებიიი“. ჯანსაღად აღებულმა კურსმა თოკო დააინტრიგა, მაგრამ მხოლოდ გართობის დონეზე. ის დაახლოებით ჩვენი ბერბიჭასნაირი ტიპი აღმოჩნდა და მთლად ამომაგდო პროვინციული კალაპოტიდან. მომთხოვა, ფოტო გამომიგზავნე და თუ ლამაზი ხარ, ბევრს მოგეფერებიო. ცოტა გავბრაზდი და მისი რომანტიკულ ნოტაზე გადაყვანა ვცადე: თოკო, არა გრცხვენია, რომ მარტო ჩემი „ხორცი“ გაინტერესებს და სული არაა? არჩეულ კურსს არც თოკომ უღალატა: რომელი სულზე მონადირე და ვამპირი მე მნახე, „კანეშნა“, ხორცი მინდაო. ნერვები ისე ამეჯაგრა, ლამის მისგან დაწუნებული სული გამძვრა, მაგრამ ფიასკოს ვერ ავიტანდი და ნათუკას ფოტო გადავუგზავნე. პასუხად მომწერა: „ვაუ, თავიდანვე მაგით უნდა დაგეწყო, ახლა ვრწმუნდები, რომ ერთი ნახვით შეყვარება არსებობს, მიყვარხაარ“... ჯერ სად ხარ-მეთქი, დავიქადნე და მოკლედ, გამაგიჟა და გავაგიჟე. ბოლოს მომთხოვა: „აუ, ცოტა უფრო სექსუალური ფოტო გადაიღე, რაა“. როცა გავაპროტესტე, რომ ფოტოზე ისედაც ნახევრად შიშველი ვიყავი, ირონიულად მითხრა: „გინდა, გაჩვენო, ნახევრად შიშველი რას ჰქვიაო? მე არ მინდოდა, მაგრამ ნათუკას ხათრით მორცხვად მოვინდომე და ცოტა ხანში „ემემესიც“ მოგრიალდა. მე იქ სანახავი ვნახეე?! ვაი და ვუი, თქვენს ელექტრას! ფოტოდან მიქელანჯელოს „დავითის“ პოზაში გადალებული თოკო თავის თავში დარწმუნებული კაცივით ილიმებოდა, წინ ფოთლის ნაცვლად ბუჩქი ჰქონდა აფარებული, თან დართულ ტიტრზე ეწერა: „ბოდიში, რაა, ფოთოლი არ მეყო და ბუჩქი დამჭირდა „იმის“ დასაფარავად, მაგრამ თუ ისურვეებ“... აქ კი ვიშვიშის მერე ჩემი პროვინციული ბუნება ჩემივე პროვინციული პატიოსნების გარანტად მექცა და სანამ თოკო იმ ბუჩქის გადაწევას მოისურვებდა და ვირტუალურად შემოვეუპატიურებოდი (არ ვიყავი ღირსი თუ?!), ისევ ჩემს პროვინციულ, მიამიტურ ჩარჩოებში „ჩავეხეთქე“ და ჩემს მეგობარს ესტაფეტასავით გადავეცი „დაკერილი“ ბიჭი. ასე გავრისკე ჩემი მეგობრის მაგივრად და უსირცხვილოდ გავიარე სირცხვილის დერეფანი. სამაგიეროდ, დღეს ნათუკა და თოკო გულის წასვლამდე შეყვარებულები არიან, მე კი სხვა, ბიჭების გულის ძიებაში დამწვარი გოგონებიც მთხოვენ შველას (აი, სად დაერხა ხანუმას), მაგრამ ნურას უკაცრავად, ასეთი საქმეებისგან სამუდამო მივლინებაში წავედიი. ელექტრა“.

## საწოლში ნაპოვნი ქმარი

„ჩემი გულუხვი და სიკეთით სავსე მეგობრის, ბაიას დაოჯახების ამბავს მოგითხრობთ. ყოველღამე „სევდა ფართი“ მაქვს ხოლმე, მისი წყალობით. თუ რაიმე გადახდენია თავს, კარგი თუ ცუდი, ყველაფერს ამოაფრქვევს და მეც, ღაპაღუპით მდის თვალებიდან ცრემლი, ხან ტირილით, ხან — სიცილით. ეს ამბავი, რომელიც ახლა უნდა გიამბოთ, ჯერ კიდევ მაშინ მოხდა, როცა ჩიტივით თავისუფალი და ყველა ბიჭისთვის სასურველი და სანატრელი გოგო იყო. ერთ დღეს, ბაიას ბებოს დაბადების დღე ჰქონია, დათოს (ბაიას ძმაა) აუტეხია, ბებოს იუბილე უნდა აღვნიშნოო და საძმაკაცოსთან ერთად სოფელში წასულა. გაუმართავთ ბიჭებს ღრეობა და აყალმაყალი. მოკლედ, იქამდე უსვამთ, სანამ ცუდად არ გამხდარან. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ ნახევრად ძმარი ღვინო დაულევიათ. პირზე ხელაფარებულები სათითაოდ დარბოდნენ სააბაზანოში. მერე ზოგი სად მიესვენა, ზოგი — სად და ღრმა ძილსაც მიეცნენ. მხოლოდ ნიკამ ვერ იპოვა დასაწოლი ადგილი (ნიკა ახლა ბაიას მეუღლეა) და ბაიას ოთახს მიაშურა (სადაცაა ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენიო, ტყუილად კი არაა ნათქვამი), გემრიელად მოკალათდა მის საწოლზე და თანამოძმეებივით ისიც ღრმა ძილს მიეცა. ამ დროს მათზე არანაკლებ შეჟუჟუნებული ბაიაც ჩასულა სოფელში, ბებიასთან და რადგან არაფრის თავი არ ჰქონდა, ბებიას აკოცა და თავის ოთახს მიაშურა. უცებ გაშეშდა, მერე, როდის-როდის, ბურანიდან გამოერკვა და საწოლზე მოკალათებული ნიკა ისეთი გაოცებული თვალებით შეათვალიერა, გეგონება, პირველად ხედავდა. სასმელმა მაინც თავისი ქნა და ეს ჩემი ზომაზე მეტად თავშეკავებული ბაია მძინარე ნიკას ბარბაცით მიუახლოვდა და ის იყო, უნდა ეკოცნა, რომ დათოს ხმა გაიგონა. თუმცა, სურვილი უფრო დიდი აღმოჩნდა და სწორედ აქ გარისკა (გაუმართლა კიდეც, დღეს მისი ცოლია და საერთო განძი, პატარა ანანოც ჰყავთ). ბიჭმაც გაახილა თვალები და როცა მის წინ კონიაკივით ცხელი და მისთვის სანატრელი ქალი დაინახა, დათოს პატივისცემის მიუხედავად, ვერც მან გაუძლო ცდუნებას, საყვარელი ქალი გულში ჩაიხუტა და მიესიყვარულა, მერე ჩუმ-ჩუმად გაგრძელდა მათი ურთიერთობა, ერთ დღეს კი „იქუხა“ და დაოჯახდნენ კიდეც. ლუნა“.

## სახალხო „ჰიტი“

„საახალწლო დღეებში მეზობელ რაიონში ბიძამ მიმიპატიჟა. იქ ყოფნის განმავლობაში, ბიცოლაჩემი ცნობილ სიმღერას ჩემთვის უცნობი ვერსიით არემიქსებდა და თან სუფრას შლიდა. ბიძაჩემიც იმავეს ღიღინებდა, მოგვიანებით მათმა შვილიშვილებმა იგივე იმღერეს, შემოსწრებული სტუმრებიც აჰყვნენ და ბოლოს, მეც დავიზეპირე და მათთან ერთად კარგა მხიარულ ტალღაზე შევუბერე: წუხელ თოვდა, თოვდა, თოვდა, თოვლის პაპამ მიჰქარა, ჩვენს ბებიებს დაუარა, სათითაოდ იხმარა, ციოდა და ჩაათბუნა, გაახსენა ქალობა, თოვლის პაპამ ბებიები ტკბილად დაამწყალობააა. ახლა რის ბერბიჭა ვიქნებოდი, რომ იმ რაიონის სახალხო „ჰიტის“ ფესვები არ მომეძია და თქვენც არ გამემხიარულებინეთ? ჰოდა, სანამ მოგიყვებით, ბებიაჩემის დაკოჟრილი ხელებით გაკეთებული გოზინაყივით უტკბილესო და ყელის ჩასაკოკლოზინებელო მგზავნელებო, თითის აწევით სიტყვას ვითხოვ: თუ თქვენც ჩემნაირად გიყვართ ბებიები, სადაც არ უნდა იყოთ, შვილიშვილებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით და ახალი წელი მათთან გაატარეთ, თორემ მათ პატიოსნებას საფრთხე ემუქრება, რადგან არც ეშმაკს სძინავს და არც გადაცმულ, ფსევდო თოვლის ბაბუებს. იმედია, ჩემი სლოგანით არც „ნახმარ“ და არც „უხმარ“ ბებიებს არ გავაბრაზებ. ბიძის რაიონში 42 წლის კაცი ცხოვრობდა, რომელსაც 18 წლის წინ ცოლ-შვილი სახლთან ერთად დაეწვა და იმის მერე ცოტა ფსიქიკა შეერყა. დამუნჯდა და სმას მიჰყო ხელი. იმის მერე „ერთჯერადი“ ქალიც კი აღარ ღირსებია. არადა, წლების მატებასთან ერთად ტკივილი იკლებდა, ვნება — იმატებდა. წინასაახალწლო დღეებში საკუთარი მარტოობითა და აჯანყებული ვნებით წაქეზებულ, აღგზნებულ კაცს, არანაკლებ აღგზნებულმა ტვინმა უაღგზნებულესი იდეა მიაწოდა: ვნების დასაცხრობად ეპოვა მარტოხელა ქალი, მაგრამ ყველას პატრონი ჰყავდა. ამიტომ, ჩვენმა გმირმა გადაწყვიტა, თოვლის პაპის ტანისამოსით მარტოხელა ბებიებთან ვიზიტი. იშოვა საჭირო ატრიბუტები და ერთ ბებოს მიუკაკუნა, შენმა შვილიშვილებმა გამომგზავნესო. სათვალედაკოსებულმა ბებომ დიდი იმ-

პროვიზატორი ვერ იცნო და კარი სიხარულით გაუღო. მოკლედ, დაბეჩავებული კაცი წელმოხრილი შევიდა და წელგამართული გამოვიდა. ცოტა ხანში შვილებისგან და შვილიშვილებისგან მიტოვებულ, სხვა დაცარიელებულ ბუდეს მიადგა და მათთვის განკუთვნილი ბებიის სითბოც მიისაკუთრა... მერე მესამეს... მეოთხეს... მოკლედ, გარისკა და გაუმართლა. მთელი ღამე „რულეტკასავით“ იბზრიალა და აბზრიალა ბებიები და მეხუთე ბებიასაც რომ „აბი გლუკოზასავით“ მიადგა, რა თქმა უნდა, იმ ბებომ, რაკი ზღაპრებისა და თოვლის ბაბუების აღარ სჯეროდა და უკვე „თეთრადაც დაბერებულიყო“, თოვლის ბებიობაზე სასტიკი „ატკაზიც“ მოხია და წივილ-კივილითა და თმის პუტვით ამხილა ავანტიურისტი. რა თქმა უნდა, მის გიჟურ მოტივაციას არავინ უთანაგრძნო. მაგრად ჟვეპეს და ბებიების მოსატყუარი კბილებიც ჩამოუღეს. ამაოდ გაჰყვიროდა, მანამდე 4 ბებია ვიხმარეო, რადგან ისინი სირცხვილის ან უფრო დამაჯერებელი არგუმენტის გამო ნამეტანი დამაჯერებლად უარყოფდნენ. რას გაუგებ ბებიებს? ასე იქცა ჩვენი რისკის მოყვარული, ექსტრემალური თოვლის პაპის და გათოვლისბებიებულების ამბავი, სახალხო „ჰიტად“. ჰოდა, შვილიშვილებო, ნურავის დაუთმობთ თქვენს წილ სითბოს, რომ მერე არ იყოს: წუხელ თოვდა, თოვდა, თოვდა, თოვლის პაპამ მიჰქარაა... თორემ გაგრძელება უკვე იცით! P.S. სანამ მკითხავთ, გეტყვით, რომ საახალწლოდ ბებიას არასდროს ვტოვებ მარტო და აფერისტი თოვლის პაპებისგან დაზღვეულები ვართ. ბერბიჭა“.

## ოჯახის მუჭუჭი

„ყოველ ახალ წელს ბაბუას გასახარებლად ზესტაფონში მივდიოდით. მიხაროდა იქ ჩასვლა. დედა სამზარეულოში ტრიალებდა, კეცზე მჭადსა და ხაჭაპურს აცხობდა, ქათამს ბრაწავდა, 12 საათზე ბაბუასთან ერთად თოფს ვისროდით. მოკლედ, ყოველ ახალ წელს მხიარულად ვხვდებოდით და ჩვენს ოჯახში სრული ჰარმონია სუფევდა. ბაბუამ ზაფხულში არყის გამოხდა გადაწყვიტა. სერზე მცხოვრები მეზობლისთვის საარყე ქვაბი უნდა გამოერთმია. ხარები ვერ გაიმეტა, ქვაბი მძიმეა და ცოდოები არიანო და თვითონ ბეჭით ჩამოიტანა (წარმოიდგინეთ, როგორ უყვარდა ხარები). იმ საღამოს ვენახში წავიდა და თოხნით რო დაიღალა, მწვანე ბალახზე წამოწვა და იმის მერე აღარც ამდგარა. ისევ მოვიდა ახალი წელი, ისევ გავეშურეთ ბაბუას გასახარებლად, მაგრამ იქ მისი მარი შევიდა თუ მურა ძაღლი, არაფერი გაუგია. მაშინ მივხვდი, რომ ბაბუს დიდი დღე აღარ ჰქონდა. ის ახალი წელი ყველაზე ნაღვლიანი და უხალისო იყო. ბაბუა რამდენიმე დღეში დაიღუპა. ჩემი ბაბუს ტკბილი, თბილი და ნაღვლიანი მზერა და ის საუკეთესო ახალი წლები არასოდეს დამავიწყდება.

მაშინ 6 წლის ვიყავი. დედა ზესტაფონში რომ მიდიოდა, გზის ფული დამიტოვა და დამიბარა, დეიდა წამოგიყვანსო. დეიდამ — გზის ფულს მე გადაგიხდი და მაგ ფულით შენ რაც გინდა, ის იყიდეო. წინასაახალწლო დღეები იყო და ეგონა, „ხლაპუშკებსა“ და შოკოლადს ვიყიდდი. წავედით სადგურის ბაზარში. ჩემმა დეიდაშვილმა შოკოლადი და ასაფეთქებლები იყიდა, მე კი გამყიდველს ვთხოვე, ზეთი, სოდა, მარილი, პური, შაქარი, ყავა, საპონი და ძმარი მოეცა. დეიდა გაოგნებული მიყურებდა. ჩემი სიიდან ერთადერთი ძმარი ამოიღო, რადგან იცოდა, მამაჩემს ფუთიანი ჭური სასვე ჰქონდა ძმრით. ვიფიქრე, შოკოლადებში ფულის დახარჯვის მაგივრად, იმ ფულით ოჯახი მომემარაგებინა. გზად დეიდაშვილმა შოკოლადი გახსნა და ჭამა დაიწყო. მუჯლუგუნი გავკარი, მეც მინდა-მეთქი. შენ გახსენი და საპონი ჭამე, გემრიელიაო, ჭკუა დამარიგა. P.S. შმაგის ის შოკოლადი მაინც შევუჭამე, დეიდაჩემის საახლობლოში კი არ დარჩენილა ადამიანი, ვისთვისაც დეიდაჩემს ჩემი გენიალური ქცევის შესახებ არ მოუყოლია. ჭრიჭინა“.


„საახალწლო“ მაესტრო

## დამშრალი წიწილები

„ნამდვილი გმირობა სიმთვრალეში ბიძაჩემმა ჩაიდინა. ერთ ზაფხულს მოულოდნელმა წარღვნამ წიწილები დაასველა და კინაღამ საქათმის „ტბაში“ დაიხრჩვნენ. ჩემი საყვარელი ბებია, რომელიც სამსახურში მორიგე იყო, მოკვდა ნერვიულობით და წინასწარ გამოიტირა საყვარელი წიწილები. ამ დროს მთვრალმა ბიძაჩემმა გალუმპული წიწილები სახლში შემოიყვანა, კედელთან მწკრივში დაალაგა (უკვე ვეღარც მოძრაობდნენ, საცოდავები), „ფენი“ ჩართო, დაუმიზნა და სათითაოდ, რიტმში დააშრო. მაგარი სანახავი იყო, ნელ-ნელა, რიგრიგობით რომ დაიწყეს თვალების გახელა და წივწივი. ისეთი საყვარლები იყვნენ, ლამის ტაფა გავამზადე (ეს ხუმრობით). ჰოდა, ასე! დილით ბებოს სიურპრიზი დაახვედრა ბიძაჩემმა. ჰაუსი. ახალი ვარ ანუ კარგად დავიწყებული ძველი“.

## თემაზე და თემის გარეშე მოსული მოკლე მესიჯები

„ჩემს მშობლებს პირველი ბიჭი ჰყავდათ და რომ გაიგეს, მეორე გოგო ეყოლებოდათ, ძალიან გაუხარდათ. ფეხმძიმობის ბოლოს სახელის შერჩევა გადაწყვიტეს. მამამ „ქეთევანი“ აირჩია, დედაც დაეთანხმა, თუმცა, სულ სხვა სახელი ჰქონდა შერჩეული. ერთ დილას დედამ რომ გაიღვიძა, მამა მოატყუა, ღვთისმშობელი დამესიზმრა და მითხრა, გოგო გეყოლება და „მარიამი“ დაარქვიო. მამა რაღას ეტყოდა? დაეთანხმა. დედამ გარისკა და ნამდვილად გაუმართლა. ასე დამარქვეს სახელი, რომელიც უზომოდ მიყვარს. P.S. სხვათა შორის, მამამ სიმართლე დღემდე არ იცის. აფსუს, „გზას“ მაინც კითხულობდეს, ხომ გაიგებდა? ჭრიჭინა“.

„შეზარხოშებულ მდგომარეობაში ცხენზე უნაგირის გარეშე შეჯდომა გავბედე, მოვახერხე და როცა 2-ჯერ ეცადა ჩემს გადაგდებას, წონასწორობაც მშვენივრად შევინარჩუნე. ეს შეიძლება, სიფხიზლეში ნაკლებად გამომსვლოდა. ჰო, კიდევ, დაღმართში სულ მიჭირდა ამ არაჩვეულებრივი ცხოველის ჭენება და ეს დაბრკოლებაც სასმლის გარკვეულმა დოზამ გადამალახვინა. არ მინდა, ამით ვთქვა, დალიეთ და ყველაფერი უკეთ გამოგივათ-მეთქი. უბრალოდ, ზოგისთვის ასეც ხდება და თან — სამი დალიეთ, შეგერგებათ, არ დაითვრებით. სარვიეტა“.

■

**„გზავნილების“ მომდევნო თემად გთავაზობთ — „სიურპრიზი, რომელიც ცხოვრებამ მომიწყო“. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com რაც შეეხება „მოკლე ჩართვას“ ამჯერად გთავაზობთ კითხვას: „ყველაზე სასაცილო სადღეგრძელო, რომელიც ამ ახალ წელს მოვისმინე?“**

# მშობლის დაკარგვით გამოწვეული ტკივილი

## „მეგობარი ჭირში შეიცნობა!“

**„გზის“ №1-ში დაიბეჭდა ნინის მესიჯი. იგი გვწერდა, რომ ყველაფერს მუქ ფერებში ხედავს და ცხოვრება აღარ უნდა. „მამა გარდამეცვალა და ჩემი მარტოსულობა ამანაც განაპირობა. მეგობრები კი მყავს, მაგრამ არავის ვახსენდები, თავს ეულად ვგრძნობ და ახლა თქვენი დახმარების იმედი მაქვს...“**

*ლიკა ქაჯაია*



**თეო:**

„ახლა უფრო სჭირდები მამას. სჯობს, ეკლესიაში იარო, მისი სულისთვის ილოცო და ის კვლავ შენთან იქნება. გაიჩინე ახალი მეგობრები და ძველებსაც დაუკავშირდი — მათ თუ არ ახსენდები, შენ გაიხსენე, მოიკითხე ხოლმე. მგზავნელები კარგი ადამიანები არიან და თუ მათ დაუმეგობრდები, თავს მარტოსულად არ გაგრძნობინებენ. გკოცნი“.

**უცნობი:**

„დილა მშვიდობისა. ჟურნალ „გზაში“ თქვენი წერილი წავიკითხე. ნინი, მინდა, უანგაროდ დაგეხმარო. მოდი, ერთად ვეომოთ სევდას და მჯერა, მალე გავმხიარულდებით“.

**კლეოპატრა:**

„სიხარულო, შენი მესმის. გეთანხმები, საშინელებაა ეულად ყოფნა, როცა ვერავის უზიარებ საკუთარ ტკივილს და როცა შენი არავის ესმის. უფალს მიენდე, ის არასდროს მიგატოვებს. 8(98) 28.32.72 — ამ ნომერზე მომწერე და იქნებ, როგორმე დაგეხმარო“.

**SKY:**

„საყვარელო, ეცადე, არ იდარდო. იმაზე იფიქრე, რომ შენი მამიკო ღმერთთანაა. უფალს თავისთან რჩეულები მიჰყავს. ალბათ, ძალიან ძნელია, მაგრამ დარდს უნდა მოეშვა და ილოცო“.

**რუსკაია:**

„არ მესმის, როგორი მეგობრობა გაკავშირებთ? ახლა თუ არ ამოგიდგნენ მხარში, მერე რაღას იზამენ? როცა მამა გარდამეცვალა, მეგობრები შინ ყოველდღე მაკითხავდნენ ან ტელეფონით მიკავშირდებოდნენ, მამხნევებდნენ და დეპრესიისგანაც მიხსნეს. დედამაც იყოჩაღა! მკაცრი დედა სულ სხვანაირი გახდა, მან მე და ჩემს ძმას მამობაც კი გაგვიწია, უმაღლესი განათლება მიგვაღებინა. ჩვენზე ვერავინ იტყოდა, ამათ მამა არ ჰყავთ და უჭირთო. დედა 4 სამსახურში ერთდროულად მუშაობდა... რაც შეეხებათ შენს მეგობრებს, რას იზამ, არ გამოგადგნენ და მათ ძალით ხომ არ შეახსენებ თავს? იცოდე, მეგობარი ჭირში შეიცნობა! ცხოვრება გრძელდება, ნინ. მამაშენს აქ სანთელი არ მოჰკლებოდეს, იქ კი — ნათელი დაადგეს!“

GOLD GIRL:

„ძალიან ვწუხვარ. ვიცი, გიჭირს, მაგრამ იცოდე, ცხოვრება გრძელდება და შენც მის დინებას უნდა მიჰყვე. ცუდია, რომ გასაჭირის დროს მეგობრებს აღარც კი ახსენდები და მათ ზურგი გაქციეს. ეგ რა მეგობრობაა?!. ნინ, სიამოვნებით გაგიწევ მეგობრობას. თუ სურვილი გექნება, დამიკავშირდი. ღმერთი გფარავდეს“.

**რუისპირი:**

„რომ იცოდე, როგორ მესმის შენი. ჩათვალე, რომ მარტო არ ხარ — მეც განვიცდი და მტკივა შენთან ერთად. დამიჯერე, არც ერთი ჩვენგანი აღარ ვართ იმ ასაკში, როდესაც ცხოვრებას ვარდისფერი სათვალით უყურებ (ეს ფრაზა ძალიან აქტუალური გახდა ჩვენში, რაც გულს მტკენს). ოჯახის წევრის დაკარგვა საშინელებაა, მით უმეტეს, იმ ადამიანის, რომელმაც სიცოცხლე გიბოძა, მაგრამ რას ვიზამთ, ასეთია უფლის ნება. უნდა გამაგრდე და დასძლიო ეს ტკივილი. იცოდე, დაღმართს ყოველთვის აღმართი მოსდევს. მერწმუნე, მეგობრებს ახსოვხარ, მაგრამ არ იციან, როგორ მოიქცნენ, შენს ტკივილს იზიარებენ, ოღონდ ამის გამოხატვა უჭირთ (ასე დარწმუნებით იმიტომ ვამბობ, რომ მათ მეგობრებს თავად ეძახი). რატომ? — ახლა მათი ყურადღება უფრო „დაგგრუზავდა“, რადგან იფიქრებდი, — ყველას ვეცოდებიო. მათ სწორედ ეს არ უნდათ... არ ვიცი, მამა რამდენი ხნის წინ გარდაგეცვალა და ამიტომაც ვერ გეტყვი, — წადი, გაერთე-მეთქი, მაგრამ იცოდე, ცხოვრება უნდა გააგრძელო, არ ჩამორჩე მის სწრაფ რიტმს, თორემ მერე მისთვის ფეხის აწყობა გაგიძნელდება. ჰო, ღმერთსაც კარგი ადამიანები მიჰყავს თავისთან. წარმატებებს გისურვებ, მთელი გულით!“

**მზია:**

„ვიზიარებ. მამა არც მე მყავს და მესმის შენი. მეც ვიყავი დეპრესიაში და გვერდითაც არავინ მყავდა. მეგობრად მიგულე და გულის გადაშლა თუ მოგინდება, შემეხმიანე“.

**ფილიპო:**

„ღმერთმა აცხონოს და მუდამ ნათელში ამყოფოს მამაშენის სული. ჩემო კარგო, გული არ გაიტეხო. შეიძლება, ახლა ჩემი ნათქვამი არ გესიამოვნოს, მაგრამ მინდა გითხრა, რომ ეს ტრაგედია სამყაროს დასასრული არ არის. რით დაძლიო ეს ყველაფერი? — თავი ხელში აიყვანე და მოიქეცი ისე, როგორც ცხონებულ მამაშენს გაუხარდებოდა და ესიამოვნებოდა. სევდას ნუ მიეცემი (ეს არც ისე ადვილია, მაგრამ არა — შეუძლებელი) და მის ხსოვნას პატივი ეცი. პირადად მე, 3 წლის ვიყავი, როცა მშობელი დავკარგე და უკვე 17 წელია, ზემოთ თქმულის გათვალისწინებით ვცხოვრობ. ჩემთვის 2 წმინდა რამ არსებობს: ღმერთი და მამაჩემის ხსოვნა!.. საინტერესოა, ნიკი რატომ არ დაწერე? რად გინდა ეს ვითომ ნიღაბი? — ყოველთვის იყავი ის, ვინც ხარ!“

**გრუზინკა:**

„ძალიან ვწუხვარ და ვიცი, რასაც განიცდი. ოჯახის წევრის დაკარგვა, თანაც — მამის ძალიან მტკივნეულია. სამწუხაროდ, თავად ვერ ვწყვეტთ ჩვენი ახლობლების სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს, ეს ღვთის ნებაა. ილოცე მამის სულისთვის, დაუნთე სანთელი და დაუახლოვდი ღმერთს“.

**აბეზარა:**

„არც კი ვიცი, რა უნდა გითხრა. ალბათ, ჩემი სიტყვებიც ვერ განუგეშებს. საბედნიეროდ, მშობლები ცოცხალი მყავს (ერთხელ მესიზმრა, რომ მამაჩემი მოკვდა და 2 დღე ვტიროდი). როცა ბებია გარდამეცვალა, მეც საშინლად ვიყავი, მაგრამ მეგობრებმა დარდი შემიმსუბუქეს და ჩემი გამხიარულება შეძლეს კიდეც... რას იზამ, მამაზე ფიქრს ვერსად გაექცევი, მაგრამ დროთა განმავლობაში მდგომარეობიდან

აუცილებლად გამოხვალ. მთავარია, ტაძარში იარო. მოძღვარი სულ იმას ამბობს: გარდაცვლილს ტირილი კი არა, მის სახელზე ლოცვა სჭირდებაო. დარწმუნებული ვარ, მამიკო ზემოდან ღიმილით დაგყურებს და გლოცავს. ჰო, ახლა დედაშენსაც სჭირდება გამხნევება და მხარში ამოდგომა. უფალი გფარავდეს! P.S. ლიკ, ნინის ნომერი მინდა და შეგიძლია, დამეხმარო?.. (*თუ ნინი თავად გამოთქვამს შენთან დაკავშირების სურვილს, მხოლოდ ამ შემთხვევაში შემიძლია მისი ნომრის მოცემა. — ავტ.*)“.

**სატანა:**

„მამაშენის გამო ძალიან ვწუხვარ. ვიცი, მარტოობა რასაც ნიშნავს. იქნებ, შენი მეგობრებიც მიხვდნენ, თუ როგორ გჭირდება მათი დახმარება...“

**მიმი:**

„ჩემო კარგო, მამა არც მე მყავს, მაგრამ ადამიანმა ყველაფერს უნდა გაუძლოს. თუ სურვილი გექნება, შემომეხმიანე“.

**უცნობი:**

„ჩემო ნინი, 2009 წლის მარტში მამა მეც გარდამეცვალა. ძალიან ცუდად ვიყავი და ე.წ. დეპრესიაშიც ჩავვარდი. მოგვიანებით, ინტერნეტში, ერთ-ერთ საეკლესიო საიტზე მოვიძიე ინფორმაცია — ცხოვრება გარდაცვალების შემდეგ. იქ წავიკითხე, რომ მამა ყოველთვის ჩემ გვერდითაა და სხვათა შორის, მე ამას ვგრძნობ! ვიცი, ეს ტკივილი მოუშუშებელია, ის არასდროს შეხორცდება, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ — ჩვენი ტირილით გარდაცვლილს სულს ვუმძიმებთ. ჩემო მეგობარო, თუ რაიმე კითხვა გაგიჩნდება, დამიკავშირდი და ვილაპარაკოთ. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ხომ ერთნაირი ტკივილი გვაკავშირებს!“

**გვანცი:**

„პრივეტ“, ნინ. როგორ ხარ, სიხარულო? მინდა გითხრა, რომ შენ მამა არ დაგიკარგავს — ის ყოველთვის შენთან იქნება! მამისთვის ილოცე, გთხოვ და ნუ მოიწყენ. 8(98) 40.26.82 — ეს ჩემი ნომერია. დამიმესიჯე და ვიმეგობროთ“.

**ჭრიჭინა:**

„ძნელია, ასეთ დროს სანუგეშო სიტყვები მოძებნო. ჩემო ძვირფასო, ვიზიარებ შენს მწუხარებას და ტკივილს. მამის სულის საცხონებლად ცხოვრებიდან მუქი ფერები უნდა განდევნო. გულახდილად გეტყვი, ასეთ მდგომარეობაში რომ ხარ, ეს შენივე „ყურადღებიანი“ დაქალების ბრალია. იმის ნაცვლად, რომ გამუდმებით შენთან იყვნენ და ტკივილზე ფიქრის საშუალება არ მოგცენ, სულ გაქრნენ? საღოლ, მაგათ!.. სევდა და მარტოობა ეკლესიაში სიარულით და ადამიანებთან ურთიერთობით უნდა დაძლიო. დამიკავშირდი, ერთად დავძლიოთ შენი ტკივილი და ვეძიოთ გამოსავალი. P.S. ყველას გილოცავთ შობა-ახალ წელს“.

**ლუნა:**

„მშობლის დაკარგვით გამოწვეულ ტკივილს მხოლოდ დრო თუ გაანელებს, თორემ არა მგონია, ჩვენი რჩევები რაიმეში დაგეხმაროს. ვიცი, ეგ ისეთი ტკივილია, რომელიც ცხოვრების ბოლომდე არ განელდება. ხომ იცი, მამაშენს შენი კარგად ყოფნა გაახარებდა, ჰოდა, არ მისცე თავს უფლება, ცუდად იყო. მარტო არ ხარ, მთელი „გზავნილეთი“ შენთან ვართ!“

**გადარეული:**

„ეს გულისტკივილი როგორმე უნდა დაძლიო და ჩვეულებრივი ცხოვრება გააგრძელო. სულ მამის გარდაცვალებაზე რომ იფიქრო, დაიტანჯები. არ განიცადო, მეგობრებს თუ არ ახსენდები. მთავარია, თავს მიხედო. იმედია, გამოჩნდება ადამიანი, რომელიც შენს გულისტკივილს გაიზიარებს“.

**დამავოი:**

„ვწუხვარ მამაშენის გარდაცვალების გამო. საყვარელო, თავს როგორმე უნდა მოერიო და დაძლიო ტკივილი, სევდა. მესმის შენი. იცი, მამა მეც ცუდად მყავს და ყოველდღე იმის შიში მაქვს, ოჯახში რაიმე უბედურება არ დატრიალდეს. ნინი, ილოცე მისი სულისთვის, შენი საყვარელი მამიკო ხომ უფალთანაა. და კიდევ, შენი სიკეთით მის სულს სიმშვიდის მოპოვებაში დაეხმარე. მოძღვარს გაუმხილე დარდი, ის კი თავისი ტკბილი სიტყვებით აუცილებლად დაგეხმარება. უფალს ებარებოდე“.

**სალი:**

„სიხარულო, ვიცი, რომ ცუდ სიტუაციაში ხარ, მაგრამ თავს უნდა მოერიო და დამშვიდდე. დედა და ნათესავები არ გყავს? თუ გინდა, დამეკონტაქტე და შეძლებისდაგვარად დაგეხმარები. კარგი ადამიანი ჩანხარ“. ■

## თინეიჯერები გვწერენ

**დამავოი:**

„იკუშკების აზრი, მართლაც, გენიალურია. მეც მინდა, რაიმე წვლილი შევიტანო მელორის სურვილის ასრულებაში. იმედია, ყველაფერი გამოგვივა“.

**ნიბუ:**

„იკუშკები, ყველანაირად შევეცდები, მხარში ამოგიდგე და მელორას დავეხმაროთ. მართალია, ახალი წელი უკვე გავიდა, მაგრამ თუ რამით შემიძლია დახმარება, ჩემი ნომერი მიეცით და დამეკონტაქტოს“.

**მელორა:**

„გამარჯობა. ყველას ძალიან დიდი მადლობა. თქვენ თქვენი სიტყვებით მართლაც, გამამხნევეთ და ძალა შემმატეთ. ჰოდა, ახლა უზომოდ ბედნიერი ვარ. თურმე, ჩემმა შეყვარებულმა ჩემი მესიჯი წაიკითხა და ძველით ახალ წელს თავად ჩამოდის სოფელში... იკუშკები, ულრმესი მადლობა შენ, ჩემი დახმარების სურვილი რომ გამოთქვი, მაგრამ ფული რომ შეაგროვოთ, თავმოყვარეობა არ მომცემს უფლებას, ავილო. ასე რომ, ტყუილად გაირჯები. იცოდე, შენ მე ისედაც დამეხმარე თბილი სიტყვებით. ყველა მგზავნელს, პირველ რიგში კი ჟურნალ „გზას“ და მის მშვენიერ ჟურნალისტებს, დიდი მადლობა. ძალიან მიყვარხართ“. ■

# „2009 წელმა საშინელი ტკივილი დამიტოვა“

**კლეოპატრა:**

„ლიკუშ, მკითხველებო, თბილი სიტყვებით თქვენს დახმარებას ველი. 2009 წელმა საშინელი ტკივილი დამიტოვა: ჯერ იყო და, უსაყვარლესი პაპა გარდამეცვალა, მერე ყველაის მეგობარი დავკარგე, ვისიც მჯეროდა — ერთმა მეორე დაქალთან დაიწყო ჩემზე ჭორაობა. ვაპატიე და აქეთ დამდო ბრალი; მეორე მეგობარმა, რომელსაც ვითომ ძალიან ვუყვარდი, საკუთარ ჯვრისწერაზეც არ დამპატიჟა. თურმე, ბოდიში და ფეხებზე ვკიდივარ (ასე თქვა); მესამე დაქალი, როცა ცუდად იყო, გვერდიდან არ მშორდებოდა და გამუდმებით საკუთარ ტკივილს მიზიარებდა, ახლა კარგადაა და არც კი ვახსენდები ანუ გამომიყენა. არადა, მისთვის ცუდი მეგობარი მართლა არ ვყოფილვარ, ამას უფლის წინაშე ვამბობ. ამ ყველაფერს ისიც დაერთო, რომ 2 სამსახური ვიშოვე და ორივე დავკარგე. ახლა ვცდილობ, დეპრესიას გავუმკლავდე, მაგრამ სახლში ჯდომა ამის საშუალებას არ მაძლევს. მოკლედ, მხოლოდ უფლისთვის ვცოცხლობ და ვცდილობ, ფეხზე წამოვდგე. მომიტევეთ, თუ ჩემი ალსარებით შეგაწუხეთ. უბრალოდ, ძალიან ცუდად ვარ და ამ ტკივილის გაზიარებით ცოტათი მომეშვა. ხალხო, გიყვარდეთ ერთმანეთი! მიყვარხართ“. ■

*P.S.* ***მაშ ასე, თუ კლეოპატრას წერილის წაკითხვის შემდეგ, მასთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მას თქვენი დახმარების იმედი აქვს.***



# მობილი-ზაცია

*იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.*



## ქალები

1. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ სერიოზულ ადამიანს. ვარ მაია, 25 წლის.

2. გავიცნობ თბილისში მცხოვრებ, ბინიან, დასაქმებულ ბიჭს. სასურველია, ცხოვრობდეს მარტო, იყოს სერიოზული. არ ვარ ლამაზი. ვარ სერიოზული, კარგი, წესიერი, 25 წლის.

3. გავიცნობ თბილისში მცხოვრებ, ბინითა და სამსახურით უზრუნველყოფილ ბიჭს. სასურველია, ცხოვრობდეს მარტო, იყოს სერიოზული, არასმელი. ვარ საშუალო სიმაღლის, შავგვრემანი გოგო, 25 წლის, სერიოზული, კარგად აღზრდილი.

4. გავიცნობ რუს ბიჭს, თბილისში ბინიანს, დასაქმებულს, ჭკვიანს, 24-32 წლამდე. ვარ 25 წლის. არ ვარ ლამაზი. ვარ წესიერი, კარგი გოგო.

5. მინდა გავიცნო ახალგაზრდა მამაკაცი. ვარ 25 წლის, მქვია სვეტლანა. შემეხმიანეთ და შევქმნათ ბედნიერი ოჯახი.

**ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მობილი-ზაციისთვის“ გამოსაგზავნი მესიჯის ტექსტი უნდა აკრიბოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საბერძნეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრებილი, არ გამოქვეყნდება!**

| | | |
|---|---|---|
| ა — a | მ — m | ღ — gh |
| ბ — b | ნ — n | ყ — y |
| გ — g | ო — o | შ — sh |
| დ — d | პ — p | ჩ — ch |
| ე — e | ჟ — zh | ც — c |
| ვ — v | რ — r | ძ — dz |
| ზ — z | ს — s | წ — w |
| თ — t | ტ — t | ჭ — wh |
| ი — i | უ — u | ხ — x |
| კ — k | ფ — f | ჯ — j |
| ლ — l | ქ — q | ჰ — h |



## კაცები

6. დაოჯახების მიზნით გამომეხმაუროს ჩემსავით ობოლი ქალიშვილი, ალალი და პატიოსანი, 34 წლამდე. ვარ 34 წლის. ლოთი და ნარკომანი არ ვარ. ბედნიერ შობას გისურვებთ. გკოცნით.

7. 34 წლის, ქუთაისში მცხოვრებ მამაკაცს სურს გაიცნოს 28 წლამდე გოგო. დანარჩენი — პირადად.

8. ვარ თბილისელი, 28 წლის, სიმპათიური მამაკაცი. გავიცნობ თბილისელ, ლამაზ, ჰიგიენურ მანდილოსანს, 35 წლამდე. მომწერეთ თქვენს შესახებ. გიო.

9. გავიცნობ ქვრივ ან განათხოვარ ქალს, 35 წლამდე, ოჯახის შექმნის მიზნით!

10. ოჯახის შექმნის მიზნით მინდა გავიცნო 35 წლამდე ასაკის, შეძლებული ქალბატონი. იყოს თუნდაც განათხოვარი ან ქვრივი!

11. გავიცნობ ქალს, რომელსაც აკლია სითბო და სიყვარული ჩემსავით. ვარ დასავლეთიდან. თქვენგან მხოლოდ მჭირდება გულისხმიერება, სხვა არაფერი.

12. ვეხმაურები გოგონას, დიკი ანგელს. დიდი სიამოვნებით გაგიცნობდი. ვარ დასაოჯახებელი, 193 სმ. დამიკავშირდი. ბექა.

13. ვარ 39/175, უმაღლესი განათლებით, სერიოზული, კულტურული, კარგი გარეგნობის.

14. გავიცნობ 18-22 წლამდე ასაკის, ლამაზ გოგოს.

15. გავიცნობ ლამაზ გოგონას. ვარ დასაქმებული, მყავს ავტო. აჩრდილი29.

16. გავიცნობ ქუთაისელ მანდილოსანს. ვარ 32 წლის, შავგვრემანი, ეშხიანი, თბილი, კეთილი და გამგებიანი. გოჩა.

17. თუ გსურთ ოჯახის შექმნა, შემეხმიანოს 36 წლამდე ასაკის, თუნდაც განათხოვარი გოგონა და ჰყავდეს 5 წლამდე პატარა. ვარ 38 წლის, რაიონიდან. გამრთობებმა თავი შეიკავეთ.

18. მყავს ძმა, 52 წლის, დასაოჯახებელი. ოჯახის შექმნის მიზნით გთხოვთ გამოეხმაუროს სერიოზული, პატიოსანი ქალბატონი, რომელსაც სერიოზულად სურს ოჯახის შექმნა.

19. დაოჯახების მიზნით გავიცნობ სიმპათიურ, ლანჩხუთელ გოგოს, 25 წლამდე. ვარ 29 წლის, სიმპათიური, დასაქმებული მამაკაცი. მსუქნებმა თავი შეიკავეთ. ველი გამოხმაურებას.

20. ჯერ უბრალოდ სამეგობროდ, ოჯახის შექმნის პერსპექტივით გავიცნობდი ლტოლვილ, 34 წლამდე, საშუალო სიმაღლის, გამხდარ, მარტოხელა დედას, მცირეწლოვანი შვილით. მომწერე.



## სხვადასხვა

• მე პირველად ვმესიჯებ, მაგრამ „გზავნილების“ მკითხველი ვარ. 9717, შენი გაცნობა მინდა. ანანო.

• როგორ ხარ? ძალიან მენატრები. მინდა შენი ნახვა, მაგრამ ხომ იცი, მაგის უფლებას არ მომცემენ. მაგრად იყავი არაფერზე იჯავრო. ბავშვი კარგად არის. გვიყვარხარ. ელენე.

• ჩემო სიცოცხლევ, ჩემო ცხოვრებავ, ჩემი ლამაზი ოცნება ხარ. შენით ვსუნთქავ და ვარსებობ. გწამდეს, რომ მუდამ ერთად ვიქნებით და ამას ვერავინ და ვერაფერი შეცვლის. სუსუ.

• ჭორიკანავ, რატომ ჩამთვალე ლიმონად? მხოლოდ მასთან რომ მქონდა აქ დიალოგი? :) არ არის ასე. P.S. ლიმონა, შენ მართლაც დაიკარგე და იმედია, კარგად ხარ, დაიკო. სარვიტა.

• ბედნიერებაა, როცა ახალ წელს შენს სამშობლოში, ახალი იმედებითა და რწმენით ხვდები. ბედნიერი ვარ, ყველას გეფერებით. მალე ისევ მივდივარ, მა-

გრამ თქვენ ხომ ხართ...

• ჩემი სურვილია, ეს SMS „გზავნილებ-ში“ მოხვდეს: საქართველოვ, ახალ წელს გილოცავ! მე წელს აქ ვარ, მაგრამ შარშან შენს წიაღში ყოფნას ვნატრობდი.

• ASHLEY PCD კარგია რომ აქტიურობ. ჟურნალს რომ გადავშლი, პირველად შენი ნიკი მხვდება თვალში, იმდენ გზავნილს გზავნი. გაიხარე, ეგრე გააგრძელე. გადარეული.

• ნაგლო, შენ და შენს რაინდებს ბევრ სიურპრიზს გპირდებით. მიდი, ცოცხზე გადაჯექით, მალე დამაფრინდებით, კენჭაობას ვითამაშებ, თქვენი თეთრი კბილებით. ბერბიჭა.

• ASHLEY, არვის ვაწვალებ და ნუ ამყვები კამათში, ცისია უკაბოდ მომწონს, ცხრათვალა მიყვარს კაბაში. ყური რომ ფხანავს მოითხოვს, თითს ბრალი უდევს ამაში? ბერბიჭა.

• ცხრათვალავ, ჯვარს რომ დავიწერთ, როცა მამაო გვაკურთხებს, მაშინ დატოვებს მესამე, ჩვენს მარადიულ სამკუთხედს. იმ დღიდან სულით ხორცამდე, ერთმანეთს დავისაკუთრებთ. ბერბიჭა.

• ცისი, ჩემგან ბევრს ნუ ითხოვ, გტანჯავს ეგ ნაღველი, მარა რა ვქნა, სხვა მიყვარს და რომ არ დამრჩე გულნატკენი, ჩემს სხეულში ბომბია და შენ იყავი გამნაღმველი. ბერბიჭა.

• ASHLEY, შენ გგონია, ჩემი ნებით ვაბირჟავებ მაგიდის ქვეშ? პროსტა, 2 წლის წინ წავაგე, სანამ არ გათხოვდები, მანამდე იჯექი მაგიდის ქვეშო. ჰოოდა, რა ვიციიი. :) დამავოი.

• ვალერი მამასახლისო, მენატრები ძალიან. შენ გელოდები შვილო, შორიდან. მთავარია, არაფერი გტკიოდეს. უფალს ვთხოვ, დაგიფაროს. მიყვარხარ, შვილო. მზია. ახალქალაქიდან.

• ვალერი მამასახლისო, კარგად ყოფნას გისურვებ, ძამიკო. იმედი არ დაკარგო. ღმერთი გიშველის. მიყვარხარ და მენატრები. გკოცნის შენი დაიკო, ჟანა, ახალქალაქიდან.

• ენიგმა, ჩემი უსაყვარლესი ძამიკო ხარროო. ნიბუს გულში უყვარხარო. სიკვდილ, სად დამეკარგე? ASHLEY-ის ლექსი მომეწონა. ეშმაკუნ, ან შენ სად გაქრი, ქალი? ნიბუ.

• გოიმები სოფელშიც არიან და ქალაქშიც. მე ჩემი სოფელი ისე მიყვარს, რომ ჩავდივარ ხეებს, მიწას, ქვებსაც კი ვეფერები. სპეცნაზ, ვინც მაგას ამბობს, გოიმი თავად არის. ნიბუ.

• აუ, დღეს 8 იანვარია და რა მაგრად ვაარ! ჯერ სახლში კუნტრუშ-კუნტრუშით მოვედი და ქუჩაში სერიალ „ეშმაკის საიდუმლო“ ანუ რუსთავი 2-სათვის „ანხელის საიდუმლო“ საუნდტრეკს ბოლო ხმაზე ვბღაოდი, ახლა კი შალახოს ფონზე („გურულების ეზოს“ მეპატრონეს წყალობით), ტუალეტში ვიცეკვეე! ავოეე! :) თან შარდის ბუშტის დაცლის სურვილიც გადამავიწყდა. :) მერე ვიფიქრე, ბარემ გავიხდი და ისე დავწვები-მეთქი და ტუალეტშივე სტრიპტიზ-შალახო ვიცეკვე. :) არა რა, მთვრალი ქალიც კაი ქალია. :) ASHLEY.

• აეე! გაკლიათ და გიხარიათ! სიტყვა სოფლელი გადატანით კონტექსტში იხმარება და გოიმს ნიშნავს, ხოლო სულით სოფლელი, სულით ხორცამდე მაგარ ბანძს. რა შუაშია აქ საცხოვრებელი ადგილი? როგორც ქლიავი ხილია და გადატანითი მნიშვნელობით იდიოტს ნიშნავს, ისევე იხმარება სიტყვა სოფლელიც. ASHLEY PCD.

• იზიას ვუყურე საზოგადოებრივ მაუწყებელზე და დაიძინე. ნუ იფხორები ინდაურივით. უჟე მაჩვენე შენი დაბალი დონე და დალშე, მკიდიხარ. PK. ASHLEY PCD.

• ვისი კაცები არ მაინტერესებს და არც მაგ დონის ვარ, 1 ღამით დავუწვე ვინმეს. შენ ხომ გხმარობს ყოველღამე შენი საქმრო? ჰოდა, დაწყნარდი. ახლა წადი, ფია ჭამე.

• რამდენადაც ვიცი, მსოფლიოში 450 სახეობის წიწაკა არსებობს და თუ არ მომეშვები, ჩემი ენა შეიძლება ყველაზე მწარე ჯიშის წიწაკაზე მწარე აღმოჩნდეს.

• ნაგლი, შუა საუკუნეებში, ინგლისმა და საფრანგეთმა შავი ჭირი მოიშორა და მე შენ ვერ მოგიშორე! აგვისტოს ომში, რუსებს გადავურჩი და შენ უნდა მამკლა?

• ბერბიჭ, უარი არ გამაგონო. შენს სასწავლებელში ლექციებს ვკითხულობ მე, ანუ გამოცდილი თამადა, დამრტყმელი, პურის მჭამელი ნიბუ. ვაი, რა მეშველებაა, არც არაფერი, ხომ? ნიბუ.

• მიყვარს ადამიანი, რომელსაც საკუთარ თავზე მეტისმეტად დიდი წარმოდგენა აქვს. ამიტომ, მინდა ვუთხრა მას: ნუ გგონია, რომ ერთადერთი ხარ ქვეყნად.

• თაზო, როგორ ხარ? არაფერზე იჯავრო. გილოცავ ყველა დღესასწაულს. მიყვარხარ. დედა.

• ჭრიჭინ, გეხუტე. წინასწარ გილოცავ დაბადების დღეს. სიხარულს, სიყვარულსა და დიდ ბედნიერებას გისურვებ. უფლის წყალობა და ღვთისმშობლის ლოცვა არ მოგაკლებოდეს. გკოცნი, ფლამინგო.

• მოგნატრებია ოდესმე ტირილი? ვისიმე ხმა თუ მოგნატრებია? ღამე მთვარესთან გითენებია? ზღვასთან ბაასი თუ გყვარებია? თვალები ცრემლით თუ აგგვსებია?

• მგზავნელებს თბილი და ტკბილი სალამი. როგორ ხართ, სიხარულებო, ოლეს მადლობა მოლოცვისთვის. ბერბიჭა, ცხრათვალა და ცისია, კარგები ხართ და მომწონხართ. იდუმალი ქალი.

• ძვირფასო მისტეროქს, მაზოხისტების აქსესუარებით აღჭურვილს მეც მიყვარს შენისთანა დედალი კაცების მიპეპვლა, ოღონდ გამიძელ და ბევრს ნუ იტირებ, კარგი? ეკა09.

• ცხრათვალ, დედაჩემის საახალწლო სურვილი ჩემი დაწყვილებაა. ავუსრულოთ? მანამდე კი 11 იანვარს დაბადების დღეს ვულოცავ დედიკოს, მარა ჩემი დაწყვილება ადრეა, დეე. ბერბიჭა.

• შენი ლოცვის მადლის ძალა, განსაცდელში სულ თან მდევდა, ვიცი, გოგოს ნატრობდი და შვილად ბიჭი დაგებედა. დაბადების დღეს გილოცავს დღეს ეს ბიჭი, ჩემო დედა. ბერბიჭა.

• თაზო, მაია ვარ, გილოცავ შობა-ახალ წელს, კარგი წელი დამდგარიყოს ყველა ოჯახში. ყველაფერ საუკეთესოს გისურვებ. ყველაფერი კარგად იქნება. უფალი გფარავდეს.

• გოგო ASHLEY, ჩუმაად, წინაპრებმა არ გაგვიგონ. ვენაცვალე მაგათ, დრო მოვა და ჩვენც პრიკოლწინაპრებად ვიქცევით. აუ რაა, გუნდაობა მომენატრა, თოვლი კი ფაფუუ. ელექტრა.

• გამარჯობა მგზავნელებო. ყველა მენატრებით. ჯანმრთელობის გაუარესების გამო ძველებურად ვერ ვიცლი და ვერ გწერთ. მოვიკითხავ სო-ნის, ქალ ცდუნებას, უკარებას, ოლეგარიოს.

• დოქის ტუჩს აღმერთებ, ქალისას კი არა, ღვინოს ასახელებ მშვენებად მაგიდის, მაგრამ ეგ თვალები ხარივით ბრიალა, დოქისკენ კი არა, ქალისკენ გაგირბის. შენ არ იუარებ, ლოთი არა ვარო, მაგრამ ცხრა სიგელიც ლოთისა გეჭიროს, მაინც მეეჭვება ჩემო ყარამანო, რომ შენ დოქის ტუჩი ქალისას გერჩივნოს. დეჟ-ა-ვიუ.

• სევდიანი ქალი, ძლაბი, თბილისში სად ცხოვრობ? მეც მეგრელი ვარ, გავიცნოთ? კრიშა.

• ღამე გაირინდა შენზე ოცნებაში, აღარ მასვენებენ შენზე ზმანებანი, ნეტავ უშენობას უცბად მოვეკალი, ვისღა დავუძახო, ჩემი ცხოვრება და ჩემი ქალი?..

• მოვიკითხავ კახეთში, ლაგოდეხის რაიონის სოფელ ცოდნისკარში ჩემს ნათესავებს, მანანა და მაკა ლაბაძეებს. მენატრებიან და ვთხოვ, დამიკავშირდნენ.

• სადაც ვშობილვარ გავზრდილვარ და მისროლია ლაგატკა, ბავშვობიდანვე შემძულდა თოხი, ბარი და ლაფატკა. გადარეული.

• ახლა მე ვზივარ ოთახში მარტო, ჩემი ფიქრები მხოლოდ შენ გნატრობს, მე მინდა ყოფნა სულ შენთან ახლოს, შენს გათბობას და ბევრ კოცნას ვნატრობ. სკარლეტი.

• მარი, მოვხუთშაბათგზავნილგამარჯობდი! :) მარი, რა ვიცი, მეჩვენება თუ მართლა დავბერდი მგზავნელობისთვის? ჰოდა, რა ვქნა, გავრისკო და დავბრუნდე „გზავნილებში“? ჰაა? ფინტიკოზა.

• იცი, რაა? „გზა“... თუ სწორად მახსოვს, ბევრ მოგონებას ასველებს. დავიწყო? ერთხელ... მოიცა, რა იფიქრეთ? ჩემი სახლის წინ რომ გზა გადის, იმას ვგულისხმობ. ბევრი რომ არ გავაგრძელო, უკვდავი ხმა გიერთდებათ.

• სვანები რომ მაგრები არიან, ვიცით. დაქალი მყავს სვანი და იცით, რა დაემართა? ბავშვის ნათლობაზე წავიდა და ბავშვი სახლში დარჩა. სადაა ბავშვიო რომ ჰკითხეს ტაძარში მისულს, ეძინა და არ გავაღვიძეო, თავი იმართლა ნატალიმ. უკვდავი ხმა.

• ენიგმა, ყველა „გზა“ ნაყიდი მაქვს, მაგრამ ის ნომერი ვერსად ვიპოვე. ალბათ რომელიმე მეზობელმა დები ღლონტებივით გაიტანა და მომავალ წლამდე ან სულაც აღარ მეღირსება მისი ნახვა. ლიმონ, კამი, ASHLEY, მომენატრეთ. ბერბიჭავ, მოდი, დავივიწყოთ ძველი გაუგებრობა და შევრიგდეთ. ამ შობა დღეს ვაპატიოთ ერთმანეთს ყველანაირი წყენა. თოლია.

• მარი, ახლა დავაფიქსირე, რომ შობის დღესასწაულზე „გზის“ ამ წლის პირველი და დაარსებიდან მეხუთასე ანუ საიუბილეო ნომერი გამოდის! გილოცააავთ! მრავალ შობას დაესწარით, „გზის“ კოლექტივი და მე-5.000.000-ე ნომერიც გამოგეშვათ, ოღონდ 5.000.000 ტირაჟით! :) ფინტიკოზა (ეს მესიჯი წინა კვირაში მივიღე და ფინტიკოზა ალბათ ერთადერთი მკითხველი იყო, რომელმაც ამ ფაქტს ყურადღება მიაქცია. მადლობა მას, მოლოცვისთვის, — ავტ).

• გარეთ მზე ანათებს, ახალისებს ნეკერ-

ჩხლის ფოთლებს, სიო დაქრის და აცეკვებს „სალსას“, მე კი შენ მაკლიხარ, ცრემლი მოგორავს თვალზე, მზემ დაანათა ბრილიანტად ააბრჭყვიალა. შენზე ფიქრები მინათებს ცხოვრების ამ გზას, მიყვარხარ ნუთუ შენ ვერ გამიგებ ამას, შენ ზურგს შემაქცევ? სხვა რას მიზამს წარმოიდგინე, მე ხომ მიყვარხარ ანგელოზო, დაგისაბუთებ, შენზე ოცნებამ ბევრი ღამე თეთრად ატარა, მე უშენობამ ამ ცხოვრებაში ცრემლით მატარა. ნეტავ, სად მივდიოდი? CRAZY ვარ. ისევ აქვე ვიქნები, სადმე კუთხეში. ;)) მარიმ რომ მომილოცა, კინაღამ გულმა მგლიჯააა. შობა-ახალ წელს გილოცავთ! გკოცნით და გეხვევით! CRAZY GIRL.

• ჩემო საყვარლებო, ჩახატულო მგზავნელებო, გილოცავთ 2010 წელს. ეს წელი თქვენთვის ყოველივე საუკეთესოს მომტანი ყოფილიყოს... მარი, ორი კვირაა, „გზა“ არ წამიკითხავს, გაგიჟებას ვარ. მომენატრეთ ძალიან. გაკოცეთ... თიკუნია999.

• ხალხო, როგორ ხართ? გილოცავთ შობა-ახალ წელს, დაესწარით მრავალს, სულ ტკბილად და ბედნიერად! ჯანმრთელობა, სიყვარული, სიხარული და ღვთის წყალობა არ მოგკლებოდეთ, ჩემო ტკბილო და მურაბა ადამიანებო, ლა-ლოლასი არ იყოს, ძნელად აღსაზრდელებს არ ეხება. მარიამულო, შემოგევლე, ეს რას ველირსეე? არასდროს არ დამავიწყდება! მადლობა! SWEET, გენაცვალე, ჩუუპ, შემოგევლე, იდუმალო, კარგი ხარ, გამიხარდა, ოღონდ მართლა! მისს რეალ, შენც კარგი ხარ! მაარ, პარიჟანკას იდეა მომეწონა, თან ძალიან, ჰოდა, მოიფიქრე რამე, თორემ მერე ნახე შენ, მიტინგობანა. :) მაარ, დიდი ხანია გაკვირდებისავით და ნამეტნავად გემრიელი და ჩასაყლაპი ხარ და მოდი (არ გიცნობ მაგრამ) შენც მოგიკითხავ... მინდა, ოს ლიას ვუთხრა, რომ ამ ბოლო დროს მეც აღარ მომწონს უკვე მისი გზავნილები. ლია, გაიგე ადამიანო, იყო განსაცდელში, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ტვინი უნდა წაიღო წუწუნით. კარგი და ცუდი ყველგან არის და დაანებე ბერძნების ძაგებას თავი. დავიჯერო, შენ ისეთი კარგი ხარ, რომ ყოველთვის ძილის წინ იმაზე ფიქრობ, დღეს ვის რა ვარგეო? არა მგონია! ასე რომ ცოტა დაშოშმინდი, რა... შენზე კარგა გვარიანად უმცროსი ვარ და ცხოვრებაში იმდენი რამ ვნახე, რომ ბარე კაი 40 წლის კაცს ეყოფოდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ უნდა ვწუწუნებდე სულ. ASHLEY, მშვენივრად იცი, რატომაც არ გიმესიჯებ (ძალიან გაფასებ და მაგრად გამიტყდა), ხოლო ნაძალადევი ღიმილიც კი არ ვარგა. ჰო, მართლა, ხალხო, ჩემი სახელი ფილიპპო, აი, ასე იწერება და ასე დაწერეთ ხოლმე, თუ წერთ რა.

• სიმთვრალეში დიდი გმირობა ამ ახალ წელს ჩემმა მეუღლემ ჩაიდინა. ჯერ იყო და მაგრად იქეიფა, შემდეგ ყველას გვაგინა. მე, როგორც ყველაზე სუსტსა და დაუცველს, თვალთან პატარა ფარანი ამინთო, რის გამოც შემზიზღდა საბოლოოდ. ასე ივაჟკაცა ლომმა და ვეფხვმა ქმარმა. სუსტი ქალი

• გამარჯობა, თქვენს გზავნილებს ხშირად ვკითხულობ და კარგადაც ვხალისობ. „გზის“ წაკითხვას აუცილებლად თქვენით ვიწყებ. მინდა, რომ მეც მიმიღოთ თქვენთან. ქეთო.

• ის გაზაფხული სხვა იყო, რადგან ტკბილად მღეროდა გულიც, ბუნებას. ახლა ჩვენს შორის ზამთარი ჩადგა და აღარ ველი შენს დაბრუნებას. ფუჭ ოცნებაში დღეებსა ვხარჯავ, მარტო ვარ ქვეყნად მარტო, სრულებით, ჩემს გზაზე შენი ჩრდილი რომ დარჩა, იმ ჩრდილს დავდევ და ვეჩურჩულები. მძინავს და სიზმრად ტახტზე მიზიხარ, დედოფლად გრთავენ ქვეყნის მხატვრები, მე ხომ უცხო ვარ, შენ ხომ სხვისი ხარ და მაინც ასე რად მენატრები!

• ბავშვებო, თქვენი აზრი მაინტერესებს: ურთიერთობა, რომელიც დღენაკლულ წიწილს ჰგავს და სულს ღაფავს, უნდა იარსებოს? მგონი პასუხი წინასწარ ვიცი, მაგრამ... ეჰ, რა ვართ ეს ადამიანებიიი?! SWEET-GIRL.

• ბათუმი, მოვდივააარ! ძველით ახალ წელს თქვენთან ვარ და მგზავნელებო, აააბა, გაშალეთ ხელები, უნდა ჩაგეხუტოოოოოთ! ჰა, ახლა, ვართ ძველით ახალ წელს, ერთად? SWEET-GIRL.

• არა, რააა, ყვავუკ, უფრო და უფრო ამართლებ და ამყარებ ჩემს შენდამი სიმპათიას... გენაცვალე შენაო... ASHLEY, ვეცდები, ეგრე მოვიქცე ხოლმე, მაგრამ საჭირო დროს ვერ ვახერხებ ხოლმე მოწოდების სიმაღლეზე ყოფნას. SWEET-GIRL.

• მარ, „გზავნილების“ ერთგულმა მკითხველმა, ჩემმა ჩათ-ნაცნობმა და ქართველმა ჯარისკაცმა რამდენიმე ლექსი მომწერა, რომელიც ცრემლიანი თვალების გარეშე ვერ წავიკითხე და მინდა, ჩვენმა მგზავნელებმაც წაიკითხონ და დაბეჭდე, რააა... გთხოვ, რომ მაპატიო, დედი, შემოგევლე,/ ეს მე გაგითეთრე თმა.../ მე ბედი მქონია ჩემი წინაპრის,/ ქართული მიწისთვის ვკვდები.../ მე რომ არ ვიქნები, ხომ გააგრძელებენ,/ ჩემს საქმეს მამა და ძმები,/ მათი იმედი მაქვს, არ დაიჩოქებენ,/ უფლის და მამულის ყმები.../ ვფიცავარ, სიცოცხლე მე არ მენანება,/ უფლება არ მაქვს, დედი.../ ვნანობ სიცოცხლეში, რომ ვერ გიპატრონებ,/ ვაი, რა ცუდ დროს ვკვდები.../ ბოლომდე ვიბრძოლე, სანამ ტყვია მქონდა,/ მტერს არ მოვუხარე ქედი.../ მე თუ დღეს სამშობლოს დამიჩოქებდნენ,/ ხვალ როგორ მეცხოვრა, დედი. სპეცნაზი. ბევრი ჯარისკაცი მეხმიანება ხოლმე და მეამაყება, რომ ასეთი ჯარისკაცები ჰყავს საქართველოს... მოვიკითხავ ყველა მათგანს. ბიჭებო! სანამ თქვენ ასეთი შემართებით დგახართ საქართველოს დაცვის სადარაჯოზე, ჩვენ, უბრალო მოქალაქეებს ყოველთვის გვექნება მშვიდი ძილის საშუალება... გილოცავთ შობა-ახალ წელს. ღმერთი გფარავდეთ...

• სალამი ყველას. მაპატიეთ, ამდენ ხანს რომ დავიკარგე. გილოცავთ შობა-ახალ წელს. ღმერთი გფარავდეთ ყველას.

• მარი, მგზავნელი არ ვარ, მაგრამ გთხოვ, უყურადღებოდ ნუ დამტოვებ. ძალიან მიყვარს „გზა“ და ყველა ნომერს ვყიდულობ. აქ, საბერძნეთში ეს ერთადერთი სიამოვნება მაქვს და ვერ ვიკლებ. ძალიან მომწონს ცხრათვალას, ცისიასა და ბერბიჭას კაფიები. შენი მინირომანები და სიტუაციები არაჩვეულებრივია. გთხოვ, ერთი მინირომანი მათ „სამკუთხედს“ მიუძღვნა. ემიგრანტი.

• ჩემო შვილებო, რომ იცოდეთ, რა ძნელია უთქვენოდ და როგორ მენატრებით. თქვენ შემოგევლეთ, შვილებო ცოტაც და მალე ერთად ვიქნებით. ახლა მერაბთან და თეონასთან ვარ. გილოცავთ ახალ წელს. თქვენი დედიკო. მანანა.

• მე „გზის“ აქტიური მკითხველი ვარ, მაგრამ პირველად ვწერ. ძალიან მომწონს თქვენი რუბრიკები. ძალიან მაგარია. აქ მონათხრობი ისტორიები საკუთარ ცხოვრებას მახსენებს. მარ, მაგარი ხარ! შენ რომ არ გვყავდი, ნეტავ მაშინ რა იყო ჩვენთვის? არც არაფერი. გაკოცეთ. პატარა.

• დავალ ქვეყანაზე, როგორც შერისხული, შენი ზვარაკია, ღმერთო, ჩემი სული, დავალ ქვეყანაზე, როგორც ბნედიანი, ღმერთო! მაპატიე უქმად ხეტიალი. დავალ ქვეყანაზე, როგორც გაძარცვული, ღმერთო! დააჩქარე ჩემი აღსასრული. მემე. P.S. რატომ სწუნობთ 9717-ის მიერ გამოქვეყნებულ ლექსებს რომ უკრავენ ტაშს? ადამიანებს პოეზია უყვართ და ეს ცუდია? ყველამ ვიცით, ავტორის ს-ხვა-ობა...

• მე „გზის“ ხშირი მკითხველი ვარ. საზღვრებსგარეთ ქართული ჟურნალ-გაზეთები ხომ დიდ შვებას გვაძლევს. ვკითხულობ „გზავნილებს“ და მინდა, ჩემი აღტაცება გამოვთქვა ბერბიჭას და ენიგმას საოცარ ტვინებზე. მართლა მაგარი ბიჭები ხართ, მინდა, რომ ჩემს ცხოვრებაში თქვენნაირი ადამიანები ბევრნი მყავდეს. მართლა ძალიან კარგები ხართ. ჩემს აღტაცებას ახლა გწერთ. გაიხარეთ, ბიჭებო. ხათუნა.

• ათინა55, სად დამეკარგე? ეგ არის, შენთან მეგობრობა მინდაო და სულ გაქრი. შემეხმიანე. გელოდები. თიკუნია999.

• მერე რა, რომ სოფლელი ხარ, სპეცნაზა? ბარე ორი სოფლელი ჯობია ქალაქელს. შენ მაგაზე არ იდარდო, მთავარია, გული გქონდეს კარგი და სოფლელი ხარ თუ ქალაქელი, მაგას არა აქვს მნიშვნელობა. თიკუნია999.

• რატომ მეძახი ასე ხმამაღლა ან ასე ჟინით შენკენ რად მიხმობ, ისე ახლოს ხარ, ახლოს და ვფიქრობ, შენ ჩემი ბედის თუკი არა ხარ, რატომ მეძახი ასე ხმამაღლა ან ასე ჟინით შენკენ რად მიხმობ. ლუნა.

• მოგესალმებით, მარ და მგზავნელებო. გილოცავთ ახალ წელს, ბედობას, შობას. გაიხარეთ. ხალხო, მჯერა, კობა ხაბაზი და ლუი დე ფიუნესი, ჯონდი და ფანტომასი, მიშა და მამუკა ლომაშვილი, ბოლოს და ბოლოს, ბებიაჩემი და გესტაპო აგერიოთ ერთმანეთში, მაგრამ მე და პაწუ17 საიდან ვართ ერთნი, გამაგებინეთ, რა. ეგ არ მეყო, სხვის ლექსებს წერს და ტაშს უკრავენო?! ხალხო, გალაკტიონს არავინ დაუკრა ტაში „მესაფლავისათვის“ და მე რატომ უნდა დამიკრას ვინმემ ტაში, გამაგებინეთ. ტაშისთვის არაფერს ვაკეთებ, არც ვამბობ. ლექსებს რაც შეეხება, ხან ჩემსას დავწერ, ხან სხვისას. ლექსი ხალხისაა, ხალხის! ბევრჯერ კახიძის, გრიშაშვილის, იაშვილის, თქვენ წარმოიდგინეთ, პუშკინის, ლერმონტოვის, პეტეფის ლექსებიც გამიგზავნია მარისთან. რა, ავტორობას ვისაკუთრებდი? ლექსი ხალხისაა, გაიგეთ. მასე თუ გაწუხებთ ლექსები, მითხარით და სულ აღარ დავწერ არაფერს, მე მაპატიეთ, ბატონო. მარი, გეცოდინება, ჯეკ ლონდონი მთელი სიცოცხლე ოცნებობდა ერთ სახლზე. თითქოს აისრულა ოცნება, მაგრამ ის სახლი შესახლების წინა ღამეს დაუწვეს. ცეცხლმოკიდებულ სახლს რომ უყურებდა, თქვა: კიდევ კარგი, მე ის ვარ, ვისაც სახლი დაუწვეს და არა ის, ვინც სახლი დაწვაო. მეც მაგას ვფიქრობ ახლა. კიდევ კარგი, მე

ის ვარ, ვისაც ხშირად რაიმეს აბრალებენ და არა ის, ვინც სხვას აბრალებს. ერთმანეთს მოეფერეთ ხალხო, არ გვყმარა, რაც ირგვლივ ბოლმა ტრიალებს? 9717.

• ქალაქელი რააა... ისე კი გოიმი და კეკელკა ქალაქშიც ბევრია და სოფელშიც. მთავარია, კაცი იყო კაცური და რა მნიშვნელობა აქვს, დედამიწელი იქნები თუ მარსელი?

• ვერ შეგწვდებოდი, ადრეც ვიცოდი, მაინც სულშია დარდი ღრუბლებად... ხეებიც ასე დგანან ცერებზე, რომ ცას სიცოცხლის სთხოვონ უფლება. მე ჩრდილად შევრჩი შენს ნათელ გზაზე და მუდამ ასე არ ხდება ვითომ? მთვარეც სამყაროს სინათლით ავსებს, მხოლოდ შავ ლაქებს იტოვებს თვითონ... 9717.

• მითხარი, რომ სულში ყველა ჩირაღდანი ერთად გადაიწვა, რომ წვიმიან ღამეს, ის ლამაზი ქალი შენს მკლავებზე იწვა, მითხარი, რომ გაქრა ყველა იმედი და ყველა დაპირება, ნუ გაწუხებს ჩუმი, ნაღვლიანი სახე, უხმო ატირება. მითხარი, რომ ბაღში აღარ დაკრეფ ჩემთვის იასამნის რტოებს, გაძნელდება თქმა და მაინც ვიცი მალე, მალე მიმატოვებ, მითხარი და წადი, დამიტოვე სულში უსაშველო ბინდი, მე ვიქნები მაინც სხვების დასანახად ამაყი და მშვიდი, მხოლოდ ჩამოჭკნება სულში აკაციის თეთრი შადრევნები, შენზე ოცნებებს და შენზე გადარევას აღარ დავნებდები და დამრჩება გულში უსაშველოდ დიდი, დიდი დარდი, როგორ შემეშალე, ჩემს ერთადერთ იმედს რა საოცრად ჰგავდი... სოფი, თამარ ღლონტი ხარ, რა. ყველა მგზავნელს მოვიკითხავ, ყველა მიყვარხართ. მოეფერეთ ერთმანეთს, ხშირად გაიღიმეთ. 9717.

• უღრმესი მადლობა ჟურნალ „გზას". გაიხარეთ და გაგვახარეთ. პატარა ბავშვივით მიხარია, როცა ვნახულობ ჩემს წერილებს თქვენს ჟურნალში. თქვენზე შეყვარებული ლეილა.

• ნეტავ მართლა ამიხდებოდეს ეს ნატვრა თუ სურვილი. მინდა, ჩემი მეუღლე, შვილები და უცნობი შვილიშვილი მეწვიონ სტუმრად. რას გავიხარებდი?! ღამე სიზმრად ვხედავ.

• თბილი-სი-ყვარუ-ლი-მო-ნა-თესა-ვირუ-სი-ცოცხ-ლე-ქ-სი-კვდი-ლი-რი-კა-ციხე-ლი. გაიგეთ ვინმემ რისი თქმა მინდა? თუ გაიგეთ, მეც გამაგებინეთ, რადგან ვერაფერი გავიგე. უკვდავი ხმა.

• ენიგმა, სად დაიკარგე სიხარულო, რატომ გაქვს გათიშული ტელეფონი? ალინა.

• გამარჯობა მარ, როგორც იქნა, ჩამოვაღწიე სვანეთიდან და ისევ აქ ვარ, მამაქალაქში. ჩემი დედაქალაქი მესტიაა და... :) ვაიმე, რა მაგრად გავერთე, იცით? მაგააარ! უკვე ჩამოსულმა, ჟურნალების ჯიხური რომ დავინახე და „გზა", გულში სიხარულის სიმი კი არ შეირხა, ხტუნვა დაიწყო, ე.წ. სიმმა. ნაინა ვარ მე, მარა ნიკს ვიცვლი და სანტა ვხდები. აბა, ბავშვებო, ვის უნდა შოკოლადები? სანტა.

• როგორც მახსოვს, ერთს აინტერესებდა, სულით სოფლელი რას ნიშნავს. არ მეზარება მაგის ახსნა და აბა, სმენად იქეცი ძმურად და დავიწყებ: ე.ი. სულით სოფლელს ეძახიან ადამიანს, რომელიც არის მაგარი გოიმი როჟა. როჟა იმიტომ, რომ ეგეთებს ტიპებად არ თვლიან, რა. კიდევ ის, რომ ეს სულით სოფლელი არ გულისხმობს იმას, რომ მაინცდამაინც ღრმა სოფლიდან იყო. მაგ ნათქვამით რასაც გულისხმობენ, აი, ზუსტად ეგეთები კარენიო თბილისელებიც ოხრად არიან. მე თუ მკითხავ, ძაან არ მომწონს, სიტყვა სოფლელს ასე უპრაგონოდ რომ ხმარობენ. სოფელში რომ ხალხი ცხოვრობს, იმათმა რომ სიყვარული იციან და იმათ რომ ჯიგარი აქვთ (ჯიგრული ჯიგარი, რა), აი, მაგ ხალხს შეედაროს ნებისმიერი ქალაქელი. ისე კი გოიმი და კეკელკა ქალაქშიც ბევრია და სოფელშიც. მთავარია, კაცი იყო კაცური და რა მნიშვნელობა აქ დედამიწელი იქნები თუ მარსელი? P.S. სულ მინდოდა, სადმე სოფელი მქონოდა, მაგრამ ვერ მომართვეს. :) ფეშენა.

• გენაცვალე მარი, მომისმინე, მე ჯერ კიდევ პატარა ვარ. ჰოდა, ხანდახან შექებას ან გაბრაზებას ვსაჭიროებ. დაიცა, ახლა აგიხსნი. აი, მაგალითად, რაღაცას რომ მოგწერ და მოგეწონება, რომ მიბეჭდავ, ვხვდები, რომ მოგეწონა (ან ვერ გამიტეხე). რომ არ მიბეჭდავ, ვერაფერსაც ვერ ვხვდები. ჰოდა, რომ მივხვდე, რომ არ მოგეწონა და ხუთშაბათს ტყუილად არ ველოდო ჩემი მესიჯის გამომზეურებას, დაბრაკავ თუ არა, მაშინვე მომაწერე უკან შემდეგი სიტყვები: არ გაიხარე, დაგელეწოს ეგ თითები. ჰოდა, მე, მიუხედავად იმისა, რომ მიმაწყევლი, გამიხარდება, რომ შენ მომწერე და ეგ სიხარული გადაფარავს წყენას იმისას, რომ ჩემს მესიჯს დღის სინათლე არ აღირსე და ნაადრევად მოუსწრაფე ყმაწვილობა. იფიქრებ ჩემს ნათქვამზე, მაარ? ფეშენა.



# გილოცავ!

• 24 იანვარს დაბადების დღეს ვულოცავთ ნინო იაშაღაშვილს! სიკეთეს, სიყვარულსა და ბედნიერებას ვუსურვებთ! უფალი ჰფარავდეს მარადჟამს! ორი ფოთინე.

• ჩემო ლამაზო, ჩემო სიცოცხლევ, გილოცავ ახალ წელს. ძალიან მენატრები და მიყვარხარ. ხომ იცი, ჩემი საფიცარი ხარ. აბა, შენ იცი, როგორი ყოჩაღი დამიბრუნდები. გკოცნი. სუსუ.

• ძველით ახალ წელს გილოცავ. მრავალს დაესწარი, ჩვენთან ერთად. ძალიან გვენატრები. დათუჩამ მოკითხვა შემოგითვალა. ჩემ გვერდით ზის და მკარნახობს. გკოცნით. ელენე.

• თაზო, ყოველ დღესასწაულს გილოცავ დეიდა, აბა შენ იცი თაზო, ჯავრს თუ არ მისცემ თავს. ყველაფერს ვცდილობთ, მალე რომ კარგად იყო. მარტო შენს თავზე იფიქრე.

• სენაკში მცხოვრებ ედო ჯავახიას: ჩემო უფროსო მეგობარო, გილოცავ შობა-ახალ წელს, გისურვებ ჯანმრთელობას, სიხარულსა და ლამაზ სიყვარულს. ედო, მე სუფთა, წმინდა გულით შემოვიჭერი თქვენ ცხოვრებაში და ამ გულით გისურვებთ ათას წელს სიცოცხლეს და უღრუბლო ზეცას. ბრაზიანი ნანა.

• ყველას გილოცავთ შობის ლამაზ დღესასწაულს. უფალი გფარავდეთ მუდამ. იანვარში დაბადებულებს კი იუბილეებს მივულოცავ. მარ, შენ მიერ მოლოცვილი 2010 წელი უმაგრესი იყო. აბეზარა.

• ვალერი მამასახლისო, გილოცავ შობას და ახალ წელს. გისურვებ ჯანმრთელობას. გვენატრები და გვიყვარხარ. შენი დეიდა, მარინა.

• ვალერი მამასახლისო, ახალქალაქი. გვიყვარხარ ყველას. მენატრები, მენატრები შვილო. მაგრად იყავი. წმინდა გიორგი გფარავდეს. დედა.

• მარიამულ, შობას გილოცავ! გფარავდეთ უფალი შენ და შენს შვილობილ მგზავნელებს! დაკარგული მგზავნელი.

• სოფელ თეთრი წყლებში მინდა მივულოცო დაბადების დღე და 2 წლის შესრულება 19 იანვარს, ჩემს პატარა ლინა არაბულს. გაიზარდე ბებიკო დიდი და კარგი გოგო, მშობლების და ჩვენს (ბებიაპაპების) გასახარად. უფლის მფარველობა არ მოგკლებოდეს. თამრიკო ბებია.

• მინდა, შობა-ახალი წლის მობრძანება მივულოცო ჩემს ოჯახს ტყაჩირში, ჩემს თვალით უნახავ შვილიშვილს, ელენე ხვედელიძეს, ასევე, კეთილ ნათესავებს, ნიურა ფხაკაძეს.

• მინდა მივულოცო დაბადების დღე და შობა-ახალი წელი ლაგოდეხში მცხოვრებ, ჩემს საყვარელ, 5 წლის უნახავ დედიკოს, რუსუდან კოჭლამაზაშვილს. ჩემო ტკბილო და ძვირფასო დედა, გისურვებ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს, შენს საყვარელ ხალხთან ერთად. გწყალობდეს უფალი. იცოცხლე დიდხანს, ჩვენს საიმედოდ. გკოცნი და გეფერები. დალი.

• დიდი სიყვარულითა და მონატრებით, დაბადების დღეს, 15 იანვარს ვულოცავ ჩემს მონატრებულ შვილს, სოფო გვრიტიშვილს. ჯანმრთელობა, სიხარული და სიყვარული არ მოგაკლოს უფალმა. გისურვებ ყველაზე დიდ ბედნიერებას და უფლის მადლს! მე ჩემს სიცოცხლეს ისე გაჩუქებ, არ დავფიქრდები არც ერთი წამით, შენი გულისთვის სამყაროს შევძრავ და თუ ვერ შევძრავ, ვეცდები მაინც. მიყვარხარ და ძალიან მენატრები. შენი დედიკონა, მარინა ხიზანაშვილი.

• წყალტუბოს რაიონის სოფ. ტყაჩირში მცხოვრებ ჩხობაძე ლიას ვულოცავ დაბადების დღეს, 10 იანვარს. ვუსურვებ დიდხანს სიცოცხლეს და ულევ სიხარულს. შენი ძმიშვილების საიმედოდ ღმერთმა დიდხანს გამყოფოს შენს ოჯახში. გფარავდეს უფალი. დიდი სიყვარულით, ციალა მაკარიძე.

• ბერუაშვილ-დიაკონიძე გულოს ვულოცავ პატარა ქრისტოსიას დაბადების დღეს და ვუსურვებ ლამაზი ოცნების ახდენას. გულო, ღვთის მადლი გფარავდეს. ნესტანი.

• წყალტუბოს რაიონის სოფ. ტყაჩირში მცხოვრებ მზევინარ ქურდიანს ვულოცავ დაბადების დღეს, 13 იანვარს და ვუსურვებ ბედნიერების 12 თვეს, მხიარულების 52 კვირას, წარმატების 365 დღეს, ჯანმრთელობის 8.760 საათს, გამარჯვების 525.600 წუთს და სიყვარულის 31.536.000 წამს, რა თქმა უნდა, საყვარელ ხალხთან

ერთად. ათენიდან დიდი სიყვარულით, ციალა მაკარიძე.

• გამარჯობა. ახალ წელს გილოცავთ. გისურვებთ, მხიარულებამ იმატოს თქვენს ცხოვრებაში. წარმატებებს გისურვებთ, ყველგან და ყველაფერში. უფალმა დაგიფაროთ. მე მადლიერი ვარ ჟურნალ „გზის“ და პირადად თქვენი, რომ გვახალისებთ და ერთმანეთს გვაახლოვებთ მგზავნელებს.

• ათენში მზია ნიორაძეს ვულოცავთ შობა-ახალ წელს და 7 იანვარს 50 წლის იუბილეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიყვარულს, სიხარულსა და ღვთის წყალობას. დები, ილზა და იზო.

• ჩემს უახლოეს, მეგობარს ციალა მაკარიძეს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ულევ სიყვარულს, საყვარელ შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად და მალე დაბრუნებას, ჩვენს მზიან და ლამაზ საქართველოში. გკოცნი. ნიურა.

• რუსთავში, 7 იანვარს მინდა მივულოცო მარინა სხილაძეს შობა და დაბადების დღე. გილოცავ, ჩემო საყვარელო მარინა. გისურვებ სიკეთეს, სიუხვეს, ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს, შენს იკუნასთან და კეთილ ადამიანებთან ერთად. გფარავდეთ უფალი. გკოცნი. დალი კოჭლამაზაშვილი.

• რუსთავში 14 იანვარს მინდა დაბადების დღე და ძველი ახალი წელი ერთად მივულოცო ირემაძე იზოს. გილოცავ, ჩემო ძვირფასო ამ ლამაზ დღეებს. უფლის წყალობა არ მოგკლებოდეს. გაიხარე, ლამაზ ქმარ-შვილთან ერთად. გკოცნი. დალი კოჭლამაზაშვილი.

• ყველა მგზავნელს ვულოცავ ქრისტეშობის ბრწყინვალე დღესასწაულს. მატიტელა.

• გილოცავთ ყველას შობა-ახალ წელს! დაესწარით მრავალს! მე თქვენთან პირველად ვწერ, თუმცა, არ ვიცი, დავიბეჭდები თუ არა. ვრისკავ და ვნახოთ, გამიმართლებს თუ არა! :) რეჟისორა.

• 15 იანვარს ვულოცავ დაბადების დღეს გიორგი ალვერდაშვილს. ჩემო ძმაო, გილოცავ 60 წლის იუბილეს. გისურვებ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და გახარებას, შენს ოჯახთან. მრავალჯერ მომელოცოს ეს ლამაზი დღე. უფალი იყოს შენი და შენი ოჯახის მფარველი. შენი და, მზია.

• ჩემს ახლო მეზობელს, გულიზა თათვიძეს მინდა მივულოცო დაბადების დღე. საყვარელ ოჯახთან ერთად ვუსურვებ ყოველივე კარგს. გფარავდეს უფალი. მაყვალა.

• ჩემს საყვარელ და უზომოდ მონატრებულ დედიკოს, მაგულის, დაიკოს, ენძელას და დისშვილს, ლანუკას ვულოცავ ძველით ახალ წელს. ღმერთმა მრავალი გაგითენოთ, უფლის წყალობა არასოდეს მოგკლებოდეთ, ჩემო უსაყვარლესო ხალხო. ძალიან მენატრებით. გკოცნით და გეფერებით შორიდან. ნანიკო.

• მერაბ და შორენა ბაქრაძეებს ვულოცავ ძველით ახალ წელს. მრავალს დაესწარით, საყვარელ ხალხთან ერთად. უფალმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ. დაიკო ნანი.

• ბაღდათში დაბადების დღეს, 12 იანვარს ვულოცავ ავთუკა ქარაბაკს. დაესწარი მრავალს, შენი საყვარელი მშობლებით, ელენიკოთი და დეიდაშვილებით. გფარავდეს უფალი. დოდო ბებო.

• ბაღდათში დაბადების დღეს, 21 იანვარს ვულოცავ რუსუდან ენდელაძეს. დაესწარი მრავალს! შენი საყვარელი მშობლებით, დედმამიშვილებით და დეიდაშვილებით. გფარავდეთ უფალი. დოდო ბებო.

• ჩემს უსაყვარლეს შვილიშვილს, მარიამ თევდორაძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 23 იანვარს. ღმერთმა ჯანმრთელობა და ბედნიერება არ მოაკლოს. ვუსურვებ ყველაფერს საუკეთესოს. გკოცნის და გეფერება შენი მონატრებული ბებო.

• ნინო ფერანიძეს ვულოცავ დაბადების დღეს. დაესწარი მრავალს, გისურვებ ულევ სიხარულსა და სიყვარულს. ღმერთმა გაგაჩინა ლამაზო და თანაც გიწოდა ქალი. გფარავდეს უფალი. ლია ბუნტური.

• დალი ქურციკიძეს: სიხარული, სიყვარული დაგბედებოდეს, სიკეთე და ღვთის წყალობა არ მოგკლებოდეს. იმედი და უფლის რწმენა გინათებდეს გზებს. გეფერები და გილოცავ დაბადების დღეს. ლია ბუნტური.

• ჩემს მონატრებულ და ლამაზ დედას, გორგიძე იულიას დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ვულოცავ დაბადების დღეს, 24 იანვარს. გისურვებ ჯანმრთელობას და ბედნიერ ახალ წელს, შენს ოჯახთან ერთად. დედა, მიყვარხარ და მენატრები. გკოცნი შენი შვილი, თინა.

• ორპირში გორგიძე მამუკას ვულოცავ დაბადების დღეს, 24 იანვარს. გისურვებ ჯანმრთელობას, სიხარულს, სიყვარულსა და ბედნიერ ახალ წელს, შენს ლამაზ ცოლთან, მაიასთან ერთად. გკოცნით. თინა.

• ათენში თეონა მოდებაძეს 19 იანვარს ვულოცავ დაბადების დღეს და ნათლისღებას. გაიხარე, ჩემო თეო, შენს საყვარელ ოჯახთან ერთად. ღმერთმა მალე ჩაგახუტოს შენს მონატრებულ შვილს. უფლის წყალობა არ მოგაკლდეს. მიყვარხარ, გკოცნი. ცისანა მამაიაშვილი.

• ნინო გელაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. ჯანმრთელობას და უფლის წყალობას გისურვებ ნინო. ასევე გილოცავ შენი ვაჟკაცების დაბადების დღეებსაც. ბედნიერები გყავდნენ. გახარებული დედა იყავი მათგან. გკოცნი, ცისანა მამაიაშვილი.

• გილოცავთ ყველას ყველაფერს! მომენატრეთ, გაკოცეთ ყველას. ჩემი ძალიან ახლობელი ადამიანი გარდაიცვალა და დეპრესია მაქვს. ძალიან სასტიკია ცხოვრება. ფოთოლი18.

• ჩემს უსაყვარლეს შვილიშვილს, ლაშა სვანს ვულოცავ დაბადების დღეს, 22 იანვარს. გაიზარდე ჯანმრთელი და კარგი ბიჭი, შენს პატარა ძამიკოსთან ერთად. გფარავდეთ უფალი. მიყვარხართ და მენატრებით. ქეთი ბებო.

• ჩემს ერთადერთ ძმას, ლევან მჟავანაძეს მინდა მივულოცო ძველით ახალი წელი. გისურვებ ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს. მალე დამდგარიყოს ის ახალი წელი, რომ ერთად ვყოფილიყავით. მე თვალცრემლიანს არ მეწეროს მესიჯები და შენ კიდევ, თვალცრემლიანს არ გეკითხოს. მიყვარხარ, ჩემო ძმაო და მენატრები. ლეილა.

• ორპირში გორგიძე ავთოს ვულოცავ ნათლისღებას და დაბადების დღეს, 19 იანვარს. გისურვებ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულსა და ბედნიერ ახალ წელს, შენს ლამაზ და საყვარელ ცოლ-შვილთან და შვილიშვილებთან ერთად. გკოცნი და გეფერები. შენი დაია, თინა.

• 20 იანვარს დაბადების დღეს ულოცავს დედიკო, გოგიტა ბატკუაშვილს. ვუსურვებ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს, მეუღლესთან ერთად. გფარავდეს ღმერთი. მიყვარხართ და ძალიან მენატრებით. გკოცნი და გეფერები, ჩემო ჭკვიანო ბიჭო.

• ჩემს ლამაზ და მონატრებულ დედას, გორგიძე იულიას დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ვულოცავ დაბადების დღეს, 24 იანვარს. გისურვებ ჯანმრთელობას და ბედნიერ ახალ წელს, შენს ოჯახთან ერთად. დედა, მიყვარხარ. გკოცნი და გეფერები, შენი შვილი, თინა.

• ჩემს მონატრებულ დედიკოს ათენში ვულოცავ შობა-ახალ წელს. ულევ სიხარულს, ბედნიერებას, ღვთის წყალობას ვუსურვებ. დე, მიყვარხარ ძალიან, ძალიან. მენატრები. ირინა.

• თბილისში მაია წიკლაურ-არაბულს ვულოცავ დაბადების დღეს. უფლის წყალობასა და ჯანმრთელობას ვუსურვებ, ჩემს მონატრებულ დაიკოს. სულ ბედნიერად მეგულებოდე, შენს ტკბილ ქმარ-შვილთან და ყველა ახლობელთან ერთად. ძალიან მიყვარხართ და მენატრებით. თამრიკო.

• ახმეტის რაიონი, სოფ. ხოდაშენში ვულოცავ დაბადების დღეს ჩემს მულისშვილს, თია არაბულ-ლიქოკელს. ჩემო გოგო, გისურვებ ამ ლამაზი დღის მრავალჯერ შეხვედრას, შენი ქმარ-შვილის, და-ძმის და დისშვილ-ძმიშვილების კარგად ყოფნით. უფალი გფარავდეთ. თამრიკო.

• ჩემს საყვარელ ბიძაშვილს, ათენში დროებით მცხოვრებ ლალი კაპანაძეს მინდა მივულოცო დაბადების დღე, 18 იანვარი. მინდა გისურვო ლამაზო, პირველ რიგში ჯანმრთელობა, რაც შენ ძალიან გჭირდება და ბედნიერება. თინიკო.

**„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.**

# ტაიმ-აუტი

## ქორწინება ყველას უნდა

### მუმიას გაუმართლა

ომიდან სამშობლოში დაბრუნებულ პორტუგალიის პრინც პედროს საცოლე — ინეს დე კასტრო გარდაცვლილი დახვდა. მეფედ კურთხევის შემდეგ პედრომ ქალის მუმიაზე დაიწერა ჯვარი, ქორწინების შემდეგ კი ინესის მუმია სამეფო ძვალთსაცავში დააბრუნეს. მეფე მეორედ აღარ დაქორწინებულა.

### ერთი ღამის ცოლ-ქმარი

მუსლიმანურ ქვეყნებში პროსტიტუცია აკრძალულია. მეძავებს კანონის დაცვაში „ღამის მოლები“ ეხმარებიან, რომლებიც მეძავსა და კლიენტს ერთი ღამით აქორწინებენ, დილით კი განქორწინების საბუთზე აწერინებენ ხელს.

### ხეზე „შეყვარებული“ ქალები

ინდოეთში მსუბუქი ყოფაქცევის ქალი აუცილებლად გათხოვილი უნდა იყოს, ამიტომ ინდოელი მეძავები კარგი აღნაგობის, ასაკოვან და არაეჭვიან არსებებზე — ხეებზე ქორწინდებიან.

### ცხოველთა ქორწინება

ბუდაპეშტში პირველი ცხოველთა ქორწინების სახლი გაიხსნა. საქორწინო ბეჭდის ნაცვლად, ცხოველებს თათებზე ბრილიანტის სამაჯურებს უკეთებენ, ხოლო ოთხფეხა მექორწინეებისთვის ტანსაცმელს ინგლისური ფირმა Burberry კერავს.

### 23 მეზღვაურის ცოლი

შვედ გოგონას, სიუზენ სვენსონს გათხოვება ძალიან უნდოდა, მაგრამ მშობლიურ ქალაქში საქმრო ვერ შეარჩია და ამიტომაც, ბედი ზღვას მიანდო — საკუთარი ფოტოსურათი, მისამართი ბოთლში ჩადო და ზღვაში გადაუძახა. რამდენიმე თვეში ბოთლი შვედური თევზსაჭერი სეინერის ერთ-ერთმა მეზღვაურმა დაიჭირა და ეკიპაჟის ოცდასამივე დასაქორწინებელი წევრი სიუზენთან გაემგზავრა. ცოტა ხანში სვენსონი სეინერის კაპიტანს გაჰყვა ცოლად, შემდეგ კი გაეყარა და გული ეკიპაჟის არც ერთი წევრისთვის რომ არ დაეწყვიტა, სეინერის ოცდასამივე წევრთან, თანამიმდევრულად იქორწინა.

### ტელევიზორზე დაქორწინებული




ორი უიღბლო ქორწინების შემდეგ, 42 წლის მელბურნელმა საკუთარ ტელევიზორზე იქორწინა. მან ბეჭდებიც დაამზადებინა — ერთს თავად ატარებს, მეორე კი ტელევიზორზე დევს.

### ერთადერთი და განუმეორებელი

ერთსქესიანი ქორწინებებით ვერავის გააკვირვებ, მაგრამ ის, რაც 1855 წელს ინგლისში მოხდა, მეტად უცნაური და ჯერჯერობით, ერთადერთი შემთხვევაა — ინგლისელი მამაკაცი საკუთარ თავზე დაქორწინდა. ■

## სამედიცინო ფაქტები

### ყველაზე ხანგრძლივი ოპერაცია

1951 წელს ამერიკელ ჰერტრუდა ლევანდოვსკის, რომელიც 280 კგ-ს იწონიდა, საკვერცხის კისტა ამოჰკვეთეს. ოპერაცია 96 საათი მიმდინარეობდა. ოპერაციის შემდეგ ქალმა წონაში 140 კგ დაიკლო.

### ხანგრძლივი კომა

1941 წლის 6 აგვისტოს, 6 წლის ამერიკელი ელეინ ესპოზიტო ბრმა ნაწლავის ოპერაციის დროს კომაში ჩავარდა და კომატოზურ მდგომარეობაში 37 წელი და 111 დღე გაატარა. იგი 1978 წლის 25 ნოემბერს, 43 წლის ასაკში გარდაიცვალა.

### წამლის მოყვარული

1967 წლის 9 ივნისიდან 1988 წლის 19 ივნისამდე ზიმბაბველმა კილნერმა წამლის 565939 აბი დალია.



### მშობიარობა სიკვდილის შემდეგ

1983 წლის 5 ივლისს ვირჯინიაში გოგონა დაიბადა, რომლის დედაც ბავშვის გაჩენამდე 84 დღით ადრე, თავის ტვინის დაზიანების შედეგად გარდაიცვალა.

### დამტვრეული

1977 წლის ივლისში, ბრიტანეთში გამართული რალის დროს ავტომრბოლელმა, დევიდ პერლიმ 29 მოტეხილობა მიიღო, გული კი 6-ჯერ გაუჩერდა. ■

# ადამიანური რეკორდები



* ამერიკელი ლი რედმონდი ხელის თითებზე ფრჩხილს 30 წელი იზრდიდა. დღესდღეობით, მისი მოჭრილი, 84 სმ სიგრძის ფრჩხილები გინესის რეკორდების ოფისში ინახება. ქალმა ფრჩხილები იმიტომ მოიჭრა, რომ მისი შვილიშვილებს ეშინოდათ.

* რობერტ უოდლოვს დედამიწაზე ყველაზე გრძელი — 47 სმ — ტერფი აქვს.

* ინგლისელ ჰარი ტურნერს უიშვიათესი დაავადება სჭირს, რის გამოც კანი საოცრად ელასტიკური გაუხდა — ის 15 სმ-ზე იწელება; ჰარიმ ერთხელ სახეზე 159 სარეცხის სარჭი დაიმაგრა.

* ამერიკელ მონტ პირის მარცხენა ყურის ბიბილოს გაჭიმვა 12,7 სმ-მდე შეუძლია.

* ინგლისელ სტეფან ტეილორს ენის გამოყოფა 9,4 სმ-მდე შეუძლია, ხოლო თომას ბლეკტონი ენაზე 11-კილოგრამიან ჩანთას იკიდებს.

* მალაიზიელმა ლეტჩემნ რამაზამიმ 2-სართულიანი ავტობუსი საკუთარი თმით, 30 მეტრზე გაათრია.





# საინტერესო ფაქტები

* ავსტრალიელი ადამ რაინერი ერთადერთი ადამიანია, რომელიც ჯუჯაც იყო და გოლიათიც. 21 წლამდე მხოლოდ 118 სმ-მდე გაიზარდა, მერე კი ერთიანად აიყარა ტანი და 32 წლისა უკვე 218 სმ იყო. სიმაღლის ასეთი ცვალებადობის გამო, ადამი დაავადდა და საწოლს მიეჯაჭვა. ის 51 წლის ასაკში გარდაიცვალა. ამ დროისთვის მისი სიმაღლე 234 სმ იყო.

* „სირტაკი“ ბერძნების ეროვნული ცეკვა არაა. იგი 1964 წელს ფილმისთვის — „ბერძენი ზორბა“ დაიდგა. ფილმის გამოსვლის შემდეგ ეს ცეკვა საოცრად



პოპულარული და საბერძნეთის ერთ-ერთი სიმბოლო გახდა. საინტერესო ისაა, რომ ამ ფილმის მთავარმა გმირმა, ენტონი ქუინმა გადაღებებზე ფეხი მოიტეხა და ცეკვა ისე გადააკეთეს, რომ ილეთებს მსახიობისთვის ნაკლები ტკივილი მიეყენებინა.

* საფეხბურთო ყიჟინა — „ოლე-ოლე-ოლე“ ესპანური სიტყვიდან, „ოლე“ მოდის, რომელსაც კორიდისას და კიდევ, ფლამენკოს ცეკვისას წარმოთქვამენ. თავად სიტყვა „ოლე“ კი „ალაჰიდან“ მომდინარეობს: არაბებმა VIII საუკუნეში დაიპყრეს ესპანეთი. ისინი ლოცვისას და ლაპარაკისას ცხადია, ალაჰს ხშირად ახსენებდნენ.

* ბასტილიის ტყვეები მხოლოდ ადამიანები არ იყვნენ — ერთხელ დიდროსა და დ'ალამბერის მიერ შედგენილი ენციკლოპედიაც დააპატიმრეს, რომელსაც რელიგიისა და საზოგადოებრივი მორალისთვის ზიანის მიყენებაში დასდეს ბრალი.

# ცხოველთა სამყარო



## თავი ზედმეტი ტვირთია

1945 წელს კოლორადოელმა ფერმერმა, ლოიდ ოლსენმა ვახშმისთვის დედლის დაკვლა გადაწყვიტა. მან ქათამს თავი წააცალა, მაგრამ ფრინველი გადარჩა და თავის გარეშე კიდევ 18 თვე იცოცხლა. ოლსენის დედალს იუტის უნივერსიტეტის მეცნიერები აკვირდებოდნენ, თავისუფალ დროს კი ის ცირკში, ორთავიან ხბოსთან ერთად წარმოდგენებში მონაწილეობდა.

## ჭკვიანი თუთიყუში

ლაპარაკს ბევრი თუთიყუში სწავლობს, მაგრამ ხშირად, ისინი ფრაზებს გაუაზრებლად ისვრიან. თუთიყუში ალექსი კი „ზედმეტად“ ნიჭიერი აღმოჩნდა. მას შეეძლო ემოციების გამოხატვა, თვლა, ფერების გარჩევა და ლაპარაკი.

## „წინასწარმეტყველი“ კატა

პროვიდენსის (როდ-აილენდი, აშშ) მოხუცებულთა თავშესაფარში წინასწარმეტყველი კატა — ოსკარი ცხოვრობს. იგი სუნით გრძნობს, როდის მოკვდება ესა თუ ის მოხუცი: თუ ოსკარი რომელიმე მათგანს ფეხებთან დაუწვება, ის აუცილებლად, რამდენიმე საათში მოკვდება. ოსკარი კნუტი იყო, როცა თავშესაფარში მიიყვანეს და მისი „წინასწარმეტყველება“ ყოველთვის მართლდება.



## ორფეხა ძაღლი

ძაღლი ვერა წინა ორი კიდურის გარეშე დაიბადა და ვერტიკალურად სიარული ისწავლა. დღესდღეობით იგი საავადმყოფოებში, იმ ადამიანების გასამხნევებლად დაჰყავთ, რომლებმაც სხვადასხვა მიზეზის გამო კიდურები დაკარგეს.



რუბრიკა მოამზადა რუსუდან ბელაშვილმა

# „ლივერპულმა“ კლუბის მფლობელის შვილი გაათავისუფლა



ინგლისის „ლივერპულმა“ ოფიციალურად დაითხოვა უმცროსი ტომ ჰიქსი, რომელსაც კლუბში ერთ-ერთი ხელმძღვანელი პოსტი ეკავა. მოხსნა-დანიშვნა ყველგან ხდება, მაგრამ ეს კონკრეტული ამბავი იმითაა გამორჩეული, რომ გათავისუფლებული ჩინოვნიკი „მერსისაიდელთა“ ერთ-ერთი მფლობელის, უფროსი ტომ ჰიქსის შვილია.

Sky Sports-ის მტკიცებით, „ლივერპულის“ ერთ რიგით გულშემატკივარს, სტივენ ჰორნერს უმცროსი ჰიქსისთვის ელექტრონული ფოსტით წერილი მიუწერია, სადაც ის შეშფოთებას გამოთქვამდა გუნდის არადამაკმაყოფილებელი შედეგებისა და „მერსისაიდელთა“ ფინანსური მდგომარეობის გამო; პასუხად კი ჰიქსისგან უცენზურო სიტყვებით გაჯერებული წერილი მიუღია. აღნიშნული ინციდენტი სულ მალე, მთელი ინგლისის გარჩევის საგნად იქცა, „მერსისაიდელთა“ გულშემატკივრები კი კლუბის ხელმძღვანელობისგან რეაგირებას მოითხოვდნენ. მოკლედ, ეს ამბავი უმცროსი ტომ ჰიქსის გათავისუფლებით დასრულდა, თუმცა „ლივერპულის“ მესვეურებს არ დაუკონკრეტებიათ, თუ რის გამო დაითხოვეს იგი თანამდებობიდან.

შეგახსენებთ, უფროსი ტომ ჰიქსი და ჯორჯ ჟილეტი „ლივერპულის“ თანაბარუფლებიანი მფლობელები არიან. ■

# ჯერ ავარია, მერე — „ჩერნომორეცი“



თბილისის „ვიტ ჯორჯიასა“ და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველი, 21 წლის ირაკლი კლიმიაშვილი ავტოავარიაში მოყვა. საბედნიეროდ, ყველაფერი ტრაგედიის გარეშე დასრულდა.

„ისეთი არაფერი მომხდარა. მანქანაში მძღოლის გვერდით ვიჯექი და ავარიაში მოვყევით. მსუბუქი დაზიანება მივიღე, მაგრამ საავადმყოფოში წასვლა მაინც მომიხდა. მალე ვარჯიშს შევუდგები. წვრთნაში მონაწილეობა ახლაც შემიძლია“, — განაცხადა კლიმიაშვილმა.

„ვიტ ჯორჯიას“ ერთ-ერთმა ლიდერმა შესაძლოა, მალე კლუბი შეიცვალოს. კერძოდ, ლაპარაკია ოდესის „ჩერნომორეცში“ გადასვლაზე. „დიახ, „ჩერნომორეცის“ ვარიანტი მაქვს. ზუსტად არ ვიცი, გასინჯვაზე წავალ თუ გამზადებულ კონტრაქტზე“, — აღნიშნა ფეხბურთელმა. ■

# ქართული ხმალი და დაშნა ირანში

ირანის ქალაქ კიშში მოფარიკავეთა მსოფლიოს თასის პირველი ეტაპი გაიმართა. ტურნირში სამი ქართველი მონაწილეობდა და ორმა მათგანმა სარეიტინგო ქულების მოპოვება შეძლო: ბექა ბაზაძემ ხმლით მერვე ადგილი დაიკავა და 14 სარეიტინგო ქულაც მიიწერა, ლაშა მიქელაძე კი მხოლოდ 30-ე ადგილზე გავიდა; დავით ელბაქიძემ დაშნით იფარიკავა. მან საკვალიფიკაციო ეტაპი კი დასძლია, მაგრამ შემდეგ, 23-ე პოზიციას ვერ ასცდა და საკუთარ რეიტინგს მხოლოდ 4 ქულა შემატა.



„მსოფლიოს თასის ეტაპები ყოველ შაბათ-კვირას იმართება. მეორე ეტაპს სტამბოლი უმასპინძლებს და ქართველი მოფარიკავეები მასშიც მიიღებენ მონაწილეობას, თვის ბოლოს კი ათენში გამოვლენ“, — განაცხადა საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა, დავით სახვაძემ. ■

# მარცხიანი მაკუუჩიში, წარმატებული — ძურიოში

ტოკიოს „რიოგოკუ კოკუგიკანში“ დაწყებულ იანვრის ბაშოს პირველ დღეს გამარჯვება ძურიოში მოასპარეზე თეიმურაზ ჯუღელმა (გაგამარუ) იზეიმა, უმაღლეს მაკუუჩი დივიზიონში ჩარიცხულმა ლევან გორგაძემ (ტოჩინოშინი) და ლევან ცაგურიამ (კოკაი) კი მარცხი განიცადეს.



როგორც მოსალოდნელი გახლდათ, მონღოლ ჰარუმაფუჯის წინააღმდეგობას დასავლეთის პირველ მაეგაშირომდე აღზევებული ტოჩინოშინი ვერ გაუმკლავდა და მზიურ ცხენად წოდებულმა ოძეკიმ ლევან გორგაძე დაამარცხა. მაკუუჩის ყველაზე ახალგაზრდა, 22 წლის სუმოისტს მომავალ ტურში კიდევ უფრო მძიმე დაპირისპირება ელის — ტოჩინოშინის პირისპირ მონღოლი იოკოძუნა ჰაკუჰო დადგება.

იანვრის ბაშოზე წარუმატებელი სტარტი აიღო აღმოსავლეთის მეცხრე მაეგაშირას სტატუსით მოასპარეზე კოკაიმ. შავ ზღვად წოდებულმა ქართული სუმოს პიონერმა მისდარი ტიტულის მქონე შოტენროსთან წააგო. ლევან ცაგურიას მორიგი მოწინააღმდეგე მერვე მაეგაშირა ტოკიტენკუ იქნება.

წლის პირველი სუპერტურნირი ტრადიციულად, 15 დღეს გასტანს და 24 იანვარს დასრულდება. ■

# „სად სვანი და სად ერუდიცია“?

**როცა სოსო ჯაჭველიანს დავურეკე და „ერუდიტ-ში“ სტუმრობა ვთხოვე, მიპასუხა: აბა, სად სვანი და სად ერუდიციაო?! მაგრამ შეხვედრაზე უარი მაინც არ უთქვამს. მისი აზრით, ყველაზე დიდი წიგნი ბიბლიაა, ყველა სხვა დანარჩენი კი ამ წიგნიდანაა გადამღერებული. ძალიან უყვარს ვაჟა-ფშაველა და მარკესი. ამბობს, რომ ბევრი წიგნი აქვს წაკითხული, მაგრამ ზოგის შინაარსი ახსოვს, ზოგის — არა. თურმე ზოგჯერ ისიც ავიწყდება, დილით რა ჭამა.**

*თამუნა კვინიკაძე*

## პრეამბულის მაგიერ

— **ბატონო სოსო, ახალ წელს როგორ შეხ-ვდით?**

— 2010-ს ოჯახთან ერთად შევეგებე. ახალ წელს ყველაზე ლამაზად სვანეთში ხვდებიან. ის, რასაც ახლა გეტყვი, მინდა, ფილმში ერთ-ერთ ეპიზოდად გამოვიყენო: სვანეთში ოჯახ-ში მეკვლე სიმღერით შედის და მასპინძელიც სიმღერით ეგებება. მეკვლე სიმღერას რომ დაასრულებს, მერე ილოცე-ბა.

— **ამ დროს სვანები რას მღერიან?**

— ბევრი სიმღერის შესრულება შეიძლება, რომელიც სიყვარულზე, უფალზე, მამაცობაზე, მხედრობაზეა. მზის სა-დიდებელ „ლილესაც“ მღერიან. ზოგჯერ ოჯახში მეკვლედ ცხოველიც, უმეტეს შემთხვევაში, ხარი შეჰყავთ; ამ დღეს წყაროდან ახალი წყლის მოტანაც იციან.

— **როცა სვანეთში იყავით, ახალ წელს თავად როგორ ხვდებოდით ხოლმე?**

— ვიდრე ახალი წელი დადგებოდა, მე და ჩემი მეგობრე-ბი ტყეში ნაძვის მოსაჭრელად მივდიოდით. ერთხელ ნაძვის მოსატანად მე და სოსო ჯაფარიძე წავედით. შინ რომ ვბრუნ-დებოდით, გზაზე მილიციელი შევნიშნეთ, მანაც დაგვინახა. შევეცადეთ, მისთვის თავი აგვერიდებინა და მოყინულ მდინარეზე გადასვლა მოვინდომეთ. ყინული ჩაგვიტყდა და წყალში ჩავცვივდით. ამ დროს ტემპერატურა -25 გრადუსი იყო... მერე ის მილიციელი წამოგვეწია და ჩვენს ნაძვის ხეს ტოტები დაამტვრია. მისმა საქციელმა იმდენად გაგვაღიზ-იანა, რომ ნაჯახებით გავეკიდეთ, მერე კი ისევ ტყეში წავედით და ახალი ხე მოვჭრით. იმ „სამართალდამცველის“ საქციე-ლი არასდროს დამავიწყდება.

— **ანეკდოტს არ მოგვიყვებით?**

— სვანებზე?

— **ვისზეც და რაზეც გნებავთ.**

— სვანს ურეკავენ და ეკითხებიან:

— რომელი ხარ? გივი ხომ არა ხარ?

— ჰო, მითხარი, ჩქარა, რა გინდა?

— სადა ხარ?

— რესტორანში ვარ და ვქეიფობ!

— ბიჭო, რესტორანში რა გინდა, როცა შენს ცოლს შეურაცხყოფას აყენებენ. მის თავს უბედურება ხდება, ვიღაც კაცი...

სვანმა სიტყვა აღარ დაამთავრებინა, რესტორნიდან თავქუდმოგლეჯილი გაიქცა, ავარიაში მოყვა და ხელ-ფეხი დაიმტვრია. მეორე დილით თაბაშირში შეხვეულ შვილს მამამ მიაკითხა და უთხრა:

— გივი შენ არ გქვია, ცოლი შენ არ გყავს და ერთი გამაგებინე, სად გარბოდი?..

მართალია, ამ ანეკდოტზე იცინიან, მაგრამ მის შინაარსს არ უღრმავდებიან — სვანმა ქალის (ის ვინც არ უნდა იყოს) შეურაცხყოფა ვერ აიტანა! ჰოდა, ჩვენც იმ სვანივით მოვ-იქცეთ, სხვისი ტკივილი გულთან ახლოს მივიტანოთ და ყველაფერი ჯიგრულად იქნება.



## „ყველაფერი ჯიგრულად იქნება...“

— **ვეფხვის წელი დაიწყო და პირველი კითხვაც ამ ცხოველზე შევარჩიე. ნებისმიერ ზრდასრულ ვეფხვს საკუთარი სანადირო ტერიტორია აქვს, სადაც არავის უშვებს, მაგრამ ხდება გამონაკლისიც. როდის?**

— ალბათ, გამრავლების პერიოდში. ასეა?

— **დიახ, მამრი ვეფხვები მდედრებს სტუმრობენ და რამდენიმე დღე მათთან რჩებიან. ისააკ ნიუტონის 300 წლისთავის აღსანიშნავად, დიდ ბრიტანეთში გამოუშვეს საფოსტო მარკა. რა იყო მასზე გამოსახული?**

— რა უნდა გამოესახათ, თუ არა წითელი ვაშლი?!

— **ვის ეკუთვნის სიმღერა ქართული ანიმაციური ფილმიდან — „სოფლის მაშენებლები“?**

— ეგ რომელი (*ფიქრობს*), „სოფლის შენებას რა უნდა?“

— **დიახ.**

— ალექსანდრე ბასილაიას.

— **თქვენი აზრით, სოფლის შენებას პირველი ხმის და ბანის თქმის გარდა, კიდევ რა უნდა?**

— სოფლის შენებას, პირველ რიგში, ჯიგარი უნდა.

— **საფრანგეთის ამ მეფემ 72 წელი იმეფა. ვისზეა ლაპარაკი და რა იყო მისი მეტსახელი?**

— არ ვიცი.

— **მიგანიშნებთ, მას ეკუთვნის ცნობილი გამონათქ-ვამი: „სახელმწიფო ეს მე ვარ!“ სიკვდილის წინ კი ატირებულ მსახურებს უთხრა: „რა გატირებთ, გეგონათ, უკვდავი ვიყავი?“**

— ეს რომელიღაც ლუი იქნებოდა, მაგრამ მერამდენე, ამას ვერ გეტყვი.

— **ლაპარაკია ლუი XIV-ზე. მისი მეტსახელი მეფე მზე იყო. ბიბლიის მიხედვით, სად გადამალა იოსებმა ყრმა იესო და დედამისი?**

— ეგვიპტეში.

— **სად არის ის საოცარი წერტილი, სადაც ყველა მხრიდან სამხრეთია და შეიძლება, დედამიწის გარშემო ადგილზე ერთი შემობრუნებით იმოგზაურო?**

— ჩრდილოეთ პოლუსზე.

— **პლატონი ამბობდა: „ჩინური ჭურჭელი წკრი-ალით იცნობა, კაცი...“**

— „...ხასიათით“.

— **ცდებით, „...ლაპარაკით“. რა ერქვა სევილიელ**

**დალაქს?**

— (*ფიქრობს*) ველარ გავიხსენე.

— ფიგარო.

— **რომელი ლეგენდარული ადგილი გათხარა გერმანელმა არქეოლოგმა ჰაინრიხ შლიმანმა?**

— ტროა.

— **ამ ქართველმა მწერალმა სახელი ნოველებით გაითქვა. იგი 1944 წლის 25 მაისს აღესრულა. თავდაპირველად, ვაკის სასაფლაოზე დაკრძალეს, ხოლო 10 წლის შემდეგ დიდუბეში გადაასვენეს. დაასახელეთ ეს მწერალი.**

— (*ფიქრობს*) ვერ ვხვდები და რა ვქნა?

— **მიგანიშნებთ, იგი არის ავტორი ნოველისა — „ტრაგედია უგმიროდ“.**

— მაინც ვერ გიპასუხებ.

— **ნიკო ლორთქიფანიძე. რომელ ძუძუმწოვარ ცხოველს არა აქვს თვალები?**

— რას ლაპარაკობ, თვალები როგორ არ ექნება...

— **ბატონო სოსო, რთული კითხვა არ არის და თუ დაფიქრდებით, პასუხის გაცემაც არ გაგიჭირდებათ.**

— მინიშნების სახით ერთი სიტყვა მაინც მითხარი...

— **კარგი, ეს სიტყვაა — „მიწა“.**

— (*ფიქრობს*) თხუნელა ხომ არა?

— **გამოიცანით. 1922 წელს გენუის საერთაშორისო კონფერენციაზე ქართველი ერის სატკივარი გახდა ცნობილი. რუსეთის წინააღმდეგ მაშინ რომელმა ქართველმა აიმაღლა ხმა?**

— მეტს ვერაფერს დაამატებ? იმ ქართველმა რა მოითხოვა?

— **იგი სასულიერო პირი იყო და საქართველოდან რუსეთის საოკუპაციო ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანა მოითხოვა. სხვათა შორის, ამის გამო დააპატიმრეს და 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.**

— ამბროსი ხელაია.

— **ეს ცნობილი მსახიობი აღიარებს, რომ ახალგაზრდობაში მეტად გაუნათლებელი იყო და ოდისევსის შესახებ პირველად მაშინ გაიგო, როცა მისი როლის შესრულება შესთავაზეს. ხოლო როცა ფილმ „სპარტაკში“ მთავარ როლზე ამტკიცებდნენ, იფიქრა, — საფეხბურთო გუნდის ნახევარმცველი უნდა განვასახიეროო. დაასახელეთ ეს მსახიობი.**

— კერკ დუგლასი.

— **მსოფლიო არქიტექტურის ეს შედევრი ქალაქ აგრაში მდებარეობს. იგი მონღოლთა იმპერიის ხელმწიფემ, შაჰ-ჯაჰანმა ააშენა, როგორც საყვარელი მეუღლის — მუმთაზ-მაჰალის აკლდამა. მშენებლობა 1630-1652 წლებში მიმდინარეობდა, მოგვიანებით კი თვით შაჰ-ჯაჰანიც იქვე დაიმარხა. დაასახელეთ ეს შენობა.**

— ტაჯ-მაჰალი.

— **ვინ არის ტილოს — „მდიდარი და ღარიბი“ ავტორი?**

— ნიკო ფიროსმანი.

— **რა პოზაში აქვს ხელები ლეონარდო და ვინჩის „ჯოკონდას“?**

— ზუსტად აღარ მახსოვს, გადაჯვარედინებული არ აქვს?

— **ამ კითხვაზე პასუხი ჩაგეთვალათ. მითხარით, ვაჟა-ფშაველა ჩემი საყვარელი ავტორიაო და ალბათ, მის შემოქმედებას კარგად იცნობთ.**

— რა თქმა უნდა!

— **რა ჰქვია ალუდა ქეთელაურის ცოლს?**

— აი, ახლა კი გავიჭედე (*იცინის*) მგონი, ლელა ჰქვია, არა?

— **ნამდვილად ასეა! ამ ქართველ მწერალს სიკვდილმისჯილთა საკანში 75 დღე აქვს გატარებული. ვისზეა ლაპარაკი?**

— ჭაბუა ამირეჯიბზე. სხვათა შორის, იგი გასული წლის ადამიანად დაასახელეს.

— **„დიდი გარდაქმნების პერიოდში გეცხოვროს“, — რომელი ერის წარმომადგენლები იწყევლებიან ასე?**

— ჩინელები.

— **ეს ინგლისელი პოეტი 1824 წელს სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა. იგი სიცოცხლის ბოლო წლებში საბერძნეთის დამოუკიდებლობისთვის ომში აქტიურად მონაწილეობდა. მან სიკვდილის წინ, ბოდვისას შემდეგი სიტყვები წარმოთქვა: „საბრალო საბერძნეთი!“ დაასახელეთ ეს პოეტი.**

— ინგლისელი პოეტებიდან ამწუთას მხოლოდ ბაირონი მახსენდება.

— **სწორი პასუხიც ეს არის. ვინ არის ავტორი ლექსისა — „მე პატარა ქართველი ვარ?“**

— დუტუ მეგრელი.

— **ეს მისი ფსევდონიმია, ნამდვილი სახელი და გვარი არ იცით?**

— არა.

— **დიმიტრი ხოშტარია.**

— მე ვიცი, რომ ტერენტი გრანელის გვარი კვირკველია იყო. სხვათა შორის, მისი ლექსები ძალიან მიყვარს.

— **რომელიმე მათგანი ზეპირად თუ იცით?**

— ზეპირად ადრე უფრო ბევრი ლექსი ვიცოდი, ახლა კი, დროთა განმავლობაში თანდათანობით მავიწყდება. ამ წუთში ტერენტის ერთი ლექსი გამახსენდა: „შენ ვერ მიხილავ და ნურც დამეძებ,/ სადღაც წამიღეს ბნელი მკლავებით./ მე წუხელ მოვკვდი,/ შუაღამისას,/ როდესაც კრთოდნენ ცის ვარსკვლავები...“ განსაკუთრებით ამ ლექსის ფინალი მომწონს: — „...მიმასვენებდნენ ანგელოზები და კუბოს ქრისტე წინ მიუძღოდა“.

— **რომელ ქვეყანაში დაიდგა პირველი შუქნიშანი?**

— საფრანგეთში.

— **ცდებით, პირველი შუქნიშანი 1868 წლის 10 დეკემბერს ინგლისში, ლონდონში დაიდგა. ალბათ, ცხენით კარგად ჯირითობთ, არა?**

— რა თქმა უნდა!

— **რამდენი ფლოქვი აქვს ცხენს თითოეულ კიდურზე?**

— თითო.

— **რომელ ნაწარმოებზე მუშაობდა ილია ჭავჭავაძე, როცა დავით ერისთავს მისწერა: „ეს ოხერი ჩვენი ისტორია მარტო მეფეების ისტორიაა, ერი არსადა ჩანს. მე მეფეების და ომების სახე არ მიზიდავს, საქმე ხალხია და ხალხი კი ჩვენს ისტორიაში არ ჩანს...“?**

— არ ვიცი.

— **მიგანიშნებთ, ეს ნაწარმოები 1858-59 წლებში დაწერა.**

— მაინც ვერ გიპასუხებთ.

— **„აჩრდილი“. „ამ ქალაქში ჩასვლისას ზღვის, მდინარის და ტბის შუა აღმოვჩნდი და ამიტომაც, პირველ რიგში თევზი მოვიკითხე“, — საქართველოს რომელ ქალაქში ჩასვლას აღწერს ასე ალექსანდრე დიუმა?**

— (*ფიქრობს*) ზღვა, მდინარე და ტბა ერთად სად შეიძლება იყოს, თუ არა ფოთში?!.

— **ამ მცენარის სამშობლო ჩინეთია, საქართველოში კი 1833 წელს შემოიტანეს. მისი პლანტაციები პირველად ოზურგეთში გაშენდა. დაასახელეთ ეს მცენარე.**

— ჩაი.

— **დაბოლოს, დაასრულეთ ნოდარ დუმბაძის ცნობილი გამონათქვამი: „სამშობლო უფრო მეტად გაჭირვება და ტკივილია, ვიდრე...“**

— „...სიხარული“.

— **„...დალხინება და დღესასწაული“.** ■

## გონების სავარჯიშო

### „გზის" ერთგული მკითხველისათვის

(კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში" სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების" სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი

1. რა არის კამბუზი?

2. რომელი კომპოზიტორი იყრიდა კენჭს 1999 წელს ჩატარებულ ლატვიის საპრეზიდენტო არჩევნებში?

3. დაასახელეთ ძაღლის ორი ჯიში, რომელიც უსინათლოთა მომსახურებისათვის ყველაზე კარგად იწვრთნება.

4. ეს ქალაქი სექსუალურ უმცირესობათა მსოფლიო დედაქალაქად მიიჩნევა და მისი მოსახლეობის 40% სექსუალურ უმცირესობას წარმოადგენს. დაასახელეთ იგი.

5. რა არის კულისიე?

6. დაასახელეთ გერმანელი მწერალი, რომლის სახელიც ერქვა პირველ ბომბდამშენ თვითმფრინავს — ის I მსოფლიო ომის დროს, 1917 წლის მაისს ინგლისის თავზე გამოჩნდა.

7. რა არის თივთიკი?

8. რა არის დიხაშხო?

9. ვის უხმობენ ძახილით: „დოი-დოი"?

10. რა არის პარანგონი?

11. „სოთბის" აუქციონი 1744 წელს დაარსდა. რა იყიდებოდა აქ პირველი 30 წლის მანძილზე?

12. რა არის ფარანჯა?

# ანეკდოტები



* * *

ქმარი ოთახში შევარდა და მთელი ხმით ყვირის:

— მე უკვე ყველაფერი ვიცი!

ცოლი არ დაიბნა:

— ყველაფერი?!. მაშინ მიპასუხე, როდის მოხდა ტრაფალგარის ბრძოლა?..

* * *

მიხოს სახლში სიდედრ-სიმამრი ჰყავს. ღამე ყველას ერთ ოთახში სძინავს. მიხოს ტუალეტში მოუნდა გასვლა. ადგა და ცოლს გადააბიჯა. ცოლმა უჩურჩულა:

— რას აპირებ, სირცხვილია, ჩემი მშობლები აქ არიან!

მიხო სიდედრს მიადგა გადასაბიჯებლად. ახლა იმას გამოეღვიძა:

— რას შვრები, მღუპავ?! ქმარშვილთან ვერ ვიზამ!

მიხო ახლა სიმამრს მიადგა.

— ე, ბიჭო, მიეცით ვიღაცამ, თორემ მე მომადგა აგერ!.. — აყვირდა სიმამრი.

* * *

— წარმოიდგინეთ, რა საშინელებაა, როცა მომღერალი ხმას კარგავს და გრძნობს, რომ სიმღერა აღარ შეუძლია.

— დიახ, მაგრამ კიდევ უფრო საშინელებაა ის, როდესაც იგი ამას ვერ გრძნობს.

* * *

— კოკისპირულად წვიმს, ჩემი ცოლი კი ჯერ არ დაბრუნებულა სახლში!

— არა უშავს, რომელიმე მაღაზიას შეაფარებს თავს.

— მეც მაგის მეშინია.

* * *

სვანმა დათვი მოკლა.

— რამდენი ესროლე? — ეკითხება მეზობელი.

— ათი.

— რამდენი გაარტყი?

— ვერც ერთი.

— აბა, როგორ მოკვდა?

— სიცილით!

* * *

კაციჭამიამ ტურისტი დაიჭირა და შესაჭმელად ტყეში მიათრევს. ტურისტი შიშისგან კანკალებს.

— რისი გეშინია, ჩემთან ერთად ხარ. მე უნდა ვიკითხო, უკან მარტოს რომ მომიწევს დაბრუნება.

* * *

განცხადება: „სასწრაფოდ ვყიდი რეზინის გასაბერ ნავს, სათევზაო აღჭურვილობასა და ტანსაცმელს. თუკი ტელეფონი მამაკაცმა აიღო, უთხარით, რომ ნომერი შეგეშალათ".

* * *

განცხადება: ყველა მამაკაცს ვულოცავთ 9 მარტს — ქალთა საერთაშორისო დღის დასასრულს.

* * *

მაღაზიაში კლიენტი გამყიდველს უყვირის:

— რას ჰგავს ეს, მომიტანეთ თქვენი საჩივრის წიგნი!

— რომელი ტომი მოგართვათ?



* * *

— აუ, რა ცუდი თაობა წამოვიდა, ავტობუსში ადგილსაც არ დაგითმობენ.

— კი, მაგრამ თქვენ ხომ დაგითმეს ადგილი?

— მე კი დამითმეს, მაგრამ ჩემი ცოლი ფეხზე რომ დგას?!.

* * *

გემი იძირება. რუპორში აცხადებენ:

— ყურადღება!.. მგზავრები, რომლებსაც ბილეთები განვადებით აქვთ შეძენილი, ნავებში პირველები სხდებიან!

* * *

ქმარი ცოლს ებუზღუნება:

— თქვენზე, ქალებზე ორჯერ მეტი სახსრები იხარჯება, ვიდრე არმიაზე.

ქალს გაეღიმა:

— სამაგიეროდ, ჩვენ გამარჯვებაც მეტი გვაქვს.

* * *

— ნახე, დარბაზში რა მაგარი გოგო ზის.

— ჩემი ნაშაა.

— გვერდით რომ ბიჭი უზის, ისიც შენია?..

* * *

მაღაზიაში გამყიდველმა კლიენტს ხურდა არ დაუბრუნა:

— მაპატიეთ, ხურდა არ დაგიბრუნებიათ.

— მიპატიებია!

* * *

განცხადება გაზეთში: „ვეძებ ინტიმს, სამუშაოს ნუ შემომთავაზებთ“.

* * *

გინეკოლოგი პაციენტს მიმართავს:

— ქალბატონო, თქვენ ან გრიპი გაქვთ, ან ფეხმძიმედ ხართ.

— ნამდვილად ფეხმძიმედ ვარ, აბა, გრიპი ვისგან უნდა გადამდებოდა?!

* * *

ერთი ნარკუშა მეორეს ურეკავს:

— როგორა ხარ, ნიკუშ?

— არ მცალია, მერე დაგირეკავ, სასაფლაოზე ვარ...

— აუუ, ვინ დაგბრიდა, სიმონ?!



* * *

— აბა, კარგი „ნასკი“! „ნასკი“! — ყვირის ბოშა ქალი.

— ახალია? — ეკითხება სვანი.

* * *

ჩანაწერი დღიურში: ბულიონი ისეთივე თბილი რომ ყოფილიყო, როგორიც ღვინო, ღვინო იმ ხნის, რამდენისაც ქათამი, ქათამი ისეთივე ცხიმიანი, როგორიც ოფიციანტი და ოფიციანტი ისეთივე სუფთა, როგორიც ჩემი ჯიბეები, შესანიშნავი ვახშამი იქნებოდა.

* * *

ჩანაწერი ავტომოპასუხეზე: „სავარაუდოდ, სახლში ვარ, მაგრამ ერთ უსიამოვნო ტიპთან ლაპარაკი არ მინდა. დატოვეთ თქვენი შეტყობინება და თუ არ გადმოგირეკეთ, ე.ი. ის ტიპი თქვენ ხართ.“

## გონების სავარჯიშო

### „გზის“ ერთგული მკითხველისათვის

### (პასუხები)

1. გემის სამზარეულო.
2. რაიმონდ პაულსი. არჩევნებში მან სრული მარცხი განიცადა.
3. გერმანული ნაგაზი და ლაბრადორი.
4. ამსტერდამი.
5. ასე ეძახიან არაოფიციალურ მაკლერს ბირჟაზე.
6. გოეთე.
7. ასე უწოდებენ თხის, ცხვრის, სიასამურის, კვერნის და ზოგიერთი სხვა ცხოველის ნაზ ბალანს.
8. უნაყოფო, მწირი მიწა.
9. მტრედებს.
10. უნაკლო, უზადო ბრილიანტი.
11. მხოლოდ წიგნები.
12. ხალათის მსგავსი წამოსასხამი, რომელსაც ტაჯიკი და უზბეკი ქალები ატარებდნენ. იგი მთლიანად ფარავდა თავსა და სხეულს, მხოლოდ სახესთან ჰქონდა შავი ბადე.

## ჩვენი ფოტო გალერეა



რუბრიკა მოამზადა თემურ ივანიძე

# ჰოროსკოპი

## 14-20 იანვარი

**ვერძი:**
საყვარელი ადამიანი საჩუქრებით აგავსებთ და თქვენი გულის მოგებას ამით შეეცდება. ეცადეთ, მასთან ურთიერთობა აღარ გაამწვავოთ. კვირის ბოლოს მოგზაურობა და სასიამოვნო შეხვედრა გელით.

**კურო:**
კარგად დაფიქრდით, რისი მიღწევა გსურთ და მერე იმოქმედეთ. შესაძლოა, ბინის ინტერიერის შეცვლა მოგიხდეთ. კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად, რჩევა ოჯახის წევრებსაც ჰკითხეთ.

**ტყუპი:**
საკუთარ წარუმატებლობას სხვებს ნუ დააბრალებთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას და თავი შეიკავეთ ავანტიურისგან. აზარტულ თამაშებსა და ლატარიაში არ გაგიმართლებთ.

**კირჩხიბი:**
ეცადეთ, დაუფიქრებელი სიტყვებით ახლობლებს გული არატკინოთ. გავლენიანი ნაცნობების დახმარებით ახალ სამსახურს იშოვით. ამ კვირაში თქვენი მატერიალური მდგომარეობა გაუმჯობესდება.

**ლომი:**
ამ პერიოდში შესაძლოა, ერთდროულად რამდენიმე რომანი წამოიწყოთ, მაგრამ გაფრთხილდით, ინტრიგების ქსელში თავადვე არ გაეხვიოთ. კვირის ბოლოს სურვილებს აისრულებთ.

**ქალწული:**
დროსა და თანხას გართობაზე ნუ დახარჯავთ. უმჯობესია, ისეთი საქმე გამონახოთ, რომელიც მომავალში წარმატებას მოგიტანთ. უსაფუძვლო ჭორების გამო მეგობრებს ნუ გადაეკიდებით.

**სასწორი:**
ნუ შეეჭიდებით ისეთ საქმეებს, რომელთა შესრულებასაც ვერ შეძლებთ. ამან შეიძლება, რეპუტაცია შეგილახოთ. ყოველდღიური საქმეებით შემოიფარგლეთ და ხშირად დაისვენეთ.

**მორიელი:**
საკუთარი სიმართლის დამტკიცება შეიძლება, მუშტებითაც მოგიხდეთ. შუა კვირაში ბიზნესპარტნიორებს ახალი გეგმები გააცანით. დარდის გასაქარვებლად მეგობრებთან ერთად გაერთეთ.

**მშვილდოსანი:**
სამსახურში წარმატება გელით. ავტომობილთან დაკავშირებული პრობლემები სხვების ჩარევის გარეშე მოაგვარეთ. კვირის ბოლოს ძველ მეგობრებს შეხვდებით და მათთან ერთად ბევრს იმხიარულებთ.

**თხის რქა:**
ძალიან აქტიური და მიზანსწრაფული ხართ. ამ პერიოდში შეიძლება, რომანი უცხოელთანაც კი გააბათ. არაფხიზელ მდგომარეობაში საჭეს ნუ მიუჯდებით. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

**მერწყული:**
საზღვარგარეთიდან სასიამოვნო ამბავს შეიტყობთ. ამ კვირაში საცხოვრებელი ადგილის ან სამსახურის შეცვლა მოგიწევთ. კვირის ბოლოს შესაძლოა, საყვარელმა ადამიანმა დაქორწინება შემოგთავაზოთ.

**თევზები:**
დაძაბული სამუშაო გრაფიკის გამო, საყვარელ ადამიანს მზრუნველობას მოაკლებთ, რაც თქვენს ურთიერთობაზე უარყოფითად იმოქმედებს. დარდის გასაქარვებლად მეგობრებს ესტუმრეთ.

# პატარები გენიოსობენ

**გაზეთ „კვირის პალიტრის“ არქივიდან**

3 წლის აჩი მაჭუტაძე წვიმიან ამინდში ცდილობს, ფეხი გუბეში ჩაკრას. დედა ეუბნება:
— ნუ შვრები! აი, რეზინის ბოტებს რომ გიყიდი, მერე შეგიძლია, გუბეში ფეხი ატყაპუნო.
აჩიმ იქვე, გუბეში მოჭყუმპალავე ჩიტები შენიშნა და დედას ჰკითხა:
— დედიკო, ჩიტებს რა, ბოტები აცვიათ?

3 წლის თათა მურვანიძე პატარძალივით მოიკაზმა და ყველას ეუბნება, ქორწილი მაქვსო.
— ვის მიჰყვები?
— არავის, მე თვითონ მივდივარ.

2 წლის ლუკა მეზობელ ლამარას ეკითხება:
— სად იყავი?
— მოხუცი დედა მყავს, საჭმელი მივუტანე და სარეცხი გავურეცხე, — მიუგო ქალმა.
— შენ წითელქუდა ხარ? — გაუკვირდა ლუკას.

3 წლის ნინო ზიბზიბაძე ბებოს სთხოვს, ხელში ამიყვანეო.
— უკვე დიდი გოგო ხარ და ხალხი რას იტყვის, ხელში აყვანილი რომ დაგინახონ? — ეუბნება ბებო.
— ბებო, ბებო, შენ ოღონდ ამიყვანე და ხალხისკენ არ გავიხედავ, — დაამშვიდა ბავშვმა.

4 წლის მაგდა ლაცაბიძე დედამ მეგობარ მარინასთან დატოვა.
— დედიკო სად არის, მალე მოვა? — მაგდა ამ კითხვას ხშირ-ხშირად სვამდა.
ერთხელაც, მარინა ბავშვს გაეხუმრა და უპასუხა:
— შენი დედიკო გათხოვდა.
— გათხოვებას რომ დაამთავრებს, ხომ მოვა? — იკითხა შეშფოთებულმა ბავშვმა.

— ბებო, ძროხა რატომ არ იწველება? — ეკითხება 3 წლის იზა ბებიას.
— ჯერ არ მოუგია და რძე არ აქვს, — აუხსნა ბებომ.
— ბებო, მოგება რას ნიშნავს?
— შვილს რომ გააჩენს.
— მაშინ მურია მოვწველოთ, მას ხომ უკვე ჰყავს ლეკვები...

მოამზადა რუსუდან გელაშვილმა



1. სატან-ვარჯიშო იარაღი
2. ავტომო-ბილის ძარას ტიპი
3. ქვეყანა აფრიკაში
4. ბელგიუ-რი რევოლ-ვერი
5. თოფის წამალი
6. სამხრეთ აფრიკის დედაქალა-ქი
7. ვინაობის გაუმჟღავ-ნებლად ყოფნა
8. ჰიგიენუ-რი საშუა-ლება
9. საპყრო-ბილე
10. ამერი-კის აღმომ-ჩენი
11. ჯუჯა ცხენი
12. ბილი-არდის ჯოხი
13. თუთი-ყუშის სახეობა
14. ციტრუ-სი
15. ქალა-ქის ტიპის დასახლება
16. კატის ნაშიერი
17. მუდმივი მყიდველი
18. მგალო-ბელი ფრინველი
19. ხელზე მოსამსახუ-რე მამაკა-ცი, ლაქია
20. რუმი-ნული ავტომობი-ლი
21. სვირინ-გი
22. კედელ-ში ჩასმუ-ლი ნახატი
23. სამი წერტილი კამათელზე
24. ღმერ-თების სასმელი
25. კათო-ლიკე მღვდელი
26. ჭადრა-კის ფიგუ-რა
27. აქლე-მის რძე
28. გაზაფ-ხულის თვე
29. ქვეყანა ევროპაში
30. პარი-ზის აერო-პორტი
31. იტალი-ის ფეხბურ-თის გუნდი
32. ატმოს-ფერული ნალექი
33. ცხენის ჭენება
34. დამბლა
35. დიდი საოკეანო გემი
36. მონარ-ქიული სახელმწი-ფოს ტიპი
37. პერიო-დული გამოცემა
38. საუკე-თესო, სრულყო-ფილი.



**წინა ნომრის სკანვორდის პასუხები**

1. გესლი; 2. სატურნი; 3. ყინვა; 4. მანუალი; 5. ლატავრა; 6. პანტა; 7. ბამბა; 8. ძარა; 9. ბულგარეთი; 10. აგური; 11. ბროლი; 12. პონი; 13. ლაღიძე; 14. ძეფირელი; 15. იგლუ; 16. ლირიკა; 17. დაფი; 18. ფლირტი; 19. იანვარი; 20. მამბა; 21. მისისიპი; 22. სოლოლაკი; 23. ბოლი; 24. უფა; 25. პინო; 26. რიონი; 27. ყველი; 28. კლიტე; 29. ლირა; 30. ალავერდი; 31. ნიკ; 32. სვავი; 33. ვაკე; 34. ონო; 35. ანათემა; 36. ტრიო; 37. ისარი; 38. ფლორიდა; 39. პარიკი; 40. წკირი; 41. პეკინი.
**სურათი** — გილოცავთ შობის ბრწყინვალე დღესასწაულს.

# საფირმო კროსვორდი

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გ | ა | ე | რ | თ | ე | თ | დ | ა | დ | ა | ი | ს | ვ | ე | ნ | ე | თ | გ | ზ | ა | ს | თ | ა | ნ | ე | რ | თ | ა | დ |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| გ | ო | ვ | ა | დ | ე | დ | ც | ა | ა | ნ | ა | ა | | კ | გ | რ | ე | ი | | ე | დ | რ | ტ | ა | | ი | თ | ა | ე |

**შევსების წესი:** **უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრედებში ქართულ ანდაზას ამოიკითხავთ.**

**გ**. ქალაქი შოტლანდიაში; **ა**. თეორემა, რომელსაც არ სჭირდება დამტკიცება; **ე**. რუსი მწერალი, ცნობილი ზღაპრის „კუზიანი კვიცის“ ავტორი; **რ**. რა ერქვა აივენჰოს სატრფოს; **თ**. მართლმსაჯულების ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში, რომელსაც ერთ ხელში სასწორი უჭირავს, მეორეში — მახვილი; **ე**. ძველი ბერძენი მეიგავე; **თ**. ქართული სუფრის წინამძღოლი; **დ**. სახელმწიფო ფულადი დახმარება, რომელიც ეძლევა წარმოებას, დაწესებულებას ან ორგანიზაციას ზარალის დასაფარავად ან სხვა მიზნებისათვის; **ა**. სამცხის მმართველთა ტიტული; **დ**. ქვეყანა, რომლის პრინცი იყო ჰამლეტი; **ა**. რა ერქვა კაცს, რომელიც გიორგი კუჭატნელს შემოაკვდა; **ი**. იაპონური მხატვრობა, ყვავილების, ფოთლებისა და ტოტებისაგან გამოსახულების შექმნა; **ს**. ქვეყანა, რომლის დედაქალაქია დამასკო; **ვ**. თბილისის საკალათბურთო კლუბი; **ე**. ვინ არის ბელზებელი; **ნ**. ქართული, სატირულ-იუმორისტული ჟურნალი, რომელიც საბჭოთა პერიოდში გამოდიოდა; **ე**. მდინარე დასავლეთ საქართველოში; **თ**. დაბა აღმოსავლეთ საქართველოში; **გ**. საჭადრაკო პარტიის ისეთი დასაწყისი, როდესაც თეთრები შეტევაზე სწრაფად გადასვლის მიზნით წირავენ პაიკს ან რომელიმე სხვა ფიგურას; **ზ**. ლათინური ანბანის უკანასკნელი ასო; **ა**. დიპლომატიურ წარმომადგენლობასთან მყოფი ამა თუ იმ დარგის სპეციალისტ-კონსულტანტი; **ს**. სათათბირო ორგანო სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქთან; **თ**. რა დაარქვეს ბავშვს, რომელიც 1336 წლის 11 მარტს მომთაბარე სოფელ ილღარში, გათურქებული მონღოლი ბეგის, ტარაღაის კარავში დაიბადა; **ა**. რაიმეთი თავდავიწყებით გატაცება; **ნ**. ჩანჩქერი ჩრდილოეთ ამერიკაში; **ე**. ტელევიზორებისა და საყოფაცხოვრებო ტექნიკის მწარმოებელი ფირმა; **რ**. რა მდინარე ჩამოდის ონსა და ამბროლაურში; **თ**. ივნისის თვის ძველი ქართული სახელწოდება; **ა**. ტროპიკული ხილი; **დ**. ანტიკური ხანის ბერძენი ფილოსოფოსი, რომელიც ცარიელ კასრში ცხოვრობდა.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

**გ**. გამბიტი; **ზ**. ზაური; **ა**. არქიელი; **გ**. გუთანი; **ზ**. ზვიგენი; **ი**. იაპონია; **ს**. სკიპტრა; **თ**. თელავი; **ვ**. ვუპი; **ი**. იდილია; **ს**. სილუეტი; **ა**. არიადნე; **ო**. ორშიმო; **მ**. მზალო; **კ**. კაქტუსი; **ი**. ილაჯი; **თ**. თარაზო; **ხ**. ხიზანი; **ვ**. ვიერი; **ე**. ერუდიტი; **ლ**. ლატვია; **ი**. იაკუძა; **ს**. სიბილა; **თ**. თეირანი; **ვ**. ვალეტა; **ი**. იმედი; **ს**. სესია; **ა**. ატილა; **ო**. ომალო.

**გამუქებულ უჯრედებში იკითხება:**
**მუქთი პილპილი შაქარზე უტკბილესია**

# იაპონური სენსაცია
# სუდოკუ

**„გზის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 9 | 8 | 5 | 7 | 6 | 3 | 4 |
| 4 | 6 | 5 | 1 | 3 | 2 | 9 | 8 | 7 |
| 8 | 7 | 3 | 6 | 9 | 4 | 1 | 2 | 5 |
| 2 | 4 | 6 | 9 | 8 | 5 | 7 | 1 | 3 |
| 5 | 9 | 1 | 2 | 7 | 3 | 4 | 6 | 8 |
| 3 | 8 | 7 | 4 | 1 | 6 | 2 | 5 | 9 |
| 9 | 1 | 4 | 3 | 6 | 8 | 5 | 7 | 2 |
| 6 | 5 | 8 | 7 | 2 | 9 | 3 | 4 | 1 |
| 7 | 3 | 2 | 5 | 4 | 1 | 8 | 9 | 6 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 5 | 4 | 9 | 8 | 1 | 3 | 6 | 2 |
| 9 | 6 | 2 | 4 | 3 | 7 | 1 | 8 | 5 |
| 3 | 8 | 1 | 5 | 6 | 2 | 9 | 7 | 4 |
| 2 | 1 | 5 | 8 | 7 | 3 | 6 | 4 | 9 |
| 6 | 9 | 8 | 1 | 4 | 5 | 7 | 2 | 3 |
| 4 | 7 | 3 | 6 | 2 | 9 | 5 | 1 | 8 |
| 1 | 2 | 9 | 7 | 5 | 4 | 8 | 3 | 6 |
| 8 | 4 | 7 | 3 | 9 | 6 | 2 | 5 | 1 |
| 5 | 3 | 6 | 2 | 1 | 8 | 4 | 9 | 7 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 4 | 2 | 9 | 5 | 8 | 6 | 1 | 7 |
| 1 | 8 | 5 | 7 | 6 | 3 | 9 | 2 | 4 |
| 7 | 6 | 9 | 2 | 1 | 4 | 5 | 8 | 3 |
| 4 | 7 | 1 | 3 | 9 | 5 | 2 | 6 | 8 |
| 6 | 9 | 3 | 8 | 2 | 1 | 7 | 4 | 5 |
| 5 | 2 | 8 | 6 | 4 | 7 | 3 | 9 | 1 |
| 9 | 5 | 7 | 4 | 8 | 6 | 1 | 3 | 2 |
| 2 | 1 | 4 | 5 | 3 | 9 | 8 | 7 | 6 |
| 8 | 3 | 6 | 1 | 7 | 2 | 4 | 5 | 9 |

## * მარტივი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 7 | | 1 | | | | | 3 |
| 4 | 5 | | | | 7 | | | 6 |
| | 3 | | 8 | 4 | | 5 | 9 | |
| 5 | | 7 | | 9 | 4 | | | 2 |
| | 8 | | 7 | | | | 6 | |
| 9 | | | 3 | | | 4 | | 1 |
| | 4 | 5 | | 8 | 1 | | 3 | |
| 2 | | | 4 | | | | 5 | 8 |
| 8 | | | | | 9 | | 1 | |

## ** საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 5 | | | 8 | | |
| | 7 | | | 8 | | | | 4 |
| 6 | | | 9 | | | | 2 | |
| 3 | | | | 7 | | | 4 | |
| | | 8 | 4 | | | 9 | | |
| | 2 | | 3 | 5 | | | | 7 |
| | 1 | | | | 5 | | | 2 |
| 4 | | | | 6 | | | 9 | |
| | | 5 | | | 3 | | | |

## *** რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 6 | | | 3 | | | | 9 |
| | | | 1 | | | | 6 | |
| 9 | | | | 7 | | | | 2 |
| | 2 | | 7 | | 3 | | | 6 |
| | | 6 | 8 | | | 1 | | |
| 3 | | | | 5 | | | 7 | |
| 2 | | | | 1 | | | | 4 |
| | 3 | | | | 5 | | | |
| 7 | | | | 6 | | | 8 | |

# ფოტოკურიოზები





















# „კვირის პალიტრის" კოლექცია

# „დიდი მხატვრები"

წიგნების სერია

რჩეულ ფერმწერებზე - შედევრები და ისტორიები

# კლიმტი

მხოლოდ „კვირის პალიტრის" მკითხველისთვის სპეციალური ფასი 15 ლარი!

„კვირის პალიტრის" ხელმომწერთა საყურადღებოდ! წიგნის შეძენის მსურველები დაუკავშირდით „ელვა.ჯი"-ს ტელ: 38-26-73/38-26-74 კურიერი სერიის ყოველ ტომს ადგილზე მოგართმევთ




კოლექციის I-II წიგნი - ვან გოგი და გოგენი შეგიძლიათ შეიძინოთ იანვრის მეორე ნახევრიდან წიგნის მაღაზიებში!